საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

ტ. სარიშვილი

სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1901—1921)

მოკლე ნარკვევი

ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 1951

თ ა ვ ი I

სახალხო განათლების საერთო მდგომარეობა რევოლუციამდელ საქართველოში (1901—1917 წ.წ.)

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფის თვითმპყრობელობა კვლავ განაგრძობდა ქართველი ერის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაბეჩავებას, რათა მასები მუდმივ ჩაგვრასა და მორჩილებაში ჰყოლოდა.

„ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუკრძალავდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები ხიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას“[1].

თვითმპყრობელობა, განაპირა მხარეებში მცხოვრები მშრომელი მასების დაბეჩავებით, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დენაციონალიზაციის პოლიტიკით ცდილობდა რევოლუციურ ძალთა დასუსტებას, დაქსაქსვას და ქართველი ერის გადაშენების გზაზე დაყენებას. „რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუთედი (ზუსტად 57 პროც.) ნაციონალურ ჩაგვრას განიცდის. ის ვერ სარგებლობს მშობლიური ენის თავისუფლებითაც კი, მას ძალით არუსებენ“, — წერდა ლენინი[2]. ეს დებულება, სრულად ასახავს ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მეფისდროინდელ მდგომარეობას.

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი 4, გვ. 388, ქართული გამოცემა. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

[2] ლენინი, ტ. 19, გვ. 354, რუს. გამოცემა.

ცარიზმი ადგილობრივი ხალხის რევოლუციურ ძალთა დასუსტებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მშრომელთა უკმაყოფილების შესანელებლად იყენებდა „...თავის ნაცად ტაქტიკას — სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთზე წასისიანებას“ (ლ. პ. ბერია). ამ გზით, მეფის მთავრობას არაერთხელ უცდია მოეწყო სომეხ-თათართა და ქართველ-სომეხთა ულმობელი ხოცვა-ჟლეტა.

ეროვნული დაბეჩავების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს თვითმპყრობელობის ხელში სკოლა წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობამ გასული საუკუნის 80—90 წლებში (იანოვსკის სასწავლო გეგმით) გააძლიერა საქართველოს სკოლებში ქართული ენის შევიწროება, ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლება და რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისათვის მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება.

„ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეხშოთ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრივობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროვებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია“, — ამბობდა ამხანაგი სტალინი.[1]

აღნიშნული მიზნის განხორციელებას საქართველოში ხელმძღვანელობდა კავკასიის „სასწავლო ოლქი“, რომელიც 7 გუბერნიის, 5 მხარისა და 2 ადმინისტრატიული ოლქისაგან შესდგებოდა. ესენი იყვნენ: თბილისის, ქუთაისის, შავი ზღვის პირის, ელიზავეტოპოლის, ერევნის, ბაქოსა და სტავროპოლის გუბერნიები, დაღესტნის, ყუბანის, ყარსის, თერგისა და ბათუმის მხარეები და სოხუმისა და ზაქათალას ოლქები. სასწავლო ოლქს სათავეში ედგა ოლქის მზრუნველი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოში, დირექციებში და განათლების ადგილობრივ (სამაზრო) ორგანოებში, უმთავრესად, რუსი ჩინოვნიკ-მოხელეები იყვნენ მოკალათებულნი. 1907 წლის კავკასიის კალენდრის ცნობით, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, ბათუმის მხარის ჩათვლით, ქალაქთა ყველა სასწავლებელში დაახლოებით 877 თანამშრომელი მუშაობდა, მათგან ქართველი იყო მხოლოდ 160 კაცი, რომელშიაც შედარებით მაღალი თანამდებობა (სასწავლებლის დირექტორი, ინსპექტორი და სხვ.) 66 კაცს ეჭირა. დანარჩენი ქართველები აღმ-

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, 5. გვ. 26.

ზრდელთა, კლასის დამრიგებელთა თანაშემწის, მოსამზადებელი კლასის მასწავლებელთა და სხვა დაბალ თანამდებობებს ასრულებდნენ.

საქართველოს საქალაქო სკოლების 21 ინსპექტორიდან ქართველი მხოლოდ 4 კაცი იყო. თავისი ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით მეფის მთავრობა, როგორც აღვნიშნეთ, სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ეროვნულ კადრებს, აძლიერებდა ეროვნული გადაგვარების პოლიტიკას.

საქართველოს სკოლებიდან დედაენის განდევნის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:[1]

№	სკოლები, რომლებშიაც ასწავლიდნენ:	პროცენტულად					
		1878 წ.	1881 წ.	1889 წ.	1890 წ.	1900 წ.	1901 წ.
1	დედაენაზე	17,9	13,8	0,1	გაუქმებულია		
2	დედაენაზე რუსულის საშუალებით	32,3	34,0	27,1	27,1	13,3	11,9
3	მხოლოდ რუსულ ენაზე	49,8	52,2	72,8	72,9	86,7	88,1

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ 1878 წლის 17,9%-ის ნაცვლად, საშობლო ენაზე სწავლების მქონე სახელმწიფო სკოლების რიცხვი 1890 წლისათვის სრულიად მოისპო, ხოლო ამავე პერიოდში მხოლოდ რუსულ ენაზე მომუშავე სკოლების რიცხვი 49,8%-დან 72,9-დე გაიზარდა.[2] ქართული ენის დევნა-შევიწროებას და რუსულ ენაზე სწავლების გაბატონებას საქართველოში ხელს უწყობდა ზავადსკების, ლევიცკებისა და ტერგასპარიანცების „მუნჯური მეთოდი", რომელიც ზედმეტად ცნობდა დედაენის გამოყენებას სწავლების დროს. აღნიშნული მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც. მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგული მსახური, კავკასიის სასწავლო ოლ-

[1] ჟურნ. „განათლება" № 1, გვ. 45, 1908 წ.

[2] აქ, ლაპარაკია განათლების სამინისტროს და საერთოდ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებულ სასწავლებლებზე, რომლებშიაც არ იგულისხმება ქ. შ. წ. ქ. გ. ს.-სა და ხალხის სხვა პროგრესიული ორგანიზაციების მიერ გახსნილი სკოლები. ტ. ს.

ქის „მზრუნველი“ 1903 წლის ანგარიშში სწავლების ენის შესახებ წერდა, რომ „...ოლქის მმართველობისა და საერთოდ სკოლების დირექციების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ესრედ წოდებული ბუნებრივი მეთოდის ხმარებით, ამჟამად პირველ დასაწყის სკოლების უმრავლეს ნაწილში (92,4%) მთლად სწავლება სწარმოებს მარტო რუსულად; ხოლო ისეთი სკოლები, სადაც სწავლება დედა-ენაზე იყოს, ამჟამად სრულიად აღარ არის“.

ქართული ენის დევნა-შევიწროება, მშობლიური ენის გაკვეთილების რაოდენობის შემცირებით და „მუნჯური მეთოდის“ გამეფებით არ ამოიწურებოდა. სასკოლო მუშაობის სრული რუსიფიკაციის მიზნით, სკოლებში აკრძალული იყო ქართულად ლაპარაკი, ქართული წიგნის კითხვა, ქართული გაზეთის, ჟურნალის, ან წერილების ტარება, სხვადასხვა სახის ქართული წრის დაარსება და ა. შ. ქართველ მასწავლებელთა ნაცვლად სკოლებში ქართული ენის უცოდინარ მასწავლებლებს ნიშნავდნენ.

„ქართულ ენას აბარებენ იმისთანა სულიერებს, რომელთაც არც ცოდნა აქვთ, არც ხალისი საქმისა, მოკლებული არიან უნარსა და მთელს გაკვეთილებს ატარებენ მთქნარებასა და თვლემაშიო“,— წერდა დედაენის დიდი მოამაგე, ქართველი პედაგოგი იაკ. გოგებაშვილი. ქართული ენა არასავალდებულო სასწავლო საგნად ითვლებოდა. ამ საგნის მასწავლებელი უფლებრივად და მატერიალურად არ იყო სხვებთან გათანაბრებული. ქართული ენა მე-5, ან მე-6 გაკვეთილზე ისწავლებოდა და, რაც მთავარია, მშობლებს საკუთარი ხარჯით უნდა ესწავლებინათ იგი თავისი შვილებისათვის. ქართული ენის დევნა-შევიწროებამ და დაკნინებამ, ხელი შეუწყო ნაციონალური კულტურისა და ცოდნის დეგრადაციას, ქართველი ბავშვების სწავლებისაგან მოწყვეტას და სკოლებიდან ბავშვთა განთესვის ზრდას.

სახალხო განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას შედეგად მოჰყვა, როგორც ქართული ენის დავიწყება, ისე რუსული ენის უცოდინარობაც. ამიტომ, გლეხობას თავიანთი შვილები მასობრივად გაჰყავდათ სასწავლებლიდან. სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის ყველაზე უფრო სარეკორდო მაჩვენებლებს იძლეოდნენ ე. წ. „ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლები“.

„ნორმალურს სასწავლებელს მხოლოდ სახელი ჰქვიან კარგი, უმეცარია თვალის ასაბმელად. იმას ეს სახელი იმდენადვე შეჰფერის, როგორც ქურდს—პატიოსნიძე, მძინარეს—ფხიზლაძე, ცრუს—

მართლაძე. ამ სასწავლებლის პროგრამიდგან, უპირველასად ყოვ-ლისა, განდევნილია სრულიად ქართულის წიგნის სწავლება. არც ერთი გაკვეთილი არ არის ნაწილადევი ქართულის ენისათვის არც პირველს წელსა და არც შემდეგს წლებშიო", — ამბობდა ი. გოგებაშვილი[1]. ამრიგად, ჩვენში, მეფის თვითმპყრობელობამ 1901 — 1905 წ. წ. ნამდვილი შავრაზმული — რუსიფიკატორული რეჟიმი გაამეფა სკოლებში. „შეიყვანდნენ თუ არა ბავშვს სკოლაში, მა-შინვე რუსულს ენაზე უწყებდნენ ჟღურტულს და ყველა საგანს ამ ენაზე აწამებდნენ კურსის დაწყებიდან დასრულებამდე, ქართულს ენას ან ადგილი არ ჰქონდა სრულიად, ან თითოოროლა გაკვეთილით ანელებდნენ გამწვავებულს ხალხის სიბრაზეს... თვით რუსული ენა ისწავლებოდა მუნჯური მეთოდით, დედა-ენის და-უხმარებლივ. ერთი სიტყვით, ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა უკანასკნელს ჟამს რუსიფიკაციის და გადაგვარების ქარხანასა"[2].

კავკასიის სასწავლო ოლქის ობერ-რევიზორმა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას ინახულა ბათუმის ერთ-ერთი სასწავლებელი, სადაც 8 წლის ყმაწვილს მიმართა: „შენ ვინა ხარ? ქართველი, — სთქვა პასუხად ბავშვმა. — ქართველი კი არა, რუსი ხარ. — სთქვი, რუსი ვარ-თქო! ბავშვი გაშტერდა და სდუმდა. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო. გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, ანჯღრევდა და გაჯავ-რებით გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წაი-ლუღლუღა: რუ...სი...ვარ. — ხმამაღლა სთქვი, რომ რუსი ხარ — გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოა-ხერხა ხმის ამოღება, ბოლოს მოიკრიბა ძალღონე და შეჰყვირა: — რუსი ვარო, და თან ქვითინი წასკდა. ასევე სწრაფად გაარუსა ამ ბა-ტონმა სომხის ბავშვი, რომელიც იმ პირველთან იჯდა გვერდით"[3].

იაკ. გოგებაშვილის მიერ ზემოთ მოყვანილი აღმაშფოთე-ბელი მაგალითის ანალოგიური შემთხვევები იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა. მთავრობის ჩინოვნიკ-მოხელეები ხელოვნუ-რად, უხეში ძალით, შიშითა და მათრახით „არუსებდნენ" ქართველ ახალგაზრდობას.

გარუსების პოლიტიკამ ყველა ტიპის სკოლაში დასწია მოს-

---

[1] ი. გოგებაშვილი—„რჩ. ნაწ." ტ. 2, 1940, გვ. 414—415.
[2] იქვე, გვ. 426,
[3] იქვე. გვ. 37—38.

წავლეთა ცოდნის დონე, დაუკარგა ბავშვებს სწავლის ინტერესი, მოსახლეობაში დასცა სკოლის ავტორიტეტი, გააძლიერა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხისა და მოსწავლე ახალგაზრდობის უკმაყოფილება.

ქართველი ხალხის ნაციონალური ჩაგვრის გაძლიერებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების უგულებელყოფის ნათელ სურათს იძლევა თვითმპყრობელური რუსეთის განათლების მინისტრის — გლაზოვის მიერ იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი 1905 წელს წარდგენილი „მოხსენებითი ბარათი“, რომელშიაც კავკასიის სკოლების მდგომარეობის შესახებ ვკითხულობთ:

„მოსწავლეთა მშობლიური ენა — ე. წ. „ნატურალური მეთოდის“ შემოღებით თანდათანობით განდევნილ იქნა. ასე რომ სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშით 1903 წ. ოლქის 2086 დაწყებით სკოლიდან მშობლიური ენა დატოვებულია, მხოლოდ 150 სკოლაში რუსული ენის შესწავლის დასახმარებლად“[1].

მეფის თვითმპყრობელობამ ბურჟუაზიასთან კავშირში შესძლო რუსეთის პირველი რევოლუციის ჩახშობა. 1907 წლიდან დაიწყო შავბნელი რეაქციის ეპოქა.

„რუსეთის ცარიზმი რეაქციის წლებში გაძლიერებით ატარებს კავკასიის კოლონიზაციას, აღვივებს შუღლს ეროვნებათა შორის და აძლიერებს ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური კულტურების დევნას. თავის რეაქციულ პოლიტიკაში ცარიზმი სავსებით ეყრდნობოდა ქართველ თავადაზნაურებს, თურქ ბეგებს და სომეხ ბურჟუაზიას“[2].

ქართული ენა, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი თითქმის სრულიად აღარ არსებობდა საქართველოს უმრავლეს სკოლებში. არასავალდებულო საგნად 1908 წ. ქართული ენა ითვლებოდა: ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, თბილისის 1, 2, 3 და 4 გიმნაზიებში, გორის, თბილისის და ხონის პროგიმნაზიებში; ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1907—1908 წ. წ. არასავალდებულო საგნად ითვლებოდა: ახალი ენებიდან ერთერთი (გერმანული ან ფრანგული), ქართული ენა, გიმნასტიკა და ცეკვა, რომელ-

---

[1] Из архивных материалов Лопина, дело № 205268, ч. 1, лист 296. იხ. Мединский—„История русской педагогики“ изд. 2-е, 1938 г., стр. 359.

[2] ლ. პ. ბერია—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 127, 1939 წ. ქართ. გამოცემა.

თა შესწავლისათვის (გარდა გიმნასტიკისა) მოსწავლეები წლიურად გარკვეულ გადასახადს (6—18 მან.) იხდიდნენ. 2253 ქართველი მოსწავლე ქალიდან, რომლებიც საქართველოს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ირიცხებოდნენ (1908 წ.), ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, მხოლოდ 1521 (67%) ქართველი და 65 სხვა ნაციის ქალები სწავლობდნენ. ქართული ენა არასავალდებულო წესით ისწავლებოდა: ბათუმის, გორის, ქუთაისის, ფოთის, თბილისის 1, მე-2, მე-4 და მე-5 ქალთა გიმნაზიებში, ქუთაისის, თბილისის და თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლებში და სოხუმის პროგიმნაზიაში; თბილისის 1 და 2 ქალთა გიმნაზიაში არასავალდებულო საგნად ისწავლებოდა აგრეთვე სომხური ენა, სოხუმის პროგიმნაზიაში აფხაზური ენა, ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, თელავის და სხვა სასწავლებლებში სიმღერა, ხატვა-ხაზვა, ცეკვა და სხვ.[1]

როგორც ვხედავთ, მშობლიური ენა (რეაქციის ხანაში) საქართველოს სკოლებში არა თუ რომელიმე უცხო (კლასიკური ან ახალი) ენის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერთა (სომეხი, ოსი, თათარი და სხვ.) ენების თანასწორი უფლებითაც კი ვერ სარგებლობდა.

დედაენის დევნა — შევიწროება, რუსიფიკაცია და ობსკურანტიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა იქამდე მივიდა, რომ კავკასიის მეფის ნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი 1907 წელს „კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის შესახებ“ მეფისადმი წარდგენილ მოხსენებაში წერდა: „ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლა არ იძლევა არც საერთო განვითარებას, არც რუსული ენის ხეირიან ცოდნას, არც წერა-კითხვის ცოდნას დედა-ენაზე. ამიტომ მოსახლეობა მას უსარგებლოდ და საზიანოდაც კი სთვლის, ვინაიდან ბავშვებს შინაური სამუშაოსაგან აშორებს და ამიტომ ისინი სოფლის მეურნეობის გაძღოლას არ ეჩვევიანო“[2].

---

[1] „Отчет о состоянии учебных зав. Кавк. уч. округа за 1908 г.“, Стр. 28—29, 89—94, 61—62.

[2] ვორონცოვ-დაშკოვი—„მოხსენება კავკასიის მხარის მართვა—გამგეობის შესახებ“, გვ. 104, 1907 წ. სპეტერბურგი.

კავკასიის მეფის ნაცვლის ამ მოხსენებაში ნათლად მოსჩანს არა მარტო ქართული ენისა და კულტურის დევნა ჩვენს სინამდვილეში, არამედ გამარუსებელი სკოლის როლისა და ავტორიტეტის დაცემა მოსახლეობის თვალში.

ხალხის ეროვნულ ჩაგვრაში დახელოვნებული რუსი მოხელეები, ქართველობას და ქართულ ენას აბუჩად იგდებდნენ. რეაქციის დროებითი გამარჯვებით გათავხედებულმა ქუთაისის გიმნაზიის „მასწავლებელმა" — უსტინოვიჩმა, ქართულად ლაპარაკის გაგონებაზე მოსწავლეს თავხედურად უბრძანა: „პირუტყვის ენაზე ნუ ლაპარაკობო".

უსტინოვიჩის აღმაშფოთებელი საქციელით „შეურაცხყოფილი მშობელი" 1910 წ. 28 თებერვალს გაზ. „დროებაში" წერდა: „როგორ არ იცის მაგ საბრალომ, რუსეთისა და მისი მომავლინებლის თავის მომჭრელმა შვილმა, რომ სამშობლო ენა დედის ძუძუზე უტკბესია, და ასეთ სიწმინდის შებილწვას საკანში ჩაგდებული მოქალაქეც ვერ მოითმენსო"...[1].

უსტინოვიჩის საქციელმა, მკაცრი პროტესტი გამოიწვია, როგორც მოწინავე ქართველ საზოგადოებაში (მშრომელ მასებში), ისე რუსეთისა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ინტელიგენციაში, რამაც შესაფერი გამოხატულება ჰპოვა ქართულ, რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში[2].

მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებამ სახალხო განათლების დარგში, სათანადო გავლენა მოახდინა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე, გააძლიერა მათში გამარუსებელი პოლიტიკისადმი შემსრიგებელი განწყობილება, ზოგიერთებს ხელი ააღებინა სამშობლო ენისა და კულტურისათვის ბრძოლაზე, შეიტანა მათში ინდიფერენტიზმი და დაბნეულობა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მუშათა კლასი, რევოლუციური გლეხობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მეფის თვითმპყრობელობის მთელი სისტემისა და რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

---

[1] გაზ. „დროება" № 46, 28 თებერვალი , 1910 წ.
[2] გაზ. „დროება" № 50, 5 მარტი, 1910 წ.

თ ა ვ ი II.

სასკოლო ძველი, მატერიალური ბაზა და მოსწავლეთა შემადგენლობა (1901—1917)

რუსეთის იმპერიაში მეფის მთავრობა სწავლა-განათლების საქმეს სახელმწიფოს ორი დიდი ბიუროკრატიული აპარატის — საერო განათლების სამინისტროსა და „უწმინდესი სინოდის“ საშუალებით მართავდა, რომელთა ქვემდებარე ორგანიზაციებს კავკასიაში წარმოადგენდა „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო“ და „საქართველოს საეგზარხოსო“. ორივე დაწესებულების „ხელმძღვანელობა“ დაინტერესებული იყო ახალგაზრდობაში შთაენერგა „შიში ღვთისა“, „სიყვარული წმინდისა ეკლესიისა“ და „ერთგულება მეფისა და მამულისა“...[1].

1. **დაწყებითი სკოლა.** ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, რუსეთის მსგავსად, კავკასიისა და საქართველოს სასოფლო ადგილებში არსებობდა ე. წ. „პირველდაწყებითი სახალხო სკოლები“ (3 წლიანი კურსით) და საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ამ სკოლებში სწავლების მთელი 3 წლის განმავლობაში ბავშვებს კაჭკაჭებივით წვრთნიდნენ ლოცვებისა და რელიგიური დოგმატების შესწავლაში, ე. წ. „ძველი და ახალი აღთქმის“ გაზეპირებაში, საეკლესიო გალობის და გამოუსადეგარ ხუცურის კითხვაში, ხოლო რაც შეეხება, ცხოვრებაში გამოსადეგ მეცნიერებათა ცოდნას, ბავშვებს მას მეტისმეტად შეზღუდულ ფარგლებში აძლევდნენ.

1901—1902 ს. წ. თბილისის გუბერნიაში სულ 197 დაწყებითი სახალხო სკოლა იყო, ქუთაისის გუბერნიაში კი — 223. სულ ორივე გუბერნიაში 420 დაწყებითი სასწავლებელი არსებობდა, მაშინ, როდესაც სასკოლო ასაკის ბავშვთა 67% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.[2]

1904 წ. 543-ის ნაცვლად, ერთი წლის შემდეგ პირველდაწყე-

---

[1] იხ. „საეკლესიო-სამრევლო სკოლების ». “, რომელიც „უწმინდესი სინოდის“ წარდგენით მეფემ 1884 წ. 13 ივნისს დაამტკიცა.ტ. ს.

[2] ჟურნ. „კვალი“ № 35, 1901 წ.

ბითი სახალხო სკოლების რიცხვი 513-დე შემცირდა, ხოლო 1906 წ. ეს რაოდენობა 491-დე დავიდა. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ 59 სასწავლებელი დახურა[1].

საქალაქო და სასოფლო ერთკლასიანი და ორკლასიანი სკოლების ქსელი საქართველოში 1907—1908 წ. წ. რეაქციის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა. მაგალითად, 1907 წლის პირველი იანვრისათვის აღნიშნული სკოლების რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში უდრიდა 305-ს, თბილისის გუბერნიაში კი — 168-ს. ამრიგად, 491-ის ნაცვლად (1906 წ.) საქართველოს ორივე „სადირექციოში" 1907 წლის იანვრისათვის 473 ერთკლასიანი და ორკლასიანი საქალაქო და სასოფლო სახალხო სკოლა არსებობდა. საქალაქო სასწავლებლის რიცხვი სასოფლო სახალხო სკოლების საერთო რაოდენობის 14% შეადგენდა, სასოფლოსი კი — 86%-ს. ამათში ორკლასიანი სასწავლებელი 29,4% უდრიდა, ერთკლასიანი სკოლებისა კი — 70,6%-ს.

დაწყებითი განათლების საქმისათვის მთავრობა მეტად მცირე სახსრებს იღებდა. დაწყებით სკოლებზე მეტ თანხას ე. ი. მთელი ხარჯის თითქმის 1/4-ს ერობა ხარჯავდა, ამაზე ცოტა ნაკლებს — (დაახლოებით 1/5-ს,) ხაზინა, ხოლო დანარჩენს — ქალაქისა და სოფლის საზოგადოებანი. ამრიგად, პირველდაწყებით განათლებაზე სახელმწიფო ხაზინა მთელი თავისი ხარჯების ყოველ 100 მანეთზე მხოლოდ 40 კაპიკს ხარჯავდა[2]. აქედან ცხადია, თუ როგორი „ყურადღებით" ეექცეოდა მეფის მთავრობა სახალხო განათლების საქმეს.

1901—1903 წ. წ. ეკონომიური კრიზისების გაძლიერებას შედეგად მოჰყვა მშრომელი მასების სიღატაკის ზრდა, ხალხის გაჭირვებისა და აუტანელი მდგომარეობის გაუარესება.

რუსეთ-იაპონიის ყაჩაღური ომის პერიოდში „...სამხედრო ხარჯს უფრო მოემატა, სახალხო განათლებას უფრო მოაკლდა! მას აქეთ გამოიღვიძა უფრო მკვირცხლად რუსეთის პროლეტარიატმა ქალაქებსა და სოფლებში და დღეს ხალხისათვის „ანბანის სწავლებაც" საშიშრად გახდომია გზა-დაბნეულ და ისტორიულად წესაგებულ რუსეთის თვითმპყრობელობას!", — წერდა რ.ს.დ.მ.პ. კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი, რუსეთ-იაპონიის ომთან

---

[1] „Отчет попечителя Кавказского учебного округа за 1899—1906 г.г."

[2] გაზ. „დრო" № 30, გვ. 3, 14 აპრილი, 1907 წ.

დაკავშირებით 1904 წ. თებერვალში გამოცემულ ბოლშევიკურ პროკლამაციაში[1].

1905—1907 წ. წ. 2.187 ათას მცხოვრებზე საქართველოში ძლივს 600 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი მოდიოდა. 1907 წ. კავკასიის კალენდრის ცნობით, საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცი მათი საერთო რაოდენობის 37,8%-ს შეადგენდა, ხოლო ქალი კი დედაკაცთა რაოდენობის 23,6%-ს[2]. საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა უცოდინარობის სიბნელეში იმყოფებოდა. ხალხის უცოდინარობას (შეუგნებლობას) მთავრობა ექსპლოატაციისა და თავისი არსებობის გახანგრძლივების საშუალებად იყენებდა. გაბატონებული კლასები, მემამულეები, ვაჭარ-კაპიტალისტები, „სულიერი მამები" და კულაკები, მხოლოდ თავიანთი შვილების ჩინოვნიკური მომზადებით იყენენ დაინტერესებულნი. მშრომელთა შვილების აღზრდა მხოლოდ წერა-კითხვის ელემენტარული სწავლებით განისაზღვრებოდა, რამდენადაც საკვებით უცოდინარი მუშა კაპიტალისტური წარმოებისათვის გამოუსადეგარი იყო.

მშრომელ ხალხში კულტურისა და განათლების შეტანის მაგიერ, ახალი თაობის სწავლა-განათლებაზე ზრუნვის ნაცვლად, მეფის თვითმპყრობელობა სახელმწიფო სახსრების ყველაზე დიდ ნაწილს სამხედრო — იმპერიალისტურ ომებზე აბანდებდა. „4.670 ათას მანეთის საერთო საერობო ხარჯებიდან, — პოლიციის შესაბამისად იხარჯებოდა 57%, სახალხო განათლებაზე კი მხოლოდ 4 პროცენტი. სკოლების საშუალებით ატარებდნენ რუსიფიკაციის პოლიტიკას. სკოლები ცოტა იყო, ხოლო სწავლა არსებულ სკოლებში უაღრესად დაბალ დონეზე იდგა.

ცარიზმის ასეთი პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა მოსახლეობაში"[3]. ხალხის განათლებაზე მთავრობის უყურადღებობას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ პირველდაწყებითი სწავლის მიღებისათვის ამავე პერიოდში (1900—1901 წ. წ.) ჩვენში წლიურად თითო სულზე გათვალისწინებული იყო 8 კაპიკი, ხოლო სამხედრო

---

[1] კრებული „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ.წ.," პროკლ. № 2, გვ. 8—9. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფონდი № 33, საქმე № 60.

[2] ჟურნ. „განათლება" № 1, გვ. 1—15, 1908 წ.

[3] ლ. პ. ბ ე რ ი ა—ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

ხარჯები — სულზე 3 მან. და 16 კაპიკი[1]. ფაქტია, რომ სახალხო განათლების ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, ძალაუნებურად, ისევ ხალხი იხდიდა, ხოლო მთავრობა სწავლა-აღზრდის საქმეზე სახსრების გაღებისაგან თავს იკავებდა.

ქართველ მოსახლეობაში სწავლის წყურვილი და მოთხოვნილება დიდი იყო, მთავრობის დახმარება კი სავსებით უმნიშვნელო.

სწავლის მხრივ მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1908—1913 წ. წ. საჭირო იყო:

თბილისის გუბერნიაში — 1674 პირველდაწყებითი სახალხო სკოლა;

ქუთაისის	— 926		
ბათუმის ოლქში	— 200	„	„
სოხუმის „	— 130	„	„
	სულ 2930		

ნამდვილად, პირველდაწყებითი სახალხო სკოლების რიცხობრივი ზრდის დინამიკა მოცემულ პერიოდში შემდეგ სურათს იძლევა:

	1908 წ.			1913 წ.
თბილისის გუბერნიაში იყო:	173	პირველდაწყებითი	სკოლა,	321
ქუთაისის „ „	249	„	„	365
ბათუმის ოლქში „	19	„	„	33
სოხუმის „ „	47	„	„	54
სულ 1908 წ.	488	სკოლა,	1913 წ.	773

ამრიგად, 2930 დაწყ. სახალხო სკოლის ნაცვლად, რაც აუცილებელი იყო წერა-კითხვის მცოდნეობის გასავრცელებლად, საქართველოში მთავრობის ოფიციალური ცნობების მიხედვით, ფაქტიურად მხოლოდ 773 პირველდაწყებითი სახალხო სკოლა მოქმედებდა, რაც მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა[2].

დაწყებითი სკოლების მნიშვნელოვან რაოდენობას ჩვენში საეკლესიო სამრევლო სკოლები შეადგენდა. ამ სკოლებს „უწმინდესი სინოდი" და საერთოდ, საეკლესიო უწყება განაგებდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა.

---

[1] გაზ. „დრო" № 30, 14 აპრილი, 1907 წ.

[2] „Кавказский учебный округ за пятилетие 1908—1912 г.г.". стр. 66,

საქართველოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურე-შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი ქართული საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვს მე-20 საუკ. დასაწყისში 34-ით განსაზღვრავდა მაშინ, როდესაც დიდი ქართველი პედაგოგის — იაკ. გოგებაშვილის სიტყვით, მხოლოდ ქართლ-კახეთის ეპარქიაში 1901 წლისათვის მარტო ქართული სამრევლო სკოლების რიცხვი ასამდე აღწევდა[1]. ფაქტიურად საეკლესიო-სამრევლო სკოლები ჩვენში გაცილებით მეტი იყო და მისი ქსელი სისტემატურად ფართოვდებოდა.

აღნიშნული სკოლების შესანახად მთავრობა გაცილებით მეტ თანხებს ხარჯავდა, ვიდრე საერთო სამოქალაქო პირველდაწყებით სასწავლებლებზე. საეკლესიო-სამრევლო სკოლების საშუალებით მეფის მთავრობა „მეფისა და ღვთის ერთგულ მსახურებს“ ამზადებდა.

სულ, ყველა სახისა და უწყების პირველდაწყებითი სკოლების რიცხვი საქართველოში 1914 წ. შეადგენდა 1674-ს, ამ სკოლებში 126431 მოსწავლე სწავლობდა.

საერთო განათლების სამინისტროს სკოლების მიზანს შეადგენდა განემტკიცებინა ხალხში „სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცნებანი“, განევითარებინა ბავშვებში მეფისა და მისი „სამშობლოსადმი მამულიშვილური სიყვაულები“[2].

2. ზოგადგანათლების საშუალო სკოლები. ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში - უმთავრესად თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკების შვილები სწავლობდნენ. თავადაზნაურთა ქალიშვილების განათლებისათვის თბილისში არსებობდა ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტი. საქართველოს ზოგიერთ საქალაქო ცენტრებში (თბილისში, ქუთაისში, თელავში, სიღნაღში და სხვ.) გახსნილი იყო წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლები, ხოლო ამავე წოდების ვაჟებისათვის (თბილისსა და ქუთაისში) ვაჟთა სათავადაზნაურო გიმნაზიები.

სამღვდელოების ქალიშვილების აღზრდას სპეციალური ქალთა ეპარქიალური სკოლები ემსახურებოდა. ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად ქ. თბილისში მოქმედებდა სასულიერო სემინარია, სადაც „პოლიციური მაძებრობა“ და „იეზუიტური რეჟიმი“ იყო გაბატონებული. პრივილეგიური ფენების ახალგაზრდობის სამხედრო მომზადებას ემსახურებოდა კადეტთა კორპუსები (თბილისში

---

[1] იაკ. გოგებაშვილი, „რჩ. ნაწ.,“ ტ. 2, გვ. 340, 1940 წ.

[2] См. „Циркуляр попечителя Кавказского учебного округа“, 1 февраля 1891 г. № 759.

და სხვაგან), ხოლო ვაჟთა მომზადებას — კომერციული სასწავლებლები და სავაჭრო სკოლები.

კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა აგრეთვე სხვადასხვა ტიპის პროფესიული სკოლების (სასოფლო სამეურნეო და სახელოსნო სკოლები, სამასწავლებლო სემინარიებისა და ინსტიტუტების) ქსელი და სხვ.

1900—1901 სასწავლო წლის დასაწყისში კავკასიის სასწავლო ოლქში ოფიციალური ცნობებით არსებული ვაჟთა 13 სასწავლებლიდან საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა 5 გიმნაზია — თბილისის ვაჟთა პირველი (დაარსებული 1830 წ.), მეორე (დაარსებული 1881 წ.), მესამე (დაარსებული 1892 წ.), ქუთაისის (დაარსებული 1850 წ.) და ბათუმის (დაარსებული 1897 წ.) გიმნაზიები, 3494 მოსწავლით[1]. მოსწავლეთა ამ შემადგენლობაში იყო: თავადაზნაურობიდან — 1823, სასულიერო წოდებიდან — 118, ვაჭრებიდან და ე. წ. „საპატიო მოქალაქეებიდან" — 135, ქალაქის სხვა შეძლებულ პირთა ოჯახებიდან — 1102, გლეხობიდან — 207, სხვადასხვა — 109. ეროვნების მიხედვით ზემოაღნიშნულ სკოლებში სწავლობდნენ: რუსი — 947, ქართველი — 1134, სომეხი — 973, დანარჩენი კი — თათარი, ებრაელი და სხვ.[2] ეს ციფრები იმას მოწმობს, რომ აღზრდა მკვეთრად განსაზღვრულ წოდებრივ, პრივილეგიურ, ბურჟუაზიულ-კლასობრივ ხასიათს ატარებდა. ვაჟთა გიმნაზიებში მუშათა და ღარიბ გლეხთა შვილებს თითქმის სრულებით არ იღებდნენ.

1908 წელს კავკასიის ვაჟთა 16 გიმნაზიიდან და პროგიმნაზიიდან საქართველოში არსებობდა: ქ. თბილისში — ვაჟთა 4 გიმნაზია და 1 ექვსკლასიანი პროგიმნაზია, ბათუმში — 1 გიმნაზია, ქუთაისში — 1, ფოთში — 1, გორში — 1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია, ხონში — 1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია. ვაჟთა საშუალო სკოლების გახსნას მოითხოვდნენ აგრეთვე ახალციხის, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის და სამტრედიის მცხოვრებნი, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნას მთავრობა არ აკმაყოფილებდა.[3]

ზემოაღნიშნულ ვაჟთა სასწავლებლებში 1908 წლის იანვრის ცნობებით 4440 მოსწავლე სწავლობდა. აღნიშნულ მოსწავლეთა-

---

[1] „Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1901 год." Тифлис, 1902 г. стр 6—7, 54.

[2] „Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1901 год," Тифлис, 1902; стр. 60—61.

[3] „Отчет о состоянии учебных заведений Кавказ. уч. округа за 1908 г.", стр. 1—2.

გან პანსიონებისა და საერთო საცხოვრებლების გარეშე დარჩენილი იყო 3854 კაცი.

ეროვნების მიხედვით 1909 წლის იანვრისათვის ვაჟთა სკოლებში სწავლობდა: რუსი — 946, ქართველი — 1627, სომეხი — 1262. თათარი — 215, მთიელი — 44, სხვადასხვა — 324, სულ 4418 მოსწავლე.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით:

ტახტის აზნაურთა შვილი	689
პირადი აზნაურებისა და ჩინოვნიკთა შვილი	1023
სასულიერო წოდების ოჯახიდან	313
„საპატიო მოქალაქეთა“ და ვაჭართა შვილი	875
მეშჩანებისა და ამქრების წრიდან	990
კაზაკებიდან	314
გლეხობიდან	165
უცხოელთა	54
სხვადასხვა	45

1901 წლისათვის საქართველოში არსებობდა ქალთა 9 სასწავლებელი, მათ შორის: თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია (დაარსებული 1870 წ.), მეორე გიმნაზია (დაარსებული 1872 წ.), მესამე გიმნაზია (დაარსებული 1877 წ.), ბათუმის ქალთა გიმნაზია (დაარსებული 1900 წ.), თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1846 წ.), ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი (დაარსებული 1847 წ.), გორის (დაარსებული 1881 წ.) და სოხუმის (დაარსებული 1870 წ.) ქალთა პროგიმნაზიები და თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (დაარსებული 1865 წ.)[1].

აღნიშნულ გიმნაზიებში სასწ. წლის ბოლოს ოფიციალური ცნობებით ირიცხებოდა სულ 4.429 მოსწავლე, მათ შორის: თავადაზნაურობიდან 237 2 მოსწავლე, სასულიერო წოდებიდან — 174, ვაჭართა და ჩინოვნიკთა ოჯახებიდან — 427, ქალაქის სხვა შეძლებული ფენებიდან — 1179, გლეხობიდან — 148, სხვადასხვა — 129. ეროვნებათა მიხედვით სწავლობდა: რუსი — 1494, ქართველი — 1307, სომეხი — 1150 და სხვა — 478. ამრიგად, ქალთა გიმნაზიებშიაც მთლიანად და საკმაოდ შეძლებული ფენებიდან გამოსულ ახალგაზრდობას იღებდნენ. ამათგან, ქართველთა შვილების „აღზრდას“ ნაკლები ყურადღება ექცეოდა[2].

---

[1] „Отчет о состоянии учебного зав Кавказск. учеб. округа за 1901 г.“, стр. 166—167.

[2] „Отчет о состоянии учебн. зав. Кавказ. учебного округа за 1901 г.“ зз. 214—215.

1908—1909 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ქალთა გიმნაზია — 8, პროგიმნაზია — 1, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი გიმნაზიის კურსით — 2, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით — 1.

1900—1901 ს. წ. საქართველოში სასწ. ოლქის ოფიციალური ანგარიშების მიხედვით არსებობდა 2 რეალური სასწავლებელი — თბილისის (დაარსებული 1865 წ.) და ქუთაისის (დაარსებული 1897 წ.) რეალური გიმნაზია, ამათგან პირველი 16 და მეორე — 12 კლასით. ამ გიმნაზიებში ირიცხებოდა 1207 მოსწავლე, მათგან: რუსი — 347, ქართველი — 448, სომეხი — 272 და სხვა — 140. მათ შორის: თავადაზნაურობიდან — 532, ვაჭართა და „საპატიო მოქალაქეთა" ოჯახებიდან — 295, სხვადასხვა — 380. მუშათა და გლეხთა შვილები სტატისტიკურ მასალებში თითქმის არც კია მოხსენებული, რადგან მათ სწავლა-განათლებაზე არავინ ზრუნავდა.[1]

ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით კავკასიის სასწავლო ოლქის ქალთა სასწავლებლებში სწავლობდა:

რუსი — 54%, ქართველი — 13,2% სომეხი — 21,4%, თათარი — 0,5%, მთიელთა შვილები — 1,2%, სხვადასხვა — 9,7%, სოციალური მდგომარეობის მიხედვით: ტახტის აზნაურებიდან—9,75%, პირადი აზნაურებისა და ჩინოვნიკების ოჯახებიდან—23,02%, სასულიერო წოდებიდან — 3,11%, „საპატიო მოქალაქეთა" და ვაჭართა ოჯახებიდან — 12,53%, მეშჩანებიდან და ამქრებიდან — 32,53%, კაზაკებიდან — 4,52%, გლეხობიდან — 11,34%, უცხოელთა — 0,8%, სხვადასხვა — 2,3%. ფაქტები ადასტურებენ, რომ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში „დაბალი ფენების" და „დაბალ წოდებათა" შვილებს კარი დახშული ჰქონდათ. უმთავრესად საშუალო სასწავლებლებში — ჩინოვნიკების, თავადაზნაურთა, ვაჭართა და სასულიერო პირთა შვილებს ღებულნენ.

კავკასიის სასწავლო ოლქში შემავალ 45 სამოქალაქო ექვსკლასიანი სკოლიდან საქართველოში 1901 წელს იყო 17 სკოლა, მათ შორის თბილისის გუბერნიაში: კავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებული თბილისის სამოქალაქო 6-კლასიანი სასწავლებელი (დაარსებული 1872 წ.), თბილისის პირველი (დაარსებული 1884 წ.), თბილისის მეორე (დაარსებ. 1891 წ.), თბი-

---

[1] იქვე, გვ. 109—111 138, 145.

ლისის მესამე (დაარსებული 1900 წ.), გორის (1880 წ.), თელავის (1878 წ.), სიღნაღის (1876 წ.), ახალციხის (1875 წ.), ახალქალაქის (1889 წ.) და ზაქათალის (1886) სამოქალაქო ექვსკლასიანი სკოლები. ქუთაისის გუბერნიაში: ქუთაისის (დაარსებული 1882 წ.), ოზურგეთის (1874 წ.), სამეგრელოს (1879 წ.), ბათუმის (1881 წ.) ზუგდიდის (1893 წ.), ხონის (1899 წ.) და სოხუმის (1900 წ.) — სამოქალაქო ექვსკლასიანი სკოლები.[1]

ზემოაღნიშნულ სკოლებში სასწავლო წლის დასაწყისში სულ 5697 მოსწავლე სწავლობდა, მაგრამ წლის ბოლომდე სკოლებს ჩამოცილდა აკადემიური ჩამორჩენილობის გამო — 72 მოსწავლე, ცუდი ყოფაქცევის მიზეზით — 12, სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო — 142, „თავისი განცხადებით" — 839, ავადმყოფობითა და სხვა მიზეზით — 42, სულ 1107 მოსწავლე, ე. ი. დაახლოებით მთელი შემადგენლობის 1/5, რაც სწავლების უვარგის სისტემაზე და სკოლებში არსებულ აუტანელ რეჟიმზე მიგვითითებს.[2]

საშუალო სკოლის რიცხობრივი მაჩვენებლების განხილვა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

1905 წლის რევოლუციის გავლენით 1905—1906 წლებში საშუალო სკოლათა რაოდენობა კავკასიაში 5 ერთეულით გაიზარდა (39-ის ნაცვლად გახდა 44), სამაგიეროდ რეაქციის აღმავლობის პერიოდში ამ მიმართულებით არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით კავკასიაში საშუალო სკოლების ზრდის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:

1907	წელს	იყო	46	საშუალო სასწავლებელი.
1908	„	„	46	„
1909	„	„	46	„
1910	„	„	51	„
1911	„	„	53	„
1912	„	„	54	„

როგორც ვხედავთ, 1907—1908 წლებში კავკასიის საშუალო სკოლათა რაოდენობა უცვლელი დარჩა, ხოლო რევოლუციური მოძრაობის ხელახალი აღმავლობის პერიოდში მათი რიცხვი

---

[1] „Отчет о сост. уч. зав. Кавказ. учеб. округа за 1901 год", стр. 294—295, 138, 145.

[2] Там-же, стр. 348—351, 352—359.

მხოლოდ სამი ერთეულით გაიზარდა[1]. კავკასიის სკოლების ზემოაღნიშნული რიცხვიდან საქართველოში პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების დროს მხოლოდ 28 საშუალო სკოლა არსებობდა, რომელთა უმრავლესობა სრულიად მოუწყობელი იყო. იგი ვერ უპასუხებდა პედაგოგიკისა და ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნებს. მთელს ამიერ-კავკასიაში 13 საშუალო სკოლის საკუთარი შენობიდან ჰიგიენის მხრივ გამოსადეგად ცნობილი იყო. მხოლოდ 9 სასკოლო შენობა, აქედან საქართველოში: თბილისის ვაჟთა მე-2, ბათუმის, ქუთაისის და ფოთის გიმნაზიები და თბილისის პროგიმნაზიის შენობა. ქალთა 12 სასწავლებლიდან სანიტჰიგიენურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა მხოლოდ თბილისის I, II, III და ბათუმის ქალთა გიმნაზიის შენობები. ქალთა სკოლების უმრავლესობა დაქირავებულ ბინებში იყო მოთავსებული[2].

სკოლის ხარჯების მთავარი ტვირთის ზიდვა მოსწავლეებს უხდებოდათ. ასე, მაგალითად, 1901 წ. საქართველოს ვაჟთა 5 გიმნაზიის შენახვაზე (პანსიონების ხარჯების გამოკლებით) 526337 მანეთი დაიხარჯა. ამ ხარჯებში შედიოდა 216707 მანეთი, რაც მოსწავლეებისაგან სწავლის ქირის სახით იყო აკრეფილი[3].

საქართველოს ქალთა 9 სასწავლებლის (გიმნაზიების და პროგიმნაზიების) შესანახი ხარჯებიდან 1901 წელს მთავრობის სუფსიდია (ოფიციალური მასალების მიხედვით) 24600 მანეთს უდრიდა, სწავლის ქირის შემოსავალი 241.031 მანეთს, ხოლო ქალაქის საზოგადოებისა და სხვა წყაროებისაგან შემოწირული თანხები — 7119 მანეთს. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა სკოლებში, სადაც სკოლის შენახვის მთავარი ხარჯები „შემოწირულების" სახით მშრომელ მოსახლეობას, ქალაქის და სოფლის საზოგადოებებს აწვებოდა[4].

შავი რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჩვენში, სკოლების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1907 წ. 3 ივნისს 1-ლი სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ, თვითმპყრობელობა შეუდგა რევოლუციის პერიოდში შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დარბევას, საშუალო სასწავლებელთა უფროსი კლასების დახურვას, სახალხო გა-

---

[1] „Кавказский уч. округ за пятилетие 1908—1912 г.г.". ст. 130—131.

[2] „Отчет о сост. уч. зав. Кавказ. уч. окр. за 1908 г.", стр. 1—7.

[3] „Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1901 год." Тифлис, 1902; стр. 21—21.

[4] там-же, стр. 174—175.

ნათლების ბიუჯეტის შემცირებას და სკოლებში შავრაზმული რეჟიმის განმტკიცებას.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდში მშრომელთა ასეთი მდგომარეობის შესახებ ამხანაგი **სტალინი** გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ წერდა:

„... ეკონომიური რეპრესიები არა თუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით — კიდევ უფრო ძლიერდება. „საჩუქრები“ და ბინის ფული უქმდება. სამცვლიანი მუშაობის (8 საათიანი მუშაობის) ადგილს იჭერს ორცვლიანი მუშაობა (12-საათიანი მუშაობა), ზესაგანაკვეთო სანარდო მუშაობა კი სისტემაში შემოდის. **სამედიცინო დახმარება და ხარჯები სკოლისათვის მინიმუმამდე დაჰყავთ** (პოლიციისათვის კი ნავთის მრეწველები 600 ათას მანეთზე მეტს ხარჯავენ ყოველწლიურად!). სასადილოები და სახალხო სახლები უკვე ჩამორთმეულია. სარეწაო-საქარხნო კომისიები (და პროფკავშირები სრულიად უგულებელყოფილია, შეგნებული ამხანაგების დათხოვნები ძველებურად მიდის. დაჯარიმება და ცემატყეპა განახლდა“.[1]

ამხანაგ **სტალინის** მიერ მშრომელთა აუტანელი მდგომარეობისა და სკოლის ცხოვრების დეგრადაციის ეს დახასიათება ნათლად ასახავს მეფის თვითმპყრობელობის ბარბაროსული პოლიტიკის გაძლიერებას და იმ ელემენტარულ უფლებათა უკანწაღებას, რომელიც მუშათა კლასის მიერ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ბრძოლით იყო მოპოვებული. ამგვარი მდგომარეობის შედეგად, სკოლების ქსელი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ხალხის გაზრდილ მოთხოვნებს.

1908 წელს კავკასიაში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაზე მოდიოდა სასკოლო ასაკის 120 ათასი ქართველი ბავშვი. აქედან სწავლაში ჩაბმული იყო სულ 44.690 მოსწავლე. ამრიგად, სასკოლო ასაკის ქართველ ბავშვთა თითქმის ⅔ მოწყვეტილი იყო სკოლებს და არ ჰქონდა სწავლის მიღების საშუალება[2].

---

[1] ი. სტალინი—„წერილები კავკასიიდან,“ გახ. „სოციალდემოკრატი“ № 11, 1910 წელი. ციტირებულია ამხ. ლ. პ. ბერიას წიგნიდან: „ა/კ ბოლშ. ორგ. ისტ. საკითხისათვის,“ გვ. 128—129, 1939 წ. გამოცემა. ხაზგასმა ჩვენია.ტ.ს.

[2] Н. Ф. Рудольф—„Обзор деятельности Кавказ. учеб. окр. 1908—1912 г.г.,“ Тифлис, 1914 г. стр. 8—9.

1909 წ. 1 იანვრისათვის, არაზუსტი ცნობებით, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ 1812 ათას ქართველზე მოდიოდა 144960 სასკ. ასაკის ბავშვი, რომელთაგან სკოლებში, უდავოდ გადიდებული ცნობით, 46.298 მოსწავლე, ე. ი. სასკოლო ასაკის ბავშვთა ⅓-ზე ნაკლები სწავლობდა[1].

ჩრდილოეთ კავკასიაში სასკოლო ასაკის 640 ქართველი ბავშვიდან, სკოლებში მხოლოდ 509 ბავშვი იყო ჩაბმული[2].

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მეფის მთავრობა მრავალგვარი საშუალებით ცდილობდა მის წინააღმდეგ მიმართული ხალხის მრისხანების შენელებას. მაგალითად, 1906 წლის 9 ივლისის მანიფესტში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე მუხანათური სიცრუით აღსავსე სიტყვებით წერდა: „დარგთა შინა ცხოვრებისა ხალხისა წინად განზრახულ იყვნენ ჩვენ მიერ ცვლილებანი ფრიადნი, რომელთა შორის უპირველესი ადგილი ეჭირა უმთავრესს ზრუნვასა ჩვენსა, განათლებისა ნათელით და მიწათმოქმედების პირობათა შემსუბუქებით განგვებნია ბნელეთი ხალხისაო“...[3] მაგრამ, ყოველივე ეს მოასწავებდა ორთავიანი არწივის კონსპირაციულ მზადებას რევოლუციური მოძრაობის საწინააღმდეგოდ და ხალხის ხელახალი ხოცვა — ჟლეტის მოსაწყობად.

რევოლუციის დაცემისა და რეაქციის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდში მთავრობა „სახელმწიფო სათათბიროში“ სრულიად დაურცხვენლად იხილავდა „სახელმწიფო ბიუჯეტს“, რომელშიაც სახალხო განათლებას უკანასკნელი ადგილი ეჭირა.

მეფის თვითმპყრობელობის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართული ბოლშევიკური გაზეთი „დრო“ წერდა, რომ მთავრობა „...არ წითლდება, თუმცა იმავე ბიუჯეტში პოლიციაზე ბევრად მეტი იხარჯება, ვიდრე სახალხო განათლების საქმეზე, ხოლო სატუსაღოებზე ოთხჯერ მეტი, ვიდრე მიწათმოქმედების საქმეზე“.[4]

ამრიგად, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სისტემატურად ამხელდნენ „ხალხის გონების დაბნელების სამინის-

---

[1] Н. Ф. Рудольф—„Обзор деятельности Кавказ. учеб. окр. 1908—1912 г.г.,“ Тифлис, 1914 г. стр. 14.

[2] Там-же, стр. 14.

[3] ბოლშევიკური გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 17, 11 ივლისი, 1906 წ.

[4] ბოლშევიკური გაზ. „დრო“ № 15, 1907 წ. 28 მარტის მოწინავე სტატიიდან.

ტროს“ ბარბაროსულ პოლიტიკას, განათლებისა და მეურნეობის ხარჯების შემცირების ბაზაზე „სატუსაღოებისა“ და „საპოლიციო“ ხარჯების ზრდის „პოლიტიკას“, რომელიც მშრომელ მასებს ფიზიკური და გონებრივი გადაგვარებისაკენ მიაქანებდა. მეფის მთავრობის ამგვარი პოლიტიკის შედეგად, მსოფლიოს დიდ-სახელმწიფოთა შორის თვითმპყრობელური რუსეთი განათლების მხრივ თითქმის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა:

„ევროპაში რუსეთის გარდა აღარ არის დარჩენილი ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხის მასები ამდენად იყვნენ გაძარცული განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ“, როგორიც რუსეთია, — ამბობდა ლენინი.[1]

მთავრობის ყველა უწყების მიერ გადადებული 76 1/2 მილიონი მანეთიდან, რეაქციის პერიოდში თანხების დიდი ნაწილი ისეთ სკოლებზე იხარჯებოდა, რომლებიც „მდაბიო ხალხის“ შვილებისათვის სრულიად მიუწვდომელი იყო, მაგალითად, აღნიშნული თანხიდან 20 მილიონ მანეთამდე სამხედრო-საზღვაო, საგარეო უწყებათა სკოლებს და კადეტთა კორპუსებს ხმარდებოდა, ხოლო ის თანხა, რომელიც განათლების სამინისტროს კომპეტენციაში რჩებოდა, უმეტესი ნაწილი უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებზე იყო გადადებული, სადაც ხელმოკლე ხალხის შვილებს კარი დახშული ჰქონდა.[2] სახალხო განათლების ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა აგრეთვე მთავრობის იმ მოხელეებს, რომლებიც სასწავლებელთა „მეთვალყურეებად“ ითვლებოდნენ და, რომელთა მთავარ დანიშნულებას სკოლებზე „მტკიცე კონტროლის“ გაწევა შეადგენდა.

კავკასიის სასწავლო ოლქის ყველა ტიპის სკოლების შენახვაზე დაიხარჯა:[3]

1907 წ. 9.630.177 მანეთი
1908 წ. 9.312.158—19
1909 წ. 10.241.402—12
1910 წ. 11. 065611—46

პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო განათლების საქმეზე გათვალისწინებული

---

[1] კრებული—ლენინი სახალხო განათლების შესახებ, გვ. 100, 1936 წ. ქართული გამოცემა. ხაზგასმა ლ ე ნ ი ნ ი ს ა ა.

[2] ბოლშევიკური გაზ. „დრო“ № 30, 1907 წ., 14 აპრილი.

[3] „Кавказский уч. округ за пятилетие 1908—1912 г.г.“. стр. 184.

ხარჯები კიდევ უფრო შემცირდა. მთელი საერობო ხარჯებიდან სწავლა-განათლების საქმეზე საერთო თანხის მხოლოდ 6% იყო გამოყოფილი, საშუალოდ თითო მცხოვრებზე განათლების ხაზით მთელი სასკოლო ბიუჯეტიდან გადადებული თანხების რაოდენობა 80 კაპიკით განისაზღვრებოდა, ხოლო დაწყებითი განათლების ხაზით წელიწადში ერთ მცხოვრებზე მხოლოდ 7 კაპ.. იყო გათვალისწინებული.

საინტერესოა, რომ სასულიერო უწყება („უწმინდესი სინოდის" სახით) სახელმწიფო სახსრებს (რაც ხალხის შრომით იყო მოგროვებული) იყენებდა არა სწავლა-განათლების შეტანისათვის ხალხში, არამედ „... ვიწრო სარწმუნოებრივი და პოლიციური აღზრდისათვის".[1] აქედან ცხადია, განათლების სამინისტროს ეს განსაზღვრული თანხებიც თავის, პირდაპირი დანიშნულების მიხედვით რომ დაეხარჯა, მაშინაც კი განათლების საქმეზე მთელი შემოსავლის თვითეული ას მანეთიდან მხოლოდ 2 მან. და 67 კაპ. ე. ი. 7-ჯერ ნაკლები დაიხარჯებოდა, ვიდრე სამხედრო ავანტურებსა და ყაჩაღურ გეგმებზე იყო გათვალისწინებული[2].

სახალხო განათლების საქმისადმი ამგვარი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად სკოლების რიცხვი მოსახლეობის მოთხოვნათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა.

ამრიგად, 1913 წლისათვის სახელმწიფოს გამგებლობაში საქართველოში იყო ვაჟთა და ქალთა 23 გიმნაზია, 4 პროგიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 2 სამასწავლებლო სემინარია, 1 სამასწავლებლო ინსტიტუტი, 25 სამოქალაქო და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი და რამდენიმე პროფესიული სკოლა.

1908—1912 წლების განმავლობაში „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს" საქართველოში არც ერთი საშუალო სკოლა არ დაუარსებია, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ინიციატივით, ადგილობრივი სახსრებით, გახსნილ იქნა: თბილისის მე-6 და გორის ვაჟთა გიმნაზიები, ახალციხის, თელავის, ხონის, ბათუმის, (ქერძო), თბილისის (ლევანდოვსკისა და ლისიციანის) და ხაშურის (ქერძო) პროგიმნაზიები[3].

---

[1]. ბოლშევიკური გაზ. „დრო" № 30, 14 აპრილი, 1907 წ.

[2] იქვე.

[3] Н. Ф. Рудольф. Обзор деятельности Кавказ. уч. округа 1908—1912 г.г., Тифлис, 1914 г. стр. 71—72.

საახალგაზრდო სკოლების რიცხოვრივ მაჩვენებლებს საქართველოში (1913 წელს) იძლევა შემდეგი ს ტ ე ბ ა[1]

1913—1914 სას. წ. საქართველოში არსებული საახალგაზრდო სკოლების ძალი

№№ რიგზე	გუბერნიების და ოლქების დასახელება	მცხ. რაოდენობა	გიმნაზია		პროგიმნაზია		სკ ო ლ ი ს ტ ი პ ე ბ ი								სხვადასხვა ტიპის საახალგაზრდო სასწავლებლები
			ვაჟთა	ქალთა	ვაჟთა	ქალთა	რეალ. სასწ.	სამასწ. სემინ.	სამასწ. ინსტ.	საქალ. სასწ.	უმ. დაწყ. სასწ.	ქალთა პროგიმ. სას.	მარიამის სახ. სასწ.	დაბ. საახალგაზ. სკოლა	
1	თბილისის გუბერნია	1356950	7	8	2	1	1	1	1	10	—	2	2	1	2
2	ქუთაისის გუბერნია	1002761	2	3	1	—	1	1	—	11	2	1	1	1	1
3	ბათუმის ოლქი .	163495	1	1	—	—	—	—	—	2	—	—	1	1	1
4	სოხუმის ოლქი .	190811	—	1	—	—	1	—	—	2	—	1	—	—	—
	ს უ ლ	2714017	10	13	3	1	3	2	1	25	2	4	4	2	4

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: I. გარდა ზემოთნაჩვენები სასწავლებლებისა, 1913 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში არსებობდა: ქუთაისის გუბერნიაში—367 დაწყებითი სკოლა, თბილისის გუბერნიაში—321, სოხუმის ოლქში—54, ბათუმის ოლქში—31. სულ—773 სახალხო სკოლა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა II. ამავე პერიოდისათვის საქართველოში იყო კერძო სკოლები: ქუთაისის გუბერნიაში—25, თბილისის გუბერნიაში—31, სოხუმის ოლქში—5, ხოლო ბათუმის ოლქში კი—6. სულ—67 კერძო სკოლა. კერძო სკოლების ამ რიცხვში არ არის ნაგულისხმევი თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები ტ. ს.

---

[1] Н. Ф. Рудольф, Обзор деятельности Кавказского учебного округа. 1903°—1912 г.г. Тифлис, 1914 г. стр. 186—187.

თ ა ვ ი III.

სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები

1. პირველდაწყებითი სასწავლებლები

სწავლების შინაარსი და მეთოდები მთლიანად და სავსებით გაბატონებულ კლასთა (და წოდებათა) ინტერესებს შეესაბამებოდა.

პირველდაწყებით ერთკლასიან სკოლაში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავდა ლოცვებს და მოთხრობებს „იესო ქრისტეს ცხოვრების“ შესახებ, რუსულ წერა-კითხვას და სავარჯიშო საუბარს, წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე (მღვდელი ასწავლიდა) და ანგარიშს ოთხი მოქმედების ფარგლებში. ორკლასიან სახალხო სკოლებში აღნიშნულ საგნებს ემატებოდა: საღვთო ისტორია (გაძლიერებით ჯხალი აღთქმა და მოკლე კატეხიზმო), რუსული გრამატიკის პრაქტიკული გაცნობა, წილადებზე ზეპირი ვარჯიში, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია, ხატვა-ხაზვა და გეომეტრიული ცნობები.

1898 წლის სასწავლო გეგმით სახალხო სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სხვა რეალური საგნების შესწავლა უგულებელყოფილი იყო. ქართული ენა მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა, მაშინ როდესაც ერთკლასიან სკოლაში ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა. რუსულ ენას სახალხო სკოლაში თითქმის 3-ჯერ მეტი დრო (24 საათი) ჰქონდა დათმობილი, ვიდრე ქართულ ენას (9 საათი), ხოლო ორკლასიან სკოლაში რუსული ენისათვის განკუთვნილი კვირეული საათების ჯამი 2—2½-ჯერ აღემატებოდა (10 საათი) ქართული ენისათვის დათმობილი კვირეული საათების (4 საათი) რაოდენობას.

ქვემოდ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა ყოველგვარი პრინციპული ცვლილებების გარეშე იყო გამოყენებული რევოლუციამდელი პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახალხო სკოლებში.[1] სახალხო სკოლები თავისი შინაარსით მოწყვეტილი იყო პრაქტიკას.

---

[1] сборник постановлений и распоряжений, относящихся к начальным училищам Кавказского учебного округа, сост. Ф. Смирнов, Тбилиси, ст. 256—270, 1916.

ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში საქართველოში მოქმედი დაწყებითი სახალხო სკოლები შემდეგი სახის სასწავლო გეგმით მუშაობდნენ:

№№ რიგ.	სასწავლო დისციპლინები	კვირეული საათები			
		1 განყ.	2 განყ.	3 განყ.	სულ გაკ. ჯამი
1	საღვთო სჯული	6	6	6	18
2	რუსული ენა	8	8	8	24
3	არითმეტიკა .	5	5	5	15
4	სუფთა წერა .	2	2	2	6
5	მშობლიური ენა	3	3	3	9
	ცხრილის გარეშე საეკლესიო გალობა	3	3	3	9
	ჯ ა მ ი .	24+3	24+3	24+3	72+9

1905—1906 წ. წ. რევოლუციის შემდეგ დაწყებითი სახალხო სკოლის სასწავლო გეგმაში ზოგიერთი უმნიშვნელო ხასიათის ცვლილება იქნა შეტანილი.

1907 წლის 1 ნოემბრის თარიღით არარუსთა დაწყებითი სკოლების შესახებ დამტკიცებული „წესების“ მიხედვით შედგენილი სასწავლო გეგმა ჩვენში ასეთი სახის იყო:[1]

№№ რიგ.	სასწავლო დისციპლინები	კვირეული საათები			
		I განყ.	II განყ.	III და IV განყ.	სულ
1	საღვთო სჯული	4	4	4	12
2	რუსული ენა (მეტყველება, კითხვა, წერა)	12	12	12	36
3	მშობლიური ენა .	6	6	6	18
4	არითმეტიკა	6	6	6	18
5	სიმღერა	2	2	2	6
	ს უ ლ	30	30	30	90

[1] უ შ. ო ბ ო ლ ა ძ ე, დაწყებითი განათლება საბჭოთა საქართველოში გვ. 25, 1949 წ. თბილისი.

ამრიგად, სახალხო სკოლებში ყველა საგნის სწავლება კვლავ რუსულ ენაზე წარმოებდა და მისი კვირეული საათების ჯამი ორჯერ სჭარბობდა ქართული ენისათვის განკუთვნილი კვირეული საათების რაოდენობას.

პირველი იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში დაწყებით სახალხო სკოლებში ქართულ ენას ისევ უკანასკნელი ადგილი ეჭირა. სამეცადინო ცხრილში საპატიო ადგილი საღვთო სჯულს ეკავა, ხოლო მშობლიური ენა მეორე ხარისხოვან საგნად ითვლებოდა.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო საქართველოს სამრევლო სკოლებში, სადაც „უწმინდესი სინოდის" მიერ 1885 წელს დამტკიცებული გეგმა (შედგენილი საქართველოს ეგზარხოსის მთავარი ეპისკოპოსის — პავლეს მიერ, რომელიც სამრევლო სკოლების 3 წლიან კურსში ქართულ ენაზე სწავლებას გარკვეულ ადგილს უთმობდა) დეკანოზ ვოსტორგოვის რეაქციულმა „პროექტმა" შესცვალა. წინანდელი სასწავლო გეგმით სამრევლო სკოლაში „პირველი გაკვეთილი დანიშნული ჰქონდა... საღვთო სჯულს, მეორე და მესამე — ქართულ ენას, მეოთხე — რუსულ ენას და მეხუთე — არითმეტიკასა და გალობას" (ი. გოგებაშვილი). ამრიგად, ქართული ენა საეკლესიო — სამრევლო სკოლებში ერთ-ერთ მთავარ სავალდებულო საგნად იყო გამოცხადებული. ქართლ-კახეთის საეპარქიო მეთვალყურის — ვოსტორგოვის „ახალი გეგმით", სამრევლო სკოლებში პირველსავე წლიდან ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო შემოღებული (რუსეთის სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოების მიხედვით), ქართული ენა კი რჩებოდა, როგორც ცალკე საგანი. უკანასკნელის სწავლება მიზანშეწონილად მიაჩნდათ მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებელს შეეძლებოდა ამ ენის სწავლება. ვოსტორგოვის „ახალი პროექტი" სრულიად უგულებელყოფდა, როგორც „უწმინდესი სინოდის" მიერ 1885 წ. სამრევლო სკოლებისათვის დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, ისე ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს კომისიის (გოროდცევი, ტატიშვილი და ფერაძე) მიერ შემუშავებულ „პროექტს", რომელიც, როგორც წინათ, ძალაში სტოვებდა სამრევლო სკოლების მხოლოდ ერთ ტიპს, სადაც პირ-

ველ 3 წელს ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იწარმოებდა, ხოლო მე-4 წელს კი, რუსულზე.[1]

შავრაზმელ დეკანოზ ვოსტორგოვის „პროექტი“ მიზნად ისახავდა სამრევლო სკოლებში ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ დანერგვას და ამ გზით სკოლებიდან ქართული ენის განდევნას, ეროვნული შუღლის გაძლიერებას ამიერ-კავკასიის მოძმე ერთა და სხვადასხვა ტომთა შორის.

არა მარტო საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, არამედ სოფლის სახალხო პირველდაწყებით სკოლებშიაც ცუდად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. სასოფლო სკოლები, მასში გამეფებული მოხელური რეჟიმისა და დოგმატური სწავლების გამო, წერა-კითხვის ელემენტარულ ცოდნასაც ვერ აძლევდა ახალგაზრდობას.

დაწყებითი სახალხო სკოლების მუშაობის უნაყოფობას ხელს უწყობდა:

ა) სასოფლო სკოლის კურსის შეზღუდულობა და სიმცირე (3 წლიანი) და სასწავლო წლის (მეცადინეობის დროის) ხანმოკლეობა (ნამდვილი მეცადინეობა იწყებოდა ნოემბრიდან, თავდებოდა აპრილის დამლევს, სწავლა გრძელდებოდა 5 თვეს);

ბ) დედაენისა და დედაენაზე სწავლების შევიწროება;

გ) ქართული წერა-კითხვისა და დედაენის მეორეხარისხოვან საგნად გამოცხადება;

დ) სახალხო სკოლებში რუსულ ენის სწავლების ნაადრევად (1-ლ კლასიდანვე) შემოღება;

ე) სწავლებაში „თარგმნის მეთოდის“ უგულებელყოფა და ე. წ. „ბუნებრივი“ ანუ „ნატურალური მეთოდის“ გაბატონება;

ვ) სკოლებზე მეთოდური დახმარების უქონლობა და სხვ.

სოფლის სახალხო სკოლებში მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობაში ელემენტარული განათლების შეტანისათვის აუცილებელი იყო ამ ხარვეზების გამოსწორება, მაგრამ, თვითმპყრობელობის ბატონობის პირობებში — ეს გადაუწყვეტელ პრობლემას წარმოადგენდა. 1905 წ. რევოლუციური მოძრაობით შეშინებულმა „ნამესტნიკმა“, ახალი სასწავლო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით სკოლის მუშაკებს რუსულ ენაზე დაბეჭდილი

---

[1] კომისიის აზრით, რუსული ენის, როგორც საგნის სწავლება, შესაძლებელი იყო პირველი წლის დასაწყისიდანვე. ტ. ს.

წიგნაკი („Совещание учителей начальных училищ") დაუგზავნა, სადაც (ამასთან ერთად თანდართულ მიმართვაში) მასწავლებლებისაგან მოითხოვდა „თავიანთ წინადადებათა" წამოყენებას. კავკასიის „ნამესტნიკის" მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (რომელსაც ალექსი ჭიჭინაძე თავმჯდომარეობდა) შეიმუშავა დასაწყისი სკოლების „ახალი სამოსწავლო გეგმა", რომელიც მოითხოვდა:

„1) დედა-ენაზე სწავლებას ყველა საგნისას კურსის დასაწყისიდან მის დასრულებამდე;

2) დედა-ენის გაკვეთილს ყოველდღე და ხან ორ გაკვეთილსაც;

3) რუსული ენის სწავლებას, როგორც კერძო საგნისას და ისიც დედა-ენის დახმარებით".[1]

აღნიშნული „სამოსწავლო გეგმა" იანოვსკის სასწავლო გეგმისაგან განსხვავებით, სწავლების 3 წლიანი კურსის ნაცვლად აწესებდა 4 წლიან კურსს, დედაენაზე სწავლებას ყველა საგნისას საჭიროდ სთვლიდა არა პირველ ორ წელს, არამედ სწავლების მთელი დროის განმავლობაში. ი. გოგებაშვილის აზრით, ეს „ახალი გეგმაც" არ იყო დაზღვეული ზოგიერთი შეცდომისაგან, მაგრამ მისი განხორციელებაც შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც ცხადი იყო, რომ თვით იდეალური სამოსწავლო გეგმა ჩვენს სახალხო სკოლას მკვიდრ საფუძველზე ვერ დააყენებდა, თუ განათლების საქმის ხელმძღვანელობა კვლავ დარჩებოდა „სამოსწავლო ბიოროკრატიის ხელში".[2]

2. უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები

კავკასიის სხვა კუთხეების მსგავსად, საქართველოშიაც, ქალაქებისა და დაბების შედარებით უფრო შეძლებულ მცხოვრებთა ბავშვებისათვის (რომელთაც არ აკმაყოფილებდათ პირველდაწყებითი სახალხო და საეკლესიო-სამრევლო სკოლები), არსებობდა უფრო მაღალი ტიპის სკოლები — ე. წ. უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები (4 წლიანი კურსით), სადაც სწავლას იღებდა სასოფლო პირველდაწყებითი სახალხო და საეკლესიო-სამრევლო სკოლების კურსდამთავრებულნი.[3]

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 427.

[2] ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 426.

[3] 1912 წლამდე, უმაღლეს დაწყ. სკოლების ნაცვლად არსებობდა ე. წ. „საქალაქო სკოლები 1872 წლის წესდებით", რომლის პროგრამა დიდათ არ განსხვავდებოდა უმაღლეს დაწყებითი სკოლის პროგრამისაგან. ტ. ს.

უმაღლესდაწყებით სასწავლებლებში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, დედაენა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა და გეომეტრია, მაგრამ პროგრამული მოცულობის მიხედვით, ეს სკოლა ფიზიკა-მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ახალგაზრდობას ელემენტარულ ცოდნასაც ვერ აძლევდა, რაც მოსწავლეებს საშუალო სკოლებში სწავლის გაგრძელების გზებს უხშობდა, უმაღლესდაწყებით სასწავლებლებში არასავალდებულო საგნების სახით ასწავლიდნენ აგრეთვე: ხელგარჯილობას, სოფლის მეურნეობას, უცხოურ ენას და -სხვა, რაც ნაწილობრივ აადვილებდა ამ სასწავლებლის უფროსი კლასების სასწავლო პროგრამების მიახლოებას გიმნაზიის დაბალი კლასების სასწავლო პროგრამასთან და ამრიგად, ერთგვარად, ხელს უწყობდა სკოლის ამ ტიპებს შორის არსებული წინააღმდეგობის ნაწილობრივად დაძლევას, თუმცა არსებულ პირობებში სკოლის საფეხურებს შორის არსებული დაპირისპირების მოსპობა და ერთიანი სასკოლო სისტემის შექმნა შეუძლებელი იყო.

1912 წლის 25 ივნისის („უმაღლეს-დაწყებითი სკოლების") „დებულებით" აღნიშნულ სკოლებში (4 წლიანი კურსით) უნდა შეესწავლათ: საღვთო სჯული, რუსული ენა სლავურით, არითმეტიკა და დაწყებითი ალგებრა, გეომეტრია, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია — მსოფლიო ისტორიის ელემენტებით, ბუნებისმეტყველება და ფიზიკა, ხატვა და ხაზვა, სიმღერა, ფიზიკური ვარჯიში, ხოლო ამ გეგმის ზევით (ქალებისათვის) ხელსაქმე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საღვთო სჯულს. რუსული ენის შესწავლისას არსებითად ყურადღება უნდა გაემახვილებინათ საეკლესიო სლავური ენიდან ძირითად ცნებათა შეთვისებაზე. დაწესებული საგნების ზევით (ოლქის მზრუნველის სათანადო ნებართვით), არასავალდებულო საგნების სახით შეიძლებოდა უცხოური და ადგილობრივი ენების, ხელსაქმის, სოფლის მეურნეობის და სადურგლო მუშაობის სწავლების შემოღებაც. მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით სკოლას უფლება ჰქონდა უმაღლესდაწყებით სასწავლებლებში გაეხსნა დამატებითი კლასი ან კურსი პედაგოგიური, ფოსტა-ტელეგრაფის, საბუხჰალტრო, ელექტროტექნიკური, საზეინკლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დარგების გაცნობა-შესწავლისათვის. სკოლასთან აუცილებელი იყო ბიბლიოთეკის, ფიზიკური კაბინეტისა და სხვათა მოწყობა. მისაღებ მოსწავლეთა ასაკი განისაზღვრებოდა 10—13 წლით, მათვე მოეთხოვებოდათ ცოდნა არანაკლებ პირველი კლასის კურსის ფარგლებ-

ში. სკოლაში სწავლებას საფუძვლად ვიწრო პრაქტიკიზმისა და სარგებლიანობის პრინციპი ედო, რაც საკმაოდ ავიწროებდა აღსაზრდელთა ზოგადი განათლების ჰორიზონტს.

უმაღლესდაწყებით სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს საშუალო სასწავლებლებში (გიმნაზია, რეალური სასწავლებელი) არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება: იმის გამო, რომ პროგრამების განსხვავება და სასწავლო გეგმების წინასწარ განზრახული შეუსაბამობა არ იძლეოდა სკოლის ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე პირდაპირ და დაუბრკოლებლივ გადასვლის საშუალებას[1].

საქართველოს სახალხო სკოლებში და უმაღლესდაწყებით სასწავლებლებში სწავლების მეთოდებად უმთავრესად გამოყენებული იყო მასწავლებლის თხრობა-საუბარი, კითხვა-პასუხი, წიგნზე მუშაობა, სურათების ჩვენება, ილუსტრაცია-დემონსტრაცია, წერითი და გრაფიკული მუშაობა, ბავშვების პრაქტიკული შრომა ან ხელგარჯილობა (განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ) და სხვ. ექსკურსიები, ბუნებაზე დაკვირვება, ცდების ჩატარება და სხვ. მე-20 საუკუნის დამდეგს სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გამოყენებული და იგი, მხოლოდ ცალკეული მოწინავე პედაგოგის მოღვაწეობის ფარგლებით განისაზღვრებოდა. სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში შემოწმებული მეთოდების წინააღმდეგ, სხვა სასწავლო ოლქებისა და გუბერნიებისაგან განსხვავებით, საქართველოს სახალხო სკოლებში (და არა მარტო სახალხო სკოლებში) მთავრობის პოლიტიკანების მიერ შემოღებული იყო ე. წ. „ნატურალური“ ანუ „მუნჯური“ მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა წინაშე ამა თუ იმ მოქმედების,ქცევის სენსაციურ ილუსტრაციას წარმოადგენდა. სკოლის ეს „ნოვატორები“ ამ გზით ცდილობდნენ დედაენის შეეიწროებას და სკოლებიდან მის განდევნას. მიუხედავად ამისა, სახალხო სკოლებში საკმაოდ ფართოდ იყო გამოყენებული ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „დედა-ენა“, „ბუნების

---

[1] საშუალო სკოლებში შესასვლელად. ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა აგრეთვე ისიც, რომ გიმნაზიებში ისწავლებოდა ლათინური და ახალი ენები (გერმანული და ფრანგული), რეალურ სასწავლებლებში მხოლოდ 2 ახალი ენა, ხოლო უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში კი არც ერთი. ამის გამო, სწავლის გაგრძელების მსურველთ საკუთარი ხარჯით უნდა შეესწავლათ ენები, შეეცნოთ პროგრამული ხარვეზი და სპეციალური გამოცდა ჩაებარებინათ საშუალო სკოლებში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად: ტ. ს.

კარი", „კონა", „რუსკოე სლოვო" (1 და 2 ნაწ.) და საღ პედაგოგიურ პრინციპებზე აგებული სხვა სახელმძღვანელოები, რაც ხელს უწყობდა მშობლიური ენის სწავლებასა და მოსწავლეთა მიერ დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლა-დაუფლებას.

3. ზოგადგანათლების საშუალო სკოლები

საშუალო სკოლის სხვადასხვა ტიპი ერთნაირ უფლებას არ იძლეოდა სწავლის გასაგრძელებლად. მხოლოდ ვაჟთა გიმნაზიების კურსდამთავრებულნი იყვნენ პრივილეგიური უფლებით მოსილნი, რათა უგამოცდოდ განეგრძოთ სწავლა უნივერსიტეტში. ფეალური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს მისაღები გამოცდების საკალდებულო ჩაბარებით შეეძლოთ სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ და სამედიცინო ფაკულტეტებზე, სასოფლო სამეურნეო, ტექნიკურ და სხვა სპეციალურ უმაღლეს სკოლებში.

ქალთა გიმნაზიებისა და სხვა ტიპის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთ არ ჰქონდათ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დაუბრკოლებლად სწავლის გაგრძელების უფლება. სკოლის სხვადასხვა ტიპებსა და საფეხურებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და ზემოაღნიშნული სასკოლო ქსელის ორმაგ ხასიათს ნათლად გვიჩვენებს კავკასიის სასწავლო ოლქის (1913 წ.) სახალხო განათლების სისტემის „სქემა".

სკოლის სასწავლო გეგმები მეფის თვითმპყრობელობის ინტერესებს ემსახურებოდა. საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებში შეტანილი დისციპლინები და სასწავლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო მასალა გაბატონებული კლასების ბატონობის განმტკიცების მიზნებს შეესაბამებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქის ზოგადგანათლების საშუალო სკოლები მოქმედებდა შემდეგი სასწავლო გეგმით: (ცხრილი № 1).

ზოგადი ტიპის საშუალო სკოლის სასწავლო გეგმა 1901 წელს

ცხრილი № 1

№№	საგნები	კლასები							ჯამი
		1	2	3	4	5	6	7	
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	14
2	რუსული ენა, სიტყვიერება და ლოგიკა . .	5	5	4	4	4	4	4	30

№№	საგნები	კლასები							ჯამი
		1	2	3	4	5	6	7	
3	ლათინური ენა	—	—	—	4	4	4	4	16
4	I-ახ. უცხო ენა	5	4	3	3	2	2	2	21
5	II-ახ. უცხო ენა	—	—	4	3	4	3	2	16
6	ისტორია	2	2	2	3	3	3	4	19
7	გეოგრაფია მხარეთმცოდნეობით	2	3	3	3	2	2	—	15
8	კოსმოგრაფია	—	—	—	—	—	—	2	2
9	კანონთმცოდნეობა	—	—	—	—	—	2	2	4
10	მათემატიკა	4	4	4	4	4	4	4	28
11	ფიზიკა	—	—	—	—	3	3	3	9
12	ბუნების-მეტყველება	2	2	2	3	2	2	2	9+6
13	ხატვა-ხაზვა	2	3	3	4	2	2	2	8+10
14	სუფთა წერა	2	1	—	—	—	—	—	3
	სულ . . .	26	26	27	33	32	33	33	210
15. ხელგარჯილობა 16. ფიზიკური და სამხედრო ვარჯიში გიმნასტიკით		4	4	4	2	2	2	2	20

ზემოაღნიშნული სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ ზოგადი განათლების საშუალო სკოლებში დიდი ყურადღება ექცეოდა საღვთო სჯულის, ლათინური ენის შესწავლა — გაზეპირებას, მაშინ, როდესაც ადგილობრივ ენაზე მეცნიერებათა შესწავლა, მშობლიური ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის ცოდნა სასტიკად ოდევნებოდა.

ამ გეგმის მიხედვით, მარტო ენების გაზეპირებისათვის განსაზღვრული იყო 86 კვირეული საათი, მაშინ როდესაც ფიზიკას, ისტორიას, გეოგრაფიას და ბუნებისმეტყველებას, სულ 58 კვირეული საათი ჰქონდა დათმობილი[1]. თუ გავითვალისწინებთ იმას,

[1] „Циркуляр по управлению Закавказским учебным округом", № 7, 1901 г., стр. 624.

რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საშუალო სკოლებში ყველა მეცნიერებათა სწავლება დოგმატური მეთოდით, ბავშვებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელსაც თან ერთვოდა „მკვდარი ენების“ უაზრო სიტყვების სისტემატური ზეპირობა, ჩვენთვის ცხადი იქნება ის სიძნელენი, რასაც აწყდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობა.

1901—1902 სასწ. წელს გიმნაზიაში სასწავლო გეგმით საღვთო სჯულის, საეკლესიო ენის, ლათინური და ბერძნული ენების ზუთხვას მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ძირითად სამეცნიერო დისციპლინების შესწავლას.

ცხრილი № 2

№№ რიგ.	სასწ. საგნები	კ ლ ა ს ე ბ ი								სულ
		1	2	3	4	5	6	7	8	
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	2	16
2	რუსული ენა, საეკლესიო სლავური ენა და ლოგიკა	5	5	4	4	3	3	3	4	31
3	ლათინური ენა	—	—	4	4	5	5	5	5	28
4	ბერძნული ენა	—	—	—	—	6	6	6	6	24
5	მათემატიკა და კოსმოგრაფია	4	4	4	4	4	4	3	3	30
6	ფ ი ზ ი კ ა	—	—	—	—	—	2	3	2	7
7	ისტორია	2	2	2	3	3	2	2	2	18
8	გეოგრაფია	2	3	2	3	—	—	—	—	10
9	I ახალი უცხო ენა	5	5	3	3	3	2	3	3	27
10	II ახალი უცხო ენა	—	—	4	4	3	3	2	2	18
11	სუფთა წერა და ხატვა	4	3	2	—	—	—	—	—	9
12	ბუნებისმეტყველება	2	2	—	—	—	—	—	—	4
	ს უ ლ	26	26	27	27	29	29	29	29	222

ზემოთ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით[1], გიმნაზიის მოსწავლეთათვის სავალდებულო იყო ძველი და ახალი ენების შესწავლა, მათ შორის ძველი საეკლესიო სლავუ-

[1] „Циркуляр по управлению Кавказским учебным округом, № 7, июль, 1901 г. стр. 625.

რი ენისა, ლათინურისა და ბერძნულის „ზუთხვა“, რასაც თან ერთვოდა ახალი ენების (გერმანული, ფრანგული და სხვ.) სავალდებულო სწავლება. მთელს გიმნაზიაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 222 კვირეული საათიდან ენების შესწავლაზე მოდიოდა 188 საათი, „საღვთო სჯულისა“ და სუფთა წერის ჩაუთვლელად. ამრიგად, დანარჩენი 94 საათი ეთმობოდა მათემატიკის, ფიზიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, სუფთა წერის, ხატვისა და საღვთო სჯულის შესწავლას. ამ უკანასკნელს, როგორც „პირველხარისხოვან“ სასწავლო საგანს დათმობილი ჰქონდა 16 (კვირეული) საათი[1]. ამრიგად, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნის ნაცვლად, სკოლებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ძველი და ახალი ენებისა და საეკლესიო ლოცვების ვერბალურ სწავლებას, დოგმატიზმს, ძველი სლავური საეკლესიო ტექსტების „წერტილიდან წერტილამდე“ გაზეპირებას.

1903—1904 წლებში გიმნაზიის სასწავლო გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ მე-7 კლასიდან შემოღებულ იქნა კანონთმცოდნეობისა და კოსმოგრაფიის სწავლება[2].

1905 წლის 5 ივნისს განათლების სამინისტრომ გამოსცა „ცირკულიარი“ (№ 10974), რომელიც გარკვეული „ცვლილებების შეტანას“ მოითხოვდა სახალხო განათლების სამინისტროს 1902 წლის 20 ივლისისა და 1904 წლის 18 მაისის „ცირკულიარით“ გათვალისწინებულ ზოგადი განათლების საშუალო სკოლების (გიმნაზიების) სასწავლო გეგმებში.

ამრიგად, 1905—1906 სასწავლო წელს ვაჟთა გიმნაზიის პირველი 7 კლასისათვის ეს ცვლილებები გამოხატულია ქვემოთ წარმოდგენილ გეგმაში: (იხ. გვ. 37. ცხრილი № 3).[3]

1905 წლის 16 ივნისისა და 4 ივლისის (№ 11656) „ცირკულარული“ მიმართვით სკოლებს დაეგზავნა (ახალი სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი) „ახალი“ პროგრამები ფილოსოფიურ პროპედევტიკასა, ფსიქოლოგიასა, ლოგიკასა, რუსულ ენასა, კანონთმცოდნეობასა, ახალ ლიტერატურასა და სხვა საგნებში, რომ-

---

[1] „Циркуляр по управлению Кавказским уч. округом“, № 7, июль, 1901 г., стр. 625.

[2] „Циркуляр по управлению Кавказским уч. округом“, № 7, июль, 1901 г., стр. 623—627.

[3] „Циркуляр по управлению Кавказским уч. округом“, № 7, июль, 1905 г. стр. 585—614.

ცხრილი № 3[1]

№№ რიგზე	საგნები	კლასები 1	2	3	გიმნაზია, 1902 წ. 20 ივლისის გვბ-ბის 87-4 პარ. შესაბამისად.	4 მეორდება ივნივ პარ. III	კლასები 5 პარ. 4	5 პარ. 3	6 პარ. 4	6 პარ. 3	7 პარ. 4	7 პარ. 3
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
2	რუსული ენა	5	5	4	4	3	3	5	5	3	4	3
3	ლათინური ენა	—	—	5	5	4	5	5	5	5	5	4
4	ბერძნული ენა	—	—	—	—	4	—	6	—	6	—	5
5	ფილოსოფიური პროპედევტიკა	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2
6	კანონთმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	—
7	მათემატიკა	4	4	4	4	4	5	4	4	4	3	3
8	ფიზიკა	—	—	—	—	—	—	—	3	2	4	4
9	ისტორია	2	2	2	3	3	4	3	3	2	2	2
10	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2	—	—	—	—	—
11	გერმანული ენა	5	3	3	3	2	3	3	3	3	3	2
12	ფრანგული ენა	—	6	3	4	2	3	3	3	2	3	2
13	ბუნებისმეტყველება	2	2	2	—	—	—	—	—	—	—	—
14	ხატვა	2	2	1	—	—	—	—	—	—	—	—
15	სუფთა წერა	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	სულ	26	28	28	27	27	27	29	28	29	29	29

[1] См. „Циркуляр по управлению Кавказского учебного округа", № 7—июль, 1905 г. стр. 585—614.

ლებიც არსებითად ტრადიციული, რელიგიური სულისა და დოგ-მატური შინაარსის მატარებელი იყო[1]. ასე, მაგალითად, ხალხური სიტყვიერების პროგრამაში მოსწავლეთათვის გათვალისწინებული იყო: კერპთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანული კალენდარის შესწავლა, ლექსები „იესო ქრისტეს ამაღლების“ შესახებ, ანტიოხ კანტემირის ლექსები („К м у своему“), „დილის და საღამოს ფიქრები ღვთის დიდების შესახებ“ და სხვ[2].

კანონთმცოდნეობის პროგრამის (ქალთა გიმნაზიების მე-7 და მე-8 კლასის კურსი) „განმარტებით ბარათში“ წინა პლანზე იყო წამოყენებული რელიგიური მოთხოვნილებანი „ზნეობრიობისა და სამართლიანობის აღზრდის შესახებ“, რაც მიზნად ისახავდა „მეფისა“ და „ღვთის კანონმდებლობის“ დამცველთა მომზადებას[3]. ასეთივე მიზნებს ისახავდა სხვა საგანთა პროგრამებიც.

1905 წლის რევოლუციის დღეებში მთავრობა ცდილობდა „სასკოლო რეფორმების“ შესახებ „ცირკულარულ განკარგულებათა“ განხშირებით მოსწავლე ახალგაზრდობისა და მოწინავე ინტელიგენციის, კერძოდ მასწავლებლობისა და სტუდენტობის ყურადღების ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობისაგან.

1905 წლის 7 აგვისტოს, კავკასიის სასწავლო ოლქის „სამზრუნველომ“ ქალთა გიმნაზიის და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სკოლების ინსპექტორებს და „პედაგოგიურ საბჭოებს“ დაუგზავნა „ცირკულარული მიმართვა (№ 11363) — „О продолжительности курса дополнит. класса жен. гимназии“, რომლითაც მათ შეჰპირდა ქალთა გიმნაზიებში დამატებითი კლასის ორწლიანი კურსის ნაცვლად 1905—1906 სასწავლო წლიდან ერთწლიანი კურსის შემოღებას. ამასთან დაკავშირებით, ქალთა გიმნაზიების მე-8 პედაგოგიური კლასის კურსის გავლა სავალდებულო იყო შემდეგ გეგმით:

---

[1] „Циркуляр по управлению Кавказского у. округа“, № 7, июль, 1905 г. стр. 607—609.

[2] Там-же, стр. 600.

[3]. „Извлечения из протоколов заседании комиссии по выработке програмы и плана теоретических и практических занятий для дополнительного класса женских гимназий Кавк. уч. округа,“ стр. 1, 1909 г. (Цирк. № 11363, 7 августа, 1905 г.)

№№	საერთო სავალდებულო ზოგადგანათლების საგნები	გაკვ. რაოდ.	სპეც. საგნები	გაკვ. რაოდ.
1	საღვთო სჯული	2	1. რუსული ენა	9
2	პედაგოგიკა	5	2. მათემატიკა	9
3	ჰიგიენა	2	3. ისტორია	5 } 9
4	დაწყებითი წერა-კითხვის სწავლება	3	4. გეოგრაფია	4 } 9
5	დაწყებითი ანგარიშის სწავლება	2		
6	ბუნებისმეტყველება	1		
7	ლიტერატურული საუბრები	2		

აღნიშნული გეგმით „საღვთო სჯულის“ გაკვეთილებზე „ღვთისმეტყველებიდან“ უნდა ესწავლებინათ ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესი ადგილები, აგრეთვე „რელიგიური პედაგოგიკის“ კურსი, რის შემდეგ სასწავლო წლის მეორე ნახევარში მოსწავლე ქალებისათვის სავალდებულო იყო გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში „საცდელი გაკვეთილების“ ჩატარება. ამრიგად, ქალთა გიმნაზიებში დამატებითი ორწლიანი კურსის ერთწლიანად გადაკეთებით მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა დაეჩქარებინა რელიგიური სულისკვეთებით აღჭურვილი „დედებისა“ და „აღმზრდელმასწავლებლების“ მომზადება.

1905 წლის რევოლუციის დროებითი დამარცხების შემდეგ, თვითმპყრობელობის „ღონისძიებანი“ და „რეფორმები“ სახალხო განათლების დარგში მეტად ხანმოკლე და დროებითი ხასიათის აღმოჩნდა. სახალხო-რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შედეგად მოპოვებული 1906 წ. 14 იანვრის „დებულება“ („ინოროდცებისათვის“ დედაენაზე სწავლების უფლების მინიჭების შესახებ), 1907 წლის 27 ოქტომბრის „დებულებამ“ შესცვალა, რომლის ძალითაც ქართულ სკოლებში უარყოფილ იქნა არა თუ სამშობლო ენაზე სწავლება და ქართული სახელმძღვანელოები, არამედ რუსული ალფაბეტით შედგენილი ნაციონალური „საანბანო“ წიგნებიც კი.

1907 წლის 8/1 კავკასიის ნამესტნიკმა, გენერალ-ადიუტანტმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა დაამტკიცა „ტუზემცების“ სახალხო პირველდაწყებით სკოლებში 1881 წ. 13 იანვრის გეგმით „სწავლე-

ბის გაგრძელება“ იმ მოცულობით, რაც 1905 წ. 29 სექტემბერს „საცდელად იქნა“ ქართულ სკოლებში შემოღებული.

ზემოაღნიშნული „საცდელი გეგმა“ და „დებულება“ დიდად ავიწროებდა მშობლიურ ენაზე სწავლების ადგილს საქართველოს სკოლებში. მოქმედი სასწავლო გეგმის მიხედვით ქართული ენა „არასავალდებულო“, მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა[1].

დედაენის გასაუქმებლად სხვა საშუალებებიც იყო გამოყენებული. მთავრობამ დედაენის შესწავლის მსურველებს დააკისრა განსაკუთრებული გადასახადი, რის შედეგად მრავალი ღარიბი მოსწავლე სამშობლო ენის შესწავლის გარეშე დარჩა.

„თვით შიდა საქართველოში თუმცა დედა-ენა არ არის აკრძალული, მაგრამ ზოგს სკოლაში ფაქტიურად გაუქმებულია, ზოგში კიდევ, თუმცა ფორმალურად არსებობს ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით, ისეთ ყოფაშია, რომ სულთმბრძოლავს მოგაგონებთ. ფაქტიურად დედა-ენის გაუქმება საშუალო სასწავლებლებში იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ ვისაც დედა-ენის სწავლა უნდა, ზედმეტი ფული უნდა მიიტანოს, რომ ამ ფულით მიიწვიონ მასწავლებელი... ქართველების უმრავლესობას კი, როგორც სოფლად მცხოვრებლებს, თავიანთ სიღარიბის გამო, ვერ შეაქვთ ეს ზედმეტი ხარჯი და ბევრს საშუალო სასწავლებელში სრულიად გაუქმებულია ქართულის სწავლებაო“, — ამბობდა ია. გოგებაშვილი[2].

და მართლაც, ეს მიზანი ენის შევიწროებისა, უმრავლეს სკოლებში ჩქარა განხორციელდა[3]. ქუთაისის, ბათუმის, გორის, თელავის, თბილისის, ხონის, სოხუმის და საქართველოს მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და დაბებში, როგორც საერო, ისე სასულიერო უწყების დაბალ და საშუალო სასწავლებლებში შევიწროებულ და ზოგჯერ სრულიად მოსპობილ იქნა ქართული ენის სწავლება[4]. სკოლებში შემოიღეს არა მარტო სწავლების, ე. წ. „მუნჯური მეთოდი“, არამედ „მუნჯურ მეთოდზე შედგენილი სახელმძღვანელონი რუსულის ენისა“. სწავლების ასეთი „წესების“ დანერგვა სამართლიან უკმა-

---

[1] „Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1908 г.“, стр. 28—29, 61—62, 89.

[2] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, „რჩ. ნაწ.“ ტ. II, 459—460.

[3] „Отчет о состоянии учебн. заведений Кавказ. учебного округа за 1908 год“. стр. 28—29.

[4] გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი „რჩ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 458—480, 1940 წ.

ყოფილებას იწვევდა საქართველოს მშრომელ მოსახლეობაში და რევოლუციურად განწყობილ მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში.

ქალთა სასწავლებლების სასწავლო გეგმებში მომხდარი ერთგვარი ცვლილებების მიუხედავად, პატარა ქართველ ქალებს თვალითაც არ ანახვებდნენ ქართულ წიგნებს. „ქართული წერა-კითხვა ქიმუნჯ ნაკრავია, არც ერთი გაკვეთილი არ ურგუნებიათ მისთვის. შეელენ თუ არა ქართველი გოგოცუნები ამ სკოლაში, მაშინვე ხელში მიაჩეჩებენ რუსულს ანბანსა, რუსულს მუნჯურს წიგნსა და სწავლებასაც აწყებინებენ რუსულს ენაზე, რომლისაც ბავშვებს არაფერი გაეგებათ. გაშტერებული გოგოცუნები შესცქერიან თურმე მასწავლებელს, ახამხამებენ უგუნურად თვალებს, იმეორებენ თუთიყუშსავით რუსულს სიტყვებსა, გაუგუნურების გზაზე სდგებიან და ერთსა და იმავე კლასში რამდენსამე წელს რჩებიან“[1].

ასეთი იყო დედაენაზე სწავლების მდგომარეობა არა მარტო თბილისის ორკლასიან საქალებო სკოლაში, არამედ როგორც ვაჟთა საშუალო, ისე ქალთა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებშიაც. სახალხო განათლების სამინისტრო და მისი ედიქტების უყოყმანოდ შემსრულებელი კავკასიის „სასწავლო ოლქის სამზრუნველო“ ყოველ ღონეს ხმარობდა, ე. წ. „ინოროდცული“ ენის აღკვეთისა და სახალხო განათლების დარგში რევოლუციის ყოველგვარი მონაპოვარის ბოლომდე აღმოფხვრისათვის.

რელიგიური პედაგოგიკის, წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლების მეთოდიკებში „ელემენტარული ცოდნის“ გადაცემა, ვერ აკმაყოფილებდა ქალთა გიმნაზიების წინაშე დასმულ ამოცანებს, „პედაგოგ-ალმზრდელთა“ და „საუკეთესო დედების“ მომზადების საქმეში. ამიტომ, 1909 წლის დასაწყისში, კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველის“ განკარგულებით, ქ. თბილისში ჩამოყალიბდა „განსაკუთრებული კომისია“, ქალთა გიმნაზიების მე-8 დამატებითი კლასის პროგრამებისა და „თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის გეგმების“ დასამუშავებლად[2]. კომისიამ საჭიროდ სცნო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1905 წ. 7 აგვისტოს № 11363 განკარგულებით დამტკიცებულ სასწავლო გეგმის

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, „რჩ. ნაწ.“ ტ. II, გვ. 502.

[2] კომისია შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორის—ს. ს. ლარიონოვის თავმჯდომარეობით.

„უცვლელად დატოვება“, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნა პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ლოგიკისა და მეთოდიკების დარგში უფრო საფუძვლიანი, შინაარსიანი და ღრმა მეცნიერული ცოდნით მოსწავლეთა მომზადების აუცილებლობა.

კომისიამ შეიმუშავა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალური საგნების პროგრამები, რაც საფუძვლად დაედო ქალთა გიმნაზიების მსმენელთა მეცადინეობას.

აღნიშნული პროგრამები მიზანდასახულობით და შინაარსით ძირითადად არ განსხვავდებოდა წინა წლებში მოქმედ პროგრამებისაგან. ასე, მაგალითად „საღვთო სჯულის მეთოდიკაში“ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „სწავლებას რელიგიის შესახებ“, „იესო ქრისტეს ცხოვრებას და უკვდავ სულებს“, „ბიბლიის ცოდნას“, „სწავლებას ღმერთის შესახებ“ და სხვ.

პროგრამა მიზნად ისახავდა გიმნაზიის კურსდამთავრებულთათვის მიეცათ რელიგიურ-ზნეობრივი ცოდნა-ჩვევანი, რათა მსმენელები აღეჭურვათ „ღმერთისა და ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით“. ქალთა გიმნაზიის მსმენელებს, როგორც მომავალ „პედაგოგებს“, „გუვერნანტკებს“, ან „დედებს“, უნდა მიეღოთ აგრეთვე დაწყებითი სკოლამდელი რელიგიურ-ზნეობრივი ცოდნა-ჩვევები, ევარჯიშნათ „სარეპეტიტორო“ განათლების მისაღებად, რათა პრაქტიკაში „სამაგალითოდ“ გამოეყენებინათ მიღებული ცოდნა.

ანალოგიურ რეაქციულ მიზნებს ისახავდნენ სხვა საგნების პროგრამებიც, რომელთა შესრულებას თვითმპყრობელობის ორგანოები არც თუ მცირე ყურადღებას აქცევდნენ[1].

1907—1908 სასწავლო წლისათვის რეალური სასწავლებლების დამატებითი კლასებისათვის გამომუშავებულ იქნა აგრეთვე „შესაფერი“ გეგმები და პროგრამები[2]. გადამუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით, გიმნაზიის მე-7 კლასებში ბერძნულ ენას კვირაში დათმობილი ჰქონდა 4 საათი, ხოლო მე-8 კლასში პედაგოგიური საბჭოს „საათანადო დადგენილებით“ შესაძლებელი იყო მისი სამ საათამდე დაყვანა[3].

---

[1] „К циркуляру по управлению Кавказским учебным округом за 1909 год“; извлечения из протоколов заседаний комиссий по выработке программ и план теоретических и практических занятий для VIII дополнительного класса женских гимназий Кавказского учебного округа“.

[2] „цирк. по упр. Кавказ. уч. окр. № 4, 1907 г.“ стр. 18—21.

[3] Там-же, ст. 24—30.

მთავრობის „პოლიტიკანების“ მხრივ სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1912 წ. რუსული ენის შესაფერ სახელმძღვანელოდ ქართველთათვის კვლავ მიღებულ იქნა ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „Русское слово“ (I და II ნაწილი), რომელიც უნდა ესწავლებინათ „ფარეო თვალსაჩინოების საფუძველზე“[1].

1912 წლის 8 მარტის № 10494 „ცირკულიარით“, კავკასიის „სასწავლო ოლქის სამზრუნველომ“ გარკვეული „ცვლილებების“ შეტანა განიზრახა ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების პროგრამებში და სასწავლო გეგმებში. სახელდობრ, ქალთა გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასში და ქალთა პროგიმნაზიის მე-4 და მე-5 კლასში „საცდელად“ უნდა შემოეღოთ ე. წ. „მეოჯახეობის“ („Домоводство-ს“) სწავლება კვირაში ორსაათიანი კურსით.

პროგრამაში ძირითადად გათვალისწინებული იყო: ა) კულინარული ხელოვნება, საუზმის მომზადება, სურსათის შენახვა-გამზადება, ტანსაცმლის შეკერვა-დაუთოვება, რეცხვა, ქარგვა, ნემსვა, ოთახის დასუფთავება-დალაგება, გათბობა, ვენტილაცია და სხვ.[2], რაც მიზნად ისახავდა „ქარგი აღმზრდელისა“ და „მეოჯახის“ მომზადებას.

მართალია, 1904—1906 წ. წ. მოძრაობის პერიოდში მკვეთრად დაისვა საკითხი გიმნაზიებსა და რეალური სკოლების დაწყებით კლასებში ე. წ. „ძველი ენების“ უაზრო ზეპირობის მოსპობის, რუსული და ახალი ენების გაძლიერებისა და სამშობლო ენაზე სწავლების შემოღების შესახებ (რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც), მაგრამ, ამასთან ერთად, კლასიკური ენების სწავლების ძველ უფლებებში აღდგენის რეაქციული იდეა 1905 წლის აპრილში კვლავ წარმოიშვა, თუმცა 1911—1912 წლამდე აღნიშნული საკითხი მაინც არ ყოფილა საბოლოოდ გადაწყვეტილი[3].

ძველი ენების მასწავლებელთა სრულიად რუსეთის I ყრილობამ (რომელიც განათლების მინისტრის—გლაზოვის ხელმძღვანელო-

---

[1] Цирк. П.К.У.О. № 3, стр. 1—30, 1912 г.

[2] „Цирк. по упр. Кавказ. уч. округом“ № 4—апрель, 1912 г. стр. 32—33.

[3] ამ დროს, კლასიკური ფილოლოგიისა და პედაგოგიკის საზოგადოების წევრმა ციბულსკიმ წინადადება შეიტანა (იხ. სპეციალური წერილი, რომელიც 1906 წ. 31 მაისს დაიბეჭდა „Петерб. Ведомость“-ის № 118-ში სათაურით: „школа и наука“) სასწავლო ოლქის „სამზრუნველოსა“ და „სამეცნიერო საბჭოში“ ძველი ენების მასწავლებელთა სრულიად რუსეთის I ყრილობის მოწვევის შესახებ.“ ტ. ს.

ბით შედგა ს. პეტერბურგში 1911 წ. 28 დეკემბერს) აღნიშნა, რომ რეფორმამ, რომელმაც უკუაგდო გიმნაზიებში ბერძნული ენის სავალდებულო სწავლება, თითქოს, არამხოლოდ მკვეთრად დასწია ენებში მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი, არამედ სხვა საგნების ცოდნაზედაც არ მოუხდენია რამდენადმე დადებითი გავლენა, პირიქით, შეამცირა მოსწავლეთა შრომის უნარიანობა, გაზარდა დილეტანტიზმი და ზერელობა, რითაც იმოქმედა სკოლის საქმიანობაზე და მეცადინეობისადმი მსმენელთა საერთო განწყობილებაზედაც.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომ ქალაქებში, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ტიპის საშუალო სკოლა არსებობდა, უკანასკნელ შემთხვევაში, ერთ-ერთი სკოლათგანი მაინც უნდა დაეტოვებინათ წმინდა კლასიკურ გიმნაზიად ორივე ძველი ენის სწავლებით.

ამრიგად, რევოლუციური მოძრაობის გავლენით გადადგმული ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯი, ძველი კლასიკური ენების ნაცვლად სკოლებში ახალი ენების გაძლიერებისა და სამშობლო ენაზე სწავლების შემოღების შესახებ, კვლავ უშედეგოდ დარჩა.

პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში (1915 წლის აპრილში) განათლების მინისტრის — გრაფ. პ. ნ. იგნატიევის თავმჯდომარეობით, სპეციალური თათბირები ჩატარდა „ახალი სკოლის" მოწყობისათვის ზოგად დებულებათა შესამუშავებლად. თათბირის მიერ შემუშავებული და მიღებული გეგმით, სკოლა უნდა ყოფილიყო: 1) ნაციონალური, 2) ფართო ზოგადი განათლების მიმცემი ახალგაზრდობისათვის, 3) შვიდწლიანი და 4) ორსაფეხურიანი (პირველი—სამწლიანი და მეორე — ოთხწლიანი კურსით). განსაკუთრებულმა თათბირმა საჭიროდ სცნო ორსაფეხურიანი სკოლის 1-ლი 3 წლიანი კურსის შეთანაბრება უმაღლესდაწყებითი სკოლის პირველი 3 კლასის კურსთან, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სკოლის ამ საფეხურებს შორის არსებული წინააღმდეგობა, შექმნილიყო ერთიანი სკოლის ტიპი და ბიფურკაცია დაწყებულიყო უფრო მაღალ სასკოლო საფეხურიდან.

საშუალო სკოლაში შესასწავლი საგნები იყოფოდა 2 ჯგუფად: ა) საგანმანათლებლო: საღვთო სჯული, რუსული ენა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება და ბ) აღმზრდელობითი საგნები: ხატვა—ხაზვა, სიმღერა (მუსიკა), ფიზიკური ვარჯიში (გიმნასტიკა, ცეკვა, ხელსაქმე). კვირეული საათების რაოდენობა განსაზღვრული იყო: 1 კლასში — 22, II და III. კლ. თვითეულში არაუმეტეს 27 საათისა.

I საფეხურის სკოლისათვის დაწესებული იყო სასწავლო საგნების შემდეგი განაწილება:

ცხრილი № 5

ა. საგანმანათლებლო საგნები:

	1 კლ.	2 კლ.	3 კლ.	სულ
1. საღვთო სჯული	2	2	2	6
2. რუსული ენა	6	6	6	18
3. მათემატიკა	4	4	4	12
4. ისტორია	2	2	2	6
5. გეოგრაფია	2	2	3	7
6. ბუნებისმეტყველება	2	2	2	6
სულ	18	18	19	55

ბ. აღმზრდელობითი საგნები:

	1 კლ.	2 კლ.	3 კლ.	სულ
1. ფიზიკური ვარჯიში	3	3	3	9
2. ხ ა ტ ვ ა	2	2	3	7
3. სიმღერა	1	1	1	3
4. პრაქტიკული ვარჯიში ბუნებისმეტყველებაში	1	1	1	3
სულ	7	7	8	22
სულ.	25	25	27	77

ალმზრდელობითი საგნები: სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, ხელსაქმე და სხვ. შეიძლებოდა აგრეთვე ესწავლებინათ იმ სასწავლებლებში (დამატებითი საათების სახით, კვირაში 3-საათიანი კურსით თითოეულ კლასში), სადაც ასეთის სწავლება მიზანშეწონილად და შესრულების მხრივ შესაძლებლად იქნებოდა მიჩნეული.

მეოთხე კლასიდან იწყებოდა მეორე — სწავლების 4-წლიანი საფეხური, რომელზეც შენდებოდა 3 ძირითადი შტო. თითოეულ მათგანში რუსული ენა მთავარ დისციპლინად ითვლებოდა. ამათგან: ერთი განყოფილება (შტო)—ერთი ახალი ენით—ჰუმანიტარული საგნების განხრით, მეორე განყოფილება — ერთი ძველი და ერთი ახალი ენით — ჰუმანიტარულ-კლასიკური საგნების განხრით და მესამე — რეალური განყოფილება, ერთი ახალი ენით, ერთი მხრივ მათემატიკური განხრით, ხოლო მეორე მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განხრით.[1]

აღნიშნული გეგმით, საშუალო სკოლაში გაძლიერებული კურსით უნდა ესწავლებინათ, როგორც რუსული და ახალი ენები, ისე ძველი ენები და ფიზიკა-მათემატიკური დისციპლინები.

ამ გეგმის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ საგნებში პრაქტიკულ ვარჯიშობათა შემოღება და მოსწავლეთა ფიზიკურ და მხატვრულ-ესტეტიკურ აღზრდაზე ყურადღების გამახვილება. მაგრამ, გეგმის უარყოფით მხარეს წარმოადგენდა საშუალო სკოლის ფარგლებში ნაადრევი ბიფურკაცია (სხვადასხვა განხრების შემოღება), ძველი ენების აღდგენა, მრავალ ენათა ერთდროულად სწავლება (მაგალითად, ჰუმანიტარულ-კლასიკურ განყოფილებაში 1-ლ კლასიდანვე იწყებოდა რუსული ენის, ახალი ენის, ძველი ენის და საღვთო სჯულის ზეპირობა) და მშობლიური ენის სრული უგულებელყოფა სწავლების დოგმატურ-ვერბალური „წესების“ გაძლიერებასთან ერთად.

1915 წლის თათბირზე მიღებულ იქნა გიმნაზიის სასწავლო გეგმა ასეთი სახისა:

---

[1] „материалы по реформе средней школы, Примерные программы и об'яснительные записки“, изд. по расп. г. Министра Нар. просвещения, 1915 г. стр. 5.

№№ რიგ.	საგნები	კლასები								სულ
		1	2	3	4	5	6	7	8	
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	2	16
2	რუსული ენა	5	5	4	4	3	5	4	4	34
3	ლათინური ენა	—	—	5	5	5	5	5	5	30
4	ფილოს. პროპედ.	—	—	—	—	—	—	2	1	3
5	კანონმდებლობა	—	—	—	—	—	—	—	2	2
6	მათემატიკა .	4	4	4	4	5	4	3	2	30
7	ფიზიკა . . .	—	—	—	—	—	3	4	3	10
8	ისტორია	2	3	2	4	4	3	2	2	22
9	გეოგრაფია . .	2	2	2	2	2	—	—	—	10
10	გერმანული ენა	4	3	3	3	3	2	3	2	23
11	ფრანგული ენა	—	5	3	4	3	3	3	3	24
12	ბუნების მეტყველ.	2	2	2	—	—	—	—	—	6
13	ხ ა ტ ვ ა .	2	2	1	—	—	—	—	—	5
14	სუფთა წერა	2	—	—	—	—	—	—	—	2
	სულ	25	28	28	28	27	27	28	26	217

გიმნაზიის პირველი სამი კლასის მოსწავლეები ზემოაღნიშნული „სასწავლო გეგმის“ მიხედვით,[1] მეტისმეტად გადატვირთული იყვნენ არამშობლიურ ენაზე მათთვის ძნელად დასაძლევი სასწავლო მასალით და განსაკუთრებით ლათინური, გერმანული, ფრანგული ენებისა და საღვთო სჯულის დოგმატების (რუსულ ენაზე) ზეპირობით იმ დროს, როდესაც ბუნებისმეტყველების, ქიმიისა და ანალოგიური საგნების სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.[2]

---

[1] „Материалы по реформе средн. школы“, стр. 9, 1915 г.

[2] -же.

რეალურ სასწავლებლებში სასწავლო გეგმით უნდა ესწავლებინათ საღვთო სჯული, რუსული, ენა, გერმანული და ფრანგული ენები, გეოგრაფია, ისტორია კანონმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა-ხაზვა, სუფთა წერა, „საქმის წარმოება“ (ე. წ. „деловодство“) და ე. წ. „книговодство“. რეალური სასწავლებლების მოსამზადებელ კლასში გათვალისწინებული იყო: საღვთო სჯულის (4 საათი), რუსული ენის (6 საათი), მათემატიკის (6 საათი), ხატვის (2 საათი) და სუფთა წერის (4 საათი) სწავლება. ცალკე კლასების მიხედვით კვირეული საათების რაოდენობა შემდეგ სურათს იძლეოდა: მოსამზადებელი კლასი — 22 საათი, I კლ. — 26, II — 28, III — 29, IV — 30, V — 30, ხოლო დამატებით კლასში კი 30 საათი. მოსამზადებელი კლასის გამოკლებით და დამატებითი კლასის ჩათვლით რეალურ სასწავლებლის ყველა კლასებში გეგმით გათვალისწინებული იყო 203 კვირეული გაკვეთილის გადაცემა.[1] ისე, როგორც გიმნაზიის სასწავლო გეგმებში, რეალურ სასწავლებლის გეგმებიდან გამორიცხული იყო მშობლიური ენა, სადაც მოსწავლეებს რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებთან ერთად, ყველა საგნის შესწავლა (თვით საღვთო სჯულისაც კი) მისთვის გაუგებარ ენაზე უხდებოდა.

იმ გიმნაზიის პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეებს, რომლებშიაც ორივე ძველი ენა რჩებოდა, მოეთხოვებოდათ ცოდნა საერთო განათლების საშუალო სკოლების პირველი კლასის კურსის ფარგლებში, ხოლო მე-7 კლასში 2 საათი ფიზიკისა და ერთი საათი კოსმოგრაფიის სწავლებისათვის იყო გათვალისწინებული.[2]

ამრიგად, როგორც საშუალო განათლების სხვა ტიპის სკოლებში, აღნიშნულ გიმნაზიაშიაც მთავარი ადგილი საღვთო სჯულის, საეკლესიო სლავიანურის, ახალი და ძველი ენების დოგმატურ სწავლებას ეთმობოდა.

---

[1] „Материалы по реформе средней школы“, 1915 г. стр. 10.

[2] დამატებით საგნებად იგულისხმებოდა: I და II კლასში ორ-ორი საათი ხატვის გაკვეთილი, მე-4 კლასში I გაკვეთილი ფიზიკაში პრაქტიკული ვარჯიშისა და მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში თითო გაკვეთილი ხელოვნებათა ნაშთების შესწავლისათვის.

სასწავლო გეგმასთან ერთად, თათბირმა მიიღო აგრეთვე ცალკეული კომისიების მიერ შემუშავებული პროგრამები. რეაქციული შინაარსობრივი ტენდენციებისა და ბურჟუაზიული მიზანდასახულობის მიუხედავად (რაც დამახასიათებელი იყო ცარიზმის პერიოდის სკოლებისათვის), აღნიშნული პროგრამების დადებით მხარეებად შეიძლება მიჩნეულ იქნას: მეცნიერებათა დარგების მიხედვით ძირითადი საკითხების თანმიმდევრობითი დალაგება, პროგრამის მიზანდასახულობის ზუსტად განსაზღვრა (ე. წ. „განმარტებით ბარათში"), შესასწავლი მასალის ძირითადი წყაროების საფუძვლიანი მითითება (პროგრამების ბოლო ნაწილში) და სხვ. 1912—1915 წ. წ. სასწავლო გეგმა 1901—1902 ს. წ. გიმნაზიის სასწავლო გეგმასთან შედარებით უფრო პროგრესიულ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც ამ უკანასკნელში მეტად იგრძნობოდა ცხოვრებასთან სიახლოვე, რეალური დისციპლინების ფარგლების გაფართოება და საბუნებისმეტყველო — მათემატიკური საგნების კურსის გაძლიერება. თუ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის პირველ ათეულში მოსწავლეებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ასწავლიდნენ „ნაწყვეტებს" მე-19 საუკუნის რუსული მწერლებიდან (პუშკინი, გოგოლი, კრილოვი, ლერმონტოვი და სხვ), შემდეგში, რევოლუციის გამოცდილებისა და მუშათა მოძრაობის ხელახალი აღმავლობის პერიოდში, სასწავლო პროგრამების მიხედვით უფრო ფართოდ ისწავლებოდა ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი, გონჩაროვი, ნეკრასოვი და მე-19 საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი მოწინავე მწერალი. ასევე გაუმჯობესდა გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ლოგიკის, სასოფლო სამეურნეო საგნების და სხვა დისციპლინების სწავლება.

მოწინავე და გამოცდილი პედაგოგები სწავლებაში იყენებდნენ თხრობა-საუბრის, ევრისტიულ, ექსკურსიულ, ლაბორატორულ, ილუსტრაცია-დემონსტრაციის, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის და სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში შემოწმებულ სხვა სახის მეთოდებს და ხერხებს.

მიუხედავად ამისა, სკოლები ჩვენში მაინც მოწყვეტილი იყო ცხოვრებას. იგი, არ უპასუხებდა მის საჭირბოროტო საკითხებს.

თვით „ესთეტური აღზრდის" პროგრამის შესავალ ნაწილში გარკვევითაა აღნიშნული სკოლის ძირითადი ნაკლი: თეორიული სწავლების პრაქტიკისაგან მოწყვეტა, რაც მოსწავლეთა ცალმხრივ განვითარებას იწვევდა.

„ современная школа страдает оторванностью от жизни, что односторонняя культура ума путем преимущественно книжного обучения оставляет без внимания область чувствований, что задатки творческой деятельности, щедро заложенные природою в русском юношестве, не получают должного развития, что воспитанники средней школы выходят в жизнь без развитого художественного вкуса, без умения наблюдать окружающие их красоты природы и наслаждаться ими и без знания величайших произведений человеческого гения в области искусств, знакомство с которыми отличает человека образованного от необразованного“ . . და სხვ.[1]

მაგრამ, ძველი სკოლისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო ცხოვრებისაგან სწავლების მოწყვეტა და აღსაზრდელთა ცალმხრივი განვითარება, არამედ ახალგაზრდობისაგან მრავალი უსარგებლო ცოდნის მკაცრად მოთხოვნაც, რითაც სკოლა უმთავრესად ზრდიდა „თვითმპყრობელობის ერთგულ მონებს“ და არა ნამდვილ ადამიანებს.

მეფის მთავრობა მშრომელი ხალხის შვილებს საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას არ აძლევდა. ამას ხელს უწყობდა განათლების სისტემაც, რადგან 11—12 წლის ბავშვი, რომელიც დაამთავრებდა დაწყებით სკოლას, საშუალო სკოლის პირველ კლასში ვერ შევიდოდა, რადგან იქ 9—10 წლიან ბავშვებს იღებდნენ. დაბებში საშუალო სკოლები იშვიათად არსებობდნენ, ხოლო დიდ ქალაქებში პროვინციებიდან ბავშვების გზავნა, „პანსიონების“ ხარჯების დაფარვა და შვილების მატერიალური უზრუნველყოფა ღარიბ ქართველებს ძლიერ უჭირდათ.

მე-20 საუკუნის პირველი ორი ათეული წლების განმავლობაში ძალაში რჩებოდა სახალხო განათლების მინისტრის—დელიანოვის 1887 წ. განკარგულება, რომლითაც გიმნაზიის დირექტორებს თავი უნდა შეეკავებინათ „მდაბიო ხალხის“ (მუშების, გლეხების, მეეტლეების, ლაქიების, მრეცხავების) და საერთოდ, ე. წ. „მცირე ხელფასიანთა“ შვილების სკოლებში მიღებაზე. როგორც ცნობილია, სახალხო სკოლებში „...მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარ-

---

[1] „Материалы по реформе средней школы“, стр. 328, изд. Министерства народного просвещения, 1915 г.

გებლოდ ჰგეშავდნენ. ზრდიდენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებას და უსაქმურ ცხოვრებას" (ლენინი), ხოლო გიმნაზიები და პროგიმნაზიები „მთლიანად გამსჭვალული იყო კლასობრივი სულით და აძლევდა ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის ბავშვებს. მისი ყოველი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა" (ლენინი).

სწავლების მეთოდებში შეტანილი ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, სკოლებში გაბატონებული იყო უაზრო ზეპირობა, რელიგია და დოგმატიზმი. განათლების სამინისტროს ერთგული მოხელეები მოსწავლეებს ძირითადად აზეპირებდნენ უშინაარსო სიტყვებს, ასწავლიდნენ მკვდარ ციფრებსა და ნახაზებს. ისტორიისა და ლიტერატურის გაკვეთილები (ჩინოვნიკ-მოხელეთა ამგვარი მოქმედების შედეგად) უმთავრესად განისაზღვრებოდა მეფეთა დაბადება-გარდაცვალების წლების, ომისა და ზავის და ცალკეულ პირთა ცხოვრების ნაწყვეტი ამბების გაზეპირებით. ისტორიის სწავლებაში მთავარი იყო „როდის დაიბადა მეფე", როდის, ვის „ეომა" და რა მიზეზით გარდაიცვალა[1]. აღნიშნული „მასალების" გაზეპირება მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლებისაგან მოწყვეტილად და ამ მოვლენის საფანადო ანალიზის გარეშე. ლიტერატურის შესწავლის დროს მოსწავლეებს „თავს ამტვრევინებდნენ" რელიგიური შინაარსის ძველი ძეგლების გაზეპირებით, მაგრამ გვერდს უვლიდნენ კლასიკოსთა ნაწარმოებების საფუძვლიანი მეცნიერული აზრით გარჩევას და სოციალ-კლასობრივი თვალსაზრისით შესწავლას. გეოგრაფიის გაკვეთილები ძირითადად გადაქცეული იყო მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხის ბუნების მოვლენათა, ჰავისა და ცალკეული შემთხვევების მექანიკურ გაზეპირებად, სადაც სპეციალურად უხვევდნენ გვერდს ცოცხალი სინამდვილის, ბუნების სიმდიდრეებისა და მოვლენების, ადამიანთა შრომა-საქმიანობის და საწარმოო-სამეურნეო ცხოვრების მეცნიერულ ასპექტში განხილვას[2].

---

[1] „Циркуляр по управлению Кавказским учебным округом", № 7, июль, 1901 г. „Конспект уч. плана для средней школы (для школ общего типа)".

[2] „Правила и программы для поступающих в 1-ю Тифлисскую женскую великой княгини Ольги Федоровны гимназию, Тифлис, 1909 г.

ბევრს სკოლაში, სწავლებიდან ძირითადად განდევნილი იყო ცოცხალი სიტყვა, თვალსაჩინო მაგალითების ჩვენება, კონკრეტ ფაქტებზე მსჯელობა. გაკვეთილებზე გამეფებული იყო რელიგიური უაზრობით გაჟღენთილი, ვერბალურ-აბსტრაქციული სწავლება, სოციალურ-კლასობრივი შინაარსისაგან დაცლილი, განყენებული სიტყვების გაზეპირება. მოსწავლეს აკრძალული ქონდა თავისუფალი კითხვა და წაკითხულზე თავისუფლად მსჯელობა, შინაარსის ანალიზი და დასკვნების შეგნებულად გაკეთება. წაკითხული და დაწერილი მისთვის დოგმა უნდა ყოფილიყო. „ეჭვს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. კრიტიკული მსჯელობა ბუნების ამა თუ იმ მოვლენის, სამღვთო წერილის ფურცლების შესახებ ცოდვად ითვლებოდა"[1]. მეფის მთავრობის ხელში სკოლა დედინაცვლის როლს ასრულებდა. იგი მიისწრაფოდა ახალგაზრდობა აღეზარდა „...მონებად და არა თავისუფალ ადამიანებად" (იქვე, გვ. 17, გლურჯიძის მოგონებიდან). სკოლაში ყველაფერს ასწავლიდნენ, გარდა უმთავრესისა „როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ ადამიანთა მდგომარეობა და ცხოვრება" (იქვე, გვ. 45—46).

ისე, როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, საქართველოშიაც სკოლა „...ნამდვილი მონების აღმზრდელ ქარხანად აქციეს". მოზარდ თაობას, არა მარტო იმონებდნენ, არამედ გულიდან ჰგლეჯდნენ „ყოველს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნიშანწყალს", აიძულებდნენ ეს დამონება და გაქელვა ძალით ექოთ და ედიდებინათ. სკოლაში მთავარი ადგილი ეჭირა არა გაკვეთილის მასალის მეცნიერულ ახსნას, არამედ დოგმატურ წესის შესრულებას — „აქედან აქამდე". არა იშვიათი იყო მაგალითი, როდესაც ბავშვისათვის მიუმართავთ, რუკაზე ეჩვენებინა მისი სამაზრო ან საგუბერნიო ქალაქი, ან ეთქვა, თუ რა მდინარე ჩამოუვლის მის მაზრას, მაგრამ „...ბავშვს ვერაფერი უთქვამს, თუმცა ევროპის ყველა ქალაქი ზეპირად იცოდა"[2]. ამის მთავარი მიზეზი თვალსაჩინოებასა და რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილ დოგმატურ სწავლებაში მდგომარეობდა. სწავლა-განათლების მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების ნაცვლად, სკოლა თვითმპყრობელობის პერიოდში პროგრამის გაზეპირების კერას წარმოადგენდა, სადაც ჯანსაღ

---

[1] „ამიერ-კავკასიის ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე", გვ. 13 1939 წ. ქართ. გამოცემა.

[2] ჟურნ. „განათლება" № 1, გვ. 34, 1915 წ.

გონებას აბნელებდნენ „ლექსიურად გაბმული“ გაკვეთილებით. სწავლა-აღზრდა, პედაგოგიური რჩევა-დარიგება, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისადმი ანგარიშის გაწევა, მათი ინტერესის გათვალისწინება, ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების ობიექტური შემეცნება, ჭეშმარიტი აზრის გამოთქმა, თვალსაჩინოება, სწორი მსჯელობა და მრავალი სხვა, ძველ სკოლაში გამონაკლის შემთხვევის გარდა, უგულებელყოფილი იყო: „ძველი სკოლა წიგნური სწავლებისა და ზეპირობის სკოლა იყო; ის ათვისებინებდა ადამიანს მრავალ გამოუსადეგარ, უვარგისს, ზედმეტ, მკვდარ ცოდნას, რომლითაც უსებდენ ახალ თაობას თავს და საერთო რანჟირის მოხელეებად აყალიბებდნენ“.[1]

თ ა ვ ი IV.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ

1. მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა

რევოლუციამდელ რუსეთში თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშ გმინავდა არა მარტო მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, არამედ ე. წ. „...თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლებლები, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგადოდ მოსწავლეები)“[2]...

მასწავლებელთა მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, შევიწროება და დაკნინება თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

„მასწავლებლის ნივთიერად ცუდი მდგომარეობა არ შეიცავს მარტო ჯამაგირის სიცოტავეს, არამედ ყველა იმ პირობების შედეგია, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება და შრომა. ბევრ მასწავლებელს ეძლევა ჯამაგირი პირდაპირ იმ საზოგადოებისაგან, სადაც

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი სახ. განათლების შესახებ, გვ. 205.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. 1, გვ. 22, 1947 წ. ქართული გამოცემა.

მსახურობს. ამისთანა მასწავლებლები, თითქმის სრულიად დამოკიდებული არიან სოფლის მწერლისაგან. დიდი ხვეწნა სჭირდება სოფლის მასწავლებლებს, დიდი ვედრება, რომ დროზე მიიღოს ჯამაგირი", — წერდა ჟურნალი „კვალი", მაგრამ უმეტეს შემთხვევაში „ხვეწნა-მუდარა" უშედეგოდ რჩებოდა[1]. მასწავლებელთა ხელფასის გაცემა თვეობით იგვიანებდა.

ცხადია, მასწავლებლის ამგვარი მდგომარეობა შეუძლებელს ხდიდა მის არსებობას და კულტურულ მოღვაწეობას.

სოფლის მასწავლებელთა ხელფასი ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. მასწავლებლის შრომა სრულიად არ ფასდებოდა. ხშირად, დაბალი კვალიფიკაციის „მუშაკები" უფრო მეტ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე „...ეს ჩვენი თვითცნობიერების უანგარო და ჭეშმარიტი პიონერები"[2].

თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში, არა ერთი ბეჯითი და განათლების საქმისათვის თავდადებული მასწავლებელი იმსხვერპლა შიმშილმა და მუდმივმა გაჭირვებამ, ბევრს ულუკმაპურო ცხოვრებასა და სიცივეში დაეხოცა ცოლშვილი.

ქალთა საშუალო სკოლის (გიმნაზიისა და პროგიმნაზიის) მოსამზადებელი კლასის მასწავლებელთა წლიური საშუალო ხელფასი 360—480 მანეთს შეადგენდა; ამავე სკოლის უფროსი კლასების მასწავლებელთა წლიური ხელფასი საშუალოდ 616 მან. უდრიდა. კერძო სასწავლებლის მასწავლებლის წლიური ხელფასი 500 მანეთამდე ძლივს აღწევდა, ხოლო დაწყებით სკოლებში წლიურად (საშუალოდ) ეძლეოდათ:

ა) საღვთო სჯულის მასწავლებელს — 111 მან.

ბ) მასწავლებელს . . . . . 412—432 მან.

დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა საერთო შემადგენლობიდან ჩვენში ყოველწლიურად:

300 მანეთზე ნაკლებ ხელფასს იღებდა:	—	276	მასწ. (7,8%);
300—400 მანეთამდე	„	1411	„ (39,7%);
400 მანეთზე ცოტა მეტს	„	1863	„ (52,5%);

ამრიგად, დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობის თითქმის ნახევარი წლიურად 300-დან 400 მანეთამდე იღებდა, რაც

[1] გახ. „კვალი" № 38, 1902 წ.
[2] გახ. „იბერია" № 39, 19 თებერვალი, 1903 წელი.

აუტანელს ხდიდა მათ არსებობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას[1].

ქართული ენის მასწავლებლები, სხვა საგნის მასწავლებლებზე მცირე ხელფასს იღებდნენ. კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი" ქართული ენის სწავლების ცუდად დაყენებას სკოლებში მაღალკვალიფიციური ფილოლოგიური განათლების მქონე კადრების სიმცირით და სათანადო სახსრების უქონლობით „ხსნიდა", ხოლო

„С другой стороны, немаловажным препятствием к правильной постановке преподавания местных языков является также недостаток денежных средств, находящихся в распоряжении учебных заведений, невозможность вследствие этого оплачивать уроки местных языков одинаково с другими предметами".[2]

სინამდვილეში კი, ადგილობრივი ენის მასწავლებელთა უთანასწორობა სხვა საგნების მასწავლებლებთან (როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად), არა სახელმწიფოს სიღარიბით და უსახსრობით. იყო გამოწვეული, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ქართული ენა განედევნათ სკოლებიდან, იძულებული გაეხადათ მასწავლებლობა, ხელი აეღოთ მშობლიური ენის სწავლებაზე.

— „ხვედრი სახალხო მასწავლებელთა: აუტანელი შრომაა, გონებრივ ერთ წერტილზე შეჩერება, გაჭირვება, უსახლკარობა და ცოლშვილის სიტიტვლე!", — წერდა გაზეთი „ახალი დროება"[3]. მართლაც, მასწავლებლობა უფლებრივად და ეკონომიურად დაკნინებული და შეურაცხყოფილი იყო. შიმშილი, ცოლშვილის სიტიტვლე, ბნელ სარდაფებში ცხოვრება, წიგნებისა და გაზეთების უქონლობა, ხელფასის დროულად მიუღებლობა და სხვ. მასწავლებელს გონებრივ და ფიზიკურ გადაგვარებას უქადდა.

თვითმპყრობელური რეჟიმის განსაკუთრებულ სიმწვავეს პროვინციის მასწავლებლები განიცდიდნენ, რომელთაც სამართლიანი მოთხოვნისა და მუშათა მოძრაობის თანაგრძნობისათვის სასტიკად სდევნიდნენ.

---

[1] отчет о состоянии уч. зав. Кавказ. учебн. округа за 1908 г., стр. 87—88.

[2] отчет о состоянии учебных заведений Кавказ. учебного округа за 1906 года, стр. 17—18.

[3] გაზ. „ახალი დროება" № 7, 1906 წ., გვ. 4—5.

„წარმოუდგენელია ის ჩაგვრა-შევიწროვება, რაც ჩვენ გვაქვს ნაკუთნები: ზნეობრივად, ეკონომიურად, მოქალაქეობრივად და პოლიტიკურად. ჩვენს აუტანელ მდგომარეობას მოწმობს თვით ის გარემოება, რომ არ შეგვიძლია ხმის ამოღება სკოლის უვარგისობასა და-უკუღმართ მოწყობილობაზე. თუ რომელიმე ჩვენთაგანი გაბედავს ამ საგნის შეხებას, 24 საათში გაძევებული იქნება, როგორც არასაიმედო მასწავლებელი. დღემდე ჩვენ ვიყავით ბრმა იარაღი, დახავსებული, უკვე წარმავალ ბიუროკრატიულ რეჟიმისა. ჩვენ არ გვქონდა დღემდის იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ ყოველივე ეს დაგვეგმო და შედგარი პროტესტი გამოგვეცხადებინა არსებულ სკოლისათვის, მაგრამ, როდესაც ხალხმა თვით დაჰგმო სკოლების უვარგისობა, ჩვენც მაშინ ამოვიღეთ ხმა...

და ჩვენ მძიმე პასუხისმგებლობა გვაწევს ხალხის წინაშე. ჩვენ თუ დღემდის ვერ გამოვიჩინეთ მოქალაქეობრივი უნარი, დღეს მაინც, როდესაც პროლეტარიატი შედგარი ბრძოლით ანგრევს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის კედლებს, ეხლა მაინც, მათთან ერთად (პროლეტარებთან), მათი დროშის ქვეშ ავამოძრაოთ ჩვენი ძალაც ამ კედლების დასანგრევად. **დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ სათავე არ მოეწყო, ისე, როგორც ხალხის უმრავლესობას სურს, უამისოდ სკოლა ვერ მოეწყობა სასურველ ნიადაგზე... მაშ ჩვენც, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, მათი დროშის ქვეშ, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული მივიტანოთ იერიში ძველ რეაქციაზე, ერთობის ძალით დავამყაროთ დემოკრატიული წყობილება ცხოვრებაში და სკოლაში".**[1] თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ამგვარი მოწოდებით მიმართავდა თავის კოლეგებს მეფის მთავრობის მძიმე უღლის ქვეშ მგმინავი სახალხო მასწავლებელი.

მასწავლებელთა მასებში რევოლუციური შეგნების შეტანამ ხელი შეუწყო მათ ძირითად ნაწილში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის განწყობილებათა გაძლიერებას, დაარწმუნა ისინი, რომ რეაქციის ტახტის დაუნგრევლად სწავლა-აღზრდის ახალ ნიადაგზე, მოწყობა შეუძლებელი იყო. ამიტომ, პედაგოგთა მოწინავე ნაწილი მუშათა კლასსა, გლეხობასა და მშრომელ ახალგაზრდობასთან ერთად, მტკიცედ ჩაება ცარიზმის წინააღმდეგ აზვირთებულ ხალხის პირველ რევოლუციაში.

---

[1] გახ. „ლამპარი" № 24, 1906 წ.
ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

რეაქციული მთავრობა მხეცური რეპრესიებით უმასპინძლდებოდა ქართველ ინტელიგენციას. ჯერ კიდევ 1906 წლის თებერვალში იმერეთის დაბებსა და სოფლებში დამსჯელი რაზმები ჩაყენეს, რომლებიც ხალხს აწიოკებდა. სოფ. თერჯოლაში დასწვეს რამდენიმე ღარიბი გლეხის ოჯახი, დაატყვევეს გლეხები, ხოლო ამავე წლის ...„24 თებერვალს ამავე სოფელზე ორმა კაზაკმა ამოატარეს სოფელ ალისუბნის სკოლის მასწავლებელი. დატუსაღების დროს იგი სასტიკად ეცემათ და შემდეგ ფეხით წამოუყრეევიათ ცხენოსან კაზაკებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა-წამებას გამოცდიდა გზაში უბედური"[1].

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მასწავლებლობა ფართოდ ჩაება სახალხო-რევოლუციურ მოძრაობაში.

„დღეს ადამიანი სკოლაში ვეღარაფერს ისწავლის. დღეს ჩვენი სკოლა სოფელი და ქალაქია. დღეს გაკვეთილებს თითონ ცხოვრება იძლევა — სოფლის მოედნებსა და ქალაქის ქუჩებში. მასწავლებლები იქ არიან საჭირონიო", — დაადგინა ქუთაისის მასწავლებელთა ერთმა კრებამ[2].

1905 წლის 24 ოქტომბერს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის პედაგოგთა შეკრებამ დაადგინა სწავლის შეწყვეტა და მოითხოვა თბილისში სამხედრო წესების მოსპობა, სოფლებიდან „ეგზეკუციების" გაყვანა და პოლიციის ჯარებისაგან სასკოლო შენობების სრულიად განთავისუფლება[3].

მეტად აუტანელი იყო თბილისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მდგომარეობაც. აღნიშნულ სკოლაში 1905 წლის 22 ოქტომბერს პოლიციის დამსჯელი რაზმები და ჯარის ნაწილები იქნა ჩაყენებული, რომელთაც დაარბიეს და გაანადგურეს საკლასო ოთახები, დაამტვრიეს ნივთები, აკრძალეს ქართულად ლაპარაკი, ააწიოკეს შიგნით მცხოვრებნი და თანამშრომლები. ადგილობრივი მთავრობა ჯარის გაუყვანლობას და „ეგზეკუციის" ვადის გაგრძელებას იმით „ასაბუთებდა", რომ სკოლაში მათ მიერ „აღმოჩენილ იქნა" წითელი დროშა და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროკლამაციები[4].

ასეთივე მდგომარეობა იყო სოფლის სკოლებშიაც. შორაპნის მაზრის ალისუბნის სკოლაში „...მასწავლებლები განმათავისუფლე-

---

[1] გაზ. „ახალი დროება" № 2, გვ. 3, 1906 წ.
[2] ჟურნ. „მოგზაური" № 16, გვ. 254—255, 1905 წ.
[3] ჟურნ. „მოგზაური" № 18, გვ. 594, 1905 წ.
[4] ჟურნ. „მოგზაური„ № 18, გვ. 594, 1905 წ.

ბელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დატყვევებული იქნენ. მათ ადგილზე „მართებულებისაგან“ გადმოყვანილი იქნენ სხვა მასწავლებლები“, რომელთაც უარესი დღე დააყენეს. 1906 წლის 31 მაისს აღნიშნული სკოლიდან 4 ვერსის მანძილზე მოჰკლეს ვაჭარი ჩარექოვი. ადგილობრივმა ბოქაულმა და ჩაფრებმა სკოლას „ზალპი“ აუტეხეს. შეშინებული მოსწავლეები წიეილ-კიეილით გაჰფანტეს. ერთ მასწავლებელს შუბლი გაუპეს, მეორეს კბილები ჩაულეწეს, მესამეს ცემისაგან სხეული დაუბეეეს, ხოლო დანარჩენები სასტიკად ააწიოკეს, სკოლა გაჩხრიკეს, ნივთები დაამტვრიეს და არიე-დარიეს, ყველაფერი მილეწ-მოლეწეს[1].

მოძრაობის ფერხულში აქტიურად ჩაება თვითმპყრობელობის მიერ უფლებრივად დაბეჩავებული და ყოველმხრივ შევიწროებული მოწინავე მასწავლებლობა. „წინად თავისუფალ აზროვნებას მოკლებული მასწავლებლებიც ღელავდნენ რაღაცას მოლოდინში. იმათაც საზრუნავი გაუჩნდათ. ქალაქებში მასწავლებლების კრებები ხდებოდა, სადაც გამოჰქონდათ რეზოლუციები, თავიანთ მოთხოვნილებებსაც უდგენდნენ მთავრობას. სოფლის მასწავლებლებსაც აღეძრათ სურვილი ეზრუნათ თავიანთ საქმეებზე, უნდოდათ თავიანთი მოთხოვნილებაც წარედგინათ ვისთანაც ჯერ იყო. ასეთ პირობებში სწავლების გაგრძელება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ბოლო დროს“[2], რის შედეგად მთელ რიგ სკოლებში მეცადინეობა შეწყდა.

1905 წლის თებერვლის დასაწყისში ქუთაისის გუბერნატორმა მასების თვალის ასახვევად და უკმაყოფილების შესანელებლად მასწავლებლებს „ნება დართო“ თავისუფლად კრებების მოწვევისა, რათა „ემსჯელათ თავიანთ საქმეებზე“, მაგრამ 1905 წ. 20 თებერვალს ქუთაისის მასწავლებელთა ყრილობამ გუბერნატორისაგან დეპეშა მიიღო: — „თქვენ თურმე, რაღაც მოთხოვნილებები გქონდათ ჩემთან წარმოსადგენი და ამიტომ კრების გამართვის ნებას მე ვერ დაგრთავთო“. მასწავლებლებმა, ამ დეპეშის მიღების შემდეგ მუშაობა შესწყვიტეს და საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულები მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას, პოლიტიკურ თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვის, კრებებისა და პრესის თავისუფლებას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მატერიალურ უზრუნველყოფას, ბიუროკრატიის ბრჭყა-

[1] გაზ. „ლამპარი“ № 41, 1906 წ.

[2] ჟურნ. „განათლება“ № 8—9, გვ. 487—493, 1916 წ.

ლებისაგან სკოლის განთავისუფლებას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას და სკოლებიდან რელიგიის განდევნას[1].

მასწავლებლები მთელი თვეობით ვერ იღებდნენ კუთვნილ ჯამაგირებს, ხოლო მთავრობა სასწავლებელთა უფროსებს ავალებდა „ყოველგვარი ზომების“ მიღებას სასწავლო გადასახადების დავალიანებათა დასაფარავად, რომ „დაეჩქარებინათ“ მასწავლებელთა ხელფასის გაცემა. 1905 წ. 25 დეკემბრის (№ 18884) „ცირკულიარით“, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა სკოლის დირექტორებს აუწყა, რომ „...მასწავლებლებზე შეუძლებელი გახდა, არა მარტო დეკემბრის, არამედ ნოემბრის და ხშირად კი — ოქტომბრის ხელფასის გაცემა“. ამის მიზეზს სასწავლო ოლქის „სამზრუნველო“ მოსწავლეთა მიერ სასწავლო გადასახადების გადაუხდელობაში ხედავდა[2]. აქედან, ნათელია, თუ რამდენად „ზრუნავდა“ მთავრობა საკუთარი სახსრებით მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

1905—1906 წ. წ. მუშათა მოძრაობის გაძლიერებას მთავრობამ თვალის ამხვევი „დაპირებებით“ და სასტიკი რეპრესიებით უპასუხა. მუშებსა და გლეხებთან ერთად სცემდნენ, აპატიმრებდნენ, ჰკლავდნენ, ციმბირში აგზავნიდნენ, აწიოკებდნენ და სდევნიდნენ საქართველოს მოწინავე მასწავლებლობას „...უთვალავ მასწავლებლებს იჭერდნენ, ითხოვდნენ ადგილებიდან, სდევნიდნენ ყველას, ვისაც კი განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის მხარი მიუცია“, სდევნიდნენ მათ, არა როგორც პიროვნებებს, არამედ როგორც დამონებული ერის წევრებსაც.[3] განმანთავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მასწავლებლებს სისტემატურად აძევებდნენ სასწავლებლიდან, ხურავდნენ სკოლებს. 1906 წლის იანვრიდან ნოემბრამდე მარტო „იმერეთის საეპარქიოში“ ადგილობრივ სამრევლო სკოლის ინსპექტორის განკარგულებით 20—30-დე სკოლა დახურეს, სრულიად უდანაშაულოდ მოხსნეს ხალხის ერთგული მასწავლებლები; ერთ-ერთ მათგანს 1906 წ. იანვარში ყაზახებმა სახლი და მთელი ქონება გადაუწვეს[4]. მშრომელი ხალხის დევნა-შევიწროვებას, სასტიკ რეპრესიებს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა აწიოკებას მთავრობა თავისი მოქმედების „სამართლიან წესად“ სთვლიდა. 1906 წ. 4 ივლისს „პეტრე

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 8-9, გვ. 487-493, 1916 წ.
[2] „Циркуляр по Управлению Кавказ. учебным округом“ № 12, стр. 1040—1042, 1905 г.
[3] ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი“ № 1, გვ. 1—19, 1906 წ.
[4] გაზ. „ტალღა“ № 32, 1906 წ.

დიდის“ ქუჩაზედ, ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიის ახლოს ყუმბარით დასჭრეს თბილისის პოლიცმეისტერი მარტინოვი, პოლიციამ ალყა შემოარტყა სკოლის შენობას, სროლა აუტეხა ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ, ხოლო „როდესაც ზალპით გული იჯერეს, ჯარი შეიჭრა გიმნაზიის შენობაში. და შეუდგა იქაურობის აკლებას და შიგ მცხოვრებთა ცემა-ყლეტას“.[1] პოლიციელები თავს დაესხნენ ამავე გიმნაზიის მასწავლებლებს, ტყვიით განგმირეს სკოლის გამგე, მოწინავე პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე—შიო ჩ ი ტ ა ძ ე, მძიმედ დასჭრეს და დაუპატიმრეს ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ი. აბულაძე, ხ. ღლონტი და სხვ. ტყვიების ცეცხლით დასჭრეს და დაასახიჩრეს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელნიც[2].

„ამ ნახევარი წლის განმავლობაში თბილისმა გამოსცადა 29 აგვისტო, 22 ოქტომბერი, 22 დეკემბერი, ამას კიდევ ახლა 4 ივლისი მიემატა. დიახაც, 4 ივლისის ამბავი — ეს მთავრობის შურისძიება იყო. მან კარგად იცოდა, რომ გიმნაზიის მასწავლებლები და მოსამსახურეები თავის სახლიდან მარტინოვს ყუმბარას არ ესროდენ, მაგრამ მან მაინც ამოხოცა და ააწიოკა უდანაშაულო ადამიანები;“ — წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“[3]. ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — შიო ჩიტაძის ვერაგულმა მკვლელობამ, მშრომელ მასებში თვითმპყრობელობისადმი უდიდესი ზიზღი და აღშფოთება გამოიწვია. აღნიშნული ვერაგული მკვლელობისა და გიმნაზიის დარბევის შესახებ ეცნობა, როგორც პირველ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, ისე სათათბიროს ქართველ დეპუტატებსაც, მაგრამ 8 ივლისს მეფის მიერ მისი გარეკვის გამო, სათათბიროს აღნიშნული საკითხი არ განუხილავს. ასევე, საზოგადოებრივი შეკრებებისა და კერძო პირებისაგან მთავრობას მთელი რიგი საპროტესტო მიმართვები გაეგზავნა. პრესა ფართოდ გამოეხმაურა შ. ჩიტაძის მხეცურ მკვლელობასა და მთავრობის ვანდალურ მოქმედებას. ბოლშევიკები საქვეყნოდ ააშკარავებდნენ მეფის სატრაპებისა და პოლიციის ჯაშუშების მიერ მოწყობილ ვერაგულ მოქმედებას და მშრომელ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ გიმნაზიის აკლების, შ. ჩიტაძის მკვლელობისა და მასწავლებელთა აწიოკების შემაძრწუნებელ

---

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 13, 6 ივლისი, 1906 წ.
[2] გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 13, 6 ივლისი, 1906 წ.
[3] გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 14, 7 ივლისი, 1906 წ. გვ. 2, სტატიიდან „მთავრობის შურისძიება“.

სურათს შემდეგნაირად აგვიწერეს: „...4 ივლისს პოლიცმეისტერის დაჭრის შემდეგ პოლიციელებისა და ჯარის მსხვერპლი გახდა სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე. 5 ივლისს პოლიციელებმა განსვენებული შიო ჩიტაძის გვამი გამოიტანეს სასწავლებლის შენობიდან და მიხაილოვის საავადმყოფოში წაიღეს. ამის შემდეგ გიმნაზიის შენობაში შესვლის ნება ხალხსაც მისცეს. შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს სასწავლებელი. მთელი შენობა დაბლა სართულიდან დაწყებული მესამე სართულამდე აოხრებული და განადგურებულია. აოხრებულია როგორც კერძო პირების — შვეიცრისა და სხვების ბინები, აგრეთვე, სკოლის სასწავლო ნივთებიც. დანგრეულია სასწავლებლის წიგნსაცავი, წიგნები სულ ერთიანად დახეულია. მთელს შენობაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ემჩნევა სისხლის წვეთები, ეტყობა დაჭრილ მასწავლებელთ ბევრი ურბენიათ, რომ როგორმე თავისათვის ეშველნათ. ყველაზე უფრო გულის მომკვლელია დირექტორ შიო ჩიტაძის სადგომი. სასადილო ოთახი, სადაც განსვენებული მოუკლავთ, სისხლით არის მოსვრილი. იატაკზე დამხმარი ტბაა სისხლისა. მოსვრილია სისხლით კედლები და ჭერიც, ეტყობა სისხლის კამარას ჭერში აუსხამს. სტოლზე ძევს სისხლით გასვრილი დანა, ალბად ამ დანით გამოსჭრეს შიოს ყელი ტყვიით დაჭრის შემდეგ. დახეულია და სისხლში ყრია განსვენებულის წიგნები, რვეულები და სხვ. სისხლში ყრია ნაკუწ-ნაკუწათ დახეული განსვენებულის სურათებიც. დალეწილი და დამსხვრეულია შკაფები, ყუთები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი რამ ყოფილა სახლში"[1].

მასწავლებელთა დაპატიმრება-გადასახლების, მატერიალურ-უფლებრივი დაბეჩავების და სკოლების აოხრების ანალოგიური შემთხვევები ისე, როგორც მთელს რუსეთში, საქართველოშიაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ პედაგოგთა მოწინავე ნაწილი, მუშათა კლასთან ერთად, აღნიშნული მდგომარეობისაგან ერთადერთ გამოსავალს ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში ხედავდა. მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილობასა და აღშფოთებას ადგილი ჰქონდა არა მარტო საერო, არამედ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლებშიაც. სამრევლო სკოლების მასწავლებლობა ორ ჯგუფად იყოფოდა: პირველ

---

[1] აღნიშნული მდგომარეობის შესახებ წერილი გამოქვეყნებულია შემდეგი სათაურით: „სათავად-აზნაურო გიმნაზიის აკლება".

გაზ. „ახალი ცხოვრება" № 14, 7 ივლისი, 1906 წ.

ჯგუფში შედიოდნენ მთავრობის ერთგული მონები, ხუცები, რომელთაც წლიურად 120—300 მან. ეძლეოდათ, ხოლო მეორე ჯგუფში ე. წ. „მასწავლებელ-პროლეტარნი“.[1] აღნიშნული სკოლის მასწავლებლები, მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც არ მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას, პასიურად თანაუგრძნობდნენ ხალხის რევოლუციურ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. „სამრევლო სკოლის მასწავლებლები მერყეობდნენ, რევოლუციის ქუხილს ნაკლებად მიჰყვებოდნენ, სხვისგან მოელოდნენ განთავისუფლებას“, ხოლო თვითონ, მოძრაობას პასიურად, გარედან უყურებდნენ.[2]

ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, მუშათა მასებთან ერთად, სამრევლო-საეკლესიო სკოლებისა და სხვა სასწავლებლების მერყევ ელემენტებს სამართლიანად არწმუნებდა: „...სანამ თვითმპყრობელური ბიუროკრატია ძირფესვიანად არ აღმოიფხვრება, რომელიც მთელი რუსეთის ცხოვრებას და სკოლებსაც წამლავს, მანამ არც თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდებაო“, და მათაც სახალხო-რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისაკენ მოუწოდებდა.

1906 წლის დეკემბრიდან, როდესაც რეაქციის გამოცოცხლება დაიწყო, თვითმპყრობელობა რევოლუციის მამოძრავებელი ძალების წინააღმდეგ ანგარიშის გასწორებას შეუდგა. მუშების, მშრომელი გლეხობისა და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის მოწინავე ელემენტებს სასტიკი რეპრესიებით: ცეცხლითა და მახვილით, ციხე-სახრჩობელებით, როზგითა და კატორღაში გაგზავნით უმოსპინძლდებოდნენ. თვითმპყრობელობისადმი ჯაშუშურ სამსახურს ერთგულად ასრულებდნენ „სულიერი მამები“ (მღვდლები), რომლებიც მასწავლებელთა ამა თუ იმ მოქმედების შესახებ პოლიციას სასწრაფო ცნობებს აწვდიდნენ. „როგორც ეშმაკს შეშურდა ადამ და ევას ნეტარება სამოთხეში, ისე დუშეთის ბლაღოჩინს მღვდელს ჯაშუშ მ-ელს შეშურდა ჩვენი სოფლის კეთილდღეობა და ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ორჯერ ციხეში დაამწყვდევინა და ამგვარად სამუდამოდ მოგვაშორა ჩვენი ავკარგის გულშემატკივარ კაცსო“, ბოლშევიკურ გაზეთ „დროში“ წერდა „ბაზალეთელი გლეხი“[3].

---

[1] გახ. „ლამპარი“ № 30, 1906 წ.
[2] გახ. „ლამპარი № 33, 1906 წ.
[3] გახ. „დრო“ № 15, 1907 წ. 28 მარტი.

განათლების სამინისტრო და „უწმინდესი სინოდი“ ქვემდებარე ბიუროკრატიულ აპარატებში მყოფი ჩინოვნიკების დახმარებით სასტიკად სდევნიდნენ „არა საიმედო“ და „ზნეობრივად შეუმოწმებელ“ მასწავლებლებს. ჯერ კიდევ 1906 წელს კავკასიის სამოსწავლო ოლქმა განათლების სამინისტროსაგან მიიღო „ცირკულარი“, რომლის ძალითაც სახალხო სკოლათა დირექტორებს დაევალათ „...პირველდაწყებით სკოლებში მხოლოდ ზნეობრივად შემოწმებული და პოლიტიკურად კეთილსაიმედო მასწავლებლები“ დაენიშნათ; ამ „ცირკულარის“ ძალით, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორს თბილისის ქალაქის მოურავმა დაავალა: „მაცნობეთ ყველაფერი სახალხო სკოლათა მასწავლებლების კანდიდატებზეო“.

რეაქციის აღმავლობის პერიოდში მშრომელი ხალხი შიმშილსა და სიღატაკეს განიცდიდა. სახალხო მასწავლებლებიც ყოველმხრივი ჩაგვრის მძიმე ჭაპანს ეწეოდნენ. არანაკლებ ჩაგვრას განიცდიდნენ სამრევლო სკოლის მასწავლებლები, რომლებიც — „უწმინდესი სინოდის“ რწმენით, — ადგილობრივი მღვდლების ერთგულ მონებად ითვლებოდნენ. აღნიშნული სკოლის მასწავლებლებს აკრძალული ჰქონდათ სკოლის მართვაგამგეობის საქმეებში ჩარევა და მონაწილეობა. მასწავლებელი მღვდლის ყურმოჭრილი მსახური და ერთგული ყმა უნდა ყოფილიყო, რაც ხშირად მათ შორის კონფლიქტებისა და პოლიციაში ჯამუშური დასმენის საბაბი ხდებოდა. სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ბრძანებლებად ითვლებოდა ადგილობრივი მღვდელი, მაზრის სკოლების მეთვალყურე, ბლაღოჩინი, სამრევლო სკოლების ეპარქიალური მეთვალყურე და ექსპლუატატორთა მთელი იერარქია, მაგრამ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები უშუალო ჩაგვრას მაინც „სულიერი მამების“ ადგილობრივ წარმომადგენელთაგან განიცდიდნენ: „ადგილობრივი მღვდელი სამრევლო სკოლას გამგედ მოვლენია მხოლოდ იმიტომ, რომ საწყალ მასწავლებელს ყოველ ნაბიჯზე წყალი უმღვრიოს, მთავრობასთან აბეზღოს, ცოტა რამ მიზეზისა გამო საჩივრები და დავა აუტეხოს, სამსახურიდან დაათხოვინოს; ამაში გამოიხატება მღვდლის მზრუნველობა მისდამი რწმუნებულ სკოლის საქმეზეო“, წერდა სამრევლო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი[1].

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 1, 1908 წ. გვ. 109—114.

სამრევლო სკოლის მასწავლებლები მღვდლის მიერ ყოველ-მხრივ შევიწროებასა და დევნას განიცდიდნენ. მასწავლებელს მღვდლის წინადადებით სამსახურიდან ხსნიდნენ: ეკლესიაში წირ-ვაზე მოსწავლეების გამოუცხადებლობისათვის, მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისა და განათლების შუქის შეტანისათვის.

თიანეთის მაზრის სოფ. საყდრიონის მასწავლებელი მღვდელ-მა იმიტომ მოახსნევინა, რომ მასწავლებელმა საღამოობით მოზრ-დილთათვის საკვირაო სკოლა მოაწყო, სადაც ხალხს ჟურნალ-გა-ზეთებს უკითხავდა, წერა-კითხვას ასწავლიდა და განათლებას აძ-ლევდა. მღვდელმა მთავრობას მისწერა: „მასწავლებელი თავისი საქციელით მუუდრო ცხოვრებას ჭირღვევსო“ და თანაც დასძინა: „მავნებელი მიმართულებისა არისო“. ასეთი ჯაშუშური მიმართვა „საქმარის საბუთი“ აღმოჩნდა აღნიშნული მასწავლებლის სამსა-ხურიდან მოხსნისა და ულუკმაპუროდ დატოვებისათვის.

მასწავლებელთა დევნა-შევიწროება და პოლიციის მზრივ სას-ტიკი რეპრესიები სისტემატიურ ხასიათს იღებდა. 1909 წელს „არასაიმედობის“ გამო, ოზურგეთის მაზრიდან 3 მასწავლებელი გადაასახლეს. ამავე წლის 28 თებერვლიდან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით „საგუბერნატოროდან“ გადასახ-ლებულ იქნა ადგილობრივი საქალაქო სკოლის გამგე ვ. ბურჯანაძე. „ამ გადასახლების დაჩქარებაში დიდი მუყაითობა გამოიჩინა ადგ-ლობრივმა დირექციამ“.[1]

მასწავლებელთა მცირე ნაწილი, რომელიც მიტინგებით, კრე-ებებით და „დადგენილებებით“ კმაყოფილდებოდა, მთავრობასთან შერიგების გზას ადგა და საბოლოოდ გადაბარგდა რეაქციისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ბანაკში.

კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი“ — რუდოლფი მას-წავლებელთა ამ ჯგუფის „დიდ დამსახურებად“ აცხადებდა „სკოლის ერთადერთ სწორ (პოლიტიკისაგან ჩამოშორების) გზაზე დაყენე-ბას“, რომელიც მისი აზრით, უზრუნველყოფდა „მოსწავლეთა კულ-ტურული და ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესებას“.

„მე სრულ პასუხისმგებლობას ვკისრულობ დავადასტურო, რომ მათ (ლიბერალ მასწავლებელთა, ტ. ს.) შრომას უქმად არ ჩა-უვლია იმ სამწუხარო ნაშთების ლიკვიდაციის საქმეში, რომელიც მან თავისდაუნებურად მემკვიდრეობით მიიღო წარსული თაობი-დან... მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებით და მათ

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 1, 1909 წ. გვ. 125—128.

მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ფულად ასიგნობათა გადიდებით სკოლა არ დააგვიანებს, ხელახლა დაიკავოს ის საპატიო ადგილი, რომელიც მას ახლო წარსულში ეკავა", — აცხადებდა რუდოლფი[1].

იდეურად შეგნებული და რევოლუციურად განწყობილი მასწავლებელთა დიდი ნაწილი, მუშათა კლასსა და მთელ მშრომელ მასებთან ერთად, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პოზიციებზე იდგა. ცხადია, სხვებთან ერთად, ასეთ მასწავლებლებს თვითმპყრობელობა სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდებოდა. 1910 წელს დაბა ჩოხატაურის ბოქაულმა — ივასიუკმა გზაში მიმავალ მასწავლებელს სცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას გრძელი თმები შეამჩნია, რაც მას „მარქსის სახეს აგონებდა".[2] ბოქაულის მრისხანე ბრძანებით მასწავლებელი სასწრაფოდ გაკრიჭეს, ბორკილებგაყრილი წინ გაიგდეს და 26 კმ. მანძილზე ფეხით სიარულის შემდეგ ოზურგეთის სამაზრო ციხეში შეაგდეს. ამავე ბოქაულმა, სრულიად უმიზეზოდ, ერთ-ერთი მასწავლებელი მოსწავლეების თვალწინ „ჯერ ადგილობრივ გაამათრახა, შემდეგ გაიგდო წინ და მთელი სოფელი ცემით ჩამოატარა".[3] ბოქაულის ასეთი მხეცური ქცევის გამო, აღნიშნული მასწავლებლები მაზრის უფროსმა (გენერალ-გუბერნატორმა) იმით „დაკმაყოფილა", რომ ისინი სამსახურიდან მოხსნა და გურიის მაზრიდან გადაასახლა. მასწავლებლის ფიზიკური და ზნეობრივი დასჯის ანალოგიური შემთხვევები სისტემატურ ხასიათს იღებდა. „...ჩვენში მასწავლებელი დაბალ ღობედაა ცნობილი... ის ყველა შეურაცყოფილზე და უუფლებოზე შეურაცყოფილი და უუფლებოა. მისი ჩაწიხლვა ყველას დაუსჯელად ჩაუვლის. შეიძლება ამისათვის მადლობაც კი მიიღოს, ვისგანაც ჯერ არს", საკუთრივ სწორად წერდა გურიის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი.[4]

მასწავლებლებისათვის სიმართლე არ არსებობდა. რაც უნდა უდანაშაულო ყოფილიყო ის, „მართლმსაჯულობა" საქმეს მაინც პოლიციელთა და „უფროსთა" სასარგებლოდ სწყვეტდა, ხოლო ამიერიდან ათვალწუნებული მასწავლებელი „პრივილეგიურ პირთა" დევნა-შევიწროების ობიექტი ხდებოდა. „ბეჩავი მასწავლებე-

---

[1] „Отчет о сост. уч. зав. Кавк. округа за 1908 г.", стр. 21—22.
[2] ჟურნ. „განათლება" № 6, გვ. 373—375, 1911 წ.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ჟურნ. „განათლება" № 6, გვ. 373—375, 1911 წ.

ლი ხშირად 5—6 თვის განმავლობაში გროშის აღებასაც ვერ ეღირსება. საჩივარი ძნელი გასაბედია, მაგრამ არ სჭრის. ბოქაული მისწერს: მამასახლისს: „მასწავლებელი დააკმაყოფილეო“, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში მამასახლისი ადვილად უვლის გვერდს უფროსის ბრძანებას და მასწავლებელი მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება. ცხადია, აქ რაღაც საიდუმლოებაა და ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი დასჯილა“.[1]

მასწავლებლებს ავალებდნენ ყოველივე დაბეჩავებისა და დამცირების „მოთმინებით“ ატანას, ხოლო უკმაყოფილების შემთხვევაში მათ მიმართ დასჯის მკაცრ ზომებს იყენებდნენ. აქედან გამომდინარეობდა ის ფაქტიც, რომ რევოლუციის ხელახალი აღმავლობით შეშინებულმა მეფის მოადგილემ (კავკასიაში) სამოსწავლო ოლქის „მზრუნველს“ 1913 წელს კატეგორიულად დაავალა „...ფრიად ენერგიული ზომების მიღება საპედაგოგო მოქმედებიდან იმ მასწავლებელთა და აღმზრდელთა ჩამოსაშორებლად, რომელნიც თავისი დანიშნულებას არ ემსახურებიან“, და ამრიგად, სამოსწავლო უწყების შევსება „ღირსეული“ და „შესაფერი ელემენტებით[2]“. სახალხო მასწავლებელთა ამგვარი დევნა-შევიწროვების, ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის, უუფლებობისა და უმწეო მდგომარეობის შესახებ 1913 წელს მშრომელთა დიდი ბელადი — ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთი ღატაკია, როდესაც ლაპარაკია სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირზე. მათ საცოდავ გროშებს აძლევენ. სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ და იყინებიან ქოხებში, რომლებიც არ თბება და თითქმის საცხოვრებელი არც კია. სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ საქონელთან ერთად, რომელთაც გლეხები ზამთრობით ქოხებში ერეკებიან. სახალხო მასწავლებელს სდევნის ყოველი იასაული, სოფლის ყოველივე შავრაზმელი ანდა მოხალისე ოხრანიკი ან ჯაშუში, რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის მხრივ დევნასა და შევიწროებაზე“.[3]

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 6, გვ. 373—375, 1911 წ.
[2] ჟურნ. „განათლება“ № 8, გვ. 161—166, 1913 წ.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი—სახალხო განათლების შესახებ, გვ. 102, 1936 წ.

2. მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ახალი სკოლისათვის

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკამ, იეზუიტური რეჟიმის გამწვავებამ სკოლებში, უაზრო ზეპირობამ, რელიგიური დოგმატების ზეთხვამ, მშობლიური ენის აბუჩად აგდებამ, მოსწავლეთა პიროვნების დამცირებამ, ეკონომიურმა და უფლებრივმა შეზიწროვებამ, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მოსწავლე ახალგაზრდობა აამხედრა არსებული წყობილებისა და ცარიზმის „სასწავლო-საალმზრდელო“ პოლიტიკის წინააღმდეგ. მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ჩაისახა და განვითარდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80—90-იან წლებში, რომელიც პირველ ხანებში არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

1880 წლის დამლევს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩამოყალიბდა არალეგალური წრე, რომელიც ძალიან სუსტად იყო დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან და მთავარ მიზნად ახალგაზრდობის „კულტურულ მომზადებას“ ისახავდა. შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უფრო შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. 1893 წლის 30 ნოემბერს, ი. ბ. სტალინის თანამებრძოლის ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით, ქალაქგარეთ (საბურთალოზე) მოეწყო თბილისის სემინარიელთა პირველი კრება, რის შედეგად 1-ლი დეკემბრიდან სემინარიაში დაიწყო ოთხდღიანი გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ: ზრდილობიან მოპყრობას, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსებას, ქართული გალობის აღდგენას და სხვ. მოსწავლე ახალგაზრდობის ასეთი მოქმედების შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა პეტერბურგის ჟანდარმთა კორპუსის უფროსს დეპეშით აცნობა. ეგზარხოსის დეპეშის თანახმად, სინოდის განკარგულებით, მოწაფეები დათხოვილ იქნენ ახალი წლის 8 იანვრამდე, ხოლო სემინარიიდან გარიცხვით დაისაჯა 87 მოსწავლე, მათ შორის — ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ც[1].

---

[1] ლენინური გაზ. „ისკრა“ № 25, 1902 წ. ციტირებულია წიგნიდან „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წ.“

1894—1895 წლებში მოსწავლეთა რევოლუციურმა მოძრაობამ თანდათან ორგანიზებული და შეგნებული ხასიათი მიიღო. ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ი. ბ. ჯუღაშვილის მიღებამ თბილისის სასულიერო სემინარიაში (1894 წ.). მან პირველმა ჩამოაყალიბა მოწინავე სემინარიელთა არალეგალური რევოლუციურ-მარქსისტული წრე, რომელიც წინა წრეებისაგან განსხვავებით მიზნად ისახავდა არა „მწერლობის შესწავლით" დაკმაყოფილებას, არამედ, ამასთან ერთად, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკის, კლასთა ბრძოლის საკითხების შესწავლას, რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას. გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში, სასულიერო სემინარიაში არსებული რეჟიმის შესახებ, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „**პროტესტის ნიშნად იმ დამამცირებელი რეჟიმის და იეზუიტურ მეთოდების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სემინარიაში, მე მზად ვიყავ გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების, მომხრე**"[1]. და მართლაც, ამხანაგი სტალინი აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა რევოლუციურ-მარქსისტულ წრეებს ფაბრიკა-ქარხნებში, სხვადასხვა ტიპის სკოლებში და სხვ., სწორედ ამის გამო, ლენინური „ისკრა" (№ 25, 1902 წ.) წერდა, რომ ს. დ. კომიტეტის პროპაგანდის გავლენა — „საზოგადოების სხვა ელემენტებსაც დაეტყო. მოსწავლე ახალგაზრდობამ სცადა შეექმნა ორგანიზაცია, რომელიც მოიცავდა თბილისის საშუალო სასწავლებელთა მთელს. საკმაოდ დიდს რაოდენობას. ეს ორგანიზაცია სცემდა ბიულეტენებს, აქ საზოგადოება ეცნობოდა სტუდენტთა მოძრაობის ამბებს. „თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტის" ხელმოწერით გამოქვეყნებულია უკვე რამდენიმე ნაბეჭდი ბიულეტენი, რომლებიც ეხება მოსწავლის პიროვნების დაბეჩავების სისტემას, რომლითაც მთავრობა ცდილობს თავისი მონების შექმნას".

მართლაც, 1900—1902 წ. წ. საქართველოსა და ამიერკავკასის ბევრ სკოლაში ჩამოყალიბდა არალეგალური მარქსისტული წრეები და ჯგუფები, რომლებსაც უშუალოდ ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

---

[1] ი. ბ. სტალინი—სახალხო განათლების შესახებ, გვ. 49, 1939 წ. გახგასმა ჩვენია, ტ. ს.

„1900 და 1901 წლები აღინიშნენ იმით, რომ მოწაფეთა წრეების ქსელი გასცილდა სემინარიის ზღუდეებს. დაარსდენ მინაგვარი წრეები სხვა სასწავლებლებშიც, ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტში, მიწათმზომელთა სასწავლებელში და საბაღოსნო სასწავლებელში...“

საჭირო შეიქმნა ამ სასწავლებელთა გადაჯგუფება. ახალგაზრდა სტალინი, რომელიც კარგად იცნობდა ყველა ამ სასწავლებლების მოწინავე ამხანაგებს, სათავეში ჩაუდგა თბილისის მოწაფეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას.

„...იგი შესამჩნევად ერკვეოდა კონსპირატიულ პირობებში და ამიტომ ორგანიზაციის გზისა და კვალის გამოძებნა არც ისე ადვილი იყო ჩვენი მოწინაღმდეგეებისათვის. თბილისის მოწაფეთა ორგანიზაცია ატარებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელს. იგი ღებულობდა წევრებს დიდი დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ, წევრები იხდიდენ საწევრო გადასახადს (თვეში 15 კაპ.) და ეს თანხა შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტში“.[1]

არალეგალური ჯგუფები და წრეები მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მოსწავლეთა გამოსვლებს.

ამხანაგ **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით ძლიერდებოდა მოსწავლეთა ორგანიზაციები, ეწყობოდა მოსწავლეთა გაფიცვები. 1901 წ. მაისში ასეთი გაფიცვები მოაწყო ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტის, მიწისმზომელთა სასწავლებლის, ტექნიკური სასწავლებლისა და სემინარიის მოსწავლეებმა, რომელსაც **სტალინი** მეთაურობდა[2].

მოსწავლეები ორგანიზებულად, აქტიურად და შეგნებულად მონაწილეობდნენ მოძრაობაში. ყოველივე ეს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ამხ. **სტალინის** მტკიცე ხელმძღვანელობის შედეგი იყო. ამხანაგმა **სტალინმა** ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროსვე დაიწყო ბრძოლა სკოლებში გამეფებული

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფ. № 34. საქმე № 13. გვ. 26—27.
ესარგებლობთ ნ. ჩახავაშვილის წიგნით „საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა პირველი რევ. პერიოდში“, გვ. 47—48, 1941 წ.

[2] გ. ელისაბედაშვილის მოგონებიდან — ამხანაგ სტალინის შესახებ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი ფონდი № 34, საქმე № 13, გვ. 26—28.

იეზუიტური რეჟიმის, პოლიციური მაძებრობის და მოსწავლეთა-დევნა-შევიწროების წინააღმდეგ. 1901 წ. 22 აპრილამდე ამხანაგი სტალინი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს ამზადებდა საპირველმაისო დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ამავე წლის პირველნახევარში მისივე ინიციატივით „რსდმპ თბილისის ორგანიზაციასთან შეიქმნა ჯგუფი მოსწავლეთა შორის სამუშაოთ"[1]. ი. ბ. სტალინი დიდ მუშაობას ატარებდა: „რკინისგზის მუშებს შორის, თამბაქოს ქარხნების მუშებს შორის, ტრამვაის მუშებს შორის, ტყავის ქარხნების მუშებს შორის, ტრამვაელებსა, ტყავზე მომუშაეთა და მოსწავლეთა ახალგაზრდობას შორის, სადაც ის მისთვის ჩვეულ ბოლშევიკური სიმტკიცით და რწმენით სჯედავდა კადრებს ცარიზმის დამარცხებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის"[2]. ამხანაგი სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა რევოლუციურ-მარქსისტული წრეების მუშაობას, ახალგაზრდობას ზრდიდა რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით, რაზმავდა და ამჭიდროებდა მათ პროლეტარიატის გარშემო. „ბათუმის მუშების ისტორიულმა გაფიცვამ 1902 წლის თებერვალ-მარტში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობაზეც.

მაშინ მე ბათუმის გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე ვიყავი და ვცხოვრობდი ბიძასთან, ქართული სკოლის მასწავლებელთან. სკოლის შენობაში იმართებოდა ეგრეთწოდებული „მესამე დასელთა" კრებები და ამავე სკოლაში, ჩემს ოთახში იმართებოდა ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეთა თვითგანვითარების კრებები. ეს წრე მოეწყო 1901 წლის დამლევს და შესდგებოდა უფროსი კლასის 10 მოწინავე მოწაფისაგან. ჩვენი წრე ცდილობდა უშუალო კავშირი დაემყარებინა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც გაფიცვას ატარებდა. ჩვენ ვიცოდით რომ ბათუმის მუშათა გაფიცვას ხელმძღვანელობდა თბილისიდან ჩამოსული პროფესიონალი რევოლუციონერი სოსო ჯუღაშვილი. ჩვენ აგრეთვე ვიცოდით, რომ იგი ცხოვრობდა კონსპირატიულ ბინაზე, და ეს გარემოება კიდევ უფრო აღვივებდა ჩვენს ინტერესს მისდამი.

ბოლოსდაბოლოს ჩვენ შევძელით კავშირის დამყარება ამხა-

---

[1] ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია" № 1, 1939 წ.

[2] კრებული „ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს", გვ. 117—120, 1939 წ. ქართ. გამოცემა.

ნაგ ჯუღაშვილთანო“, — წერდა თავის „მოგონებაში“ ბათუმის ქარხნის ძველი მუშა — ივ. რამიშვილი[1].

მოსწავლეთა წრეები და არალეგალური მარქსისტული ორგანიზაციები სტალინური გეგმის მიხედვით მუშაობდნენ. ეს მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან და თვით ამ მოძრაობის ორგანიზატორის — ამხანაგ სტალინის სახელთან.

1902 წ. 5 აპრილს, ღამის პირველ საათზე, ქ. ბათუმში „...ჟანდარმებმა ამხანაგ სტალინთან და დარისპან დარახველიძესთან ერთად დააპატიმრეს სოსოსთან მისული გიმნაზიელი, მოწაფეთა არალეგალური წრის წევრი“[2]. მთავრობის მოხელეები მუშებთან ერთად სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ მოსწავლეთა არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს: „არც მოსწავლეები ჩამორჩენ საერთო მოძრაობას, მათაც გაუწოდეს ხელი მუშა-ხალხს და თავიანთი ნორჩი ხმა შეუერთეს მათს რევოლუციურ ხმას“[3].

მოსწავლეთა და სტუდენტთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. პოლიციელებმა 1901 წლის 18 აპრილიდან დაწყებული მრავალჯერ მოაწყვეს სტუდენტთა და მოსწავლეთა ჩხრეკა-დაპატიმრებანი, „გაჩხრიკეს მერვე კლასის გიმნაზისტები და რამდენიმე მათგანი დაატუსაღეს. ერთმა დატუსაღებულმა გიმნაზისტმა — სტანისლავ სარპოვსკიმ, შეშინებულმა დაუსახელა ჟანდარმებს ის პირი, ვინც აძლევდა მას წიგნებს საკითხავად“.[4]

მოსწავლეთა შევიწროვებისა და სასჯელის შესახებ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის გამო ლენინურ-ისკრულ გაზეთ „ბრძოლაში“ — ლადო კეცხოველი წერდა: „აიღეთ თუნდაც ჩვენი ახალგაზრდობის უკანასკნელი დღეები: სატუსაღო, ციმბირი, ცემა-ტყეპა, მექრთამეობა — აი, რა საშუალებით ახშობდა მთავრობა სტუდენტების სამართლიან მოთხოვნილებას და როცა ამ საშუალებითაც ვერას გახდა — სწავლის, უნივერსიტეტის მაგიერ თოფებით კაზარმებში გაისტუმრა“.[5]

---

[1] კრებული, ბათუმის დემონსტრაცია 1902 წ., გვ. 117—120, 1939 წ. ქართული გამოცემა.

[2] იქვე, გვ. 52.

[3] კრებული, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგ. პროკლ. 1904—1906 წწ., გვ. 119.

[4] გახ. „ბრძოლა“, № 1, 1901 წ. გვ. 6.

[5] გახ. „ბრძოლა“ № 1, 1901 წ. გვ. 11.

მოსწავლეთა და სტუდენტთა მოძრაობის გაძლიერებას მთავრობა — როზგით, საღრჩობელათი, „გამასწორებელ როტებში“ გაგზავნით, საპყრობილეთი და სასჯელის სხვა ზომების გამოყენებით პასუხობდა. 1901—1902 წ. წ. მშრომელ ახალგაზრდობაში მღელვარების გაძლიერებას შედეგად მოჰყვა სასწავლებლიდან მოსწავლეთა მასობრივი გარიცხვა და ჯარში გაგზავნის შემთხვევათა გახშირება.

1901 წ. 5 მარტის თარიღით დაწერილ მეგობრულ წერილში, კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, ამჟამად, ცნობილი მეცნიერი — აკად. კორნელი კეკელიძე, თავის სკოლის მეგობარს— თელაველ მ. ელიზბარაშვილს სწერდა:

„...მეორე მხრით კი, ქართველები მეტად შეგვაწუხა ერთმა გარემოებამ. აქაურს უნივერსიტეტში, როგორც გწერდი ამას წინად და როგორც გაზეთებიდანაც გაიგებდი, **ბუნტი მოხდა**, რის შედეგი ის იყო, რომ 185 კაცი სალდათად წაიყვანეს, ვინ სამი წლის ვადით, ვინ ორის და ვინ ერთის. მათ რიცხვში ჩვენები — **ქართველები 18 კაცი მოჰყვა**. თვრამეტივე გაფანტულნი არიან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში“[1].

მთავრობის რეპრესიებმა მოსწავლეთა რევოლუციური გამოსვლები არა თუ ვერ ჩააქრო, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა. მაგრამ, როდესაც ამ გზითაც ვერაფერს გახდა, თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობის შესანელებლად „...რომანოვების სასიხარულო დღეს, როდესაც ხელმწიფა იმპერატრიცამ ჰშვა მეოთხე ასული დიდი ხნის სანატრელი მემკვიდრის მაგივრად, იმპერატორი, აღსავსე ლმობიერი, მოსიყვარულე და მოსწავლე ახალგაზრდობაზე „მზრუნველობითი გულით“ აცხადებს „მანიფესტს“, რომლითაც სალდათ სტუდენტებს გულმოწყალეთ ჰპირდება, რომ თქვენ, სალდათობას ნამდვილ სამსახურში ჩაგითვლიან. აგეთივე გულითად მზრუნველობას ჰპირდება საზოგადოთ სწავლის „ძირეულად“ შეცვლის საქმეში. მხოლოდ „რადგანაც საჭიროა საფუძვლიანად შესწავლა სწავლის პირობებისა, სახალხო განათლების მინისტრს დასჭირდება მრავალი წლის მოსამზადებელი შრომა და შემდეგ, რასაკვირველია რეფორმების შემოღების კითხვაც გადაწყდება“[2].

---

[1] აკად. კ. კეკელიძის აღნიშნული წერილის ასლი, გადმოცემული მიხ. ელიზბარაშვილის მიერ, ჩვენთან ინახება. ხაზგასმა ყველგან ჩვენია. ტ. ს.

[2] გაზ. „ბრძოლა“ № 2—3, 1901 წ. გვ. 21.

ჰკიცხავდა რა მეფის მთავრობის ასეთ თვალისაბმელ დაპირებებს, — ბოლშევიკური პრესა სავსებით სამართლიანად შენიშნავდა: „ყოველშემთხვევაში უნდა კიცოდეთ, რომ სახალხო განათლების მინისტრი დაპირებითაც კი არ იღებს ზრუნვას სახალხო სკოლების გაუმჯობესებაზე. აბა, ხალხს რათ უნდა განათლება, მისთვის სრულიად საკმარისია ლოცვების გაზეპირება და ამას საეკლესიო შკოლებიც ხომ ჩინებულად ასრულებენ!... მოათავა რა ამ გაწყალებული დაპირებებით მოსწავლეებზე „გულითადი მზრუნველობა“, თვითმპყრობელობამ გაილაშქრა მეორე მტერზე — გლეხებზე“[1].

1900—1901 წ. წ. მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად, მეფის მთავრობა კვლავ განაგრძობდა სახალხო განათლების დარგში ე. წ. „რეფორმების“ შესახებ „საკითხების დაყენებას“. წარჯექუკუჯექიობის ამ პოლიტიკას, ის, რევოლუციური აღმავლობის ეტაპების ცვალებადობას უფარდებდა. ცარიზმის ამგვარი პოლიტიკის შედეგად „...გამოწვეულმა საზოგადოების ოპოზიციურმა მოძრაობამ მთავრობა ჩააყენა იმ მდგომარეობაში, რომ უკან წაიღებინა თავისი „დროებითი წესები“ (სტუდენტების სალდათებად გაგზავნის შესახებ) და გამოსცა უმაღლესი რესკრიპტი. სადაც პირდებოდა სწავლის ძირიანად შეცვლას და „გულითად მზრუნველობას მოსწავლეებზე“. არ გაუვლია სულ რამდენსამე კვირას, რომ ცირკულარი ცირკულარს მოჰყვა ათასგვარ შეეიწროებაზე სწავლა-განათლებაში (შემცირება ებრაელთა რიცხვისა. განსაზღვრა მოსწავლეებისა უნივერსიტეტებში, შემოღება ეგრეოწოდებული რაიონებისა მოსწავლეებზე, გადიდება და ვალდებულება სწავლის ფულისა და სხვადასხვ.)“.[2]

მეფის მთავრობის ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, მიმართული იყო ხალხის შეგნებული ნაწილის გზა-კვალის აპნევის, მუშათა რევოლუციური მოძრაობის შენელებისა და მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების ჩახშობისაკენ.

მეფის თვითმპყრობელობა, რეპრესიების არაეფექტური შედეგების გამო, ხშირად იძულებული იყო ფარისევლობის, პირმოთნეობის და „გულითადი მზრუნველობის“ მოქნილი მეთოდებისათვის მიემართა.

---

[1] იქვე, გაზ. „ბრძოლა“ № 2—3. გვ. 21.1901 წ.
[2]. გაზ. „ბრძოლა“ № 2—3, გვ. 9, 1901 წ.

ლენინის სიტყვით, რომ ვთქვათ: „მხეცურ გამკლავებათა“ და „იუდისებურ ამბორთა“ შენაცვლების ეს პოლიტიკა, ბიძგს აძლევდა მთავრობის უკმაყოფილო სოციალურ ელემენტთა პოლიტიკურ აქტიობის გაძლიერებას, გამარეკოლუციონერებელ გავლენას ახდენდა ნაკლებად რევოლუციურ ელემენტებზე და თანდათანობით აბამდა მათ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ აზვირთებულ ხალხის პირველ რევოლუციაში.

1902 — 1903 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. კლასთა ბრძოლის გამწვავებისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მთავრობას მიერ მიღებულ რეპრესიების შედეგად, ამ პერიოდში „პატივახდილმა და ბორკილდადებულმა ნაწილმა ჩვენი ერისა უკვე აღმართა დროშა ბრძოლისა და შავი ზღვის პირიდან კასპიის ზღვამდე, მედროშეთა საყვირი გაისმის.

მუშების არეულობა ქალაქებში, გლეხთა მოძრაობა სოფლებში, ახალგაზრდობის წინააღმდეგობა სასწავლებლებში — აი, რით არის სავსე ჩვენი ცხოვრება“, — აღნიშნულ წლებში.[1]

მთავრობის წინააღმდეგ მოსწავლეთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1903 წელს ამიერკავკასიის და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში. მაგალითად, 1903 წლის პირველ მაისს, ბაქოს „რკინიგზის სასწავლებლის მოსწავლეებმა თავიანთ სახელოსნოებში აღმართეს წითელი დროშა ზედ წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“. პირველ მაისს მათ მუშაობა არ ჰქონიათ, რადგანაც იმ დღეს არც ერთი მათგანი სასწავლებლებში არ მისულა“.[2]

მოსწავლეთა გაფიცვებისა და ცარიზმის საწინააღმდეგო განწყობილებათა გაძლიერებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, **რომ ახალი თაობა ირყვნებოდა საშუალო და მაღალ სასწავლებლებში, მეცნიერება რეგრესს განიცდიდა, მწერლობა აღვირადებული დაქვეითების გზით მიდიოდა.**[3]

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის გადასახლებასთან დაკავშირებით 1904 წ. 11 აპრილს კავკასიის

---

[1] გახ. „ბრძოლა“ № 4, გვ. 2, 1902 წ.

[2] გახ. „პროლ. ბრძოლის ფურცელი“ № 1, გვ. 3—4, 1903 წ. რსდმპ კაგკ. კავშ. კომიტეტის ორგანო.

[3] ხაზგასმული სიტყვები გამოყენებულია კრებულიდან—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ.წ.“, გვ. 9, პროკლამაცია შედგენილია 1904 წ. თებერვალში. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

ჯავშირის ხელმძღვანელობით (თბილისის რკინიგზის სადგურზე) მოწყობილ მუშათა დიდ დემონსტრაციაში — ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობაც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ პოლიციის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ „...შემოარტყეს რა ალყა უიარაღო ხალხს, ცემდნენ ხმლებით, აწნავდნენ მათრახებს, ცემდნენ გრძნობის დაკარგვამდი, ცემდნენ მოხუცთ და ახალგაზრდებს, ის კი არა ქალებსა და ბავშვებს, ცემდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას — გიმნაზიელებს, სახელოსნო სკოლის მოსწავლეთ და სხვ.“[1]

ამრიგად, ცარიზმის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციურ ბრძოლას მხარს მტკიცედ უჭერდა ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობა.

სტუდენტთა და მოსწავლეთა გამოსვლები, დემონსტრაციები და საპროტესტო მიტინგები მიმართული იყო მთავრობის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სასწავლო-სააღმზრდელო პოლიტიკის წინააღმდეგ. „არეულობა“ — ეს კიდევ მოძრაობაა სტუდენტებისა და სხვა მოსწავლეთა, რომელთაც არ სურთ, რომ მთავრობამ ისინი ხაზინის ქურდ „ჩინოვნიკებად“ აქციოს. მათ სურთ ემსახურონ ხალხს და არა მთავრობას. მიღებული განათლების მეოხებით მათ იციან რა უნდა ხალხს და როგორ დაეხმარონ მას...“[2] აქედან ცხადია, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის „არეულობა“, მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებთან იყო დაკავშირებული და ამ მოძრაობის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა.

მუშათა საყოველთაო მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, მოსწავლეთა გაფიცვები, დემონსტრაციები, საპროტესტო გამოსვლები იმპერიის მთელ რიგ ქალაქებსა და განაპირა მხარეებს მოედო. ამხანაგ სტალინის მიერ 1905 წ. 17 ოქტომბრის თარიღით შედგენილ პროკლამაციიდან („ტელეგრაფის უკანასკნელი ცნობები“) ირკვევა, რომ ამ პერიოდში რუსეთში „...ყველაფერი გაფიცულია, ყველანი აღელვებულნი არიან. მთავრობის დაწესებულებებს ჯარი იცავს. ხდება მუშათა და მოსწავლეთა მიტინგები. ოდესაში მოხდა მუშების, სტუდენტების, გიმნაზიელების, სტუდენტ-ქალების, გიმნაზიელ-ქალების შეტაკება პოლიციასთან. არიან დაჭრილები. უნივერსიტეტში ტარდება მიტინგები. ნოვოჩერკასკში

---

[1] კრებული—„ამიერკავკასიის ბოლშ. ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ.წ.“, გვ. 13.

[2] კრებული—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ.წ.“, გვ. 166—169, პროკლ. № 41.

ხდება მუშებისა და მოსწავლეების მიტინგები. ადგილი ჰქონდა პოლიციასთან შეტაკებებს. ხარკოვში ყველა გაფიცულია, ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილია. ხულიგნებმა — სულთმობრძავი ცარიზმის ამ ერთადერთმა დასაყრდენმა — სცადეს „პატრიოტული მანიფესტაციის მოწყობა“ ჯალათი-მეფის სურათით და სტუდენტების ცემა-ტყეპით, მაგრამ ისინი დაუყოვნებლივ გარეკეს მუშებმა.“[1]

მშრომელთა საყოველთაო მოძრაობის ზრდამ 1905 წ. დასაწყისში მეტად მწვავე და ფართო ხასიათი მიიღო. უკმაყოფილებას და პროტესტს არსებული წყობილების წინააღმდეგ აცხადებდნენ, როგორც მუშები, ისე სოფლის გლეხკაცობაც „...არა თუ უმალლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ საშუალო და დაბალი, და თითქმის დაწყებითი სკოლების შეგირდებიც, არა მარტო მამაკაცები, არამედ დედა-კაცებიც, არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მოხუცებულებიც.“[2] 1904 წ. დეკემბრის რიცხვებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მომხდარმა ბაქოს გაფიცვამ ბიძგი მისცა ამიერ-კავკასიისა და მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. „ბაქოს გაფიცვა მთელს რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსვლების სიგნალი გახდა“ (სტალინი).

„ეს გაფიცვა თითქმის იყო ჰექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ“[3].

1905 წ. 9 (22) იანვრის სისხლიანი კვირა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ქარიშხლის აბობოქრების მძლავრ საწყისად გადაიქცა. „ამ დღეს დასვრეტილ იქნა მუშათა რწმენა მეფისადმი“.[4] მეფის მიერ მუშათა შეუბრალებელი ულეტის ამბები ელვის სისწრაფით მოედო მასებს. ცარზმის წინააღმდეგ გაიშალა მშრომელთა დაუნდობელი ბრძოლა. რევოლუციურ მოძრაობაში ფართოდ ჩაება საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაც, რომელთაც მთავრობა სასტიკად სდევნიდა და აწიოკებდა. მოძრაობამ ფართო, მკაცრი და მასობრივი ხასიათი მიიღო. ქართულ რევოლუციურ-

---

[1] კრებული „ამიერკავკასიის ბოლშ. ორგ. პროკლამაციები 1904—1906 წ.წ.“, გვ. 183.

[2] ჟურნ. „მოგზაური“ № 10, გვ. 137—138, 1905 წ. იხ. ფ. მახარაძის სტატია.

[3] „საკ. კ. პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 69.

[4] იქვე, გვ. 70.

ისკრულ გაზეთებთან ერთად, რუსული ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი“ ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ამბებს. 1904—1905 წ. წ. რუსეთში მომხდარმა რევოლუციურმა მოვლენებმა მკვეთრი გამოძახილი ჰპოვეს საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებში. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ორგანიზებდნენ და მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტები, რომლებიც მუშებში, გლეხებში, მშრომელ ინტელიგენციაში და მოსწავლეებში ნერგავდნენ კლასობრივი ბრძოლის შეგნებას, ადგენდნენ და ხალხში ავრცელებდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს. 1905 წლის 24 იანვარს ქ. ქუთაისში „მერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა უდიდესი გაფიცვა, რასაც პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკება მოჰყვა. დაკეტილ იქნა სასწავლებლები, სახელოსნოები, სავაჭროები და სხვა დაწესებულებანი. დემონსტრაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეები.

1905 წლის იანვრიდან სასწავლებლებში მღელვარება თანდათანობით ძლიერდებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობას, მუშებთან ერთად მათრახებით, ტყვიებით და საპატიმროებით უმასპინძლდებოდნენ. მოსწავლეები პოლიციელების რეპრესიებს ჯერ უშინდებოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუშათა მიტინგებისა და გაფიცვებში. 1905 წ. 16 თებერვალს დემონსტრაციაზე დახოცილ მუშათა დაკრძალვაში მუშებთან ერთად ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობაც მონაწილეობდა. მათ, რევოლუციური სიმღერებით და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გააცილეს ცხედრები. გაზეთი „პროლეტარი“ აღნიშნული შემთხვევის შესახებ წერდა:

„16-го утром и вечером были похороны двух рабочих и утром и вечером 20.000-ая толпа из рабочих, обывателей и учащиеся молодежи сопровождали гроб. В переди несли десятки венков с красными лентами и революционными надписями (от Комитета, от рабочих, от интеллигенции и т. д.) Несколько хоров рабочих и учащихся в разных местах этой бесконечно-длинной процессии пели революционные песни. На улице было произнесено несколько прочувствованных речей, на что колосальная толпа отвечала единодушным гулом: „долой самодержавие!“[1].

---

[1] Газета „Пролетарий“ № 5, Женева, 26 (13) июня, 1905 г. стр. 13—14. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

ასეთივე დემონსტრაციებს ჰქონდა ადგილი თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, შორაპანში, ხონში, გურიაში, კახეთში, ქართლში და სხვა ადგილებში. მოსწავლეთა გაფიცვებმა, დემონსტრაციებმა და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებმა განსაკუთრებით თავი იჩინა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სამრეწველო ცენტრებში — თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვაგან.

1905 წ. 27 იანვარს დაიწყო მოწაფეთა მღელვარება ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც „მოწაფე მელენტი ზაქარიაძემ რევოლვერით გახვრიტა მეფე ნიკოლოზ მეორეს პორტრეტი"[1]. ამავე წლის 3 თებერვალს ბათუმის სკოლების მოსწავლეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. მათ წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებითა და მოწოდებებით გაიარეს ქალაქის ცენტრალური ქუჩები, რის შემდეგ პოლიციამ კაზაკების დახმარებით გარეკა ისინი. 1905 წლის 3 მარტს გაიფიცნენ სამოქალაქო სასწავლებლის (ბათუმის) მოსწავლეები, გაფიცულებმა ქვებით ჩაამტვრიეს სასწავლებლის ფანჯრები[2]. ასეთივე გაფიცვებს და დემონსტრაციებს ადგილი ჰქონდა 1905 წ. 23 ოქტომბერს, 23 ნოემბერს და საერთოდ 1905 წ. მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებლების, ისე ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები[3]. მოსწავლე ახალგაზრდობის პროგრესული ნაწილი არა თუ არ კმაყოფილდებოდა ე. წ. „აკადემიური ჯგუფის" „კულტურულ-საგანმანათლებლო" საქმიანობით (და მწერლობის შესწავლით), არამედ თავიანთი მოქმედების მთავარ მიზნად ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას ისახავდა. გაფიცული მოსწავლეები მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას, ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლას, განათლების ძველი სისტემის ახალით შეცვლას, საყოველთაო—საალდებულო სწავლების გატარებას, რელიგიურ-დოგმატიური სწავლების მოსპობას, როზგისა და თავზარდამცემი „ეგზამენიების" არსებული „წესების" გაუქმებას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვისა და კრების თავისუფლებას და სხვ.

---

[1] აპარის რევ. მუზეუმის საორგ. კომიტეტის საარქივო ფ. № 2, საქმე, № 24.

[2] იქვე. ფ. 2, საქმე № 99.

[3] ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია" № 2, 1940 წ. იხ. „მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა".

ქ. თბილისის სკოლების გაფიცულ მოსწავლეთა ერთ-ერთ მოთხოვნაში, რომელიც კავკასიის კავშირის კომიტეტის სტალინურ სტამბაში დაიბეჭდა, ნათქვამია: „ჩვენ, ქალაქ თბილისის საშუალო სასწავლებლის მოწაფეები, მხარს ვუჭერთ ამ მოძრაობის ხელმძღვანელს — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, და ჩვენის მხრივ ვადგენთ მოთხოვნებს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება დემოკრატიულ საწყისზე აგებულ ახალს რუსეთში. ჩვენ მხარს ვუჭერთ მთელს მოწინავე რუსეთს. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“[1].

ჩვენი პარტიის უდიდესი ბელადები ლენინი და სტალინი მიესალმნენ „რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას მოსწავლე ახალგაზრდობაში“. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა, რათა ზოგიერთ რევოლუციონერს „ზოგი რამ შეესწავლა ამ ახალგაზრდობისაგან“.

მთავრობის რეპრესიებმა: მოსწავლეთა ხოცვა-ჟლეტის მოწყობამ, დაპატიმრებამ და სასჯელის სხვა ზომებმაც ვერ გაჭრა. 1905 წლის პერიოდში, მეცადინეობა საქართველოს ბევრს სკოლაში შეწყდა. 1905 წ. 20 აგვისტოს, საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით დაითხოვეს და სოფელში გაისტუმრეს სასულიერო სემინარიის ყველა მოსწავლე. ამავე წლის 25 აგვისტოს გაიფიცნენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი, რომლებმაც მთავრობას პოლიტიკურ-ეკონომიური და უფლებრივი ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს. 1905 წ. 27—29 სექტემბერს პოლიციელთა და კაზაკთა მხრივ გიმნაზისტებისადმი მიყენებულმა შეურაცხყოფამ მიხაილოვის პროსპექტზე გიმნაზისტებისა და მიწისმზომელთა სასწავლებლის მოსწავლეთა გაფიცვები გამოიწვია. 1905 წ. 21—22 ოქტომბერს მეფის ჯაშუშებმა — ე. წ. „პატრიოტებმა“ დრაგუნთა პოლკის ხიშტებზე წამოაგეს მუშები და მოსწავლეები, ტყვიებით დახვრიტეს პირველი გიმნაზიის შენობა, ხიშტებითა და ტყვიებით განგმირეს ბავშვები, მოაწყვეს მოსწავ-

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინის თბილისის ფილიალის არქივი, საქმე № 22. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის პედსაბჭოს 1905 წ. 24 და 26 ოქტომბრის და 12 ნოემბრის ოქმები.

ლეთა ოჯახების ჩხრეკა და აწიოკება, რამაც მასობრივი საპროტესტო გაფიცვები გამოიწვია[1].

მძიმე საგონებელში ჩავარდნილი მეფის მთავრობა მეამბოხე მოსწავლეებს უაზარმებსა და „გამასწორებელ როტებში“ გაგზავნით უმასპინძლდებოდა, მაგრამ „პოლიტიკური სკანდალების“ მოსპობა სკოლებში მაინც შეუძლებელი გახდა.

რევოლუციური მოძრაობის პერიოდში მშრომელ ახალგაზრდობაზე ბოლშევიკების იდეოლოგური ზეგავლენა გაიზარდა. ამასთან ერთად მოსწავლეთა და სტუდენტთა გაფიცვები რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. „ხრიკმა ვერ გასჭრა და მაშინ, როდესაც მთავრობა „ნდობაზე“ უბედობდა, ხალხი მიტინგებს მიტინგებზე მართავდა, ქუჩის დემონსტრაციებს დემონსტრაციებზე ანთებდა. დემონსტრაცია მოხდა 28 ნოემბერს (1905 წელს. ტ. ს.) პეტერბურგში, სადაც მრავალ მუშა ხალხთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობამაც მიიღო მონაწილეობა. 20 წითელი დროშა ფრიალებდა ჰაერში“.[2]

1905 წლის 20 დეკემბერს ასეთივე გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ბაქოში, თბილისში, ბათუმში და სხვაგან.[3]

1905 წლის 8 ღვინობისთვეს თბილისის სასწავლებლის შეგირდებმა პანაშვიდი გადაიხადეს 22 ოქტომბერს თბილისში შეუბრალებლად ამოჟლეტილ მოსწავლეთა პატივსაცემად და გადაწყვიტეს ხელახლა სწავლის შეწყვეტა, რაც სისრულეში მოიყვანეს. მოსწავლეთა ასეთივე დემონსტრაციებს ადგილი ჰქონდა ჭიათურაში, შორაპანში, ხონში, ყვირილაში და სხვაგან, რომელშიაც ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.[4]

მოსწავლეთა მოძრაობა და დემონსტრაციები მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის პერიოდში (1907 წ.), როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა.

ჯერ კიდევ 1907 წლის თებერვალში „თბილისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე და-

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინის თბილისის ფილიალის არქივი, საქმე № 22. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის პედსაბჭოს 1905 წ. 24 ოქტომბრის და 12 ნოემბრის ოქმები.

[2] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 8, გვ. 20, 1905 წ.

[3] იქვე, გვ. 20—22.

[4] Газета „Пролетарий“ № 5, стр. 13—14, 1905 г. 26 (13) июня.

ადგინა: რადგან ამ სასწავლებლის უკანასკნელ კლასებში უწესოება არ ისპობა (ხაზგასმა ჩვენია, ტ. ს.) დაიხუროს მე-5, 6 და 7 კლასები ახალ განკარგულებამდეო"[1]. მოსწავლეთა საჯარო გასამართლება, ციხე-კატორღებში გაგზავნა და ფიზიკური დასჯა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. 1906 წლის 13 აპრილს თბილისის სასამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩია ქალაქის ტექნიკური სასწავლებლის მოწაფეების: დარახველიძის, ვორონინის, ქურხულებისა და სხვ. საქმე, რომელთაც ბრალდებათ წაუყენეს „...მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოების შედგენა და ამ მიზნით მებრძოლი რაზმების მოწყობა"[2].

მეფის მთავრობა „უწესოების მოსპობისა" და სწავლის „ნორმალურ კალაპოტში" ჩაყენებისათვის მოსწავლეთა სიკვდილით დასჯას, კატორღაში გაგზავნას, გადასახლებას და სხვ. ანალოგიური ზომების გამოყენებასაც მიმართავდა. მარტო 1907 წლის მარტის განმავლობაში ამგვარი სასჯელი მიესაჯა 119 მოსწავლეს[3].

ამრიგად, მუშებისა და გლეხების შემდეგ, ყველაზე მეტი რაოდენობით მოსწავლეები ისჯებოდნენ. მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლები, გაფიცვები და დემონსტრაციები ზოგჯერ მეტად მწვავე და მთავრობისათვის საშიშ ხასიათს იღებდა. 1907 წლის მარტში თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა გაფიცვები გამოაცხადეს, „რადგანაც სასულიერო სემინარიის მეორე და მესამე კლასის მოწაფეებმა მხარი დაუჭირეს პირველი კლასის მოწაფეებს, ამის გამო სემინარიის გამგეობამ ეს კლასებიც დაკეტა და მოწაფეები დაითხოვა იმ პირობით, რომ 16 აგვისტოს დაიჭირონ ეგზამენები"[4].

მოსწავლეთა გამოსვლებმა მთავრობის წინააღმდეგ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ამის შესახებ ბოლშევიკური გაზეთი „დრო" წერდა: „მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ თბილისის სასულიერო სემინარიის 1-ლი კლასის მოსწავლეებმა წლის გაფიცვა იდღესასწაულეს. ამის გამო ზოგიერთმა შეგირდმა შემდეგ გასცეს გაფიცვის მეთაურები, რამაც მთელი კლასი ააღელვა და დამბეზღებლებს შეურაცყოფა მიაყენეს. ამან 31 ვარტს

---

[1] გაზ. „ჩვენი ცხოვრება" № 3, 1907 წ. 21 თებერვალი.
[2] გაზ. „დრო" № 20, 1907 წ. 3 აპრილი.
[3] გაზ. „დრო" № 27, 1907 წ. 11 აპრილი, გვ. 3—4.
[4] გაზ. „დრო" № 24, 7 აპრილი, 1907 წ.

მთელი 1-ლი კლასის დახურვა გამოიწვია". მოსწავლეებს მისაღები გამოცდები 16 აგვისტოს უნდა ჩაებარებინა. ამ განკარგულებამ 1 აპრილიდან მე-2 და მე-3 კლასების გაფიცვა გამოიწვია. გაფიცულები, როგორც გაზ. „დრო" წერდა „დათხოვილი ამხანაგების უეგზამენოთ დაბრუნებას" მოითხოვდნენ.[1]

1909—1910 წ. წ. სკოლებში ადგილი ჰქონდა არა მარტო „წესრიგის დარღვევის" ცალკეულ შემთხვევებს, არამედ რეაქციის წინააღმდეგ მოსწავლეთა მასობრივ გამოსვლებსაც. 1910 წ. გაზაფხულზე ტემირ-ხან შურინსკის რეალურ სასწავლებლის მოსწავლემ ასადულ ასადოვმა მოჰკლა სასწავლებლის რეაქციონერი დირექტორი — ა. მ. სიბირცევი. ამავე წლის 2 ნოემბერს თბილისის მე-5 ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლემ შალვა თავდგირიძემ მოჰკლა ამავე სკოლის ძველი რეჟიმის თაყვანისმცემელი მასწავლებელი ს. ს. ტროიცკი. ორივე შემთხვევაში მკვლელი მოსწავლეები გადეცა სამხედრო-საოლქო სასამართლოს, რომელთაც მკაცრი სასჯელი დაადეს. 1910 წ. მაისში ბაქოს ტექნიკური სასწავ. მოწაფემ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა ამავე სკოლის უხეშ დირექტორს ა. ბაევს, რისთვისაც მოსწავლე სასწავლებლიდან გარიცხა და პატიმრობა მიესაჯა. ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის უფროსი სკოლის მოსწავლეებმა 1910 წლის ოქტომბერში სცადეს გაკვეთილების მიტოვება და მთავრობის საწინააღმდეგო გაფიცვების მოწყობა. ასეთივე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, როგორც თბილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში, ისე განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყების სხვა სასწავლებლებშიაც. სწორედ ამით იყო გამოწვეული სინოდის ობერ-პროკურორის — ლუკიანოვის ცირკულარი, რომლითაც ის სასულიერო სემინარიის რექტორებს ავალებდა: „შემატყობინეთ, მოსწავლეებში რევოლუციური მოძრაობა ხომ აღარ არისო". დირექტორები ვალდებული იყვნენ შეეტყობინებინათ ობერ-პროკურორისათვის „... მოწაფეების ყველა ის მოქმედება, რომელსაც რევოლუციური ხასიათი აქვს"[2].

როგორც რუსეთში, ისე კავკასიის სასწავლო ოლქის ყველა სკოლაში ძლიერდებოდა მოსწავლეთა მოძრაობა. ამ გარემოებამ გამოიწვია ე. წ. „მემარჯვენეთა" მიერ სახელმწიფო სათათბიროში განცხადების შეტანა, რომელშიც ეწერა „... კავკასია არ დაწყნარებულა. სასწავლებლებში რევოლუციური სული ტრიალებს,

---

[1] გაზ. „დრო" № 20, გვ. 1, 3 აპრილი, 1907 წ.

[2] გაზ. „დროება" № 79, გვ. 4, 9 აპრილი, 1910 წ.

ყველაფერს მოწაფეები განაგებენო“ და სხვა[1]., რაც სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური მსჯელობის საგნად გადაიქცა. მიუთითებდა რა სკოლის „ნორმალური ცხოვრების დარღვევის“ ანალოგიურ შემთხვევათა გახშირებაზე, კავკასიის ნამესტნიკი, ვორონცოვ-დაშკოვი, სასწავლო ოლქის „მზრუნველს“ სხვა „ეფექტური“ ღონისძიებების მიღებასთან ერთად ავალებდა:

ა) მკაცრი ზომების მიღებას მოსწავლეთა „ცუდი ყოფაქცევის“ ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ;

ბ) დისციპლინის დარღვევის ყველა შემთხვევაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას, სათანადო სასჯელის დადებას დამნაშავე პირებზე (სკოლიდან გარიცხვამდე და კლასების დახურვამდეც კი) და სხვა „საჭირო ღონისძიებათა“ განხორციელებას[2].

მეფის ნაცვლის ამ განკარგულებას წარმატებით ასრულებდა კავკასიის „სასწავლო ოლქის სამზრუნველო“, რომელიც არა მარტო ერთეულ მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვით და კლასების დახურვით კმაყოფილდებოდა, არამედ ფართოდ მიმართავდა „კარცერების“, საპატიმროების, გადასახლებისა და სხვა იეზუიტური „მეთოდების“ პრაქტიკულად გამოყენებას. მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოსწავლეთა გამოსვლები, შემდეგ პერიოდში კიდევ უფრო მასობრივ და ორგანიზებულ ხასიათს იღებდა.

ამრიგად: ა) ქართველი ახალგაზრდობა, პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად, მოითხოვდა: სახალხო განათლების ძველი სისტემის ძირფესვიანად შეცვლას და საწვლა-აღზრდის ახალ, მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობას;

ბ) მეფის მთავრობა სისხლში ახშობდა მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ გამოსვლებს;

გ) ახალგაზრდობის წინააღმდეგ მეფის მთავრობის მკაცრ რეპრესიებს, ბრძოლის ქარიშხალი არ ჩაუქრია. იგი, დროგამოშვებით რეაქციის ხანაში და რევოლუციის ხელახალი აღმავლობის შემდეგ პერიოდშიაც გრძელდებოდა;

დ) მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა მიმდინარეობდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, რომელსაც საერთო პოლიტიკურ და კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას ბოლშევიკური ორგანიზაციები უწევდნენ;

---

[1] გაზ. „დროება“ № 53, გვ. 3, 9 მარტი, 1910 წ.

[2] Рудольф — Обзор деятельности Кавк. учебного округа за 1909—1912 г.г., стр. 40—41, Тбилиси, 1914 г.

ე) ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობა სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ოპორტუნისტულ-ბურჟუაზიული — ე. წ. „აკადემიური ჯგუფების“ წინააღმდეგ, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან სავსებით იზოლირებულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ.

თ ა ვ ი V

სახალხო განათლების ძველი სისტემის კრიტიკა და მშრომელი ხალხის ბრძოლა ახალი სკოლისათვის.

საქართველოს მშრომელი მასები, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუნელებელ ბრძოლას ეწეოდა ხალხის პოლიტიკური და კულტურული ჩაგვრა-დაბეჩავების წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მშრომელი მოსახლეობა, მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა, პროგრესიული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მთავრობის წინაშე აყენებდა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს: 1) პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების, 2) სამუშაო დღის შემცირების, 3) ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, 4) სიტყვის, პრესისა და კრების თავისუფლების, 5) პიროვნების ხელშეუხლებლობის, 6) წოდებრივ-ნაციონალური პრივილეგიების გაუქმების, 7) გადასახადებისა და ბეგარების მოსპობის, 8) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების (ორთავე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე), 9) ღარიბ მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის (სახელმწიფო ხარჯზე), 10) ბავშვთა და მოზარდთა შრომის ექსპლოატაციის მოსპობის, 11) რელიგიური აღზრდის გაუქმებისა და სხვ. შესახებ.

მშრომელი ხალხის ეს მოთხოვნები რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის, ლენინ-სტალინის პარტიის პროგრამული მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს რევოლუციური ს. დ. ორგანიზაციები ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს, ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის და სხვ. ხელმძღვანელობით, მასებში ნერგავდნენ სოციალისტურ შეგნებას, აიარაღებდნენ და ამჭიდროებდნენ მათ პარტიის პროგრამული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ყოველივე ამის შედეგად, მუშების, მშრომელი გლეხობის, მოწინავე ინტელიგენციისა და რევოლუციური მოსწავლე ახალ-

გაზრდობის მოთხოვნები უაღრესად ნათელ და მკვეთრად გამოხატულ მარქსისტულ რევოლუციურ ხასიათს ატარებდა.

ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშები მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ცხოვრების ელემენტარულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რიგიან ბინებს, სუფთა ტანისამოსს, წესიერ კვებას, შვილების აღზრდას, წიგნების შეძენას და სათეატრო მომსახურებას:

„...ჩვენც გვესმის ცხოვრების მოთხოვნილება, ჩვენც ვეძიდა რიგიანი სადგომი, წმინდათ ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა, შვილების აღზრდა სასწავლებლებში, წიგნები, თეატრი და სხვა," მაგრამ, მუშები მხოლოდ მოთხოვნათა წამოყენებით როდი კმაყოფილდებოდნენ; ისინი აწარმოებდნენ აგრეთვე შეიარაღებას და შეიარაღებულ ბრძოლას, რათა აღნიშნული მოთხოვნები განხორციელებული ყოფილიყო. მუშათა მასების აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, ახალი ბასრი იარაღით შეიარაღება მოუტანდა მშრომელებს: „...მეტ შემოსავალს, მაშასადამე რიგიან ბინას, ოჯახის რჩენას, შვილების აღზრდას, წიგნების კითხვას, გაზეთების გამოწერას, ერთი სიტყვით კულტურას და ადამიანობას"[1].

1902 წლის სხვადასხვა პერიოდში, მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის გამოცოცხლებასთან ერთად, მუშები კიდევ უფრო მკვეთრად მოითხოვდნენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მოთხოვნათა დაუყონებლივ დაკმაყოფილებას. აღნიშნული წლის თებერვლიდან მაისამდე ბათუმის ქარხნების გაფიცულმა მუშებმა არა ერთხელ მოითხოვეს სამუშაო დღის შემცირება, დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, შრომის პირობების გაუმჯობესება, „...ბავშვთა შრომის 6 საათამდე შემცირება და სხვ"[2]. მაგრამ, მთავრობა მუშებს მხოლოდ დაპირებებით „აკმაყოფილებდა".

ქუთაისის გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორის 1903 წ. 12 აგვისტოს მოხსენებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული მდგომარეობის შედეგად 1902 წლის 31 იანვრის შემდეგ მუშათა გაფიცვებმა ქუთაისში ფართო ხასიათი მიიღო.

---

[1] კრებული—„საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წ.გვ.," 45—48.
[2] იქვე, ხაზგასმა ჩვენია, ტ. ს.
[3] ბოლშ. გაზ. „ისკრა" № 24, 1 სექტ. 1902 წ.

ამავე წლის 19 ივნისს, გაფიცულმა მუშებმა ყველა ქარხნის მუშებს დაუგზავნეს ანონიმური ჰექტოგრაფიული ფურცლები, სადაც პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად, სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის მოთხოვნებსაც აყენებდნენ. მუშები მთავრობისაგან მოითხოვდნენ: სახალხო სახლის დაარსებას, თეატრის მოწყობას, საკვირაო სკოლის გახსნას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებას და, რაც მთავარია, ორივე სქესის ბავშვებისათვის უფასო სწავლა-განათლების განხორციელებას[1].

1902—1903 წ. წ. მუშათა მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო. 1903 წ. ამიერ-კავკასიაში მასობრივ-პოლიტიკური მოძრაობა დაიწყო (ბაქო, ბათუმი, თბილისი).

მუშათა მოძრაობას გლეხთა აჯანყებებიც (აგრარული მოძრაობა) გადაეანასკვა. სახალხო რევოლუციურ-მოძრაობაში პროგრესიული ინტელიგენცია, სახალხო მასწავლებლობა, სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობაც აქტიურად ჩაება.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ბიძგს აძლევდა ეკონომიური და სამრეწველო კრიზისები, რუსეთ-იაპონიის ომით (1904 წ.) გამოწვეული სიღატაკე და ქვეყნის ეკონომიური განადგურება.

1904 წ. დეკემბერში ბოლშევიკთა ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით მოწყობილი მუშათა გაფიცვა (უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა) ამიერ-კავკასიაში და მთელს რუსეთში მუშათა მოძრაობის მძლავრი სიგნალი გახდა. 1905 წ. 9 იანვრის სისხლიანი კვირის შემდეგ მუშათა და გლეხთა მოძრაობამ მეტად მკვეთრი, შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი მიიღო: „გლეხთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლჟიეში, ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში"[2]. ისე, როგორც მუშები, მშრომელი გლეხობა, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად, ახალი თაობის მარქსისტულ-რევოლუციური აღზრდის ამოცანებსაც აყენებდა. მშრომელი გლეხობა საფუძვლიანად ეცნობოდა პარტიული პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანებს

---

[1] კრებული „ბათუმის დემონსტრაცია 1902 წ.", გვ. 183—185, ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

[2] საკ. კ.პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 72, 1938 წ.

და იგი ამ მოთხოვნათა განხორციელებას ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახავდა. ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების ამხედრება, როგორც სტალინურ პროკლამაციაშია აღნიშნული,—გამოწვეული იყო აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ ამ პერიოდში „ფულის დაუცხრომელი წყურვილით შეპყრობილი „ხაზეინები", რომელნიც მუშებს ჯან-ღონეს აცლიან და სიცოცხლეს უმოკლებენ მათ, კიდევ იმაზეც უარს ეუბნებიან, რომ მკურნალობა გაუწიონ თავის ხარჯზე და სკოლები გახსნან მათი ბავშვებისათვის. თვით მუშებს კი ეს არ ძალუძთ, ვინაიდან სად იშოვნიან ფულს სამკურნალოდ, თავიანთი ბავშვების სწავლებისა და სხვა საჭიროებისათვის, როცა თავისი ხელფასი კვებისათვის არ ჰყოფნით. აი, რით არიან მუშები უკმაყოფილო! აი რატომ ებრძვიან ისინი კაპიტალისტებს! აი, რატომ იფიცებიან ისინი!"[1].

მშრომელი მასები არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩაგვრას, არამედ კულტურულ და გონებრივ შევიწროებასაც განიცდიდნენ. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მშრომელ გლეხთა ფართო მასებიც:

„გლეხებს წკეპლავენ, საპყრობილეში ამწყვდევენ, ჰკლავენ, ისინი უმეცრებაში ჰყავთ, მათ სკოლებს არ უხსნიან და ულმობლად სძარცვავენო", — ამბობდა ამხანაგი სტალინი[2].

და მართლაც, ამგვარი აუტანელი მდგომარეობა გლეხობას მტკიცედ რაზმავდა მუშათა კლასისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის გარშემო. არაადამიანური შრომით ქანცმილეული მშრომელები კაპიტალისტების მხრივ ლოთობისა და გონებრივი სიჩლუნგისაკენ წაქეზებას განიცდიდნენ: „მუშა, ადამიანი არ არისო, — ამბობდნენ ჩვენი მმართველები, — იცხოვროს როგორც პირუტყვმა, დღეში 14 საათს იმუშაოს, ნუ სწავლობს ნურაფერს და არც არაფერზე იფიქროს. ჩვენი მმართველები ერთ რამეში აქეზებდნენ მას — თითოეულ ფაბრიკაში სკოლების ნაცვლად 2—3 სახაზინო არყის დუქანს ხსნიდნენ".[3] მუშათა და გლეხთა მასებში ბურჟუაზიული ექსპლოატაციის მოს-

---

[1] კრებული, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904-6 წ.წ.", გვ. 166—167. ხაზგასმული ჩვენია. ტ. ს.

[2] იქვე, ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ შედგენილ პროკლამაციიდან—„ჯარის კაცებს", პროკლ. № 47, გვ. 186. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

[3] „კრებული ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—-6 წლებში", გვ. 185. ციტირებულია ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ შედგენილი პროკლამაციიდან. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

პობა, მათში უუფლებობის, უსწავლელობისა და სიბნელის აღმოფხვრა წარმოადგენდა იმ საერთო პოლიტიკური ამოცანების ერთ-ერთ ძირითად რგოლს, რომელთა მიღწევა სახალხო რევოლუციური მოძრაობის სრულ გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული.

საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში, მათ შორის: ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის და თელავის მაზრებში გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები სისტემატურ ხასიათს იღებდა[1].

აჯანყებული გლეხობა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებთან ერთად სასკოლო საკითხების სწორ გადაწყვეტასაც მოითხოვდა. 1905 წლის რევოლუციით შეშინებულმა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა მალამამ ალიხანოვ-ავარსკის განსაკუთრებულ რაზმთან ერთად, დასავლეთ საქართველოში (კერძოდ გურიაში) მთავრმართებლობის საბჭოს წევრი, მეფის ლიბერალური მოხელე ნ. ე. სულთან კრიმ-გირეი გაგზავნა, რომელსაც „გაუგებრობის აღმოსაფხვრელად", ხალხის საჭიროებანი „უნდა გამოერკვია".[2] დამახასიათებელია, რომ გლეხთა დეპუტატებმა კრიმ-გირეის მშრომელი ხალხის სახელით მოსთხოვეს: 1) ყოველგვარი მიწების და ჩამონაჭრების (უსასყიდლოდ) გლეხობაზე გადაცემა, 2) ყოველგვარი ბეგარის და არაპირდაპირი გადასახადების მოსპობა, 3) წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, 4) სიტყვის, პრესის, კრების კავშირების და გაფიცვების თავისუფლება, პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობის დაცვა, 5) ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან სრულიად ჩამოშორება, სამღვდელოების ჩამოცილება სწავლა-აღზრდის საქმისაგან, 6) საყოველთაო, სავალდებულო, უფასო სწავლების განხორციელება (16 წლამდე) ორთავე სქესის ბავშვებისათვის და მრავალი სხვ.

უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მშრომელი გლეხობა სწავლაში დიდად იყო დაინტერესებული. ისინი თავს არ ზოგავდნენ სკოლების რიცხვის გამრავლებისა და ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმის ნორმალურად მოწყო-

---

[1] ლ. პ. ბერია—ა/კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 56, 1938 წ. ქართ. გამოცემა.

[2] კრიმ-გირეი გურიაში 1905 წ. 18 თებერვალს ჩავიდა. 22 თებერვლიდან ის შეუდგა სასოფლო საზოგადოებათა შემოვლას. მას თანახლდა თარჯიმანი (ილ. ნაკაშიძე), მდივანი და ლეგალური პრესის კორესპოდენტები. ყრილობაზე კრიმგირეის სიტყვის შემდეგ მოთხოვნებით გამოდიოდნენ გლეხთა დეპუტატები. ტ. ს.

ბისათვის. ხშირად გლეხები თავიანთი ხარჯით ხსნიდნენ სკოლებს, იძენდნენ სასკოლო ინვენტარს, ასწავლიდნენ ბავშვებს, მაგრამ მათი მოთხოვნა მთავრობის მხრივ (ხალხის შვილების აღზრდაზე) დახმარების გაწევის შესახებ, ხშირად უშედეგოდ რჩებოდა. საშუალო და უმაღლესი განათლება გლეხობისათვის, მხოლოდ საოცნებო საგანს წარმოადგენდა. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ გურიაში ხალხის „ჭირ-ვარამის მოსასმენად“ ჩასულ კრიმ-გირეის, — გლეხთა ყრილობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შემდეგი მოთხოვნა წამოუყენა: „...ეკლესია უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფოს. აღარც ის გვინდა, რომ ჩვენი შვილების აღზრდაში ეს მატყუარა ფარისევლები იღებდნენ მონაწილეობას. ისინი აბნელებენ ბავშვის ნათელ გონებას და მოქალაქეს, თავისუფალი მოქალაქის ნაცვლად მონებად გვიზრდიან... ჩვენ ასე ვთხოულობთ: 16 წლამდე სწავლა ყველასათვის სავალდებულო იყოს, ქალისა და ვაჟისათვის თანასწორად, მარა უფასო, ამასთანავე მაღალი სწავლის მიღება, უფრო ადვილი უნდა დარჩეს ახლანდელზე“[1].

გლეხობა აშკარად ხედავდა რელიგიური აღზრდის მავნებლობას, მღვდლების ფარისევლობას, საშუალო და მაღალი განათლების მიღების მთელ სირთულეს, სკოლის საფეხურებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და დოგმატური სწავლების რეაქციულ ხასიათს; ამიტომ იყო, რომ ასე მკაცრად ილაშქრებდნენ ისინი ცარიზმის „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის წინააღმდეგ.

გურიის ერთ-ერთი სოფლის გლეხთა დეპუტატმა კრიმ-გირეის ასეთი სიტყვით მიმართა. „...ჩვენ სწავლა გვინდა. სხვა ქვეყნებში წერა-კითხვის არამცოდნეს ვერ ნახავთ, ჩვენში კი წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებარია, მაშინ, როდესაც სწავლის გადასახადით სულს გვხდიან. სწავლა გვინდა უფასო, საყოველთაო-სავალდებულო 16 წლამდე, ქალებისა და ვაჟების ერთად, ისე, რომ გონების დამბნელებელი ეშმაკის მოციქულები შიგ არ ჩაერიოს... რა ხეირი ჩვენ დაგვაყარა მათმა მოთმინებამ ქადაგებამ“... სამშობლო ენაზე სწავლების შემოღების მოთხოვნასთან დაკავშირებით — კრიმ-გირეის შეკითხვაზე: „იქნებ სრულიად უარყოფენ გლეხები რუსულ ენაზე სწავლებასო“, — გლეხების დეპუტატმა მოსწრებულად უპასუხა: „ჩვენ ყველა ენის სწავლება გვინდა, ქართუ-

[1] ჟურნ. „მოგზაური“ № 9, გვ. 122 —130, 1905 წ.

ლიც გვინდა და რუსულიც, სხვა ენაც, რომ ვიცოდეთ უკეთესიაო“.[1]

აქედან ჩანს, რომ ღარიბი გლეხობა კარგად ერკვეოდა სწავლა-განათლების ბოლშევიკურ პრინციპებში, უარყოფდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებას „ენის საკითხით“ ერის „კულტურული განვითარების“ განსაზღვრისა და ამა თუ იმ ენის განსაკუთრებული პრივილეგიების აღიარების შესახებ.

ლანჩხუთის რაიონის გლეხთა ყრილობის დეპუტატი ქერიმ-გირეის საყურადღებოდ შეეხო მემამულათა და კაპიტალისტთა მიერ მშრომელთა ექსპლოატაციის ზრდისა და ხალხის განათლებაზე მთავრობის უზრუნველობის საკითხს:

„ჩვენ განათლება გვჭირია და ჩვენი ფულებით კი ვიღაცა მუქთა-ხორა უსაქმოების შვილები იზრდებიან. მე აი, 67 წლის მოხუცი ჯოჯოხეთურ სიბნელეში აღზრდილვარ და ჩემი შვილებიც იძულებული არიან ასეთივე სიბნელეში დარჩნენ. რატომ ჩემს შვილს არ უნდა მიეცეს აღზრდის საშუალება იმ ფულიდან, რომელიც ჩვენისთანების ნაშრომით მოგროვებულია. რატომ მღვდლებისა და თავადაზნაურების შვილები უნდა იზრდებოდნენ კლასებში და ხაზინის ხარჯით, როცა რომ იგენს ისეც ბევრი აქვთ და ხაზინის სიმდიდრეშიც წილი არ უძევთ? იქნებ ჩვენი შვილი უფრო ნიჭიერი დარჩენილიყო და საზოგადოებისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა... სამღვდელოებას, გარდა იმისა, რომ ხაზინიდან ეძლევა ჩვენი ფული, ჩვენი თავიც საკმელად ჩაუგდეს ხელში... ეყოს ეხლა მღვდელებს, რაც გვტანჯეს და გვაწვალეს... ეხლა კი დავინახეთ, რომ ისინი ყოფილან დათვის მაგიერი მგლები... კერძო ცხოვრებაში ხომ მორჩილება-მონობას გვიქადაგებდნენ იესო-ქრისტეს სახელით და ამ ყოფაშიც ჩაგვაგდეს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან და სკოლების საშუალებითაც უბნელებენ გონებას საბრალო ბავშვებს, რომ პატარაობიდანვე ჩაუნერგონ გულის სიღრმეში მორჩილება და მონობა. ჩვენ არ შეგვიძლია ამის მოთმენა შემდეგში და ვთხოულობთ, რომ მღვდლებს სკოლების გახსნის უფლება ჩამოერთვათ და სახალხო სკოლებიდანაც განიდევნონ ისინი, როგორც მონობის მქადაგებელნი. ჩვენ გვინდა სწავლა, ძლიერ გვინდა, რადგან ვიცით, რომ ახლანდელ დროში უსწავლელი კაცის ცხოვრება გაჭირვებულია. მოვითხოვთ უფასო საყოველთაო-სავალდებულო სწავლას 16 წლამდე, როგორც

[1] ჟურნ. „მოგზაური“ № 9 , გვ. 126, 1905 წელი.

ქალების, ისე ვაჟებისათვის, მოვითხოვთ, რომ ყველა საჭირო სასწავლებელი ადგილობრივ გვქონდეს და ათას ვერსზე შვილების გზანა აღარ გვჭირდებოდეს. ჩვენის აზრით სკოლა უნდა ემსახურებოდეს ძმობის, ერთობის და ჭეშმარიტების გავრცელებას ხალხთა შორის და არ უნდა იყოს, როგორც დღეს არის, გათახსირებისა და გონებრივად გადაგვარების იარაღი".[1]

ანალოგიური მოთხოვნილებანი წამოაყენეს გურიის სხვა კუთხეების გლეხთა წარმომადგენლებმაც. სოფელ ხიდისთავის (გურია) გლეხთა დეპუტატმა საჯაროდ განაცხადა: „ჩვენში ეხლა ყველამ იცის, რომ სწავლა საჭიროა. ის ისეა საჭირო, როგორც ჰაერი, წყალი და პური. უსწავლელი კაცი ახლანდელ ცხოვრებაში გამოუსადეგარია. სწავლა ერთგვარი და ძლიერ საჭირო იარაღია. ჩვენთვის კი სწავლა ხელმიუწვდომელია. ახლანდელი მთავრობა განგებ ცდილობს ჩვენი გონება ბნელი იყოს, თუარა, რა იყო მიზეზი, როცა სამოქალაქო კლასის გახსნა ვითხოვეთ ჩვენი ხარჯით და ნება არ მოგვცეს. ხაზინას ჩვენ თითქმის არაფერს არ ვთხოვდით, მარა მთავრობამ მაინც არ მოგვცა ნება სასწავლებელი გაგვეღო, თქვენ სწავლა გაწყენთო... 16 წლამდე სწავლა უფასო და სავალდებულო უნდა იყოს ორივე სქესისათვის, წოდების და ეროვნების განურჩევლად. ამას გარდა, საშუალო და უმაღლესი სწავლაც ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის".[2]

ჯვარცხმის (გურია) დეპუტატის აზრით: „სწავლა-განათლება უნდა იყოს სავალდებულო, საყოველთაო და უფასო. ქართულ ენაზე უნდა ასწავლონ ყველა საგნები საშუალო და დაბალ სკოლაში. თუ კაცს თავისი სამშობლო ენა არ უყვარს და არა აქვს, სხვებსაც ვერ შეიყვარებს". კრიმ-გირეის კითხვაზე — „რუსეთში 146 სხვადასხვა ერი ცხოვრობს და ყველამ რომ თავისი ენა მოითხოვოს სასწავლებელში?," — „ყველა დაკმაყოფილებულ უნდა იქნასო, — უპასუხეს გურულებმა — რუსული ენა მხოლოდ სავალდებულო საგნად უნდა იქნას შემოღებული სასწავლებელშიო".[3]

ასკანის (გურია) გლეხთა დეპუტატმა განაცხადა, რომ რუსეთის განათლების მინისტრი — „არაფერს არ ანათებს, პირიქით

---

[1] ჟურნ. „მოგზაური" № 11, გვ. 172, 1905 წ.

[2] იხ. „მოგზაური" № 8, „ცნობის ფურცელი" № 2758, 1905 წ.

[3] იხ. „მოგზაური" № 8, გაზ. „ცნობის ფურცელი". № 2758, 2762, 1905 წელი.

ებნელებს, განათლების მოსურნე გურულ ხალხს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები დაგვიხურესო". კრიმ-გირეის კითხვაზე: „რატომ არ იჩივლეთ უმაღლეს მთავრობასთანო", — ხალხმა უპასუხა: „ვიცით, რომ რაც უფრო მაღლა ვიჩივლებთ, უსამართლობა იზრდებაო".[1]

ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს გურიის სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებმაც. გურული მშრომელი გლეხობის მოთხოვნილებანი სახალხო განათლების დარგში გამომდინარეობდა რსდმპ პროგრამიდან და მიმართული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის, რელიგიურ-დოგმატიური სწავლების, უაზრო ზეპირობის, ბურჟუაზიულ-პრივილეგიური აღზრდისა და საერთოდ, სწავლა-განათლების თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. გურიის გლეხობის რევოლუციური ნაბიჯები დაკავშირებული იყო მთელი ამიერ-კავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან. გურული გლეხების მიერ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნათა მკაცრად წამოყენება, ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა და საერთოდ, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შეუნელებელი მუშაობის შედეგს წარმოადგენდა. ამ მიმართულებით გლეხობაში რევოლუციური შეგნების ამაღლებაზე დიდ გავლენას ახდენდა ბოლშევიკური გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", სტალინური პროკლამაციები და ის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც მშრომელ მასებში, თვით ამხანაგი სტალინი ეწეოდა. მშრომელი გლეხობის მიერ წამოყენებული პოლიტიკური, ეკონომიური და სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნის გატარება თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრის დანგრევას მოასწავებდა. ამ მოთხოვნათა განხორციელებისათვის ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მასების თვალში ბოლშევიკების ავტორიტეტის დამცირების მიზნით, მენშევიკები ავრცელებდნენ ობივატელურ შეხედულებებს, თითქოს ბოლშევიკები, გლეხების კრიმ-გირეისთან შეხვედრისა და მოთხოვნათა წამოყენების წინააღმდეგი იყვნენ.

ბოლშევიკური გაზეთი ერთ-ერთ სტატიაში — გონებამახვილურად და მთელი სისასტიკით გმობდა მენშევი-

---

[1] იხ. ჟურნ. „მოგზაური" № 8, გაზ. „ცნობის ფურცელი", № 2758, 2752, 1905 წელი.

�is ამ მცდარ შეხედულებას და აღნიშნავდა, რომ კავკასიის „კავშირის კომიტეტი“ არა თუ უარს არ ყოფდა კრიმ-გირეისთან ხალხის შეხვედრას და მოთხოვნილებათა წამოყენებას, არამედ პირიქით, იგი („კავშირის კომიტეტი“) თვითონვე ხელმძღვანელობდა კიდეც ამ მოთხოვნათა განხორციელებისათვის ბრძოლას[1].

ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი სტაროსელსკი, გურული გლეხობის მიერ კრიმ-გირეისადმი წარდგენილ მოთხოვნებისა და ამ საქმეზე ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შესახებ წერდა: „მისთვის წარდგენილი მოთხოვნები უეჭველად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მოთხოვნები მთლიანად შესულია გლეხებისა და გლეხი ქალის შეგნებაში, რომ ეს მოთხოვნები მათი პოლიტიკური თვალთახედვის განუყოფელი ნაწილი გახდა“.[2]

სოფელ ახალგორისა და ახლობელი სოფლების გლეხკაცობამ მოთხოვნათა მე-12 მუხლში საყოველთაო, უფასო, ორთავე სქესის ბავშვებისათვის სავალდებულო (16 წლამდე) სწავლების შემოღებასთან ერთად, მოითხოვა აგრეთვე სახელმწიფოს ხარჯზე ღარიბ მოსწავლეთა უზრუნველყოფა საზრდოთი, ტანისამოსითა და სასწავლო ნივთებით.[3]

საგარეჯოს გლეხობამ (ადგილობრივ მთავრობისადმი წარდგენილ) პეტიციის მე-10 მუხლში საჭიროდ სცნო: საყოველთაო-სავალდებულო, უფასო სწავლების შემოღება მშობლიურ ენაზე, წოდებისა და სქესის განურჩევლად, სასკოლო გადასახადების გაუქმება და სხვ.[4]

ანალოგიური მოთხოვნა წამოაყენეს (მე-18 მუხლი) ბორჩალოს მაზრის სოფ. დიდ გომარეთის[5], შიდა კახეთის, კონდოლის და კისისხევის ღარიბმა გლეხობამ[6], ქ. ფოთის მუშებმა და მოსწავ-

---

1 გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 10, 2 ივლისი, 1906 წ.
2 Журн. „Бытъ“ 9, стр. 288, 1906 г.
3 ჟურნ. „მოგზაური“ № 12, გვ. 175, 1905 წ.
4 ჟურნ. „მოგზაური“ № 12, გვ. 179, 1905 წ.
5 იქვე, გვ. 179.
6 იქვე, გვ. 184.

ლეებმა[1], ჯავახეთის მშრომელებმა და ა. შ.[2] 1905 წ. 27 აპრილს ქიზიყის სოფლების მშრომელთა წარმომადგენლების ყრილობამ მთავრობას წაუყენა პეტიცია, რომლის მე-16 მუხლში მოითხოვდა: უფასო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებას ვაჟებისა და ქალებისათვის 16 წლამდე, ღარიბ მოსწავლეთა დაკმაყოფილებას სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლო ნივთებით, ბინით, საკმელ-სასმელით და .ტანისამოსით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში მშრომელთა შვილებისათვის კარების ფართოდ გახსნას და სხვ.

მუშათა და გლეხთა მოძრაობა საქართველოს მთელ რიგ კუთხეებს, ქალაქებსა და სოფლებს მოედო. საქართველოს ყველა კუთხის ღარიბი გლეხკაცობა, ძირითადად თითქმის ერთისა და იმავე ხასიათის მოთხოვნებს აყენებდა. გორის მაზრის სოფელ საღოლაშენის გლეხობამ, სხვა (პოლიტიკურ და ეკონომიურ) მოთხოვნებთან ერთად, აღგილობრივი მთავრობისაგან საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება და მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღება მოითხოვა. „ჩვენ გვსურს სწავლა-განათლება, რადგან უსწავლელ კაცს ყველა ჩაგრავს ამ წუთისოფელში, ამიტომ ვთხოულობთ, დაარსდეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლა, სადაც განურჩევლად სქესისა უნდა სწავლობდნენ ჩვენი ბავშვები 16 წლამდის და სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე", — აცხადებდნენ მშრომელები[3].

1905 წლის 9 მარტს, ცხინვალის საზოგადოების მიერ ამორჩეულმა პირებმა, მშრომელთა საიდუმლო ყრილობის დადგენილებით, მთავრობისადმი წარსადგენ მოთხოვნებში სხვა საკითხებთან ერთად, სწავლა-განათლების შესახებ, შემდეგი მუხლი შეიტანეს:

„...ძალიანაც, რომ გვინდოდეს ჩვენი შვილების სწავლა-განვითარება, — საიდან უნდა ვასწავლოთ, როდესაც ჩვენს ნაოფლარს ხელიდან გვტაცებენ: მებატონე, მღვდელი, აქციზი, მამასახლისი, გენერალი და ნალოგები. რომელ ერთ მოთხოვნას გასცეს პასუხი ჩვენის ოფლით მონაწურმა. გვინდა სკოლა უფასო, სამშობლო ენაზე სწავლა... გვინდა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სულის მობრუნება[4].

---

[1] „მოგზაური" № 13, გვ. 198—199, 1905 წ.
[2] ჟურნ. „მოგზაური" № 15, გვ. 332—334, 1905 წ.
[3] ჟურნ. „მოგზაური" № 10, გვ. 140—141, 1905 წ.
[4] ჟურნ. „მოგზაური" № 11, გვ. 160, 1905 წ.

ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს გორის მაზრის, სიღნაღის, ქიზიყის და საქართველოს სხვა კუთხეების მშრომელებმაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფელ ბოდბისხევის (ქიზიყი) გლეხობის მიერ მთავრობისადმი 1905 წ. 17 მარტს წარდგენილი მოთხოვნები. ამ მოთხოვნათა მიხედვით გლეხობა საჭიროდ ცნობდა:

1. ყველა დაწესებულებაში ქართული ენის შემოღებას, (სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების დაწესებას);

2. უფასო საყოველთაო სწავლების გატარებას 16 წლამდე;

3. ყველა დარგის საშუალო და უმაღლესი სკოლების ადგილობრივ დაარსებას;

4. ღარიბ მოსწავლეთათვის ტანისამოსისა და სასწავლო ნივთების სახელმწიფო ხარჯზე შეძენას;

5. „ეგზამენების" არსებული „სისტემის" გაუქმებას (გარდა უმაღლეს სკოლებისა) და საერთოდ, სწავლების ისე მოწყობას, რომ ერთი სასწავლებლიდან მეორე სასწავლებლის შესაფერ კლასში გადასვლა შესაძლებელი ყოფილიყო შეუფერხებლად და სხვ[1].

ამავე პერიოდში რევოლუციური გლეხობა წოდებრივი პრივილეგიებისა და სახელმწიფო გადასახადების გაუქმებასთან ერთად მოითხოვდა აგრეთვე ორიეე სქესის ბავშვებისათვის საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას და სასკოლო გადასახადების მოსპობას[2].

თვითმპყრობელობის წინაშე ანალოგიური საერთო ხასიათის მოთხოვნებს აყენებდნენ გლეხები არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, არამედ რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეებშიც: სიმბირსკის გუბერნიის სოფ. პრომენსკის გლეხთა ნაკაზში, რომელიც II სახელმწიფო სათათბიროში გაიგზავნა, ეკითხულობთ:

„ჩვენ ვთხოულობთ, რომ სწავლა, როგორც დაბალს, ისე მაღალს სასწავლებლებში იყოს ყველასათვის შესაძლო, რომ გაუქმდეს წოდებათა გარჩევა და რუსეთში იყოს ერთი წოდება მოქალაქისა"[3].

ბოლშევიკური პრესა და ლენინურ-სტალინური პროკლამაციები საუკეთესოდ საშუალებას წარმოადგენდა მუშათა კლასის საბ-

---

[1] ჟურნ. „მოგზაური" № 11, გვ. 162, 1905 წ.
[2] ჟურნ. „მოგზაური" № 11, გვ. 163, 1905 წ.
[3] ბოლშ. გაზ. „დრო" № 13, 25 მარტი, 1907 წ.

რძოლო ამოცანებში მშრომელთა გარკვევისა და ამ ამოცანების შესასრულებლად ხალხის შემჭიდროებისათვის.

გლეხობა თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ მათ მიერ წამოყენებულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის დამხობას მოასწავებდა. ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვებით რომ ვთქვათ, მშრომელი ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის საშინელებებს ბოლოს ვერ მოუღებდა... „ვერავითარი რეფორმა, ვერავითარი ისეთი საკერებლის დადება თვითმპყრობელობაზე", როგორიცაა სახელმწიფო სათათბირო, ერობა და სხვ.[1] რომლებითაც ლიბერალური პარტია კმაყოფილდებოდა. **ამხანაგ სტალინის** ეს დებულება შეგნებული ჰქონდათ მშრომელებს. ამიტომ იყო, რომ პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა მოწინავე რევოლუციურ ახალგაზრდობასთან ერთად, მტკიცედ გამოვიდა თვითმპყრობელობის მთელი სისტემისა და მისი დახავსებული „საგანმანათლებლო" პოლიტიკის წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მშრომელი მასები, ძირითადად ერთსა და იმავე ხასიათის მოთხოვნილებებს აყენებდნენ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ბრძოლა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დამხობისათვის, სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის ძირიანად შეცვლისა და ახალი სკოლისათვის, ლენინ-სტალინის პარტიისა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთიანი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

1905 წლის 5 მარტიდან ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის საბოქაულოში დაიწყო გლეხთა მასობრივი აჯანყებები. მათ გაწყვიტეს კავშირი მთავრობის ყველა დაწესებულებასთან. კანცელარიის საქმეებს ცეცხლი წაუკიდეს, მღვდლებს და მემამულეებს შემოსავალი შეუწყვიტეს, სწავლა სამონასტრო სკოლებში შეაჩერეს. მთავრობის თანხმობას საზოგადოების ხარჯზე ქართულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ, ხალხმა (ყველა მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო) უარით უპასუხა.[2] ნოსირისა და წყემის (სამეგ-

---

[1] კრებული—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1905 წ.წ.", გვ. 193, იხ. ამჯანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ შედგენილი პროკლამაცია: „მოქალაქენო!"

შედგენილია 1905 წ. ოქტომბრის ბოლოს. ტ. ს.

[2] ჟურნ. „მოგზაური" № 21, გვ. 354, 1905 წ.

რელო) გლეხთა მიტინგმა, რომელშიაც 3000 კაცი იღებდა მონაწილეობას, მთავრობისადმი წარდგენილ მოთხოვნათა მე-12 მუხლში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება, ენის თავისუფლება და სწავლების ახალი მეთოდების შემოღება მოითხოვა. ამავე წლის 3 ივლისს ქვემო იმერეთის სოფ. საყულიას და ოფშკვითის 2000-ზე მეტმა კაცმა მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებებს ბოიკოტი გამოუცხადა. აჯანყებულებმა, პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად სახალხო განათლების დარგში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამულ მოთხოვნათა განხორციელება პირველი რიგის საბრძოლო ამოცანად გამოაცხადეს.

1905 წ. 19 ივლისს ზემო-რაჭის მშრომელთა ყრილობამ პოლიციაში წარდგენილ განცხადებაში აღნიშნა: „რახან უსწავლელი კაცი ეხლანდელ დროში ბრმაა, ამიტომ ჩვენი შვილები მაინც აცდნენ ამ სიბრმავეს, ამისათვის ვთხოულობთ უფასო და სავალდებულო სწავლებასო.“

საქართველოს ბოლშევიკური პრესა მასებს რაზმავდა ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა და რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნათა განხორციელებისათვის.

1906 წ. ივნისში გაზ. „ახალი ცხოვრება“ მშრომელებს მოუწოდებდა განეხორციელებინათ: დემოკრატიული რესპუბლიკა ე. ი. ისეთი წესწყობილება, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ძირითადი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა, აღარ იარსებებდა ბიუროკრატიული რეჟიმი და ეკლესია განცალკევებული იქნებოდა „სახელმწიფოსა და სკოლისაგან“[1].

ხალხის აჯანყებისა და მოძრაობის გაძლიერებით შეშინებული მეფის ერთგული მსახურები, რევოლუციის შენელებას მასებში ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა გავრცელებით და „დათმობების“ ქადაგებით ცდილობდნენ. მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოთხოვნებმა: საყოველთაო-სავალდებულო, უფასო სწავლების შ ე მ ო ღ ე ბ ი ს, ორთავე სქესის ბავშვთა მშობლიურ ენაზე აღზრდისა და რელიგიურ-დოგმატური სწავლების კატეგორიული უარყოფის შესახებ, საქართველოს ეკლესიის მსახურნიც დააფიქრა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1906 წლის ივნისში „...ქართლ-კახეთის სამღვდელოების რწმუნებულთა კრებამ... განიხილა საკითხი სასულიერო სკოლების რე-

---

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება“ № 3, 22 ივნისი, 1906 წ. გვ. 2—3.

ორგანიზაციის შესახებ. კრებამ საჭიროდ სცნო ყველა სასულიერო, დაბალ და საშუალო სკოლების რეორგანიზაცია თანამედროვე ცხოვრების პირობების მიხედვით და საკითხის დაწვრილებით შესამუშავებლად აირჩია კომისია მღვდლებისა და მასწავლებლებისაგან".[1]

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სასულიერო განათლების ხაზით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საეკლესიო ლოცვების მშობლიურ ენაზე ზეპირობას), არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ცარიზმის ბატონობის მთელს პერიოდში მეტ ნაკლებად, თითქმის ყველა სკოლაში, მოსწავლეების ტვინს აწვალებდნენ საეკლესიო წიგნების ზუთხვით და უაზრო ლოცვების გამაბრუებელი ზეპირობით. ამრიგად, სახალხო განათლების ე. წ. „სარეფორმო კომისიები", მაგი მუშაობის ერთგვარი პროგრესული მნიშვნელობის მიუხედავად, მთავრობის მიერ, სახალხო რევოლუციური მოძრაობის შენელებისათვის იყო გამოყენებული.

თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში საზოგადოების ინტერესები, ხალხის ინტერესები, ცხადად დაუპირისპირდა სახელმწიფოსა და საერთოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს. სახელმწიფო სკოლები აშკარად გამოხატავდა ბიუროკრატიის ინტერესებს და პრივილეგიურ წოდებათა (და კლასთა) შვილების აღზრდას ემსახურებოდა იმ დროს, როდესაც ყოველმხრივ შევიწროვებული იყო საზოგადო-სახალხო სკოლა.[2]

საქართველოს ბოლშევიკური პრესა, ჯერ კიდევ რუსეთის მუშათა მოძრაობის პირველი დღეებიდანვე, დაუნდობლად აკრიტიკებდა (სასტიკად გმობდა) მეფის მთავრობის სარეფორმო „დამამშვიდებელ" პოლიტიკას, რომელიც მუშათა მოძრაობის შენელებისა და პროლეტარიატის რევოლუციური მოთხოვნების წინააღმდეგ იყო მიმართული: „საზოგადოება, რომ დაემშვიდებინა, ნიკოლოზ რომანოვის პირით თვითმპყრობელობამ ბრძანა, რომ სწავლა-განათლება აქამდე საძაგლად მიდიოდა და დღეის შემდეგ, ვფიცავ მამა-ჩემის ალექსანდრე მესამის სულს — ძალიან კარგად წავალ, თუ „საზოგადოება დამეხმარება" ამ ძნელ საქმეში, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავინ გაბედოს სიტყვის ამოღება და რაიმე ნაკლის ჩვენებაო"...[3]

---

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება" № 7, 1906 წ., 28 ივნისი.
[2] გაზ. „ბრძოლა" № 1, გვ. 4, 1901 წ.
[3] გაზ. „ბრძოლა" № 1, გვ. 13, 1901 წ.

მეფის მთავრობა, ხალხის უკმაყოფილებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ მუშათა რევოლუციური მოძრაობის შენელებას (სახალხო განათლების დარგში) ცდილობდა „ძველი ცოდვების მონანიებით“ და სწავლა-განათლების „ახლებურად გარდაქმნის“ — შესახებ თვალის ამხვევი დაპირებებით. მეფის მთავრობა, ჩვეულებისამებრ არ ასრულებდა თავის „დაპირებებს“, სწორედ, მთავრობის მიერ ხალხის მისაძინებლად გამოგონილი „რეფორმების“ ამგვარ სიყალბეზე მიუთითებდა დიდი ლენინი, როდესაც 1902 წ. 15 თებერვალს გაზ. „ისკრაში“ (№ 17) წერდა:

„იმის შემდეგ, რაც დარღვეულ იქნა დაპირება, რომ უნივერსიტეტში დაბრუნებდნენ ყველას, ვინც შარშან დაზარალდა, იმის შემდეგ, რაც მთელი რიგი ახალი რეაქციული ღონისძიებებით ბრძოლაში გამოწვეულ იქნა ყველა ის, ვინც სასწავლო წესების ნამდვილ რეფორმას მოითხოვდა, იმის შემდეგ, რაც არა ერთხელ გაუმკლავდნენ მუშტით დემონსტრანტებს, . რომლებიც ბოროტეულად გაკოტრებულისაგან მოითხოვდნენ მის მიერ მიცემულ ვალდებულებათა შესრულებას, ყოველივე ამის შემდეგ, „გულითადი მზრუნველობის“ მთავრობა აქვეყნებს „დაწყნარების“ მიზნით განზრახულ „დროებით წესებს“ სტუდენტთა ორგანიზაციების შესახებ და... „დაწყნარების“ ნაცვლად „არეულობის“ საერთო ხანძრის სურათს იღებს, რომელიც კვლავ მოედო ყველა სასწავლებელს“.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა, ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ლენინურად ამხელდა რა მეფის მთავრობის „სახალხო განათლების“ ფარისევლურ პოლიტიკას, სახავდა ახალ ამოცანებს (ახალ პირობებში) სწავლა-განათლების სოციალისტურ ნიადაგზე მოწყობისათვის.

ლენინური „ისკრის“ ანალოგიურად, გაზ. „ბრძოლა“ გამანადგურებელ ბრძოლას ეწეოდა ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის, ეროვნული ჩაგვრის, ნაციონალური კულტურის შეიწროებისა და ველიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ. ეკონომისტებისა და სხვა ოპორტუნისტებისაგან განსხვავებით, ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, გაზეთი „ბრძოლა“, განაპირა ერების ნაციონალურ-კულტურული ჩაგვრის წი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ახალგაზრდობის შესახებ, გვ. 33, 1939 წ. ქართ. გამოცემა.

ნაღმდეგ აცხადებს, რომ რუსეთის განაპირა მხარეების სხვა-მრავალრიცხოვან ერებთან ერთად, ებრაელებიც მოკლებულნი არიან იმ ელემენტარულ უფლებებს... „...რომლებითაც სარგებლობენ რუსეთის დანარჩენი ქვეშევრდომნი: უფლებას — იცხოვრონ ყველგან, უფლებას — ისწავლონ სკოლებში, უფლებას — იმსახურონ და სხვ.; კვნესიან ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას იქონიონ თავისი სკოლები, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროვებელ პოლიტიკას გარუსებისას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა".[1]

საქართველოს მუშათა კლასი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, ცარიზმის მიერ ნაციონალური კულტურის ამგვარი დევნის წინააღმდეგ, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა.

ლენინურ-ისკრული მიმართულების წარმომადგენლებს და მათ შორის—ლენინის უახლოეს თანამებრძოლს—ამხანაგ სტალინს, ბოლშევიკური არალეგარული პრესის დახმარებით, ხალხში შეჰქონდა რევოლუციური შეგნება, მასებს არწმუნებდა, რომ „მხოლოდ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე შეიძლება აშენდეს ის საზოგადოებრივი წყობილება, დამყარებული სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ხალხის მონაწილეობაზე, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებას სწავლისაც, გაფიცვებისაც, სიტყვისაც, სარწმუნოებისაც, ეროვნებისაც და სხვ. და სხვ".[2]

გაზეთ „ბრძოლაში" გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული დებულების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ იგი ყოველგვარ რეფორმისტულ-ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ, წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას კომუნისტური აღზრდის პრობლემების სწორად დაყენებისა და გადაწყვეტის საქმეში.

ლენინის მიერ 1902 წ. იანვარში შედგენილ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამის პროექტში" ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ:

---

[1] ი. ბ. სტალინი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები", (ხაზგასმა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის.) თხზ. 1, გვ. 21—22.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ. 1, გვ. 25. ხაზგასმა ჩვენია ტ. ს.

„...გ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფური თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას რესპუბლიკით დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს:

...10. ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან;

11. საყოველთაო, უფასო და სავალდებულო განათლებას 16 წლამდე, ღარიბ ბავშვთა მომარაგებას საჭმლით, ტანსაცმლით და სასწავლო ხელსაწყოთი სახელმწიფოს ხარჯზე.

დ. მუშათა კლასის დაცვისა და მისი საბრძოლო უნარის ამაღლების ინტერესებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

...5. აეკრძალოთ მეწამეებს გამოიყენონ ბავშვთა დაქირავებული შრომა 15 წლის ასკამდე...“ და სხვ.[1]

ქართული ბოლშევიკური პრესა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა მასებს, მშრომელ ინტელიგენციას და მოწინავე რევოლუციურ ახალგაზრდობას, ამჭიდროებდა და რაზმავდა მარქსისტულ-ლენინური პროგრამის ზემოჩამოთვლილ მოთხოვნათა ნამდვილად განხორციელებისათვის.

სტალინი თავის გენიალურ სტატიაში: „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“ — მკვეთრად განსაზღვრავდა რა მეფის მთავრობის ნანგრევებზე აღმოცენებულ ხალხის მიერ შექმნილ დროებითი რევოლუციური მთავრობის ძირითად ამოცანებს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ ხალხის შეიარაღებისა და რევოლუციის მტრების ალაგმვასთან ერთად, ცხოვრებაში უნდა გაატაროს: სიტყვის, პრესის, კრების და მიტინგების თავისუფლება, არაპირდაპირი გადასახადების მოსპობა, მოგებაზე და მემკვიდრეობაზე პროგრესული გადასახადების შემოღება, - სოფლებში მიწების საქმეების მოწესრიგება (საგლეხო კომიტეტების დაარსების გზით) და სხვ. ამასთან, დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ „...უნდა განაცალკეოს ეკლესია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან“...[2]

---

[1] იხ. კრებული—ლ ე ნ ი ნ ი სახალხო განათლების შესახებ, გვ. 71, 1936 წ. ქართ. გამოცემა.

[2] ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს სტატია—„დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია“, თხზ. I, გვ. 132—133.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მეთაურობით, მშრომელ მასებს მოუწოდებდნენ ცარიზმის დამხობისა და პირველ რიგში — სახალხო რევოლუციურ-დემოკრატიული ამოცანების განხორციელებისაკენ — „პროგრამა მინიმუმის“ პრაქტიკულად გატარებისაკენ, რათა ამ გზით მოეწყოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის კანონზომიერი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში.

პოლიტიკური განთავისუფლების გარეშე, ცხადია, შეუძლებელი იყო პროლეტარიატის სასწავლო-საგანმანათლებლო ამოცანებისა და ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის პრინციპების განხორციელება. აღნიშნულ დებულებას ნათლად ამტკიცებს ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ გამოქვეყნებული ლენინის გენიალური მოწინავე სტატია („რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული მიზანი“), სადაც მითითებულია, რომ საწარმოო ძალთა მაქსიმალური განვითარება, „...პროლეტარიატის მასის აღზრდა და შეკავშირება — ყველა ეს წარმოუდგენელია, თუ რომ პოლიტიკური თავისუფლება არ განხორციელდა“, — დემოკრატიული რევოლუციის გზითო.[1]

ქართული ბოლშევიკური გაზეთები, სტალინისა და მისი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით, მასებს აიარაღებდნენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცოდნით, წინ სწევდნენ მათ რევოლუციურ შეგნებას, ამჭიდროებდნენ და რაზმავდნენ მათ ამ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის: „სოც-დემოკრატების მოვალეობაა აღრევე შეისწავლონ ქალაქის მეურნეობა, რომ ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიონ ქალაქს. უნდა აირჩიოს დელეგატები სამხედრო საქმეებისათვის, ფინანსიური მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის, (აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფისა და ტრანსპორტისათვის), საერო განათლებისათვის, შრომის დაცვისა და იუსტიციისათვის“ და სხვ. რაც შეეხება სახალხო განათლების საკითხებს — „პროლეტარიატის ბრძოლა“ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოვალეობის შესახებ განაგრძობდა: „დროებითი მთავრობის მოვალეობაა ქალაქის ცხოვრებაში გაატაროს ის რეფორმები, რომლებიც ჩვენს პროგრამა-მინიმუმშია მოყვანილი: უფასო და სავალდებულო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის — 16 წლამდე, სახელმწიფო საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და სასწავლო

[1] გახ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 10, 15(28) ივლისი, 1905 წ. ხახგასმა ჩვენია. ტ. ს.

ნივთები ღარიბი ბავშვებისათვის; შრომის ინტერესების დაცვა"... და სხვ.[1]

ამრიგად, ზემომოყვანილი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ამოცანების განხორციელების გზით, პროლეტარიატს უნდა მოემზადებინა „საერთო აჯანყების გამარჯვება თვითმპყრობელობაზე" და კაპიტალისტური კლასების საბოლოოდ დამხობა.

საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი, მთელ მშრომელ მასებთან ერთად იბრძოდა ზემოაღნიშნული რევოლუციურ-დემოკრატიული მიზნების განხორციელებისათვის, სახალხო განათლების ახალი პრინციპების, საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების, მშრომელ მასებში მარქსისტულ შეგნების შეტანისა და რევოლუციური მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის.

ბოლშევიკური გაზეთები, მასებს მოუწოდებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ამოცანების განხორციელების გზით პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლისაკენ, ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების შექმნისაკენ, სადაც ფართო გასაქანი მიეცემოდა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ახალ-ახალ გამოგონებათა გავრცელებას. მხოლოდ ამგვარ (სოციალისტურ) საზოგადოებაში მოისპობა ადამიანთა პოლიტიკური, უფლებრივი და ეკონომიური უთანასწორობა, ადგილი არ ექნება პრივილეგიურ აღზრდას „...ყველას შეეძლება განათლდეს, ცოდნა შეიძინოს, ყველას მიეცემა საშუალება ის შეისწავლოს, რაც თვითონ ურჩევნია, უყვარს"..., — წერდა „პროლეტიარიატის ბრძოლა".[2]

გამომდინარეობდა რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებიდან, ქართული ბოლშევიკური პრესა და მისი ხელმძღვანელი ამხანაგი სტალინი ერთგულად იცავდა პარტიის პროგრამულ მოთხოვნებს, როგორც ყველა სხვა, ისე სახალხო განათლების დარგში. სხვადასხვა ოპორტუნისტულ მიმდინარეობებთან და ჯგუფებთან გამანადგურებელ ბრძოლაში, იგი, პროლეტარიატს რაზმავდა პარტიული პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისა და სამშობლო ენაზე აღზრდა-განათლების მოწყობისათვის.

---

[1] იხ. გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 11, 15(28)აგვისტო, 1905 წ. გაზ. „ახალი ცხოვრება" № 5-6, გვ. 2—4. 1906 წ. ხახგასმა ჩვენია. ტ. ს.

[2] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 8, გვ. 13, 1905 წ.

ჯერ კიდევ 1904 წ. სექტემბერში, თავის ღირსშესანიშნავ შრომაში: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“?, — ყველა ჯურის სოციალ-ოპორტუნისტების (კერძოდ კავკასიელი მერყევი „სოციალ-დემოკრატების“ წინააღმდეგ), რუსეთის ერებისათვის ენის თავისუფლების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ამხანაგი სტალინი წერდა: „თქვენ გაღელვებთ ის ფაქტი, რომ რუსეთის „უცხო“ ერების პროლეტარებს თითქოს აკრძალული აქვთ სამშობლო ენაზე სწავლა, სამშობლო ენაზე ლაპარაკი საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში? დიახაც, რომ ასაღელვებელია! ენა განვითარებისა და ბრძოლის იარაღია. სხვადასხვა ერებს სხვადასხვანაირი ენა აქვთ. რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს: რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ იმ ენით, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეუძლიათ სწავლა-განათლება შეიძინონ, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეუძლიათ ებრძოლონ მტრებს კრებებზე, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში. ამნაირ ენათ ცნობილია სამშობლო ენა. „უ ცხ ო“ ერების პროლეტარებს ართმევენ სამშობლო ენას, და გავჩუმდეთო?! მერე, რა პასუხს აძლევს ამაზე რუსეთის პროლეტარიატს ჩვენი პარტიული პროგრამა? წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-8 მუხლი, რომლის ძალითაც ჩვენი პარტია მოითხოვს: „სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებას ყველა მცხოვრებთათვის, ამისთვის საჭირო სკოლების დაარსებას სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯით; თვითეული მოქალაქის უფლებას ილაპარაკოს სამშობლო ენაზე კრებებზე; სამშობლო ენის შემოღებას სახელმწიფო ენის თანასწორად, ყველა ადგილობრივ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში“, — წაიკითხეთ ყველაფერი ეს და დარწმუნდებით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებასაც“.[1]

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, იბრძოდნენ რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდის დაცვისა და პარტიული პროგრამის თვითეული მუხლის განხორციელებისათვის, მოითხოვდნენ

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. 1, გვ. 43—44, ქართული გამოცემა. ხაზგასმა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. ტ. ს.

ხამშობლო და სახელმწიფო ენების გათანასწორებას, სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მოწყობას, მუშათა კლასის მიერ ენის, როგორც განვითარებისა და ბრძოლის იარაღის თავისუფლად გამოყენებას, პრივილეგიური აღზრდის მოსპობას და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას.

ცხადია, ამხანაგ სტალინისა და საერთოდ, ბოლშევიკების ამგვარი გაგება ენის საკითხში, მიმართული იყო, როგორც ველიკორუსული შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმისა და ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ.

1905 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში საქართველოს პროლეტარიატი, მშრომელ გლეხობასა და მოწინავე რევოლუციურ ინტელიგენციასთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ იბრძოდა სახალხო განათლების დარგში რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნების გატარებისა და მუშათა კლასის საბრძოლო ამოცანების ბოლომდე განხორციელებისათვის.

ამრიგად, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლებისა და პარტიის პროგრამულ მოთხოვნათა განხორციელების მიზნით, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბოლშევიკური პრესის გამოყენებას, პროკლამაციების გავრცელებას და მშრომელთა შორის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ფართოდ გაშლას.

საქართველოს მშრომელი მასები, ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მტკიცედ იბრძოდნენ სწავლა-განათლების დარგში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განუხრელად გატარებისათვის. ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ერთი რომელიმე ენის გაბატონების, ან ამა თუ იმ ენაზე სწავლების შეზღუდვის წინააღმდეგ. ცარიზმი კი ყოველმხრივ სდევნიდა და ავიწროებდა „...რუსეთის „უცხო" ერების ნაციონალურ კულტურას, მათ ენას, ზნეჩვეულებას, დაწესებულებებს და სხვ".[1]

მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მოწყობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება ორთავე სქესის ბავშვებისათვის (16 წლამდე), ღარიბ ბავშვთათვის მატერიალური დახმარების გაწევა, მუშათა კლასის ერთ-ერთ რევოლუციურ

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 7, 1(14) სექტ. 1904 წ.

ხაბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა. „მხოლოდ ყველა ბავშვის უფასო და სავალდებულო სწავლებას შეუძლია ნაწილობრივ მაინც იხსნას ხალხი ახლანდელი სიბნელისაგან, ხოლო სოფლის ღარიბი გლეხობა განსაკუთრებით ბნელია და განსაკუთრებით საჭიროებს განათლებას. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ გვინდა ნამდვილი თავისუფალი განათლება, და არა ისეთი, როგორიც სურთ ჩინოვნიკებს და ხუცესსო“, — ამბობდა ლენინი.[1]

ცარიზმის კავკასიელი მოხელეები, სამღვდელოება და კაპიტალისტები, ყოველთვის ცდილობდნენ მუშებისათვის მხოლოდ იმდენი განათლება მიეცათ, რამდენიც მანქანების წესიერი გამოყენებისათვის იყო აუცილებელი. გაბატონებული კლასების მოთხოვნა საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღების შესახებ, ხალხის მოსატყუებლად გამოგონილ ბურჟუაზიულ შირმას წარმოადგენდა. მშრომელთა მიერ ჭეშმარიტი განათლების დამოუკიდებლად შეთვისების შიშით, წერა-კითხვის ელემენტარულ მცოდნეობას, კაპიტალისტური კლასები, მშრომელ მასებზე იდეოლოგიური ზეგავლენის იარაღად იყენებდნენ. აკრიტიკებდა რა „საყოველთაო-სავალდებულო“ პირველ დაწყებითი განათლების ამგვარ ბურჟუაზიულ „თეორიას“, ენგელსი მუშათა განათლების შესახებ აღნიშნავდა: „თუ ბურჟუაზია მას ცხოვრების საშუალებას აძლევს იმდენად, რამდენადაც ეს მისთვისაა საჭირო, არ უნდა გაგიკვირდეს, თუ ის მათ განათლებასაც იმდენს აძლევს, რამდენიც მის ინტერესს შეადგენს“[2].

მე-19 საუკ. მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა, ფეოდალურ-მრეწველობის კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში, თავისი სურვილების წინააღმდეგ აიძულებდა ბურჟუაზიას განსაზღვრულ ფარგლებში დაეშვა მუშათა განათლების შემოღების საკითხი. ბურჟუაზიას, ფეოდალურ არისტოკრატიასთან შედარებით, ცხადია, უფრო „...მცოდნე, განათლებული მუშა ურჩევნია, უვიცს, გაუნათლებელს, რადგან პირველი უფრო გონიერად, ნაყოფიერად მუშაობს. ამიტომ სახალხო განათლებაზედაც კი ზრუნავს; მან თავისი ინტერესები სიტყვისა და წერის საშუალებით უნდა დაიცვას, მხოლოდ თუ მას ამის ნებას არ აძლევენ, ის მოითხოვს სიტყვისა და წერის

---

[1] კრებული,—„ლენინი სახალხო განათლების შესახებ“, გვ. 78. ბროშურიდან: „სოფლის ღარიბი გლეხებისადმი“, დაწერილია 1903 წ. ტ. ს.

[2] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 110.

თავისუფლებას, რასაკვირველია, ეს თავისუფლება მას მხოლოდ თავისთვის უნდა, მხოლოდ მუშათა თავისუფალი სიტყვის, წერის და კრების წინააღმდეგია. ეს მისთვის საზიანოა და ამიტომ არა სასურველი".[1]

ლიბერალური ბურჟუაზია კმაყოფილდებოდა მხოლოდ მუშათა განათლების შეზღუდული ფორმებით, კაპიტალისტური მანქანის პასიურ „დამატებათა", ანუ ე. წ. „ნაყოფიერ მომუშავეთა" ერთგვარი მომზადებით. ქართული ბოლშევიკური პრესა, რომელსაც კომუნისტური პარტია, მშრომელთა დიდი ბელადი — ამხანაგი ხტალინი ხელმძღვანელობდა, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა სწავლა-აღზრდის ბურჟუაზიულ „თეორიებს", ბოლომდე ამხელდა მის ორმაგ ხასიათს, მასებს არწმუნებდა მის მოჩვენებითობაში და თანმიმდევრულად, შეუნელებლად იბრძოდა ნამდვილი მეცნიერული ცოდნით ხალხის შეიარაღებისათვის, მშრომელი ახალგაზრდობის ყოველმხრივი განათლებისათვის.

მთავრობა, კაპიტალისტური მოგების ღრმა ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოებაში ფართოდ იყენებდა მცირეწლოვანთა და მოზარდთა შრომას, სისტემატურად აძლიერებდა შრომის ექსპლოატაციას, ამცირებდა საარსებო საშუალებებს, რითაც მათი რევოლუციური შეგნების დასუსტებისა და ცოდნის დამცირებისაკენ მიილტვოდა.

წინააღმდეგ ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ-კლასობრივი შეხედულებებისა, მუშათა კლასი შეუნელებლად იბრძოდა მოზარდთა და ბავშვთა შრომის კაპიტალისტური ექსპლოატ-ციისაგან განთავისუფლებისა და პირველ რიგში, ახალგაზრდობის რევოლუციური შეგნების გადაჭრით ამაღლებისათვის.

ი. ბ. სტალინის თანამებრძოლი, კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი — ლადო კეცხოველი, მუშა ახალგაზრდობას მოუწოდებდა, ესწავლათ ამხანაგობის ხარჯზე (სამოქალაქო სკოლაში, ან საღამოს კურსებზე) და სწავლისათვის დროც მაქსიმალურად გამოეყენებინათ.

„დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შეგირდების აღზრდელობით მხარესაც: გონების და ხელობის შესწავლის გაუმჯობესებასაც. უკეთუ აღმოჩნდა, რომელიმე შეგირდი ნიჭიერია მწიგნობრობით ან და ხელობაში, მაშინ ამხანაგობა მოვალეა ჩარიცხოს შეგირდი

---

[1] გახ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 8, 1905 წ. გვ. 8.

შესაფერ ადგილობრივ სასწავლებლებში თავის ხარჯზეო“, — ამბობდა ლ. კეცხოველი.[1]

ამხანაგი სტალინი თავის შესანიშნავ სტატიაში — „საფაბრიკო კანონმდებლობა და პროლეტარიატის ბრძოლა“ (15 ნოემბრის ორი კანონის გამო), ეხებოდა რა საკითხს ახალგაზრდა მუშა-ხელოსნების და ნოქარ-მოსამსახურეთა მუშაობის პირობების შესახებ, ამ კანონის უარყოფით მხარეებთან ერთად, ხაზს უსვამდა აგრეთვე მის დადებით, პროგრესიულ მნიშვნელობას:

„...ორივე კანონი ამბობს აგრეთვე, რომ ჩვიდმეტი წლისაზე უმცროსებს უფლება ეძლევათ ამ ორ საათს გარდა კიდევ სამ საათს დაკლდენ მაღაზიას ან სახელოსნოს ყოველდღე სკოლაში სასიარულოდ, რაც, რა თქმა უნდა, დიდ შეღავათს მისცემს ჩვენს ახალგაზრდა ამხანაგებს...

თქმა არ უნდა, რომ პროლეტარიატი ღირსეულად გამოიყენებს 15 ნოემბრის კანონების ამგვარ მუხლებს, ღირსეულად გააძლიერებს თავის პროლეტარულ ბრძოლას და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ ეშმაკს მისივე ხმლით უნდა მოჰკვეთო თავი“.[2]

ამრიგად, ბოლშევიკური პარტია და მისი ხელმძღვანელები გადაჭრით იბრძოდნენ მშრომელი ახალგაზრდობის მუშაობის პირობების სისტემატური გაუმჯობესების, მათში კულტურული ცოდნის გაღრმავებისა და მარქსისტული განათლების შეტანისათვის. თვითმპყრობელური მთავრობა, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და ცარიზმის პოლიტიკური კრიზისების გამწვავების პერიოდში, მშრომელთა მიმართ ოდნავ დათმობაზე მიდიოდა (სამუშაო დროს ნაწილობრივ შემცირება და სხვ.). ბოლშევიკები ამ „დათმობებს“ იყენებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის დარაზმვის, მუშათა კლასის რევოლუციური შეგნების ამაღლებისა და არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის დასამხობად მშრომელი მასების მომზადებისათვის.

ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლების პირველ წლებიდანვე, ამიერ-კავკასიის და საქართველოს პროლეტარიატის ლენინურ-ისკრული მიმართულების წარმომადგენ-

---

[1] მ. ჩოდრიშვილი, „ჩემი თავგადასავალი“ გვ. 167—168, 1927 წ.

[2] ი. სტალინი, თხზ. 1, გვ. 275, ქართ. გამოცემა ხაზგასმა ყველგან ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. ტ. ს.

ლებს სასტიკი ბრძოლა უხდებოდათ ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული ჯგუფების, ნაციონალისტური ელემენტების, ბენშევიკ-ლიკვიდატორებისა და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც სახალხო განათლების მარქსისტულ-ლენინური პრინციპების წინააღმდეგ ანტი-ხალხურ, ანტირევოლუციურ შეხედულებებს იცავდნენ.

1905—1907 წ. წ. საქართველოს ლიბერალურ-ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლები ეროვნებათა შორის სასკოლო ხაქმის განაწილების მოთხოვნით, მუშათა კლასის რევოლუციურ ძალთა დაქსაქსვა-დანაწილებისაკენ მიილტვოდნენ. ქართველი ნაციონალისტ-სოციალისტები, სხვა ბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ ელემენტებთან ერთად, აერცელებდნენ რა ე. წ. „კულტურულ'-ნაციონალური ავტონომიის“ რეაქციულ-ბუნდისტურ თეორიას, საჭიროდ თვლიდნენ ცალკე დამოუკიდებელი ეკლესიის დაარსებას, ეროვნული ენის გაბატონებას, (სხვა ენების წინააღმდეგ), სახელმწიფოს ხელიდან სასკოლო საქმის (განცალკევებულად) თითოეული ერის ხელში გადაცემას, რითაც პროლეტარიატის ინტერნაციონალური კულტურის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

„ქართველების შიგნით თავადის, კაპიტალისტის, აზნაურის, სასულიერო წოდების, მუშის და გლეხის ინტერესები ერთიაო“,— ამტკიცებდნენ ნაციონალისტ-სოციალისტები, რის შედეგად „სკოლის ავტონომიის“ ანტიხალხურ „თეორიას“ ანვითარებდნენ. „ყველა ერის ბურჟუაზია ავსტრიაშიაც, რუსეთშიაც, „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგის წამოყენებით ნამდვილად მუშების გათიშვას, დემოკრატიის დაუძლურებას ცდილობს და ბატონყმობის მომხრეებთან ხალხის უფლებათა და თავისუფლების გაყიდვის ჩარჩულ საქმიანობას ეწევაო“, — ამბობდა ლენინი.[1]

„ნაციონალურ-კულტურული ავტონომია“, არა თუ არ გულისხმობდა ბურჟუაზიულ-მონარქიული წყობილების საფუძვლების ოდნავ შეცვლას პროგრესული მიმართულებით, არამედ იგი მუშათა მასებზე გაბატონებული კლასებისა და წოდებათა ძალაუფლების შემდგომ განმტკიცებას მოასწავებდა.

---

[1] იხ. კრებული—„ლ ე ნ ი ნ ი სახალხო განათლების შესახებ“, გვ. 122.

ჯერ კ-დევ 1903—1905 წ.წ. ამხანაგი სტალინის თანამებრძოლი ა. წულუკიძე, გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა (არჩილ ჯორჯაძე) და ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა" (ნ. ჟორდანია) ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური „თეორიის" წინააღმდეგ, რომლითაც ისინი ეკლესიებში, სასამართლოებში, სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში „საქმის წარმოების" ქართული ენაზე შემოღებით კმაყოფილდებოდნენ. ამხანაგი წ ულ უ კ ი ძ ე სტატიაში — „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები",[1] ააშკარავებდა „ეროვნული ავტონომიის თეორეტიკოსთა" რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებებს, რომელიც პროლეტარიატის რევოლუციური ძალების დაქსაქსვა-დანაწილებისაკენ იყო მიმართული. „კულტურული ავტონომიის" წარმომადგენლები, მუშებს განცალკევებისა და ეროვნული დაქუცმაცებისაკენ მოუწოდებდნენ, ხოლო მუშები „...რანდენადაც უფრო გამოითიშება საერთო მოძრაობისაგან, მით ნაკლები ფარგალი აქვს მის მოქმედებას, რაც მის **გონებრივ განვითარებას ზღუდავს, ასუსტებს. ეს სისუსტე კი მოასწავებს საკითხავი წიგნების ნაკლებ მოთხოვნილებას,** ერთმანეთში საზოგადოებრივ კითხვებზე საუბრის ნაკლებ ინტერესს, ე. ი. **დედა-ენა ნაკლებ განვითარებას შესძლებსო**", — ამბობდა ა. წულუკიძე.[2]

საქართველოს მასწავლებელთა ერთი (თუმცა მცირე) ნაწილი მოქცეული იყო „კულტურული ავტონომიის" თეორიის მიმდევართა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ. ეს „თეორია" კი მოითხოვდა ერების გამიჯვნას, სასკოლო და საერთოდ, ნაციონალური კულტურის საქმის, სახელმწიფოს ხელიდან ცალკე ერების ხელში გადაცემას.

„რეაქციული ანუ შავრაზმული ნაციონალიზმი ისწრაფვის უზრუნველყოს ერთ-ერთი ერის, პრივილეგიები და დანარჩენ ერებს მიუსაჯოს მორჩილება არასწორუფლებიანი, ან და სრულიად უუფლებო მდგომარეობაო", — ამბობდა ლენინი და, მის წინააღმდეგ გამანადგურებელ ბრძოლას თვლიდა ყოველი მარქსისტისა და დემოკრატის საპატიო მოვალეობად.[3]

---

[1] ა. წ ულ უ კ ი ძ ე, თხზ. კრებული, 1927 წ. გვ. 157—158.
[2] ჟურნ. „მოგზაური" № 17, 1905 წ. გვ. 261—263.
[3] კრებული,—„ლენინი სახალხო განათლების შესახებ", გვ. 135, 1936 წ.

რეაქციის აღმავლობის პერიოდში მეფის თვითმპყრობელობამ კიდევ უფრო გააძლიერა ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნული შევიწროვებისა და თავაშვებული კოლონიალური ჩაგვრის ნაცადი პოლიტიკა, „რუსეთის ცარიზმი რეაქციის წლებში გაძლიერებით ატარებს კავკასიის კოლონიზაციას, აღვივებს შუღლს ეროვნებათა შორის და აძლიერებს ამიერკავკასიის ხალხთა ნაციონალური კულტურების დევნას“.[1]

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ჯურის ნაციონალისტების, მენშევიკებისა და სოციალ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

1912—1913 წლებში, ილაშქრებდა რა საშუალო საუკუნეობრივი ინკვიზიციის ახალი ფორმის, ე. წ. „ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის პროექტის“ წინააღმდეგ, (რომელიც სასკოლო საქმის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად გადაცემას მოითხოვდა თვითეული ერის ხელში), პროლეტარიატის ბელადი — დიდი ლენინი აღნიშნულ „პროექტს“, ყოველად მავნე პროექტად თვლიდა და მშრომელთა მისწრაფებებს აძლიერებდა არა გათიშვის, არამედ „...ყველა ეროვნების მუშათა გაერთიანებისაკენ ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჰეშმარიტი დემოკრატიული საერთო სკოლისათვის და საერთოდ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში“[2].

ეხებოდა რა ქართველ ნაციონალისტ-ლიკვიდატორების (ნ. ჟორდანიას და სხვ.) ოპორტუნისტულ შეხედულებებს სოციალიზმის ნაციონალიზმთან შეგუებისა და სასკოლო საქმის სახელმწიფოს ხელიდან ცალკე ერების ხელში გადაცემის შესახებ, ლენინი (1913 წ. დეკემბერში) საჭიროდ თვლიდა არა გამიჯვნას, არამედ ერების დაახლოებას, პროლეტარიატის ირგვლივ შეკავშირებას და სრული დემოკრატიზაციის საშუალებით ყველა ეროვნების მშრომელთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას. ამხანაგი სტალინი 1912—1913 წ. წ. თავის ცნობილ ისტორიულ-ფილოსოფიურ შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, გამანადგურებლად გაუსწორდა კავკასიელ მერყევ „სოციალ-დე-

---

[1] ლ. პ. ბ ერ ი ა,—ამიერ-კავკასიის ბოლშ. ორგ. ისტორიის საკითხისათვის, თავი მე-4, გვ. 127, 1939 წ.

[2] ლ ე ნ ი ნ ი სახალხო განათლების შესახებ, გვ. 113, 1936 წ. ქართ. გამოც. ხაზგასმა ლ ე ნ ი ნ ს ეკუთვნის. ტ. ს.

მოკრატებს“ (ნ. ჟორდანია, ჩხენკელი და სხვ.), რომლებიც ბუნდელების „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ოპორტუნისტულ თეორიას იცავდნენ. რუსი ლიკვიდატორების კავკასიელი ადებტების წინააღმდეგ, რომელნიც რევოლუციურ ძალთა დაქსაქსულობის, ერთა გამიჯვნისა და სასკოლო საქმის ეროვნულ დეცენტრალიზაციისაკენ მიილტვოდნენ—, ამხანაგი სტალინი ასაბუთებდა, რომ ერებს შორის მთავარია „...ნაციონალური თანასწორუფლებიანობა მისი ყველა სახით (ენა, სკოლა და სხვ.), როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში“[1]. ცხადია, ამ დებულების განხორციელება შესაძლებელი იყო, მხოლოდ ქვეყნის სრული დემოკრატიზაციის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფოებრივ-კანონმდებლობითი წესით უზრუნველყოფდა ყოველგვარი ნაციონალური პრივილეგიებისა და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობას და მშრომელი ხალხის უფლებათა ნამდვილად განხორციელებას. ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი კრიტიკის საფუძველზე უზრუნველყო სოციალ-ოპორტუნისტთა „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ პროგრამის სრული დამარცხება. ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ განხორციელება, გამოიწვევდა ერების ძველ ნაჭუჭებში ჩაკეტვას, მათი კულტურული განვითარების ყოველმხრივ შეზღუდვას, დაგვიანებულ ერთა განვითარების შენელებას და ნაციონალურ კავშირებად ორგანიზებულ ერთა შორის შუღლისა და მტრობის ეაძლიერებას. ლენინთან ერთად, ამხანაგმა სტალინმა ნათელყო, რომ „...რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც დაუძინებელი მტერი რუსეთის პროლეტარიატისა, ყოველთვის წინ ეღობება პროლეტარია შეერთების საქმეს, ის ავაზაკურად სდევნის რუსეთის „უცხო“ ერების ნაციონალურ კულტურას, მათს ენას, ზნე-ჩვეულებას, დაწესებულებებს“ და სხვ.[2]

ამიტომ, „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ, ბოლშევიკები საკარიდ თვლიდნენ შეუნელებელ რევოლუციურ ბრძოლას, მტკიცედ შეკავშირებას ხალხის განთავისუფლებისა და სახალხო განათლების შესახებ

---

[1] ი. სტალინი—„მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 60, 1934 წ. ქართ. გამოცემა.

ხაზგასმა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. ტ. ს.

[2] ი. სტალინი, თხზ. 1. გვ. 36.

პარტიული პროგრამის მოთხოვნათა სრული განხორციელებისათვის.

რუსეთის სდმპ (ბ) კავკასიის ორგანიზაციის თათბირმა 1915 წ. ოქტომბერში, საუკეთესო ბოლშევიკის — ამხანაგ სტ. შაუმიანის ხელმძღვანელობით (რომელსაც ესწრებოდნენ ქუთაისის, თბილისის, განჯის და სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები), ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით, უკანასკნელ წლებში ყველაზე გავრცელებულ გაუგებრობად მიიჩნია „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" მოთხოვნა. ამ „თეორიის" მიხედვით (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული) რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერს უნდა შეექმნა ცალკეული ნაციონალური სეიმი, რომელსაც ექნებოდა ცალკეული ნაციონალურ-წარმომადგენლობითი ორგანიზაციები — მაზრებში, ქალაქებში და სხვა ადგილებში. ყველა სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეები, საერთო სახელმწიფო ორგანოების, ცენტრალური პარლამენტის, საოლქო და ადგილობრივი თვითმმართველობისაგან სრული იზოლირებით უნდა გადასცემოდა ნაციონალურ ორგანიზაციებს, უკანასკნელს კი სახელმწიფო სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიეღო.

რსდმპ(ბ) კავკასიის ორგანიზაციის თათბირმა ეროვნებათა შორის ასეთი გამიჯვნა მიიჩნია „...ერთა ეკონომიური განვითარების მიმდინარეობის საწინააღმდეგოდ და მეტად მავნედ დემოკრატიისა და ინტერნაციონალურ მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით...".

თათბირმა აღნიშნა, რომ „...კულტურული საკითხების, სკოლის, ენის, ლიტერატურის, ხალხისა და მოზარდი თაობის განათლების დარგშიაც და აგრეთვე ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებშიაც ყველა ეროვნების მუშები უნდა ცდილობდნენ ერთად დაიცვან თავიანთი კლასობრივი თვალსაზრისი და თავიანთი კლასობრივი ინტერესები საერთო-სახელმწიფოებრივ დემოკრატიულ დაწესებულებებში: ცენტრალურ პარლამენტსა და საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო და სხვა თვითმართველობებში. ვართ რა მტერი ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და ვუჭერთ რა მხარს სრულს თავისუფლებას და ენის თანასწორუფლებიანობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუკეთესო გარანტიას ამისათვის წარმოადგენს;

1) სახელმწიფოებრივი წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა მოქალაქის გათანასწორება უფლებებში განურჩევლად ეროვნებისა (იხ. პროგრ. პარაგრ. 7);

2) ენების სრული თანასწორუფლებიანობა სკოლებში, ლიტერატურაში, საზოგადო კრებებზე, სასამართლოში, პოლიციაში და სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში (პროგ. პარაგრ. 8);

3) საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისათვის, რომელთაც ახასიათებს განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობები და განსაკუთრებული შემადგენლობა" (პროგრ. პარაგრ. 3); და ა. შ.[1]

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირის რეზოლუციები — „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის". პროგრამის გამანადგურებელ კრიტიკას და სახალხო განათლების ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებზე აგების ურყევ საფუძველს წარმოადგენდა.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მასები დარაზმეს ყველა ჯურის ნაციონალისტ-ოპორტუნისტთა წინააღმდეგ თვითმპყრობელობის დამხობისა და სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაციისათვის, ყველა ეროვნების მოქალაქეთა შორის თანასწორუფლებიანობის დამყარებისა და მშობლიურ ენაზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებისათვის. თვითმპყრობელობის მხრივ წინააღმდეგობისა და რეპრესიების მიუხედავად, 1917 წ. 4 ივნისს რსდმპ(ბ) თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებამ (ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით) გადაჭრით უარყო ე. წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია", რომელიც სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან სასკოლო საქმის გამოყოფისა და მისი ნაციონალური სეიმის ხელში გადაცემის გზით (ეროვნული ნიშნების მიხედვით) პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა დაქსასვა-დანაწილებისაკენ იყო მიმართული[2]. ოქტომბრის დიდი პროლეტარული რევოლუციის წინადღეებში მოწვეულმა რსდმპ(ბ) კავკასიის კავშირის საოლქო ყრილობამ (1917 წ. 2—7

---

[1] რეზოლუციები რსდმპ (ბ) კავკასიის ორგანიზაციების თათბირისა, რომელიც ამხ. შაუმიანის ხელმძღვანელობით შესდგა ბაქოში 1915 წ. ოქტომბრის დასაწყისში. ციტირებულია პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან — „პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლა საქართველოში", გვ. 375—377.

[2] გაზ. „ბრძოლა" № 2, 12 ივნისი, გვ. 3, 1917 წ.

ოქტომბერს) რეზოლუციის მე-4 და მე-5 მუხლში ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ აღნიშნა:

„4. ვცნობთ რა სავალდებულო საერთო განათლებას სახელმწიფო ხარჯით სამშობლო ენაზე სწავლებით, პარტია კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ სკოლის საქმე გადავიდეს ეროვნულ ორგანიზაციების ხელში. მთელი განათლების საქმე უნდა მოქცეული იყოს კავკასიის სეიმის ხელში და ადგილობრივ და საოლქო თვითმმართველობის ორგანოებში, რომელნიც მოთხოვნილების თანახმად ხსნიან სკოლებს, როგორც ეროვნულს, აგრეთვე შერეული ტიპისას.

5. ვცნობთ რა ყველა მოქალაქეთა თანასწორობას, მიუხედავად ეროვნებისა, ჩვენ მოვითხოვთ, რათა გაუქმდეს სახელმწიფო ენის პრივილეგია და დამყარდეს სრული უფლებრივი თანასწორობა ენებისა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში.“[1]

ამრიგად, მთავარი ამოცანა, სწავლების შინაარსობლივი და მიზნობრივი მხარის შეცვლაში მდგომარეობდა. რა თქმა უნდა, ეს ბრულიად არ გულისხმობდა მშობლიურ ენაზე სწავლების უგულებელყოფას. პირიქით, როგორც ზევით გავეცანით, მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის ბრძოლა ბოლშევიკური პარტიისა და მშრომელი მასების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის გახანგრძლივებამ, მეფის ჯარების დამარცხებამ გარეშე მტრებთან ბრძოლებში, ქვეყნის მეურნეობის ნგრევამ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერებამ, ეპიდემიის გავრცელებამ, შიმშილმა და სიღატაკემ კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა მდგომარეობა, შეამჭიდროვა მასები ბოლშევიკური პარტიის გარშემო, გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა მშრომელ მასებზე, საზოგადოების ფართო ფენები ჩააბა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობის ფერხულში.

იმპერიალისტური ომის შედეგებით გამოწვეული საშინელებანი „...მუშებში, გლეხებში, ჯარისკაცებში, ინტელიგენციაში იწვევდა სიძულვილსა და გაბოროტებას მეფის მთავრობისადმი, აძლიერებდა და ამწვავებდა ხალხის მასების რევოლუციურ მოძრაობას ომის წინააღმდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ, როგორც ზურგში

[1] გაზ. „ბრძოლა“ № 21, გვ. 3. 22 ოქტომბერი, 1917 წ.

ისე ფრონტზედაც, როგორც ცენტრში, ისე განაპირა მხარეებშიც"[1].

—ასევე, საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, მათ შორის საბალხო მასწავლებლობა, მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა თვითმპყრობელობის მთელი სისტემისა და ცარიზმის „საგანმანათლებლო" პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თავიანთ გადაწყვეტილებებში აშკარად აყენებდნენ ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის ამოცანებს და სახავდნენ გზებს სწავლა-აღზრდის ახალი პრობლემების გადასაწყვეტად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 3—4 თვით ადრე, ჯერ კიდევ 1917 წ. ივნისში, ამიერ-კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია (ბოლშევიკები) მუშათა კლასის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანად სახავდა, რათა განეხორციელებინათ: „3. საერთო, უფასო, ყველასთვის სავალდებულო და შეერთებული სწავლა-განათლება ბავშვებისათვის 16 წლამდე, იმ პირობით, რომ ორივე სქესის ბავშვები ერთად სწავლობდნენ, თავისთავად ცხადია, გასაგებ, ე. ი. სამშობლო ენაზე, რომ მოსწავლეებს ეძლეოდეს სასწავლო ნივთები, ტანისამოსი, უფასო სადილი და სხვ. მოწყობა სწავლა-განათლებისა სკოლის გარეშე და სასკოლო ასაკამდე, უფასო კლუბები, კურსები, ბიბლიოთეკა — სამკითხველოები, ექსკურსიები, ე. წ. საბავშვო სახლები, ბაღები, საერთო სადგომები, სახელოსნოები, საზაფხულო სკოლები, სკოლები ჩამორჩენილი ბავშვებისათვის და სხვ".[2]

უდავოა, რომ ამ ამოცანების განხორციელება რევოლუციაზე, ცარიზმის დამხობაზე, მუშათა კლასის გამარჯვებაზე და მშრომელთა მიერ ძალა-უფლების ხელში აღებაზე იყო დამოკიდებული.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების დავალებით, რევოლუციური პროლეტიარიატისა და ჯარისკაცთა სახელით, ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელთა მიერ (1917 წ. 7 აგვისტოს) „ქალაქის საბჭოში" (იხ. დეკლარაციის მე-10 პუნქტი) მოთხოვნილ იქნა: „10... საერთო, უფასო, ყველა ბავშვისათვის სა-

---

[1] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", 1938 წ. ქართ. გამოცემა, გვ. 210.

[2] გაზ. „ბრძოლა" № 5, 2 ივლისი, 1917 წ. გვ. 1. რსდმპ (მეუმრავლესეთა) თბილისის კომიტეტის ორგანო.

ვალდებულო, თანასწორი სწავლა-განათლება 16 წლამდე, შეერთებული წარმოებით შრომასთან, სწავლება სამშობლო ენაზე".[1]

საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატისა და სდმპ ბოლშევიკური ფრაქციის დეკლარაცია სახალხო განათლების დარგში, წარმოადგენდა პრაქტიკულ ნაბიჯს პროლეტარიატის პროგრამულ მოთხოვნათა განხორციელების საქმეში.

როგორც ცნობილია, ლენინი თავის ისტორიულ წერილში „პროგრამის გადამუშავების პროექტისათვის" (დაწერილია 1917 წ. მაისში) ზუსტად განსაზღვრავდა პროლეტარიატის საპროგრამო მოთხოვნებს სახალხო განათლების დარგში. ლენინი აღნიშნულ წერილში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა:

ა) მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლების განხორციელებას;

ბ) სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ხარჯით საჭირო სკოლების დაარსებას;

გ) ერთი ენის პრივილეგიის გაუქმებას;

დ) ეკლესიის სკოლისაგან და სახელმწიფოს ეკლესიისაგან გამოყოფას, სრული საერთო სკოლის აღიარებას;

ე) უფასო და სავალდებულო, საზოგადო და პოლიტექნიკური სწავლა-განათლების შემოღებას ორთავე სქესის ბავშვებისათვის (16 წლამდე.),

ვ) სწავლების მჭიდროდ დაკავშირებას ბავშვთა საზოგადოებრივ წარმოებით შრომასთან და სხვ.[2]

საქართველოს და ამიერკავკასიის მშრომელი მასები, რევოლუციური მოძრაობის მთელს პერიოდში (პარტიული პროგრამის სხვა საკითხებთან ერთად), მტკიცედ იბრძოდა სახალხო განათლების დარგში ზემოთ აღნიშნული ამოცანების განუხრელად განხორციელებისათვის.

ბოლშევიკური პრესა განუმარტავდა მასებს სახალხო განათლების მარქსისტულ-ლენინურ ამოცანებს, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების მნიშვნელობას, ენის პრივილეგიის ლიკვიდაციის აუცილებლობას, ხალხს უჩვენებდა უფასო, სავალდებულო, ზოგადი და პოლიტექნიკური სწავლა-განათლების (16 წლ.) გატარების გზებს, მიუთითებდა ბიუროკრატიული ხუნდებისაგან

---

[1] გაზ. „ბრძოლა" № 11, 1917 წ. 13 აგვისტო, გვ. 1. სათაურით—„სოც. დემოკრ. (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია".

[2] კრებული,—„ლენინი-სახალხო განათლების შესახებ", გვ. 141, 1936 წ. ქართ. გამოცემა.

სკოლის განთავისუფლების საშუალებებზე და შეჰქონდა მათში სოციალისტური შეგნება.

საქართველოს მოწინავე მასწავლებლობა, მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა ხალხის განთავისუფლებისა და სახალხო განათლების დარგში ბოლშევიკების პროგრამულ მოთხოვნათა ბოლომდე განხორციელებისათვის.

თ ა ვ ი VI

სკოლისა და სახალხო განათლების მდგომარეობა მენშევიკური მთავრობის პერიოდში (1917—1920 წ.წ.)

1. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის „ნაციონალური აღზრდის" პოლიტიკა საქართველოში

მეფის ძალაუფლების დამხობის შემდეგ (1917 წ. თებერვალი) ამიერ-კავკასიის კომისარიატს, სეიმს და საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მსოფლიო ომისაგან ისედაც დანგრეული სახალხო მეურნეობა და კულტურა, ისევ ნგრევისა და დეგრადაციის გზით მიჰყავდათ.

ე. წ. „სოციალისტური პარტიები" ნაციონალური საკითხის გადაჭრას კვლავ „კულტურისა" და „ენის" სფეროთი განსაზღვრავდნენ.[1] დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა უძლური იყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში რეპრესიული ზომებით დაეთრგუნა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ მოძრაობას შეასუსტებდა მეორეხარისხოვანი დათმობებით: „სარწმუნეობის შეზღუდვით და უმაღლეს სასწავლებლებში პროცენტული ნორმის გაუქმებით, „ინოროდცებისათვის" სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობათა დაკავების უფლების მინიჭებით და ა. შ."[2] ბურჟუაზიამ სიტყვიერად უარი სთქვა დაჩაგრულ ეროვნებათა დამონავების უკიდურეს ზომებზე, მაგრამ ამ ეროვნებებს, რეალურად, საერთო-სამოქალაქო ელემენტარული უფლებებიც არ მიანიჭა. „...სასწავლებლებში დედაენის ხმარების საკითხიც კი არ იყო გადაჭრილი, თუმცა ეს ერთ-ერთ მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენდა".[3]

---

[1] „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში," გვ. 66, 1938 წ. ქართ. გამოცემა.

[2] იქვე, გვ. 201—202.

[3] იქვე, გვ. 201—202.

დროებითი მთავრობის (რუსეთში) 1917 წლის 20 მარტის დეკრეტით ნებადართული იყო „რუსული ენის გარდა სხვა ენების და კილოების ხმარება კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოებაში, სწავლებისას ყოველგვარ კერძო სასწავლებლებში და საეკლესიო წიგნების წარმოებისას", მაგრამ სამშობლო ენა კვლავ არა სახელმწიფო, მეორე ხარისხოვან ენას წარმოადგენდა.[1]

რუსეთის დროებითი მთავრობა, მზარდი რევოლუციის შედეგად იძულებული იყო პირველი გაუბედავი ნაბიჯი გადაედგა სარწმუნოებრივ და ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმებისაკენ, მაგრამ ნაციონალური საკითხის ბოლომდე მიყვანა ამ გზით შეუძლებელი აღმოჩნდა.

დროებითი მთავრობის 20 მარტის „დეკრეტის" შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობს:

„უწინარეს ყოვლისა, დეკრეტი არ ამყარებს ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ენის მხრივ. დეკრეტის უკანასკნელ პუნქტში ლაპარაკია კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოებაში, **კერძო სასწავლებლებში სწავლებისას**, გარდა **რუსულისა**, სხვა **ენების ხმარების უფლებაზე**. მაგრამ რა ვუყოთ იმ ოლქებს, **სადაც არარუს მოქალაქეთა, არარუსულ ენაზე მოლაპარაკე** კომპაქტური უმრავლესობაა (ამიერკავკასია, თურქესტანი, უკრაინა, ლიტვა და სხვ)? ეჭვს გარეშეა, რომ იქ იქნებიან (უნდა იყვნენ!) თავიანთი სეიმები და მაშასადამე „საქმის წარმოებაც" (სრულიადაც არა „კერძო"!), ისევე როგორც „**სწავლებაც**" სასწავლებლებში (არა მარტო „კერძოებში"!) — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო რუსულ, არამედ ადგილობრივ ენებზეც. ფიქრობს თუ არა დროებითი მთავრობა გამოაცხადოს რუსული ენა სახელმწიფო ენად და **უფლება მოუსპოს ხსენებულ ოლქებს დედაენაზე აწარმოონ „საქმეები" და „სწავლება" თავიანთ სრულიადაც არა „კერძო" დაწესებულებებში?** როგორც ჩანს, ფიქრობს... მაგრამ... ვინ ვერ მიხვდება, რომ ეს ნიშნავს ენის მხრივ ერთა არათანასწორუფლებიანობის დაკანონებას?".[2]

---

[1] „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში", გვ. 202.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ. 3, გვ. 20—21, 1948 წ.

ამრიგად, ისე როგორც სხვა კუთხეებში, (1917—19 წ. წ.) სწავლება საქართველოს სკოლებშიაც (პირველ სამ კლასში) მთლიანად რუსულ ენაზე წარმოებდა, ხოლო ქართული ენა ერთ-ერთ სასწავლო საგნად იყო გამოცხადებული[1].

როგორც ქვეყნის სამეურნეო, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, ისე საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა დარგში — დროებითი მთავრობის ბატონობის პერიოდში „...ცარიზმის მთელი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი ნაციონალურ რაიონებში სრულიად ხელუხლებლად იქნა დატოვებული. სახელმწიფო ენას წინანდებურად რუსული ენა წარმოადგენდა. სახელმწიფო სკოლადაც რუსული სკოლა რჩებოდა"[2].

დაჩაგრულ ერთა ყოველგვარი ადამიანური მოთხოვნები დროებითი მთავრობის მიერ, ესერ-მენშევიკებისა და სხვა ოპორტუნისტების დახმარებით უკუგდებულ იქნა. თვითმპყრობელობის დამხობას, როგორც რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში შედეგად ეროვნული ჩაგვრის მოსპობა კი არ მოჰყოლია, არამედ „...ნაციონალური ჩაგვრის ძველი, უხეში ფორმა შეიცვალა ახალი, მოქნილი, მაგრამ სამაგიეროდ ჩაგვრის უფრო საშიში ფორმით". (სტალინი)[3].

მშრომელი მასებისათვის ცხადი გახდა, რომ მათი განთავისუფლება, ნაციონალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობა შეუძლებელი იყო — „თავისი" ნაცონალური ბურჟუაზიის დამხობისა და თვით მშრომელთა მასების მიერ ხელისუფლების აღების გარეშე" (ი. ბ. სტალინი)[4].

ჯერ კიდევ 1917 წლის ივლისში, საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოითხოვდა საერთო, უფასო, მშობლიურ ენაზე — ყველასათვის სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას (16 წლამდე),

---

[1] თბილისის ქალაქის სამმართველოს გან. განყ. 1917—21 წ.წ. მოქმედების ანგარიში. ქალაქის მუნიც. არქივი, ფონდი 18, საქმე № 1, გვ. 3.

[2] სამოქალაქო ომის ისტორია სსრკ-ში, გვ. 208.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი,—„მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი", 1935 წ. ქართ. გამოც. გვ. 71.

[4] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი,—„მარქსიზმი და ნაც. კოლ. საკითხი", გვ. 72.

ბოსწავლეთათვის უფასო სასწავლო ნივთების, ტანისამოსის, საჭილის და სხვ. მიცემას, სკოლის გარეშე და სასკოლო ასაკამდე სწავლა-განათლების მოწყობას, უფასო კლუბების, კურსების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, ექსკურსიების ორგანიზაციას, საბავშვო სახლების, ბაღების, საერთო სადგომების, სახელოსნოების, საზაფხულო სკოლების გახსნას და სხვ.[1]

1917 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების დავალებით თბილისის ქალაქის მაშინდელ საბჭოში, რევოლუციური პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა სახელით, ს. დ. (ბოლშევიკური) ფრაქციის წარმომადგენელთა მიერ მოთხოვნილ იქნა (დეკლარაციის მე-10 პუნქტით) „...საერთო, უფასო, ყველა ბავშვისათვის სავალდებულო, თანასწორი სწავლა-განათლება — 16 წლამდე, შეერთებული წარმოებით შრომასთან, სწავლება სამშობლო ენაზე“ და ა. შ.[2]

ბოლშევიკები, მუშათა ფართო მასებთან ერთად, კატეგორიულად მოითხოვდნენ „...სავალდებულო საერთო განათლებას სახელმწიფო ხარჯით, სამშობლო ენაზე სწავლებით“.[3]

— „ვცნობთ რა ყველა მოქალაქეთა თანასწორობას, მიუხედავად ეროვნებისა, ჩვენ მოვითხოვთ, რათა გაუქმდეს სახელმწიფო ენის პრივილეგია და დამყარდეს სრული უფლებრივი თანასწორობა ენებისა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში“,—ჩაწერილია რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშ.) კავკასიის საოლქო ყრილობის რეზოლუციებში.[4] აღნიშნული დადგენილება გამიზნული იყო „დროებითი მთავრობის“ საგანმანათლებლო პოლიტიკის“ წინააღმდეგ, რომელიც ცარიზმის „პედაგოგიური პოლიტიკის“ პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა. მენშევიკები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები კვლავ ავითარებდნენ ე. წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიას, რომლითაც ცდილობდნენ პროლეტარიატის ინტერესების გამიჯვნას.

მუშების დანაწილება „ნაციონალური კულტურის“ ნიშნების მიხედვით „კულტურული ავტონომიის“ ბურჟუაზიული თეო-

---

[1] „ბრძოლა“. № 5, 2 ივლ. 1917 წ. გვ. 1.

[2] „ბრძოლა“ № 11, 1917 წ. 13 აგვისტო, რევ. სოც. დემოკრატიული (ბოლშ.) ფრაქციის დეკლარაციიდან.

[3] „ბრძოლა“ № 21, 1917 წ. 22 ოქტომბერი „რეზოლუციები მილებული რსდმპ მიერ (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო ყრილობაზე“.

[4] გაზ. „ბრძოლა“ № 21, 1917 წ. 22 ოქტომბერი.

რიიდან გამომდინარეობდა და ასუსტებდა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ პროლეტარიატის პარტია ჩვენში გადაჭრით უარყოფდა — „ე. წ. კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას", ე. ი. სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან სასკოლო საქმის და სხვ. გამოყოფას და ასეთი საქმეების ნაციონალური სეიმის ხელში გადაცემას...[1]

საქართველოს „ეროვნულმა ყრილობამ" ხალხის ინტერესების წინააღმდეგ 1918 წ. 19 ნოემბრის დადგენილებით საჭიროდ სცნო საკანონმდებლო დეკრეტის გამოქვეყნება „ამიერ-კავკასიის სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ", რომელსაც პირველ რიგში უნდა მოეხდინა „ამიერ-კავკასიის ერთა სასკოლო ინტერესების გადამიჯვნა"[2].

ბურჟუაზიული მთავრობის მესვეურები სახალხო განათლების დარგში იცავდნენ ე. წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" კონტრრევოლუციურ თეორიას. „შეუძლებელია დემოკრატი იყო და სასკოლო საქმის განაწილებას მოითხოვდე ეროვნებათა შორის. ნუ დაგავიწყდებათ: ჯერჯერობით ჩვენ ვმსჯელობთ ზოგად-დემოკრატიულ, ე. ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ თვალსაზრისით. ბევრად უფრო სასტიკად უნდა ვილაშქრებდეთ ეროვნებათა შორის სასკოლო საქმის განაწილების წინააღმდეგ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით", — ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1913 წელს[3].

სკოლის „ნაციონალიზაციისა" და „დემოკრატიზაციის" მქადაგებლები ნაციონალურ უმცირესობათა ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებისადმი სრულ უყურადღებობას იჩენდნენ. სკოლის ნაციონალიზაციის წესების მე-15 მუხლის მიხედვით: „იმ რაიონებში, სადაც ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი" ნაკლები იყო „წესდებით" გათვალისწინებულ რაოდენობაზე, მშობლებს „ნება" ეძლეოდათ პარალელური განყოფილების გახსნისა და საგანგებო მასწავლებლის მოწვევისა „**მხოლოდ თავიანთ ხარჯზე**". თვით მთავრობა კი არავითარ სახსრებს არ იღებდა ეროვ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა" № 2, 12 ივნისი, 1917 წ.

[2] ჟურნ. „განათლება" № 1, გვ. 5—11, 1918 წ. „საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილება 19 ნოემბერს 1918 წ."

[3] იხ. კრებული,—„ლენინი სახალხო განათლების შესახებ", გვ. 114—115.

ნულ უმცირესობათა ბავშვების სწავლა-აღზრდის სასარგებლოდ და „ნაციონალიზაციის წესების“ მე-20 და მე-25 პუნქტების მიხედვით აცხადებდა: „თუ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ფინანსიურ მიზეზებით შეუძლებელი ხდება, ასეთი კლასის ნაციონალიზაცია სხვა დროსათვის გადაიდებაო“[1].

საქართველოს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის „თეორეტიკოსებს“ ეროვნულ უმცირესობათა ბავშვებისათვის შეუძლებლად მიაჩნდათ ელემენტარული ცოდნისა და განათლების მიცემა იმ დროს, როდესაც „სკოლის ნაციონალიზაციისა“ და „დემოკრატიზაციის წესებში“ ფართოდ იყო გათვალისწინებული „ყველა მოქალაქეთა უფასო, საყოველთაო და სავალდებულო სწავლების გატარება“. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრისა და შევიწროების ნათელ ილუსტრაციას გვაძლევს შემდეგი მაგალითები:

თბილისის ქალაქის მმართველობის 1918 წლის 23 ივლისის დადგენილებით დახურული იქნა ავლაბრის მე-6, „იოანე ნათლისმცემლის“ და კუკიის სკოლის რუსული განყოფილებანი, ნავთლუღის (ყოფ. სამინისტროს) სკოლის ორი: პირველი განყოფილება, ვერის მე-5, ჩუღურეთის — მეორე, კუკიის — პირველი და ავლაბრის რუსულ-სომხური განყოფილებანი და სხვა სკოლები[2]. ქართველი ბურჟუაზიული მთავრობის წარმომადგენლები, „ნაციონალური“ განათლების გაძლიერების მოტივით განსაკუთრებით ხურავდნენ რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ნაც. უმცირესობათა სკოლებს.

ბურჟუაზიული მთავრობის მიერ ნაც. უმცირესობათა ახალგაზრდობისადმი ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობდა არა ფინანსიური უძლურებიდან, არამედ ნაციონალური კულტურის არსის რეაქციულ-შოვინისტური გაგებიდან.

საქართველოს „დემოკრატიული“ მთავრობის მესვეურებს, როგორც ბურჟუაზიული ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ სურდათ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვის პასუხისმგებლობა აეღოთ. ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა, საქართველოს მშრომელთა კულტურული წინსვლა და აღორძინება შესაძლებელი იყო არა ფორმალური „დემოკრატიზმისა“

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 6—7, გვ. 347—350, 1917 წ.

[2] Постановление Т. Г. управы от 15-го августа 1918 г., выписка из протокола. т. г. Архив, ф. 18, дело № 360.

და „ეროვნებათა შორის სასკოლო საქმის გადამიჯვნის“ განხორციელებით, არამედ „ყველა ეროვნების მუშების გაერთიანების პირობით“ (ლენინი), ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარების გზით.

მენშევიკური მთავრობა მშრომელ მასებზე ბატონობის 3 წლის განმავლობაში ცდილობდა ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის შუღლის, მტრობისა და სიძულვილის გაძლიერებას, ინტერნაციონალური კავშირის მაგიერ, ნაციონალისტური ტენდეციებისა და ეროვნულ წინააღმდეგობათა გამწვავებას.

2. სკოლისა და სახალხო განათლების საერთო მდგომარეობა მენშევიზმის ბატონობის პერიოდში.

ა) სასკოლო ქსელი, მატერიალური ბაზა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობა არც კონტრრევოლუციურ სეიმს, არც ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებელი ფედერატიული რესპუბლიკის“ — მთავრობას, არც საქართველოს „ეროვნულ საბჭოს“ და არც მის მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ „საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობას“, არც კი უცდია ეხსნა საქართველოს მეურნეობა, კულტურა და სახალხო განათლება ნგრევისა და დეგრადაციისაგან. პირიქით, მშრომელთა მდგომარეობა მთავრობის რეაქციულ-ბურჟუაზიული პოლიტიკის შედეგად ყოველდღიურად უარესდებოდა. მუშების სამუშაო დრო კვლავ 12—16 საათს შეადგენდა, ხოლო ხელფასი მოთხოვნილების მინიმუმის ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებდა. მშრომელთათვის დასვენება, დაზღვევა, განათლება და სხვა არ არსებობდა. ეს გარემოება ამწვავებდა მშრომელი ხალხის ბრძოლას დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები ამიერ-კავკასიაში თავს უყრიდნენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა ძალებს.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ისინი გააფთრებით აწარმოებდნენ ბოლშევიკებისა და საერთოდ, საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

საქართველოს კულტურულ ჩამორჩენილობას და სიბნელის ზრდას ხელს უწყობდა სახალხო სკოლათა რიცხვის სიმცირე, რომელიც სწავლის მხრივ მოსახლეობის მოთხოვნილებას მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა. მენშევიკური განათლების სამინისტ-

როს მიერ უდავოდ გაზვიადებული ცნობების მიხედვით, 1918 წ. დასავლეთ საქართველოში 100 მცხოვრებზე ძლივს ერთი სახალხო სკოლა მოდიოდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი მხოლოდ 1 სკოლა იყო გათვალისწინებული 500 მცხოვრებზე. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად „საქართველოს პარლამენტი" 1918 წ. ნოემბერში, მინიმალურად აუცილებელი 400 პირველდაწყებითი სკოლის ნაცვლად 37 პირველდაწყებითი სკოლის გახსნას მოითხოვდა[1], თუმცა პრაქტიკულად არც ეს დადგენილება ყოფილა განხორციელებული. 1918 წ. ქუთაისის გუბერნიაში (არა ზუსტი ცნობებით) 833 სახალხო სკოლა არსებობდა (1736 მასწავლებლით), ხოლო თბილისის გუბერნიაში — 470 სახალხო სკოლა (790 მასწავლებლით). ეს ციფრები აშკარად მეტყველებენ მენშევიკური მთავრობის უზრუნველობას სახალხო განათლების საქმისადმი[2].

მენშევიკური მთავრობის სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებაში გამოყენებული „არა საიმედო ცნობების მიხედვით", 1919 წელს საქართველოში 1.556.630 მცხოვრებზე (სოხუმ-ბათუმ-ზაქათალას ოლქებისა და ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გამოკლებით) სასკოლო ასაკის 511.860 ბავშვისათვის საჭირო იყო (სულ ცოტა) 1580 სკოლა — 4.742 განყოფილებით (კლასით); არსებული მასალების მიხედვით, ამ პერიოდში რესპუბლიკაში არსებობდა, მხოლოდ 1181 სკოლა—3309 განყოფილებით და 2324 მასწავლებლით, ხოლო 474 სკოლის გახსნის საკითხი კვლავ ვერ იქნა დადებითად გადაწყვეტილი[3].

1919—1920 სას. წლისათვის მთელ საქართველოში (მთავრობის სტატისტიკური მასალების მიხედვით) დაახლოებით 1500-დე პირველდაწყებითი სასწავლებელი, 100-დე უმაღლესდაწყებითი და 40-დე საშუალო სკოლა არსებობდა[4], მაგრამ ამ სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა უმოქმედო იყო.

---

[1] საქ. მენშევიკური პარლამენტის სხდომის 1918 წ. 12 ნოემბრის სტენოგრამული ანგარიშები (საქ. რევ. მუზეუმის მასალებიდან).

[2] იქვე, პარლამენტის სტენოგრამული ანგარიშები.

[3] მენშევიკური მთავრობის განათლების მინისტრი, სამართლიან ეჭვს გამოსთქვამდა, რომ მოხსენებაში წარმოდგენილ ცნობებზე „სრულიად დაყრდნობა და ხელმძღვანელობა ყოველად შეუძლებელია". კიდევ მეტი, იგი აღნიშნავდა რომ „. . . სასკოლო სტატისტიკა, მხოლოდ ოდნავ თუ უანლოდება სინამდვილეს, ან უკეთეს შემთხვევაში, იმით სარგებლობა მხოლოდ ანალოგიის მიხედვით თუ შეიძლება". (იხ. ჟურნ. „განათლება" № 2, 1919 წ. გვ. 25—31).

[4] ჟურნ. „განათლება" № 3, გვ. 50—55, 1920 წ. საქ. მასწ. დელეგატების I ყრილობის ანგარიშები.

საქართველოს მეწშევიკური განათლების სამინისტროს 1921 წ. იანვრის ოფიციალური ცნობების შედარება 1915 წლის ცნობებთან გვიჩვენებს, რომ:

1915 წ.	დასავლეთ საქართველოში იყო	427	დაწყებითი სკოლა;
1920	„ „ „	923	„ „
1915 წ.	აღმოსავლეთ საქართველოში იყო	344	დაწყებითი სკოლა;
1920 წ.	„	620	„ „
1915 წ.	სოხუმის ოლქში	64	„ „
192.	„ „	202	„ „

მთელ საქართველოში არსებობდა 1915 წ. 835 დაწყებითი სკოლა 75.000 მოსწავლით, ხოლო 1920 წ. კი 1745-დე სახალხო სკოლა — 150 ათასამდე მოსწავლით. სკოლების რიცხობრივი მაჩვენებლები და მეცადინეობის ფაქტიური მდგომარეობის შედარება სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა.

„მე მგონია, რომ ჩვენი სახალხო სკოლა არასდროს არ ყოფილა ასე დამცირებული და უნაყოფო, როგორც დღევანდელ ხანაში. მეტიც შეიძლება ითქვას, ჩვენ სრულებით არა გვაქვს სახალხო სკოლა. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენს სახალხო სკოლებს, იგი დამერწმუნება, რომ ჩემს ნათქვამში, გადაჭარბებული და გადამეტებული არაფერიაო“, — სრულიად სამართლიანად წერდა ჟურნ. „განათლებას“ ერთ-ერთი კორესპოდენტი[1].

უვარგისი სასწავლო მოწყობილობა, სკოლის მატერიალური ბაზის სიღარიბე, კვალიფიციური მასწავლებლების სკოლებიდან განდევნა, სასწაელო სახელმძღვანელოებისა და ნივთების სიმცირე, მრავალ სხვა დაბრკოლებებთან ერთად, უმეტეს ნაწილად შლიდა სასკოლო მუშაობას, აფერხებდა სკოლის ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას და სასწავლო მეცადინეობას. სწორედ ამის გამო წერდა „განათლება“: „ქართული სახალხო სკოლა მინგრეულ-მონგრეულია, უპატრონოდაა მიგდებული, არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შიგნეულადაც“[2]...

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო საქართველოს პერიფერიებში, რომელთაც მთავრობა სრულიად უყურადღებოდ ტოვებდა. საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველ

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 1, გვ. 55, 1919 წ. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.
[2] იქვე, „განათლება“ № 1, გვ. 54—55, 1919 წ.

ყრილობაზე დუშეთის მაზრის წარმომადგენელი აცხადებდა: „დუშეთის მაზრაში სულ 86 სასწავლებლამდე არსებობს. მაგრამ მეტი უბედურება კიდევ ის არის, რომ ყველა ეს სასწავლებლები არსებობს ქალალდზე... ბევრი სკოლა თავისი ინვენტარით სრულიად განადგურდა. ასეთი ბედი ეწია ხევის სკოლებს, სადაც სწავლას მოწყურებული მოხევეები საცოდავად შეჰბღავიან დაცარიელებულ, განადგურებულ სკოლის კედლებს"[1].

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, სადაც სკოლების უმრავლესობა მხოლოდ სათვალავს ავსებდა.

1917 წ. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის თბილისის ქალაქის გამგეობამ მეფის ხელისუფლების ორგანოებისაგან მიიღო 35 სკოლა (160 განყოფილებით), აქედან:

რუსული სკოლა . . .	. 12—43	განყოფილებით;
სომხური „	. 10—56	„
ქართული „	. 10—48	
მუსულმანური	1— 5	
ოსური	1— 4	„
ავჭალის ქართულ-რუსული . . .	1— 4	„

სულ, 225 მასწავლებლით და 56000 მოსწავლით[2].

ეროვნების მიხედვით აღნიშნულ სკოლებში სწავლობდა:

რუსი .	. 1505	მოწ.
სომეხი .	. 1970	„
ქართველი .	. 1760	
მუსულმანი	175	„
ოსი . .	140	„
სხვადასხვა . . .	50	„

1918 წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობის განკარგულებაში 19 სამინისტრო და 5 უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი გადავიდა, ხოლო 1919 წ. 1იანვრისათვის მის გამგეობაში იყო 77 სკოლა — 351 განყოფილებით, 8825 მოსწავლით და 423 მასწავლებლით.

---

[1] იხ. ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 50, 1920 წ. საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობის ოქმები.

[2] см. „Краткий отчет по отделу нар. образования с 1917 по 1921 г.", Т.Г.А. ф. 18, дело № 1. მოხსენება ქალაქის სკოლების მუშაობის შესახებ.

1920—1921 სასწავლო წელს ქალაქის გამგეობის „ხელმძღვანელობის“ ქვეშ არსებობდა 89 სასწავლებელი — 467 განყოფილებით. ამათში: 71 პირველდაწყებითი სახალხო სკოლა, 10 უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი, 4 პროფსასწავლებელი, 1 სახელოსნო სკოლა და 4 საბავშვო ბაღი — 15529 მოსწავლით და 745 მასწავლებლით[1].

სკოლების უმრავლესობა დაქირავებულ, ნორმალური მეცადინეობისათვის შეუფერებელ ბინებში იყო მოთავსებული, რაც აფერხებდა და საგრძნობლად ხელს უშლიდა მუშაობის მსვლელობას.

ამრიგად, არა ზუსტი ცნობებით, სახალხო პირველდაწყებითი სკოლების რიცხვი საქართველოში 1920—1921 სასწ. წელს 1745-ს აღწევდა, რომელშიაც 150 ათასამდე მოსწავლე სწავლობდა.

ამავე დროს, ჩვენში, ძლივს 179 უმაღლეს დაწყებითი სკოლა ბოგინობდა 23,691 მოსწავლით და 1094 მასწავლებლით[2].

რომ აღნიშნული ცნობები არა ზუსტი და ხელოვნურად იყო გადიდებული, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1919 წლის განმავლობაში მარტო თბილისის მაზრის 71 პირველდაწყებითი სასწავლებლიდან 11 სკოლაში მეცადინეობა სრულიად არ სწარმოებდა. 2005 მოსწავლიდან წლის განმავლობაში სკოლიდან (უსახსრობისა და სხვ. მიზეზის გამო) გავიდა 508 ბავშვი (25,3%), ხოლო სასკოლო ასაკის 15300 ბავშვიდან სკოლის გარეთ დარჩა 9.500, ე. ი. დაახლოებით ბავშვთა 62,1%[3]. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებსა და სოფლებში, რაც ნათლად მეტყველებს სკოლისა და მოსწავლეთა უმწეო მდგომარეობაზე მოცემულ პერიოდში. თვით მენშევიკური მთავრობის ორგანო „ერ. „ერთობა“ 1921 წ. 16 იანვარს წიწინავე სტატიაში „მასწავლებელთა ყრილობის ერთი ნაბიჯის ბიჯი“, ხაზს უსვამდა ამ ფაქტს, რომ „...ჩვენში განათლების საქმეს ბევრი რამ აბრკოლებს, რომ სკოლას სათანადო შენობა და მოწყობილობა არა აქვს, რომ სწავლა სწარმოებს ცივ და მოუწყობელ ოთახებში, რომ სკოლას არა აქვს საკმაო სახელმძღვანელოები და ხელსაწყოები, რომ ჩვენი მასწავლებლები ძლიერ-

---

[1] Краткий отчет по отделу народного образования с 1917 по 1921 г. Т.Г.А., ф. 18, дело № 1.

[2] ცნობები ამოკრებილია მენშევიკურ გაზეთ „ერთობა“-დან, 1921 წ. 12/I, № 13.

[3] ჟურნ. „ერობა“ № 13, 1920 წ.

გაჭირვებულია და ისე ვერ უძღვება საქმეს, როგორც ამას მოითხოვს მისი მაღალი მოვალეობა"... მაგრამ ამ ალმაშფოთებელ მდგომარეობის პირობებში მენშევიკური პრესა სკოლის მუშაკებს, მხოლოდ „მოთმინებისა" და „სიმშვიდისაკენ" მოუწოდებდა.

1919 წელს 27 მაისს საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე განათლების მინისტრიც კი იძულებული იყო ეღიარებინა: „საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო სკოლების მდგომარეობა მოშლილია და დაქსაქსულია"[1].

1918—1919 წ. წ. სწავლა-განათლების საქმე კიდევ უფრო მოიშალა. სკოლებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა რიცხვი სისტემატურად მცირდებოდა. მთავრობა არც წერა-კითხვის ერთეულ სკოლებს ინდობდა. „ამჟამად ქალაქის თვითმმართველობის მძიმე ფინანსიური კრიზისის გამო... სახსარი ამოწურულია. ეს გარემოება კი საკითხს აყენებს საბჭოს სკოლების შემდგომი არსებობის შესახებ", — წერდა გაზ. „ბორბა"[2].

საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა „ფინანსიური კრიზისების" საბაბით მასობრივად ხურავდა ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ნაციონალური შუღლისა და მტრობის გაღვივებას მოსახლეობაში, ბიძგს აძლევდა უკულტურობის, სიბნელისა და უმეცრების დანერგვას მასებში, ხოლო ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა გერმანელ ყაჩაღთა ურდოების „კულტურულ მომსახურეობას", მათი „სამეცნიერო ნადავლის" დაცვას, მათი ენის, სკოლის და ეკლესიის ხელუხლებლობის უზრუნველყოფას. საქართველოს ე. წ. „დემოკრატიული მთავრობა" 1918 წ. 3 ოქტომბრის ხელშეკრულებით გერმანელებს შეპირდა, რომ **„...განსაკუთრებულად უზრუნველყოფს გერმანიის საეკლესიო მრევლის, სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების"** დაცვას (ხელშეკრულების მუხლი 16—18). ამავე ხელშეკრულებაში ნათქვამია: **„გერმანიის მეცნიერებს ნება ეძლევათ მოახდინონ საქართველოში არქეოლოგიური გათხრები.** მათ განკარგულებაში რჩება ნახევარი იმ საგნებისა, რაც აღმოჩენილ იქნება მათ მიერ"... და სხვ[3].

საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის მესვეურები, ქართველი ხალხის ბუნებრივ სიმდიდრეებს და კულტურულ მონაპოვარს გულუხვად აძლევდნენ გერმანელ დამპყრობელებს, ხოლო

ამოწერილია საქ. დამფ. კრების 1919 წ. 27 მაისის სტენოგრამული ანგარიშებიდან

[2] გაზ. „ბორბა", 25(12) აპრილი, 1918 წ.

[3] ს. ავალიშვილი „საქართველოს დამოუკიდებლობა", გვ. 163—164.

თავისი ქვეყნის კულტურული განვითარებისა და სასკოლო მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების უზრუნველყოფის მაგიერ, საქართველოში „გერმანული კულტურის“ გადმონერგვის, მათი ეკლესიის და ენის ხელუხლებლობის დაცვის მუხანათურ პასუხისმგებლობას კისრულობდნენ. ქართველი მენშევიკები (სხვა ოპორტუნისტებთან ერთად) როგორც კულტურული, ისე ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა საკითხში დასავლეთ ევროპის ორიენტაციას იჩენდნენ. სწორედ, ამგვარი მოსაზრების შედეგად მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია დამფუძნებელ კრების სხდომაზე აცხადებდა. „...ჩვენს გზას ევროპისაკენ მივყევართ, რუსეთის გზას აზიისაკენ. ვიცი ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტების მხარეზე ვართ. ამიტომ მე აქ უნდა განვაცხადო: აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია“[1].

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ამ „სამოქმედო პროგრამის“ მიხედვით ქართველი ხალხის ინტერესები აშკარად დაუმორჩილა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს, რის შედეგად მშრომელი ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩაგვრა კიდევ უფრო გაიზარდა. ეს გარემოება მშრომელთა უკმაყოფილების საგრძნობ გაძლიერებას იწვევდა.

1920 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მაშინდელს მთავრობაში („სახალხო სკოლების შესაკეთებელი და საღმშენებლო ფონდისათვის 15 მილიონი მანეთის გადიდების შესახებ“), წარდგენილი მოხსენებიდან ირკვევა, რომ სულ მუელს რესპუბლიკაში 1920 წლისათვის „სერიოზული შეკეთება თითქმის ყველა სკოლის შენობას“ სჭირდებოდა. თელავის მაზრაში 1918 წ. 40 სკოლიდან (დანგრევა-განადგურების გამო) მეცადინეობა 25 სკოლაში ძლივს განახლდა, შენობები უმრავლეს შემთხვევაში უვარგისი იყო და ორი მესამედი მაინც საჭიროებდა შეკეთებას. თიანეთის მაზრაში 1919—1920 წ.წ. „სკოლები ფარეხებათ იყო, გადაქცეული“. 1917 წლიდან უპატრონოდ მიტოვებული სკოლების ჭერები, კედლები, სახურავი, კარები, ფანჯრები და ავეჯი ჩალეწილი იყო[2].

---

[1] იხ. გაზ. „ბორბა“, № 11, 1919 წ.

[2] იხ. „განათლება“ № 2, 1918 წელი.

ანალოგიური მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აფხაზეთში. 1917 წლის შემოდგომიდან 1919—20 წლის შემოდგომამდე, იშვიათი შემთხვევის გარდა სოფლის სკოლებში მეცადინეობა არ ყოფილა. 1919 წლის შემოდგომიდან სკოლებში მეცადინეობა თითქოს დაიწყო, მაგრამ რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებელი არ ჰყავდათ, მეცადინეობა არ სწარმოებდა[1].

1919 წლის იანვარში მასწავლებელთა ფილიალ-განყოფილებების წარმომადგენელთა ყრილობამ აღნიშნა სახალხო სკოლისა და მასწავლებელთა უნუგეშო მდგომარეობა: „...ბევრგან სახალხო სკოლებში სწავლა არ სწარმოებს და თუ სადმე სწავლა სწარმოებს, ისიც არა ნორმალურად, რადგან მასწავლებელს პირობები ხელს არ უწყობს". ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყრილობას შეუძლებლად მიაჩნდა[2].

მთავრობის უყურადღებობის შედეგად სრულიად განადგურდა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებიც. სენაკის მაზრის სოფ. ეწერის სკოლა ხელისუფლების უყურადღებობის შედეგად დანგრევამდე იქნა მიყვანილი. „აქ არსებობს აბრამის დროს დაარსებული ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელსაც რევოლუციის შემდეგ ქვია დაბალ დაწყებითი სკოლა. ამ სკოლის შენობაში რომ შეიხედოთ, მოგაგონდებათ ჯოჯოხეთის უფსკრულიიატაკი დამპალი, — მიმტვრეულ-მომტვრეულია. კედლებს წვიმის გამო ხავსი მოჰკიდებია და სდგას საძაგელი სუნი. მოწაფეთა პარტაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნ წელიწადია, რაც სკოლის დარბაზს აწვიმს და რა სანახავი იქნება, მკითხველს თვით შეუძლია წარმოიდგინოს... მოწაფეები წერის დროს იატაკზე დაწოლილი წერენ, რადგანაც პარტები არ არის. ეს, მენშევიკების უფასო და სავალდებულო, ჰიგიენურად მოწყობილი სკოლა, ახალ მოზარდთაობას ასნეულებს და სიცოცხლეს ასალმებს, ხალხს უფრო ზიანს აყენებს, ვიდრე სარგებლობასო", — წერდა გაზეთი „ახალი კომუნიტი", — რომელიც მდგომარეობის გამოსწორების იმედს არსებული წყობილების დანგრევასა და მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში აღებაზე ამყარებდა[3].

---

[1] „განათლება" № 2, 1920 წ.
[2] „განათლება" № 1, 1919 წ.
[3] „ახალი კომუნისტი", 13 ოქტომბერი, 1920 წ.

ამრიგად, სახალხო განათლების საქმეზე საქართველოს ე. წ. „დემოკრატიული მთავრობის“ უზრუნველობის შედეგად „სკოლების საქმემ არამც თუ წინ წაიწია, არამედ უკანა საფეხურზე ჩამოდგა“[1].

სკოლებში მეცადინეობის შეწყვეტას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. თბილისის ქალაქის „გამგეობამ“ 1917 წ. 12 დეკემბრის განკარგულებით ქალაქის სკოლებში მეცადინეობა 14 დეკემბრიდან 1918 წ. 1 თებერვლამდე შესწყვიტა[2]. სწავლის ჩვეულებრივზე ადრე შეწყვეტა, ან სასწავლო წლის გვიან (მაგ., 20 სექტ.) დაწყება ხშირ მოვლენას წარმოადგენდა. მოსწავლეთა მშობლები, მუშები, მშრომელი მოსახლეობა ამის გამო დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. 1918 წ. 15 აპრილს, ყოფ. ნაძალადევის საქალაქო პირველდაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მშობლების კრება, თბილისის ქალაქის თვითმართველობას წერილობით სთხოვდა: „ნაღდგომეეს სწავლა ნუ იქნება შეწყეეტილი, არამედ გაგრძელებულ იქნას მაისის დამლევამდე (თუ რასაკვირველია ზავი შეიკვრება და ცხოვრება ნორმალურად კალაპოტში ჩადგება). ...ნაძალადევი, როგორც მუშათა უბანი, შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს და ჩვენი თხოვნა შეწყნარებულ იქნას, ვინაიდან გასული სასწავლო წელი, ისედაც ვერ იყო ნაყოფიერი, რადგანაც სწავლის ჩვეულებრივზე ადრე შეწყვეტის გამო განზრახული პროგრამა საგნების სწავლებისა უკლებლივ ვერ მოესწრო“[3].

უსისტემო მუშაობა, სწავლის ხშირი შეწყვეტა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შეუსრულებლობა და სხვ. — მენშევიზმის პერიოდის სკოლების დამახასიათებელი მოვლენა იყო. ბევრს შემთხვევაში სკოლები ფორმალურად არსებობდა, სწავლა კი მათში არ წარმოებდა. საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, მენშევიკური მთავრობის განათლების მინისტრის ამხანაგი (1919 წ.) ამბობდა: „სულ აღმოსავლეთ საქართველოში, წელს, გარდა ბორჩალო—ახალციხე—ახალქალაქისა გაიხსნება 87 ახალი სკოლა. ამ უკანასკნელ მაზრებში კი,

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 15 სექტემბერი. ხაზგასმა ყველგან ჩვენია. ტ. ს.

[2] თბილისის ქალაქის მუნიც. არქივი, ფ. 18, საქმე № 1, ქალაქის „უპრავის“ სამოსწავლო განყოფილების ოქმები 1917—1918 წ.წ.

[3] იქვე, ფ. № 18, საქმე № 360, 1918 წ. ოქმს ხელს აწერენ მშობელთა წრის თავმჯდომარე და მდივანი. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

ზომავალ სასწავლო წლიდან შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ ფორმალურად არსებული სკოლების აღდგენა, სადაც მიმდინარე სასწავლო წელს სწავლა თითქმის ყველგან შეწყვეტილი იყო, გარდა ბორჩალოს მაზრის ზოგიერთი ნაწილებისა"[1].

ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ სკოლები მხოლოდ ქალალდზე, ფორმალურად არსებობდნენ. სინამდვილეში საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებში არც ძველი სკოლების „აღდგენა" მომხდარა და არც ახალი სკოლები გაუხსნიათ.

სკოლების უნუგეშო მდგომარეობას ნათლად ადასტურებს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობის (8—15 იანვარი, 1920 წ.) რეზოლუცია, რომელმაც მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობათა ყურადღება მიიქცია იმას, რომ: „1. სკოლის შენობები თითქმის ყველა სოფლებში სრულიად უვარგისი და შეუფერებელია.

2. სკოლების რიცხვი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მსურველების რაოდენობის მოთხოვნილებას; განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეებში.

3. მასწავლებელთა საჭიროველი კონტიგენტი არ მოგვეპოვება, მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვიც იმდენად მცირეა, რომ ზოგიერთი უკვე არსებული სკოლაც დაკეტილია.

4. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ვერ აკმაყოფილებენ მასწავლებლებს ხელფრი ჯამაგირებით, რომლის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთავრობისაგან მიღებულ თანხებს ისინი ანდომებენ თავიანთ საერთო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეს.

5. თუშ-ფშავ-ხევსურეთში არ არსებობს არც ერთი სკოლა იმ დროს, როცა სწავლისადმი წყურვილი მცხოვრებთა შორის საკმარისად განვითარებულია"... და სხვ[2].

სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ამგვარი მოშლისა და სწავლების სისტემაში ანარქიის დამკვიდრების შედეგად, სასკოლო ასაკის ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოსცილდა სკოლებს, ხოლო კვალიფიციურ მასწავლებელთა სკოლები-

---

[1] ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 30, 1919 წ. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

[2] ჟურნ. „განათლება" № 4—5, გვ. 92, 1920 წ. იხ. საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების 1 ყრილობის ოქმები და მასალები.

დან მასობრივად წასვლისა და სკოლის მატერიალური ბაზის სიღარიბის გამო მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი თვალსაჩინოდ დაეცა.

მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში სკოლების უმეტესობაში მუშაობა არ წარმოებდა, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მეცადინეობა ასე თუ ისე გრძელდებოდა, გლეხებს შვილები ვერ შეჰყავდათ საშინელი შიმშილის გამო. მშრომელ გლეხობას არ შეეძლო შვილებისათვის სწავლა-განათლება მიეცა. „გლეხებს არ შეუძლია თავისი ბავშვი სკოლაში გააბაროს, სადაც სხვა ხარჯებთან ერთად მას დასჭირდება თანამედროვე საზღაპრო სიძვირეში სასწავლო ნივთები შეიძინოს და ამისათვის ის იძულებულია თავისი შვილები სკოლის გარეთ დასტოვოს; დახმარება კი მისთვის არსაიდანაა. გრძნობს თავის უხერხულ მდგომარეობას, სწყურია სწავლა, მაგრამ რა ჰქნას, თავს ზევით ძალა არა აქვს და ისეთ ბოფელში, სადაც ასამდე ბავშვი იქნება, 15—20 თუ დადის სკოლაში“, — სწერს ბოლშევიკური გაზ. „ახალი კომუნისტის“ კორესპოდენტი[1].

სკოლისა და მასწავლებლის ამგვარი მდგომარეობის გამო გაზ. „ახალი კომუნისტი“ დაასკვნიდა: — „აი, სწორედ ამიტომაა, სკოლების საქმე დაქვეითებული, ამიტომაა ის, ასე ხვთის ანაბარათ მიტოვებული: **მოქმედებს და არც მოქმედებს, არის და არც არის**“... (იქვე). გაუნათლებლობას, უვიცობას, ჩაგვრას, სიბეჩავეს, წერა-კითხვის უცოდინარობას და შიმშილს განიცდიდა აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებიც. გაზეთი „ახალი კომუნისტი“ ზუგდიდის მაზრის შესახებ წერდა: **„როგორც ნიკოლოზის ბიუროკრატიული მთავრობის ხანაში, ისე მენშევიკების, ამ წვრილბურჟუაზიული პარტიის ბატონობის დროსაც, სწავლა-განათლების საქმეს მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს ამ მაზრაში... აქ საერთოდ სწავლა-განათლების საქმეს არავინ აქცევს ყურადღებას, ასე, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა — 70—80% წერა-კითხვის უცოდინარია“**[2].

მენშევიკური მთავრობის ამგვარი „საგანმანათლებლო პოლიტიკის“ შედეგად, ნგრევისა და განადგურების გზაზე იდგა გურიის სკოლებიც. შუხუთის თემის გორის-გვერდის სკოლის შესახებ „ახალი კომუნისტის“ კორესპონდენტი („შუხუთელი“) წერდა: **„ბოლო დროს ამ სკოლის საქმე სულ დაცემისაკენ მიდის.**

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 15 სექტემბერი.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი“ № 118, 1920 წ. 12 დეკემბერი.

სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, ქარტები, გლობუსები და სხვა — სკოლისათვის საჭირო ნივთები. ეხლა ეს ნივთები გაფანტული ან სრულებით დაკარგულია. მაგრამ არც თვით შენობაა კარგ მდგომარეობაში. ფანჯრები დამტვრეულია, კარები გატეხილი და ხშირად ღია კარებში ორფეხის გარდა ოთხფეხნიც დადიან... მენშევიკები ხალხს გაკეთებას პირდებოდნენ, უფასო სწავლა-განათლებას და სხვ. ამავე დროს ნიავდება ხალხის ნაშრომი და უპატრონოდაა მიტოვებული"[1].

ამრიგად, სახალხო სკოლა დანგრევისა და დეგრადაციის გზაზე იდგა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაგივრად, მენშევიკები მშრომელ მასებს „საყ. სავალდებულო სწავლების განხორციელების" სიტყვიერი დაპირებებით „ასაზრდოებდნენ". ბოლშევიკები სისტემატურად ამხელდნენ მენშევიკური მთავრობის „სახალხო განათლების" ამგვარ პოლიტიკას და მშრომელებს მენშევიკურ-ბურჟუაზიული წყობილების დამხობისაკენ, სოციალისტური წყობილების დამყარებისაკენ, ახალი სკოლისა და სახალხო განათლების ახალი სისტემის შექმნისაკენ მოუწოდებდნენ.

ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმისადმი მთავრობის მხრივ ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ, შიმშილმა, სიღატაკემ, სასწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების უქონლობამ, სასწავლო გადასახადების გადიდებამ და ბავშვთა შრომის ექსპლოატაციამ ხელი შეუწყო მენშევიკების წინააღმდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის უკმაყოფილების ზრდას, მათ რევოლუციურ-კლასობრივ გამოფხიზლებას.

ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ ზრდას ადგილი ჰქონდა 1919—1920 წლებში. მცირეწლოვანთა ხამუშაო საათები ფაბრიკა-ქარხნებში და წარმოება-დაწესებულებებში იმდენად გაიზარდა, რომ 1920 წლის ივნის-ივლისის პერიოდში წარმოებებში მცირეწლოვანთა და მოზარდთა (17 წლამდე) მხოლოდ 7,4% მუშაობდა 6 საათს, 77,6% 6—10 საათს, ხოლო 15%-კი 10 საათზე მეტს, რაც არათუ სწავლა-აღზრდისათვის, არამედ ბავშვთა ფიზიკური არსებობის მხრივაც კი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა[2].

მარტო ქ. თბილისის საწარმოებში 1920—21 სასწავლო წლის დასაწყისში ფიზიკურ შრომაში ჩაბმული იყო 14 წლამდე ასაკის

---

[1] გახ. „ახალი კომუნისტი" № 90, გვ. 4, 1920 წ. 10 ნოემბერი. ხაზგასმა ჩვენია, ტ. ს.

[2] გახ. „ახალი კომუნისტი" № 6, 9 ივნისი, 1920 წ. გვ. 3.

252 ბავშვი და 14—16 წლის ასაკის 515 მოზარდი, რაც ბავშვთა და მოზარდთა კაპიტალისტური ექსპლოატაციის უდავო საბუთს წარმოადგენს[1].

შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერებას თან ერთვოდა სასწავლო გადასახადების ზრდა, რაც სილარიბით ისედაც გაძვალტყავებულ მშრომელთა შვილებს გზას უხშობდა სწავლა-განათლების მიღებისაკენ.

ამის შესახებ (გურიიდან) გაზეთ „ახალი კომუნისტი"-ს ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა: „სწავლა-აღზრდის საქმე ცუდათ არის დაყენებული. ხშირად შეხვდებით გლეხს, რომელსაც თავისი შვილი სასწავლებელში ვერ შეუშვია, იმიტომ, რომ მას არ აქვს შეძლება: ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, წიგნებისა და სასწავლებლის ფული გადაიხადოს, თან ვერც აცდენს მუშაობას; დღე-ღამ შრომობს და ძლივსღა იკმაყოფილებს თავის მშიერ კუჭს.

სად არის ძმობა, სად არის უფასო სწავლა-განათლება ღარიბებისათვის? ყველასათვის ცხადია, რომ ეს მხოლოდ მენშევიკების სადემაგოგიო ფანდი იყო"... ხალხის მოსატყუებლად გამოგონილიო, — დასკვნის კორესპონდენტი[2].

სწავლის გადასახადის გადიდება და თვითნებობის გაძლიერება სკოლებს ნგრევისა და დეგრადაციისაკენ მიაქანებდა: „გაიძახიან, პირველდაწყებით სკოლებში (4 წლიანი) უფასო სავალდებულო სწავლაო და ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. (პედაგოგიური საბჭო ყველგან თვითნებურად აწესებს სწავლის ფულს), მსურველი ბევრია, ადგილი კი ცოტა (1 მასწავლებელზე მოდის 100 მოსწავლე), ნაყოფი ყოველთვის იყო და არის ცოტა," — სწერდა გაზ. „ახალი კომუნისტი"[3].

სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სწავლების ქირად დაწესებული იყო საშუალო სასწავლებლის უმცროს კლასებში 500, ხოლო უფროს კლასებში კი 1200 მანეთი[4], ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც საქართველოს ყოველ კუთხეში შიმშილი, სიღატაკე და საზღაპრო სიძვირე მძვინვარებდა.

ამრიგად, უფასო, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების მაგიერ, მენშევიკური მთავრობის მოხელეები სწავლის

---

[1] „Отчет Тифлисского отдела народного образования за август месяц 1921 года, Т.Г.А.Ф. 18, дело № 1.

[2] გაზ. „ახ. კომუნისტი" № 99, 20 ნოემბერი, 1920 წელი.

[3] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 56, 1 ოქტ. 1920 წ.

[4] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 59, 5 ოქტომბერი, 1920 წელი.

ფულს სისტემატურად უმატებდნენ, რაც ხალხსა და მთავრობას შორის არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა.

ბ) სასკოლო საქმის ხელმძღვანელობა, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები. ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა სახალხო განათლების დარგში კვლავ მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკას აგრძელებდა.

1918 წ. 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ამიერ-კავკასიის კომისარიატს დაავალა „დეკრეტის" დაუყონებლივ გამოქვეყნება „ამიერ-კავკასიის სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ", რომელიც როგორც „საერთო სახელმწიფოებრივი ორგანო", უხელმძღვანელებდა „...ამიერ-კავკასიის ერთა სასკოლო ინტერესების გადამიჯვნას", „სკოლების გაქართულებას", სასწავლებელთა „ნაციონალიზაციას და დემოკრატიზაციას", „საყოველთაო-სავალდებულო, უფასო, საერთო სწავლებლის განხორციელებას" და სხვ.[1]

დროებითი მთავრობის ღონისძიებანი პრაქტიკულად ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1919 წლის 21 მარტს, საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამფუძნებელი კრების IV სხდომაზე, სხვა სამინისტროებთან ერთად, შეიქმნა „სახალხო განათლების სამინისტრო", ხოლო ამავე კრების VI სხდომაზე (1919 წ. 29 მარტს) ჩამოყალიბდა ე. წ. „სახალხო განათლების კომისია", რომელიც მთავრობაში წარსადგენ „კანონ-პროექტებს" იხილავდა და ამუშავებდა.[2]

1919-1920 სასწავლო წელს მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელობაში სკოლის მართვა-გამგეობის საკითხებთან დაკავშირებით დიდი დავა და უთანხმოება არსებობდა. ეს დავა შემდეგი სახის იყო:

სრული ცენტრალიზაციის მომხრეები სკოლის მართვა-გამგეობის საქმის მთელს პასუხისმგებლობას მხოლოდ განათლების სამინისტროს აპარატს აკისრებდა.

---

[1] იხ. ჟურნ. „განათლება" № 1, გვ. 5—11, 1918 წ. „საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილება 19 ნოემბერს 1918 წ."

[2] იხ. საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამული ანგარიშები, 21—29/3, 1919 წ.

შემთანხმებლები საჭიროდ თვლიდნენ განათლების სამინისტროს განტვირთვას ადმინისტრაციული ფუნქციებისაგან (ამ ფუნქციების ადგილობრივ თვითმართველობებზე გადაცემით) და მის კომპეტენციაში ტოვებდნენ სწავლა-აღზრდის საქმეში ხელმძღვანელობის გაწევას, პროგრამების, სასწავლო გეგმების და სწავლების მეთოდების საკითხების დამუშავებას და სხვ.[1]

ამგვარი წინააღმდეგობის შედეგად სწავლა-განათლების დარგში ანარქია და დაბნეულობა დამკვიდრდა. ბევრ შემთხვევაში მასწავლებლებს ერობები და ადგილობრივი თვითმართველობები ნიშნავდნენ და ითხოვდნენ. ზოგჯერ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს სკოლებში „ცვლიდნენ" და თვითნებურად „ამუშავებდნენ". ვერ გაართვა რა თავი სკოლის ხელმძღვანელობის საქმეს, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო" 1919 წ. 13 აგვისტოს № 6529 მიმართვით — „ქალთა გიმნაზიების უფროსებს" წერდა:

„გიგზავნით რა ამასთანავე გაკვეთილების ნუსხას, გაცნობებთ, რომ პედაგოგიურ საბჭოებს აქვს უფლება შეამციროს ან გაამრავლოს გაკვეთილების რიცხვი თვითეულ საგანში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს"... და სხვ.[2].

მენშევიკური განათლების სამინისტრო, ახალ, მოჩვენებით ფორმაში ძველს ტრადიციებს იცავდა და ანხორციელებდა. ამიტომ, სრულიად მართალი იყო მასწავლებელი, რომელიც ჟურნ. „განათლებაში" წერდა:

„ჩვენმა სამოსწავლო უწყებამ ვერავითარი ცვლილება ვერ შეიტანა სკოლის ცხოვრებაში... მან აიღო რუსეთის სკოლის (ლაპარაკია მეფისდროინდელ სკოლაზე, ტ. ს.) **დებულებანი, გადმოაქართულა მისი არსებითი მხარე და სული ისევ ძველი დასტოვაო"**[3]... ამ დებულების აზრს ადასტურებს მენშევიკური მთავრობის „სახალხო განათლების სამინისტროს" მიერ 1919 წლის 5 აგვისტოს (№ 6063) „საშუალო სკოლების დირექტორებისადმი" გაგზავნილი

---

[1] ჟურნ. „განათლება" № 3, 1920 წ. საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების I ყრილობის მასალები.

[2] სამინისტროს მიმართვის ოფიციალური ტექსტის ერთი პირი ინახება ჩვენს პირად არქივში. ტ. ს.

[3] ჟურნ. „განათლება" № 1, 1919 წ. გვ. 64—67. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

ცირკულიარი", რომელშიაც სამინისტრო იძულებული იყო მაშინდელი განათლების სისტემის ძირითად ნაკლოვანებებზე მიეთითებინა: „თანამედროვე სახალხო განათლების სისტემის მთავარი ნაკლოვანება ის არის, — წერდა განათლების სამინისტრო, — რომ მას წოდებრივი ხასიათი აქვს. არსებობს ორი ტიპი სკოლისა: საშუალო, ერის უმდიდრესი წრისათვის და დასაწყისი, ერის ულარიბესი ნაწილისათვის.

სახალხო განათლების ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ რუსეთიდან და რომელიც მრავალჯერ დაგმობილია პედაგოგიური თვალსაზრისით, არის მხოლოდ განხორციელება საზოგადოებრივი უთანასწორობის პრინციპისა სასკოლო საქმეში. მისი მიზანია გადაეღობოს წინ ერის დემოკრატიული ნაწილის მისწრაფებას მაღალი ხარისხის განათლებისადმი.

ეჭვს გარეშეა, რომ ძველს, უთანასწორობაზე აგებულს წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სახალხო განათლების სისტემაც უნდა ძირითადად შეიცვალოს. ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლება, რომელსაც არავითარი პედაგოგიური საბუთი არ მოეპოვება და რომელიც ხელს უშლის დასაწყისი სკოლების მოწაფეებს განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანებულ იქნას სოციალურად"[1].

ამრიგად, 1917-1919 წლებში, ისე, როგორც მეფის თვითმპყრობელობის დროს, საქართველოს სკოლები, კვლავ ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების ინტერესებს ემსახურებოდა. ღარიბი ხალხის შვილები მოკლებული იყვნენ არა თუ საშუალო განათლების მიღების საშუალებას, არამედ ელემენტარული ცოდნის შეძენის შესაძლებლობასაც კი.

ბ) სასწავლო გეგმები. სასწავლო მუშაობაში ანარქიზმის დამკვიდრებისა და ერთიანი სასკოლო სისტემის უქონლობის გამო ხშირად ერთნაირი ტიპის სკოლები სხვადასხვა სასწავლო გეგმებით მუშაობდნენ.

---

1 იხ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს" 1919 წ. 5 აგვისტოს № 6063 „ცირკულიარი". ამ „ცირკულიარის" ერთი პირი ჩემთან ინახება. ტ. ს.

ზოგიერთი ქართული დაწყებითი სკოლა (ქ. თბილისში) 1918—1919 სასწ. წ. შემდეგი სასწავლო გეგმით მუშაობდა[1].

№	სასწავლო საგნები	1 განყ.	2 განყ.	3 განყ.	4 განყ.	სულ კვირეული კაკვ. ჯამი
1	მშობლიური ენა	7	9	8	5	29
2	არითმეტიკა	5	5	5	5	20
3	ბუნებისმეტყველება	3	3	3	3	12
4	სამშობლოს აღწერა (სამშობლოს მცოდნეობა)	—	—	3	3	6
5	ხ ა ტ ვ ა	1	2	2	2	7
6	სიმღერა	2	1	1	1	5
7	ხელგარჯილობა	2	2	2	2	8
8	რუსული ენა	—	—	—	—	—
	ს უ ლ	20	22	24	24	90

აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ დედა-ენის, არითმეტიკის და რუსული ენის სწავლებას დაწყებით სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

1919 წ. გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ლ. გ. ბოცვაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დამუშავებულ და გამოცემულ იქნა „პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები“ (მისივე წინასიტყვაობით და ზოგადი ახსნა-განმარტებით), რომელიც შემდეგი სასწავლო დისციპლინების სწავლებას ითვალისწინებდა:

№	სასწავლო საგნები	1 განყ.	2 განყ.	3 განყ.	4 განყ.	სულ კვირეული გაკვ. ჯამი
1	ქართული ენა წერით	8	7	6	5	26
2	არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია	6	6	5	5	22
3	საუბარი და ბუნების მეტყველება					
4	სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია	—	3	3	4	10
		—	—	2	2	4
5	ისტორია	—	—	—	3	3
6	ფიზიკური ვარჯიში (გიმნასტიკა)	2	2	2	2	8
7	სიმღერა-გალობა	2	2	2	2	8
8	ხატვა-ხაზვა	2	2	2	2	8
9	ხელგარჯილობა	2	2	2	2	8
	ს უ ლ	22	24	24	27	97

[1] Т.Г.А., ф. 18. д. № 370. Таблица недельных уроков в грузинских начальных училищах. 1918 г.

მიუხედავად იმისა, რომ „პირველ დაწყებითი, სახალხო სკოლის პროგრამების“ გამოცემით, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა (ლ. ბოცვაძე და სხვ.) ინიციატივით, გარკვეული პროგრესიული ნაბიჯები იქნა გადადგმული (სწავლების მშობლიურ ენაზე დამყარების, რეალურ მეცნიერებათა ელემენტების გაძლიერების, ე. წ. „უპროგრამობის“ და „ანარქიის“ ნაწილობრივ დაძლევის 'და სხვ. საქმეში), იგი (პროგრამა) მაინც „შრომის სკოლის“ ბურჟუაზიულ პრინციპებზე იყო აგებული და განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ვიწრო პრაქტიკულ — უტილიტარისტული ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღებას, ე. წ. „გამომსახველ მოძრაობა — მოქმედებაში“ ბავშვთა აქტივიზაციის გაძლიერებას. ამის შედეგად, სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხატვა-ხაზვის, ფიზკულტურისა და ხელგარჯილობის გაკვეთილებს. ამავე „პროგრამების“ შესავალი ნაწილიდანაც ირკვევა, რომ სკოლაში მოწაფე: ა) გადაჭარბებით „აქტიური და თვითმომქმედია“, შეძლებისდაგვარად „მკვლევარი და მაძიებელი“ (გვ. 1);

ბ) „ყოველი მასალა, რომელსაც მოწაფეს სკოლაში მიაწოდებენ, თავისი შინაარსით სასტიკად უნდა ეგუებოდეს მოწაფის ფსიქოფიზიკურ აგებულებას“ (გვ. 5); გ) სკოლამ ბავშვი თვითმოქმედებას უნდა შეაჩვიოს, „ამ შემთხვევაში მასწავლებელი, მხოლოდ დახმარებას უწევს მოწაფეებს მის მიერ სწავლის შეძენის საქმეში“ (გვ. 7); დ) სკოლაში „...მთავარი მომქმედი პირი მოწაფეა და არა მასწავლებელი“ (იქვე, გვ. 7);

ვ) „აწინდელი პედაგოგიკა სწავლებას ამყარებს არა მარტო სმენა-მხედველობაზე, როგორც დღემდის იყო, არამედ შეხებაზე და კუნთების გრძნობაზე. ამიტომ სასკოლო პროგრამაში ხელგარჯილობას დიდი აგილი აქვს დათმობილი“ (გვ. 9);

ზ) სწავლება უნდა დაემყაროს ექსკურსიების გამოყენებას, მუზეუმების და სხვათა ცოცხალ დათვალიერებას, რადგანაც „წიგნიდან ნაკლები მასალა უნდა ავიღოთ და ცხოვრებიდან მეტი“ (გვ. 12—13), და სხვ[1].

ამრიგად, მენშევიკური მთავრობა ე. წ. „შრომის სკოლისა“ და „თავისუფალი აღზრდის“ ბურჟუაზიული იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის საქართველოში ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა.

---

[1] „პირველო დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები“, 1919 წ., თბილისი.

განათლების სამინისტროს მიერ 1920 წელს გამოცემულ „უმაღლეს დაწყებითი სანიმუშო პროგრამების[1]“ მიხედვით, გაკვეთილების განრიგი შემდეგ სახეს იღებდა:

უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის 1920—1921 წლის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო საგნები	1 კლასი	2 კლასი	3 კლასი	4 კლასი	სულ ჯამი
1	ქართული ენა	4	4	4	4	16
2	რუსული ენა	3	3	3	3	12
3	ახალი ენა (გერმანული ან ფრანგული)	4	4	4	4	16
4	არითმეტიკა	4	4	2	—	10
5	ალგებრა	—	—	2	2	4
6	გეომეტრია	2	2	2	3	9
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	8
8	ისტორია საქართ. და მსოფლიო	2	3	3	4	12
9	გეოგრაფია	2	2	2	2	8
10	ფ ი ზ ი კ ა	—	—	2	2	4
11	ხ ა ტ ვ ა	2	2	2	2	8
12	ხელგარჯილობა	1	1	1	1	4
13	გალობა	2	2	1	1	6
14	ტანთვარჯიშობა	2	2	1	1	6
	ს უ ლ	30	31	31	31	123

აღნიშნული სასწავლო გეგმით, მშობლიური ენა, უცხო ენის თანაბარი უფლებით სარგებლობდა, ხოლო დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლას, სხვა ენებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

დ. სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. სკოლებს არ გააჩნდა მინიმალურად აუცილებელი სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, რაც ძლიერ აფერხებდა სწავლა-აღზრდის ნორმალურ მსვლელობას. არ არსებობდა ცოტად თუ ბევრად სტაბილური პროგრამები და სასწავლო გეგმები. ცალკეულ პირთა ინიციატივით იბეჭდებოდა და იცემოდა ე. წ. „დროებითი პროგრამები“ და „სახელმძღვანელოები“, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში მეცნიერულად ღარიბი და პედაგოგიურ-მეთოდურად გაუმართავი იყო. სკოლებს არ ჰქონდათ კაბინეტები, ბიბლიოთეკები, დიდაქტური მასალები და აუცილებელი სასწავლო ხელსაწყოები[2].

---

[1] უმაღლეს დაწყებითი სკოლის სანიმუშო პროგრამები, 1920 წ. ქ. თბილისი. პროგრამები დაცულია გოგებაშვილის სახ. თბილისის სახ.ბიბლიოთეკაში.

[2] ჟურნ. „განათლება“ № 2, გვ. 54, 1920 წ.

სუსტად იყო დაყენებული „საბავშვო ორიგინალური ბელეტრისტიკის დარგის ორგანიზაცია, პოპულიარულ—მეცნიერული და თარგმნილი ლიტერატურის დარგების ორგანიზაცია“[1].

მენშევიკური მთავრობის განათლების სამინისტრო და მისი „სახელმძღვანელოთა შემფასებელი კომისიები“ სრულ უმოქმედობას იჩენდნენ.

მენშევიკური მთავრობის მხრივ სახელმძღვანელოების გამოცემის ორგანიზაციის საქმისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მიუხედავად, ქართველი პროგრესული პედაგოგიურ-მეცნიერული ძალების კერძო ინიციატივით, დამუშავებულ და გამოცემულ იქნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნები. მათ შორის: 1) ზაალიშვილის—მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა, ნაწ. 1, 1917 წ. ქუთაისი. 2) ს. იაშვილის მოკლე სახელმძღვანელოები ბუნებისმეტყველებისა, ნაწ. 1 და 2; 3) მისივე, მოკლე სახელმძღვანელო გეოგრაფიისა და საზოგადო გეოგრაფიისა, ნაწ. 1, 2, და 3, 1917 წ. 4) ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფშიძის — გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი წიგნი, ქუთაისი, 1917 წ., 5) მათივე, ქართული ანბანი, 6) ს. ოცხელის — ელემენტარული ალგებრა და ელემენტარული გეომეტრია, საშუალო სკოლებისათვის, 1917 წ. ქ. ქუთაისი. 7) ალ. ჭიკინაძის—პირველ-დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მე-3 გამოც. ქუთაისი, 1917 წ., 8) მ. ზაალიშვილის — ბუნებისმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო — ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, 1918 წ. ქუთაისი. მისივე მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა, ორგანული ბუნება, ნაწ. 2, და ნაწ. 4, ზოოლოგია, 1918 წ. ქუთაისი. 9) მგალობლიშვილის — არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, გიმნაზიის მესამე კლასის კურსი, 1918 წ., 10) ი. ოცხელის — ქრესტომატია, საშ. სკოლის 1 კლასის კურსი, ქუთაისი, 1918 წ. 11) დ. უზნაძის და ი. გველესიანის ახალი ისტორია, საშ. სასწავლებელთათვის, 12) დ. უზნაძის — ძველი საბერძნეთი, ნაწ. მეორე, 1918 წ., 13) ილ. ფერაძის — საქართველოს მოკლე ისტორია, 1918წ. ქუთაისი. 14) სიმონ ქვარიანის — საქართველოს ისტორია, შემოკლებული ანუ ეპიზოდური კურსი, ქუთაისი, ქ. შ. წ. ქ. გ. ს. 1918 წ. გამოცემა. 15) ს. შარაძენიძის — სწორხაზოვანი გეომეტრია, საშ. სასწავლებლის მე-7 და მე-8 კლ. კურსი. ქუთაისი.

---

[1] იქვე, გვ. 52. იხ. ნ. ნაკაშიძის მოხსენება საქ. მასწ. დელეგატების 1-ლ ყრილობაზე.

1918 წ. 16) შარაძენიძე ს. და სვანიძე ნ. ალგებრულ ამოცანათა კრებული, საშ. სასწავლებლის მე-3 და 4 კლ. კურსი, ქუთაისი, 1918 წ. 17) ა. ჩხენკელის — ბოტანიკა, ნაწ. 1, ანატომია, ქუთაისი, 1918 წ., 18) ი. ცინცაძის — სამართლის მეცნიერება. მოკლე სახელმძღვანელო გიმნაზიებისა, რეალური და კომერციული სასწავლებლებისათვის, 1918 წ. ქუთაისი, 19) ს. ხუნდაძის — ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ქუთაისი, 1918 წ. 20) პროფ. გ. ახვლედიანის — რუსული ენის გრამატიკა, უმ. დაწ. სასწავლებელთათვის, 1—ფონეტიკა, 2—მორფოლოგია. 21)იაკ. ეკალაძის — თეორია სიტყვიერებისა, 1919 წ. 22) მელიტონ კელენჯერიძის — სიტყვიერების თეორია, 1919 წ. თბილისი. 23) პროფ. შ. ნუცუბიძის — ლოღიკა, ელემენტ. სახელმძღვანელო, 1919 წ. 24) დ. უზნაძის — ისტორია, პირველყოფილი კულტურისა, 1919 წ. თბილისი, 25) მისივე, რომი, მს. ისტორია. ნაწ. 3, 26) მისივე ძველი ისტორია, 1919 წ. 27) ა. ჯანელიძის—დაწყებითი ფიზიკა, ნაწ. I, ქუთაისი, 1919 წ. 28) დ. დუნდუას — ჰაერი, წყალი და მიწა, 1919 წ. 29) კისელიოვის — ელემენტარული გეომეტრია — 1920 წ. თბილისი. 30) პროფ. შ. ნუცუბიძის — ლოღიკა საშ. სკოლებისათვის, 1920 წ. და სხვ.

დასახელებულ სახელმძღვანელოთა დიდი ნაწილი, (განათლების სამინისტროს სანქციის გარეშე, კერძო ინიციატივით გამოდიოდა, რითაც მოწინავე მეცნიერულ-პედაგოგიური ძალები ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ მენშევიკური მთავრობის მიერ უპატრონოდ მიტოვებული სკოლების, მატერიალურად და უფლებრივად შევიწროვებული სახალხო მასწავლებლებისა და ყოველმხრივად დაბეჩავებული მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. მას შემდეგ, რაც „სასწავლო კომიტეტის“ თავმჯდომარეობა პროფ. ივ. ჯავახიშვილს დაეკისრა, მისი პირადი ინიციატივით და უნარიანი მუშაობით, საფუძველი ჩაეყარა, მომავალი ახალი სკოლისათვის მეცნიერული, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნისა. და სწორი ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეს. ჯერ კიდევ 1920 წ. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენი უახლოესი მიზანია, სკოლას ავაცილოთ უვარგისი სახელმძღვანელო და სამაგიეროდ მივცეთ საღი და შესაფერისი[1]“. ქართული კულტურის დიდი მოამაგის—ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებული მოსაზრება, ჩვენთვის

[1] ჟურნ. „განათლება“ № 2, გვ. 78, 1920 წ.

კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთი დადებითი სახელმძღვანელოს გვერდით, იცემოდა ისეთი „სახელმძღვანელოები“, როგორიცაა: 1) ავტორთა ჯგუფის — „ახალი აღთქმის სამღვთო ისტორია“—ქალ-ვაჟთა საშუალო სასწავლებელთათვის, I გამოცემა ნებადართული იმერეთის ეპისკოპოსის მიერ, 1917 წ. 2) საქართველოს ეკლესიის ისტორია (1918 წ.) და სხვ., რომლებითაც ცდილობდნენ ქართველი ახალგაზრდობისათვის გონების დაბნელებას.

მეცნიერული, ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების დამუშავება-გამოცემისა და „ყოველმხრივ სერიოზული მუშაობის შეხებით შემუშავებული“ (ი. ჯავახიშვილი) ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისათვის, ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, 1920 წ. თებერვალში შეიქმნა კომისიები:

1. საზოგადო ისტორიისა — (შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გ. ნათაძე და სხვ.);

2. საქართველოს ისტორიის — (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ.);

3. ქართული ენისა და ლიტერატურის — (აკ. შანიძე, ვ. ბერიძე, გ. ახვლედიანი და სხვ.);

4. უცხო ენებისა და ლიტერატურის — (ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი და სხვ.);

5. მათემატიკის — (ანდრია რაზმაძე, გ. ნიკოლაძე და სხვ.);

6. ფიზიკა-ქიმიის — (ა. დიდებულიძე, ი. მოსეშვილი, ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ა. ჯავახიშვილი, გ. ნიკოლაძე და სხვ.);

7. ბიოლოგიური დარგებისა და ჰიგიენისა — (ზ. ყანჩაველი, დ. გედევანიშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ა. ალადაშვილი, ნათიშვილი და სხვ.);

8. ფილოსოფიური დარგების — (შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ს. დანელია და სხვ.);

9. სპეციალური და ტექნიკური დარგების — (ილ. ყიფშიძე, კაკაბაძე, ა. დიდებულიძე და სხვ.[1]);

აღნიშნულ კომისიას მთავრობის მხრივ არავითარი მატერიალური და მორალური დახმარება არ ეწეოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელიგენციის ეს მოწინავე რაზმი, ყოველ ღონეს ხმარობდა, სკოლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების

[1] ჟურნ. „განათლება“ № 2, გვ. 76—80, 1920 წ.

შექმნის, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის ახალ პროგრესიულ საფუძვლებზე მოწყობისათვის.

ე. **სკოლის რეორგანიზაციის საკითხები.** მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში სახალხო განათლების სისტემაში არსებული წინააღმდეგობის გამწვავება ხელს უწყობდა ხალხის უკმაყოფილების გაძლიერებას. „ქვევიდან“ მოსალოდნელი „ცვლილებებით“ შეშინებული მენშევიკური მთავრობა ცდილობდა „ცვლილებების“ „ზევიდან“ გატარებას და ამ გზით მშრომელი მასების ერთგვარ დაშოშმინებას.

ჯერ კიდევ 1918 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის ეროვნულმა ყრილობამ (დადგენილებით „სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ“), „ქართული სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმის ხელმძღვანელობა“ ქართულ „ეროვნულ საბჭოს“ და „ამიერკავკასიის კომისარიატს“ დააკისრა.

ეროვნული ყრილობის დადგენილებით:

1) სახალხო სკოლა უნდა ყოფილიყო საყოველთაო, სავალდებულო, საერთო (განშორებული ეკლესიისაგან), უფასო, ერთიანი, რომელიც შეიცავდა საზოგადო განათლების 8-წლიან კურსს;

2) საზოგადო განათლების 8 წლიან სკოლაზე დამყარებული უნდა ყოფილიყო ორავალნაირი საპროფესიო და სპეციალური განათლება;

3) საშუალო სკოლა ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო ღარიბთა კლასებისათვის.

4) კერძო ინიციატივას სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეში ფართო ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობილი.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შესძლო არა მარტო საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების და სკოლის „დემოკრატიზაციის წესების“ განხორციელება, არამედ სკოლა ეკლესიის დანამატად, რელიგიური აღზრდის კერად და ვიწრო საქმოსნების მომზადების ქარხნად გადააქცია.

საქართველოს პარლამენტის 1918 წ. 12 ნოემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა „კანონ-პროექტი სხვადასხვა უწყების სკოლების

განათლების სამინისტროს სისტემაში გადასვლის შესახებ", მაგრამ რიგი სასწავლებლებისა კვლავ მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებაში იქნა დატოვებული[1].

განათლების მაშინდელი სამინისტროს აზრით, ეს წინასწარ ლონისძიებას წარმოადგენდა მომავალში განათლების დარგში თვალსაჩინო „რეფორმის" გატარებისათვის.

მართლაც, 1918—1919 სასწავლო წელს მენშევიკურმა მთავრობამ შექმნა „სახალხო განათლების სისტემის სარეფორმო კომისია", რომელსაც ახალი სასკოლო სისტემის ჩამოყალიბების ძირითად საფუძვლად უნდა მიეღო: „საზოგადოების ყველა ელემენტისათვის... (თავისი შინაარსით და პროგრამით) ერთი საერთო განათლების სკოლის შექმნა", „ადამიანის მთლიანი ბუნების ჰარმონიული ზრდა და კერძოდ, მისი ნებისყოფის განვითარება"[2]. ამისათვის, სამინისტროს საჭიროდ მიაჩნდა: ა) საშუალო სკოლიდან მოსამზადებელი კლასების გამოყოფა და მისი დამოუკიდებელ სახალხო სკოლად გადაქცევა (ერთიანი სკოლის I საფეხური); ბ) საშუალო სკოლიდან პირველი 4 კლასის გამოყოფა და პროგრამულად მისი გაერთიანება უმაღლეს დაწყებით სკოლასთან (ერთიანი სკოლის მე-2 საფეხური); გ) საშუალო სკოლის 5—8 კლ. გარდაქმნა ერთიანი სკოლის მე-3 საფეხურად; დ) საშუალო სკოლის მე-5 კლასებიდან ბიფურკაციის შემოღება და ახალგაზრდობის მიერ „თავის პიროვნების მიდრეკილებისდამიხედვით... შესაფერი სპეციალობის მიღება"... და სხვა[3].

ზემოხსენებულ მოსაზრებათა საფუძველზე 1919 წელს მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო (და დაამტკიცა) „დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა"[4], რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: „1) საქართველოს რესპუბლიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა თავის ხარჯით ინახავს, ერთი ტიპისაა.

შენიშვნა: საერთო განათლების საშუალო სკოლა, რომელიც ქალაქთა, ერობათა, საზოგადოებათა, ან კერძო პირთა საშუალებით ინახება, შესაძლებელია განსხვავდებოდეს პირველ მუხლში აღნიშნულ სკოლის საერთო ტიპისაგან იმ აუცილებელი პირობით,

---

[1] ჟურნ. „განათლება" № 2, 1919 წ. გვ. 32—40,

[2] საქართველოს პარლამენტის 1918 წ. 12 ნოემბრის სტენოგრამული ანგარიშები (საქართველოს სსრ რევ. მუზეუმის მასალებიდან).

[3] ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 33, 1919 წ.

[4] იქვე, გვ. 36—37.

თუ ეს განსხვავება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულია განათლების სამინისტროს მიერ.

2) საერთო განათლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და ამავე დროს მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლისათვის.

3) განახლებულ საშ. სკოლას ოთხი კლასი აქვს, ერთი წლის კურსით თვითეული.

შენიშვნა: 1. 1919—20 და 1920—21 სასწ. წლების განმავლობაში არსებულ 8 და 7 კლასიან საზოგადო განათლების საშუალო სკოლის და აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო სკოლების პირველი 4 კლასი გადაკეთებულ იქნას უმაღლეს დაწყებით სკოლად.

შენიშვნა: 2. გაუქმებულ იქნას საერთო განათლების საშუალო სკოლასთან არსებული მოსამზადებელი კლასები.

4) განახლებულ საშუალო სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული (ხაზგასმა ჩვენია—ტ. ს.), მეორე არჩევით, ან ფრანგული, ან გერმანული; ან ინგლისური; ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.

5) ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხულ იქნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან.

შენიშვნა: ლათინური ენა ისწავლებოდეს, როგორც არასავალდებულო საგანი საშუალო სკოლის არაუადრეს მე-2 კლასისა, თუ მსურველთა რიცხვი არის არა ნაკლებ ხუთისა"[1].

ზემოაღნიშნული „დებულებით" ირკვევა, რომ: ა) სკოლებს გახსნა-შენახვისა და ხელმძღვანელობის საქმეში „კერძო ინიციატივას" ფართო გასაქანი ეძლეოდა; ამავე დროს, კერძო სკოლები სახელმწიფო სკოლების საერთო ტიპისაგან განსხვავებულ სახეს ინარჩუნებდა, რაც საზოგადოების გარკვეულ (გაბატონებულ) ნაწილს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა;

ბ) რუსული ენა გამოცხადებული იყო „ერთ-ერთ უცხო

---

[1] ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 32—40, 1919 წ. „დებულება" ხელმოწერილია განათლების მინისტრის ამხანაგის მიერ. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.

ენად", რომელიც სკოლის პრაქტიკულ ცხოვრებაში უცხო ენის თანაბარი უფლებითაც ვერ სარგებლობდა;

გ) „დებულებით" ძალაში რჩებოდა „ლათინური ენა" (როგორც არასავალდებულო საგანი) და „გალობა" (გარდა „მუსიკისა"), რაც მომავალი თაობის რელიგიოზურად აღზრდისათვის იყო გამიზნული.

დ) სასკოლო სისტემაში იყო დატოვებული მრავალსაგნიანობა, რაც ზედმეტად ტვირთავდა მოსწავლე ახალგაზრდობას მათი ძალებისადმი შეუფერებელი „ცოდნით";

ე) სწავლებაში დანერგილ იყო ზერელობა, დილეტანტიზმი, ვიწრო პრაქტიციზმი, უტილიტარისტულ-საქმოსნური განწყობილება, რაც ამცირებდა მოსწავლეთა მომზადების დონეს, თეორიის როლს უმორჩილებდა ვიწრო-პრაქტიკულ მიზნებს.

„სასკოლო რეფორმის" ძირითად საფუძვლად აღიარებულ იქნა მაშინდელი განათლების სამინისტროს დევიზი: „სწავლების შრომის საფუძველზე დამკვიდრება, სასკოლო მეცადინეობის ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში გადატანა"...[1] რაც სკოლებში ხორციელდებოდა ხელსაქმის, ხელგარჯილობისა და ვიწრო საქმოსნობის დანერგვის გზით. საშუალო სკოლებში ნაადრევი ბიფურკაციის აღიარება და მთავრობის ლტოლვა ნაადრევი სპეციალიზაციის შემოღებისაკენ ამცირებდა სკოლისა და მასწავლებლის როლს სწავლების პროცესში, ხელს უწყობდა მოსწავლეთა თეორიული მომზადების დონის დაწევას და ბავშვთა გადაქცევას ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის „მონამცეცე საქმოსნებად". ყოველივე ეს, სერიოზულ უკმაყოფილებას აძლიერებდა მშრომელ მასებში და მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში. მენშევიკური მთავრობა ფართო ნიადაგს ქმნიდა საქართველოში ე. წ. „შრომითი აღზრდის" ბურჟუაზიული იდეების განხორციელებისათვის. ინტელიგენციის ლიბერალური ნაწილი აღფრთოვანებულია იმით, რომ „სიტყვიერ სკოლას, რომელშიაც ბატონობდა წიგნი, თანდათანობით სცვლის შრომის, მუშური სკოლა, სადაც პირველ ადგილზეა დაზგა, ინსტრუმენტი, ხელსაწყო"[2].

ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წვრილბურჟუაზიული წარმომადგენელის აზრით, ჩვენში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო და კერძო სკოლები, ხოლო „მიზანი საქართველოს სახელმწიფო

---

[1] ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 37, 1919 წ. ხაზგასმა ჩვენია. ტ. ს.
[2] ჟურნალი „განათლება" № 1, გვ. 42—43, 1920 წ.

სკოლის სისტემისა უნდა ვეძიოთ ეთიკაში"[1]. ამ „თეორიის" მიმდევართა მიხედვით: „პირველი, ან დასაწყისი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო სკოლისა, უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო დანარჩენი ნაწილი ამავე სკოლისა არ უნდა იქნეს სავალდებულო"[2].

ამრიგად, ამ მოსაზრებათა მიხედვით, საშუალო სკოლის პირველი საფეხურის გარდა, სწავლება არასავალდებულო და ფასიანი უნდა ყოფილიყო, საიდანაც ბიფურკაციის შემოღება იყო გათვალისწინებული[3]. საშუალო სკოლის მეორე და მესამე საფეხურის ცოდნა, ინტელიგენციის ამ ჯგუფის გაგებით, მისაწვდომი უნდა ყოფილიყო „მხოლოდ იმისათვის, ვინც საუკეთესოდ არის ბუნებრივად დაჯილდოებული"[4].

კომერსანტების, მრეწველების და მეურნეების მოსამზადებლად, ლიბერალური ინტელიგენციის „თეორეტიკოსებს" საჭიროდ მიაჩნდათ სკოლის ორი განსაკუთრებული ტიპის: ა) ჰუმანიტარული და ბ) ნატურალისტური განათლების ტიპების ჩამოყალიბება, მაგრამ ყველა ეს მოსაზრებანი ცხოვრების პრაქტიკის მიერ უარყოფილ იქნა.

1920—1921 წ. წ. საქართველოს სკოლის „სარეფორმო კომისიის" (თავჯდომარე პროფ. უზნაძე) ახალი „პროექტის" მიხედვით, „ქართული ერთიანი სკოლა" შემდეგი სახით უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული:

1. პირველი საფეხური (6—10 წლამდე) — 4 წლიანი სკოლა, რომლის პირველი კლასის კურსი საბავშვო ბაღისა და სკოლის ელემენტებს შეიცავს ერთად;

2. მეორე საფეხური (10—14 წლამდე) 4 წლიანი კურსით, რომელიც ორ შტოს შეიცავს: ა) ჰუმანიტარულ-თეორიულს და ბ) რეალურ-პრაქტიკულს;

3. მესამე საფეხური იყოფოდა: ა) სამეურნეო და სამრეწველო-სატეხნიკო სკოლებად; ბ) მაღალი პროფესიონალური და მაღალი ზოგადი განათლების სკოლებად (4 წლიანი);

ზოგადი განათლების სკოლა შეიცავდა: ა) რეალურსა და ბ) ჰუმანიტარულ სკოლის ტიპებს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის

---

[1] იხ. ჟურნალი „განათლება" № 2, გვ. 15, 1920 წ.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 17.
[3] ჟურნ. „განათლება" № 2, გვ. 19, 1920 წ.
[4] ი ქ ვ ე

მხრივ კიდევ ორ შტოდ იყოფოდა: ნეოჰუმანიტარულ და კლასიკურ სკოლად, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წლით იყო განსაზღვრული.

4. მესამე საფეხურით სრულდებოდა სავალდებულო სწავლების პერიოდი, რის შემდეგ სწავლის გაგრძელება შეიძლებოდა უნივერსიტეტებში, პოლიტექნიკუმებში, ან სხვა ტიპის უმაღლეს სკოლებში.

საშუალო სკოლებში გათვალისწინებული იყო: დედა-ენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს და მსოფლიო ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ზნეობისა და უფლების, ფიზკულტურის, ხელგარჯილობის და სხვ. დისციპლინების სწავლება[1]. „სასკოლო რეფორმის" ეს პროექტი, სხვა „პროექტებთან" შედარებით უფრო პროგრესიული იყო, მაგრამ მას გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნდა. მენშევიკებს არც კი უცდიათ მისი განხორციელება, რადგანაც სკოლების ამგვარი „რეფორმა" მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

მენშევიკების მთავრობის ბატონობის პერიოდში სახალხო განათლების „რეორგანიზაციის პროექტების" შედგენა-გამოქვეყნების სიხშირის მიუხედავად, სასკოლო სისტემაში სრული არევ-დარევა და ანარქია მეფობდა.

ვ. საეკლესიო აღზრდა. ქართველი მენშევიკები ცდილობდნენ სასკოლო მუშაობის შინაარსის რელიგიურ ნიადაგზე განმტკიცებას.

აღზრდის მთავარი მიზანი მათი გაგებით, ეს იყო მოსწავლეებში „დემოკრატიული საქართველოს სამღვთო სიყვარულის" შემუშავება.

1917 წ. 1 ენკენისთვის თარიღით ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის ხელმოწერით გამოქვეყნებულ „სკოლის ნაციონალიზაციის წესების" მე-4 მუხლში ნათქვამია: „სარწმუნების სწავლა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდესო"[2]. იმავე „წესდების" მიხედვით „სარწმუნოების მასწავლებლები" ეკონომიურად და უფლებრი-

---

[1] იხ. „სასკოლო რეფორმის" კომისიის თავმჯდომარის—პროფ. დ. უზნაძის მოხსენება (ხელთნაწერი) „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ". ხელთნაწერიდან ამონაბეჭდი ჩვენთან ინახება. ტ. ს.

[2] ჟურნ. „განათლება" № 6—7, გვ. 347—350, 1917 წ.

ვად სხვა საგნის მასწავლებლებთან უნდა ყოფილიყვნენ გათანასწორებულნი[2].

ამრიგად, საკითხი ეხებოდა არა რელიგიური აღზრდისა და სარწმუნოების განდევნას სკოლებიდან, არამედ საეკლესიო აღზრდის „ეროვნულ ნიადაგზე მოწყობას", „სამღვთო სჯულის" მასწავლებელთა მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს პარლამენტის 1918 წ. 19 და 22 ნოემბრის დადგენილება სკოლებში „სამღვთო სჯულის გაუქმების შესახებ" (იხ. სტენოგრამიული ანგარიშები), არა თუ არ გულისხმობდა სამღვთო სჯულის სწავლების შეწყვეტას სკოლებში, არამედ „სინდისის თავისუფლების" (როგორც „ზნეობრივი მადლისა" და ხალხის „მორალური აღზრდის") „თეორიის" საფარქვეშ წარმოადგენდა რელიგიური აღზრდის საქმის ახალ ფორმებში ჩამოყალიბებას, სხვანაირად, რომ ვთქვათ, რელიგიური აღზრდის „რეორგანიზაციას", რომლის საშუალებითაც, „ახალი საეკლესიო აღზრდის" საფუძვლად „ოჯახი, ეკლესია და სკოლა" უნდა ყოფილიყო აღიარებული. ქართველი მენშევიკები სხვა ოპორტუნისტებთან ერთად „სჯულის რეფორმების" აუცილებლობის ნიღაბქვეშ საჭიროდ სთვლიდნენ: ეკლესიის, ოჯახისა და სკოლის კავშირის განმტკიცებას, რადგანაც მათი გაგებით ამას მოითხოვდა „ნამდვილ ეროვნულ პრინციპებზედ ხალხის აღზრდა" და „სჯულის სწავლების ევროპულად მოწყობა".

ისინი ორპოფულად, მერყეობით და ორაზროვნად „სამღვთო სჯულს არა სავალდებულო სასწავლო საგნად" აცხადებდნენ, ხოლო მშობლებს აძლევდნენ „უფლებას", ესწავლებინათ ბავშვებისათვის „სამღვთო სჯული"[1].

სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმების საკითხთან დაკავშირებით, თბილისის „ქალაქის საბჭოს" წარმომადგენელი 1918 წ. 15 იანვარს, ქალაქის „სათათბიროში" აცხადებდა:

„...დეე, ოჯახმა (რამდენადაც იგი ამას საჭიროდ იცნობს), ან რელიგიურმა საზოგადოებებმა იკისრონ ბავშვთა რელიგიური ალ-

---

[1] იხ. საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" სახ. განათლების სამინისტროს 1918 წ. 1 დეკემბრის ცირკულიარი სახ. სკოლების დირექტორების, გამგეებისა და ინსპექტორებისადმი. Т.Г.А,Ф. 18, дело № 405.
ამავე ცირკულიარის შინაარსის შესახებ იხ. მენშევიკური მთავრობის ორგანო გაზ. „საქართველოს რესპ.", 2/25/ ნოემბ., 1918 წ. ხახგასმა ჩვენია. ტ. ს.

ზრდის პასუხისმგებლობა. ჩვენი ამოცანა სრულიად სხვა სიბრტყეში ძევს და წარმოადგენს იმას, რომ მომავალ თაობას მივცეთ სრული საერო განათლება.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა აღინიშნოს, რომ, რაგვარიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება თვით რელიგიისადმი, სამღვთო სჯულის სწავლების უკუგდებით ჩვენი პროგრამებიდან სრულიად არ ვისახავთ მიზნად დევნილვქმნათ რელიგიური აღზრდა. სხვანაირად: ჩვენ არ გვინდა მისდამი მფარველობა, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ჩვენ ამ საკითხისადმი ნეიტრალიტეტს ვიცავთ"[1].

ამრიგად, მენშევიკები, რომლებიც საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდნენ საერო აღზრდისა და სკოლის ეკლესიისაგან ჩამოშორებაზე, არა თუ არ უარყოფდნენ რელიგიურ აღზრდას და საღვთო სჯულის სწავლებას, არამედ პირიქით, მშობლებს და რელიგიურ საზოგადოებებს სტიმულს აძლევდნენ ახალი თაობის რელიგიური აღზრდის „ახლებურად" მოწესრიგებისაკენ. მენშევიკურ მთავრობის ბატონობის პერიოდში მღვდლები აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საეკლესიო და სასკოლო საქმეებში. ერთ-ერთი მღვდელი დეკანოზი—თალაკვაძე, თბილისის მენშევიკური საბჭოს ხმოსანი, ამავე დროს ითვლებოდა ქალაქის „სასკოლო კომისიის" და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების კომისიის" წევრად. ეს—ის პიროვნება იყო, რომელიც 1920 წ. 11 დეკემბერს „ქალაქის საბჭოს" სხდომაზე („ქართველ კათოლიკეთა მზრუნველობის საჩივართან" დაკავშირებით სამინისტრო სკოლების ეკლესიებისათვის დაბრუნების შესახებ) საჯაროდ აცხადებდა: „უნდა აღვზარდოთ განათლებულნი მსახურნი ეკლესიისა", „მე... ვიცი მატერიალიზმი, თუმცა მატერიალისტი არა ვარ და იდეალიზმიც და ისიც კარგად ვიცი, რომ ქრისტიანობა ყოველგვარ ამაღლებულ კულტურას და ცივილიზაციას ეგუება"... კიდევ მეტი, მისი აზრით: „ქრისტიანობა, ეს თვით ის ამაღლებული კულტურაა, რომელსაც ჩვენს სკოლებს ვუსახავთ მიზნათ"[2].

---

[1] Т.Г.А.Ф. 18, дело № 375.

[2] თბილისის ქალაქის არქივი, ფონდი № 2, „საბჭოს ჟურნალი", გვ. 399, 1920 წ.

ზემოთაღნიშნული საჩივრის შესახებ იხ. მასალები დასახელებულ ფონდისა და ჟურნალის მიხედვით, გვ. 342—345. ტ. ს.

მჭიდრო თანამშრომლობა არსებობდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მღვდლებსა და მთავრობის წარმომადგენელთა ასეთი „თანამეგობრობა“ უდიდეს გავლენას ახდენდა სასკოლო ცხოვრებაზე. მიუხედავად მთავრობის ორგანოების მრავალი „კანონ-პროექტებისა“ და „ცირკულიარული განკარგულებებისა“, სკოლებში ტრადიციული ლოცვების ზეთხვა და „სამღვთო სჯულის“ ეროვნულ ენაზე ზეპირობა მაინც არ შეწყვეტილა.

1920 წ. საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ყრილობაზე სენაკის მაზრის წარმომადგენელი აცხადებდა: „სკოლებში მასწავლებლობენ მღვდლები, რაც აუცილებლად არა ნორმალურ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. მღვდელი ან უნდა ასრულებდეს თავის პირადპირ მოვალეობას, ანდა სრულიად თავი დაანებოს მღვდლობას და მხოლოდ მას შემდეგ მოჰკიდოს ხელი მასწავლებლობას. უამისოდ სკოლებში სწავლება ფერხდებაო“[1].

მღვდლები ერთსა და იმავე დროს მასობრივად „მოღვაწეობდნენ“ სკოლებში, და „ზრდიდნენ“ ახალგაზრდობას რელიგიური სულისკვეთებით. სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის განათლების განყოფილება, კაჭრეთის სკოლის გამგეს 1920 წ. 14/IV (№ 323) წერდა: „...როგორც ეს ერობაში მოსულ ცნობებიდან სჩანს, ბევრგან დღემდე არ შეუწყვეტიათ სწავლების დაწყებისა და გათავების შემდეგ ძველი განკარგულებით დაწესებული ლოცვების კითხვა, ხოლო ზოგან სასწავლებელთა უფროსებს ამგვარი ლოცვა და ღვთისმსახურება ერთგვარ სისტემადაც კი გადაქცევიათო“.

სკოლებში რელიგიური აღზრდის გაძლიერება გამოწვეული იყო მთავრობის მხრივ ამ საკითხისადმი ე. წ. „ნეიტრალური დამოკიდებულებით“, ლოცვებისა და „სარეველუციო კატეხიზმის“ სწავლებისათვის მთავრობის მხრივ დახმარებისა და სტიმულის მიცემით. მენშევიკების ასეთ ოპორტუნისტულ-ბურჟუაზიული შეხედულების წინააღმდეგ, 1920 წლის 27 ოქტომბერს ბოლშევიკური გაზ. „ახალი კომუნისტი“, სრულიად სამართლიანად წერდა: „მენშევიკები, რომლებიც წინათ ციხეებში იჯდნენ ანტირელიგიური პროპაგანდისათვის, ამ საკითხებშიაც არ რჩებიან უკან „კულტურული დასავლეთის“ იმპერიალისტებს...

„ნელთბილი, თონთლო, მამულიშვილობით და ოჯახიშვილო-

---

[1] სრ. საქ. მასწ. კავშირის დელეგატების ყრილობის ოქმები, იანვარი, 1920 წ. ჟურნ. „განათლებას“ დამატება № 1—4.

ბით გაჟღენთილი, დაჭკვიანებული, მოშინაურებული და კბილ ჩაცხვენული სოციალ-დემოკრატია „შუაგზაზეა“ შემდგარი და მოკლებულია უნარს, როგორც სიყვარულის, ისე სიძულვილის ხალხის მომშსამველ საშუალებისადმი. მას ამოძრავებს მხოლოდ ბატონობის შერჩენა. მას აძიგძიგებს მხოლოდ შიში ძალაუფლების დაკარგვისა და ამიტომაც ვერ ელევა, ნაცად საშუალებებს, ამიტომაც ვერ სთმობს ხუცებს და რელიგიასო.“[1]

რელიგიურ-სარწმუნოებრივი აღზრდის „რეორგანიზებული სისტემა“ წარმოადგენდა ცარიზმის „საგანმანათლებლო პოლიტიკის“ ახალ ფორმებში გატარების სერიოზულ ცდას, ახალი თაობის გონების დაჩლუნგებისა და „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ მონამორჩილთა აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას.

4. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ბრძოლა ახალი სკოლისათვის

ა. მასწავლებელთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა. მენშევიკური მთავრობის პერიოდში სახალხო განათლებისა და კერძოდ, სკოლის მუშაკთა მდგომარეობა (თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდთან შედარებით) ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. პირიქით, მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ცხოვრების სიძვირის ზრდამ გამოიწვია პედაგოგთა საარსებო მდგომარეობის გაუარესება. საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის ოქტომბერში მიღებული „კანონ-პროექტი სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, ამავე წლის მენშევიკების „ეროვნული საბჭოს“ გადაწყვეტილება „მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წ. 27 მარსის „კანონ-პროექტი“ სახალხო მასწავლებელთათვის „ხუთ-წლეული დამატებების შესახებ“, თბილისის ქალაქის მენშევიკური საბჭოს 1919 წ. 3 მარტის გადაწყვეტილება „დაბალ და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების მასწავლებლებზე სამხედრო მომატების ნაწილის გავრცელების შესახებ“, 1918 წ. 1919 და 1920 წ. წ. მასწავლებელთა ყრილობის დადგენილებები, განცხადებები და მოთხოვნილებები — მასწავლებელთა უფლებრივ—მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მხოლოდ მშრალ და სიტ-

[1] გახ. „ახალი კომუნისტი“ № 81, 30 ოქტ. 1920 წ.

ყვიერ დაპირებებს წარმოადგენდნენ, რომელთაც პრაქტიკულად არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამ გარემოების გამო, სკოლებს ხშირად გაურბოდნენ უნარიანი და ნიჭიერი პედაგოგები. მასწავლებელთა უმეტესობა სკოლებში დაძაბუნებული, „წელმოწყვეტილი, სასომიხდილი, გაღარიბებული, გამხთარი, ჩაუცმელ-დაუხურავი, 5—6 ადგილას დაკერებული შარვალითა და ხალათით დადიოდა“ (ჟურნ. „განათლება“ № 2, 1919 წ.).

მასწავლებელთა ასეთი ეკონომიური დაქვეითება და პოლიტიკური უუფლებობა იწვევდა მთავრობის წინააღმდეგ გაფიცვების გამოცხადებას. 1918 წელს, იანვარში, გაიფიცნენ ჩოხატაურის რაიონის სახალხო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც მოითხოვდნენ: სამრევლო და საერო სკოლების გაერთიანებას, აქამდე მიუღებელი ჯამაგირებით დაკმაყოფილებას, მასწავლებლებისათვის (განურჩევლად) თვიური ჯამაგირის 300 მანეთამდე გადიდებას, ერთდროულად 500 მანეთ დახმარებას, ომის პერიოდში „დღიურების“ მიღებას (1 მან. და 25 კაპ. დღეში), უმაღლეს და პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა ბინითა და გათბობით უზრუნველყოფას. უკეთუ ეს მოთხოვნილებები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ 7 იანვრიდან სრულიად დაანებებდნენ თავს მასწავლებლობას[1].

1918 წლის 14 იანვარს ჩოხატაურის ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო კრებამ მხარი დაუჭირა მასწავლებელთა გაფიცვებს:[2] „კრება ანგარიშს უწევს სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობას, კანონიერად მიაჩნია მათი მოთხოვნილება და სავსებით მხარს უჭერს მათთ“, — ნათქვამია კრების დადგენილებაში[3]. 1919 წ. 29 ნოემბერს გაფიცვა გამოაცხადა ქ. ქუთაისის სახალხო მასწავლებლობამ, რომელთაც მხარი დაუჭირეს მუშებმა და მოსამსახურეებმა.

მასწავლებელთა გაფიცვების გამო 1918—1919 წლებში რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ მრავალჯერ მიმართა განათლების მინისტრს და სთხოვა მასწავლებლის ხვედრი ჯამაგირები თავის დროზე გადასცემოდა — „ფილიალ-განყო-

---

[1] ბოლშ. გაზ. „ბრძოლა“ № 1, გვ. 4, 1918 წ. 1 იანვარი.

[2] აღნიშნულმა კრებამ მესამე საკითხად განიხილა: „მასწავლებელთა გაფიცვა და ჩვენი ამოცანები“, რომელზედაც რევოლუციური ხასიათის დადგენილება გამოიტანა. იხ. გაზ. „ბრძოლა“ № 19, 25 იანვარი, 1918 წ.

[3] ბოლშ. გაზ. „ბრძოლა“ № 19, 1918 წ. 25 იანვარი.

ფილებათა თავმჯდომარეებს ან ინსტრუქტორებს დასარიგებლად, მაგრამ შუამდგომლობა ვერ იყო დაკმაყოფილებული"[1]. მასწავ-ლებელთა ხელფასი მათი ფიზიკური არსებობის საკითხებსაც ვერ აწესრიგებდა. მასწავლებლობა გადაგვარების გზაზე იდგა, რო-გორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, ხალხი, მასწავლებლების ეკონომიურ გაჭირვებას რომ ხედავდა, სკოლაში ბავშვები აღარ შეჰყავდა: „შენ რომ ისწავლე, რაში გეტყობა ეს სწავლა, თავი ვერ გირჩენიაო".

1919—1920 წ. წ. საქართველოს ეკონომიკა და მეურნეობა სავსებით მოიშალა, კულტურა დეგრადაციის გზით წავიდა, ადა-მიანთა ელემენტარული უფლებები მთავრობამ ფეხქვეშ გათელა. ვაჭრობა-მრეწველობის პალატის 1920 წლის 19 ოქტომბრის ცნო-ბებით, სურსათ-სანოვაგის საბაზრო ფასები საზღაპროდ გადიდდა[2].

მასწავლებელთა ჯამაგირი უმცირესი იყო ყველა მოსამსახუ-რის ხელფასზე. ისინი იშვიათად, „მოწყალების სახით თუ მიი-ღებდნენ თითო ფუთ ქერს", „მუშაობდნენ მშიერი კუჭით"[3], ხო-ლო უფლებრივი მდგომარეობის მხრივ მთავრობის ადგილობრივი ორგანოები მათ აუტანელ პირობებში აყენებდნენ.

მთავრობა და მისი მოხელეები სრულ გულგრილობას იჩენდ-ნენ მასწავლებელთა შრომის დაფასების საქმეში. სოფლის მწერალს თვიური შრომა ორნახევარჯერ მეტად უნაზღაურდებოდა, ვიდრე მასწავლებელს[4].

გურიის სოფლის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი ხახალხო სკოლის მუშაკთა ამგვარი მდგომარეობის შესახებ წერდა:

„მასწავლებლები, როგორც ნიკოლოზის დროს, ისე კერენს-კის დროსაც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. არავის არ ეგონა სა-ქართველოში, როგორც „დემოკრატიულ რესპუბლიკაში", ისეე იმ მდგომარეობაში ვიქნებოდით, მაგრამ სამწუხაროდ სულ წინააღმ-დეგს ვხედავთ: არამც თუ პირობების გაუმჯობესება არაა, არამედ პირიქით, შრომის სრულიად დაუფასებლობა, ფეხქვეშ გათელვა, შიმშილი და სხვ. არც ერთი მთავრობის დროს მასწავლებლები იმდენ გაჭირვებას არ განიცდიდნენ, რამდენსაც დღეს განიცდიან ამ „შრომის სამეფოში"[5]. მართლაც და, ცხოვრების პირველ მოთ-

---

[1] ჟურნ. „განათლება", № 4, 1919 წ.
[2] ბოლშ. გაზ. „ახალი კომუნისტი" 23 ოქტ. 1920 წ.
[3] ბოლშ. გაზ. „ახალი კომუნისტი", 15 სექტ. 1920 წ.
[4] გაზ. „ახალი კომუნისტი", 28 სექტემბერი, 1920 წელი.
[5] ი ქ ვ ე.

ხოვნილების საგნების სიძვირის ზღაპრულ ზრდას, ფულის კურსის დაცემას და შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა, როგორც ყველა მშრომელთა, ისე მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის სასტიკად შევიწროება და მათ საარსებო საშუალებათა მაქსიმალურად შემცირება.

პოლიტიკური, ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი არა ერთხელ გამხდარა მაზრების, ოლქების და „საქართველოს რესპუბლიკის" მასწავლებელთა კავშირის დელეგატთა ყრილობის ცხარე მსჯელობის საგნად. 1920 წ. 20 სექტემბერს სენაკის მაზრის პედაგოგთა შეკრებამ აღნიშნა განათლების საქმის გაუმჯობესებისა და 1 სექტემბრიდან ჯამაგირების 200%-ით გადიდების აუცილებლობის შესახებ[1] მაგრამ, მასწავლებელთა შეკრების შუამდგომლობა, ისე როგორც სხვა მოთხოვნები მთავრობამ უყურადღებოდ დატოვა.

მიუხედავად მასწავლებელთა და სკოლების ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ქართველი მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის „პიონერებს" (კაუცკის, გილფერდინგის და სხვ.) არწმუნებდნენ: „— სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ძლიერ კარგად მიმდინარეობსო", ხოლო „სტუმრები" სრულიად საწინააღმდეგო ფაქტების მიუხედავად, განათლების დარგში „მოპოვებულ მიღწევებს" მენშევიკებს თავდაბლად უდასტურებდნენ[2].

როგორც ყველა მშრომელის, ისე მასწავლებელთა ყოველმხრივმა უუფლებობამ, მატერიალურმა დაბეჩავებამ, არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებამ და ჩაგვრა-შევიწროებამ გამოიწვია მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებელთა უკმაყოფილების გაძლიერება. მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკისა და სახალხო განათლების ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ, მასწავლებელთა სერიოზული პროტესტებისა და ბრძოლის მაგალითებს 1917—1920 წლების მთელს მანძილზე ჰქონდა ადგილი.

1918 წლის 3 მაისს მასწავლებელთა დელეგატების პირველმა სამხარეო ყრილობამ მთავრობისაგან მოითხოვა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის სასწრაფოდ გაუმჯობესება[3].

ამავე წლის 22(9) იანვარს ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 57, 2 ოქტომბერი 1920 წ.

[2] გაზ. „ახალი კომუნისტი",5 ოქტომბერი, 1920 წ.

[3] ამ ყრილობაზე მასწავლებლობას „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციის სახელით მიესალმა მ. ცხაკაია.

დასავლეთ საქართველოს პირველდაწყებითი სახალხო სკოლების და სახელოსნო სასწავლებლების მასწავლებლები[1].

მშრომელი მასების რევოლუციური განწყობილების ზრდა 1918—1921 წ. წ. (25/11-დე) მეტად მკვეთრ და თვალსაჩინო ხასიათს იღებდა. 1919 წლის 24 მარტს დაიწყო თბილისის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა მასობრივი გაფიცვები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: სასურსათო განყოფილების, წყალსადენის, სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეები და ქალაქის სკოლების მასწავლებლები. ქალაქში საყოველთაო მღელვარება და უკმაყოფილება სუფევდა. მშრომელთა „...ასეთ სულიერ განწყობილებას ხელი შეუწყო მეტალისტთა და ბაქოს **პროლეტარიატის წარმომადგენლებმა, რომელნიც კრებას მთელი თბილისის და ბაქოს პროლეტარიატის ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას პირდებოდა**". ამიტომ იყო, რომ ზეშინებულმა ქალაქის მენშევიკურმა „საბჭომ" გადაწყვეტილება მიიღო გაფიცულების სამსახურიდან დათხოვნის, ხელფასის დაკავების, დაპატიმრების და სხვა ანალოგიური ზომების გამოყენების შესახებ[2].

გაფიცვები გამოწვეული იყო, არა მხოლოდ მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის სიავიწროვით, არამედ ამასთან ერთად, მენშევიკური მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის შედეგად. ქ. თბილისის მენშევიკური სათათბიროს („საბჭოს" 1919 წლის 11 აპრილის) სხდომაზე — ქალაქის მოურავი თავის მოხსენებაში („გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ") იძულებული იყო აღენიშნა, რომ მოსამსახურეები უარს ამბობდნენ სამსახურში დაბრუნებაზე და ჯამაგირებით დაკმაყოფილების გარდა მოითხოვდნენ „გაფიცვის გამო დატუსაღებულ მოსამსახურეების განთავისუფლებას"[3].

უფრო ურთულესი იყო მდგომარეობა ქალაქის სკოლებში, სადაც გაფიცულ მასწავლებელთა რიცხვი აღემატებოდა 400 კაცს, ხოლო 400 კარგისა და გამოცდილ მასწავლებლის შოვნა და, დათხოვნილ (დაპატიმრებულ) მასწავლებელთა ადგილზე სამუშაოდ გაგზავნა მთავრობას არ შეეძლო. ასევე რთული იყო „მდგომარეობა საავადმყოფოებშიც[4]. მიუხედავად სხვადასხვა გვარი ზომებისა, მთავრობა გამოსავალს ვერ პოულობდა და იძულებული იყო ზოგიერთი გაფიცული მასწავლებელი კვლავ „ადგილზე დატოვებუ-

---

[1] გაზ. „ერთობა" № 6, 1918 წ.

[2] Т.Г.А. фонд № 2. „საბჭოს ჟურნალი", გვ. 108, 1919 წ.

[3] ქალაქის მუნიციპ. არქივი, ფ. № 2 „საბჭოს ჟურნალი", გვ. 120.

[4] ი ქ ვ ე.

ლად“ გამოეცხადებინა, მაგრამ გაფიცვების შენელება ვერც ასეთი მეთოდების გამოყენებით მოხერხდა.

ეკონომიური ხასიათის გაფიცვები მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ბრძოლას. მასწავლებელთა გაფიცვებს და მთავრობის ღონისძიებებს (გაფიცულების წინააღმდეგ) ფართოდ გამოეხმაურნენ მშრომელი მასები, კერძოდ, მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც პროტესტს უცხადებდნენ მთავრობას გაფიცულთა სამსახურიდან დათხოვნის გამო და მოითხოვდნენ სამსახურში მასწავლებელთა დატოვებას[1]. თბილისის ქალაქის მენშევიკური „საბჭოს“ ერთ-ერთი „ხმოსანი“, 1919 წლის 11 აპრილის სხდომაზე ხმა-მაღლა აცხადებდა, რომ „უმთავრესი ყურადღება მიექცეთ“ ექიმებისა და მასწავლებლებისათვის, როგორც „დემოკრატიული საქართველოს მტრებისათვის“, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდა „მასწავლებელთა და სასწავლებელთა მდგომარეობის გადასინჯვა“, მრავალი სკოლის დახურვა და ერთმანეთთან შეერთება, შტატის შეკვეცა და ამრიგად, მასწავლებელთა მხრივ „ნაკლოვანებებისა“ და სხვა „უხერხულობისაგან“ თავის დაღწევა. მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებელთა მღელვარებისა და გაფიცვების ტალღა თანდათანობით გაძლიერდა. გაფიცვები მოედო ქარხნებს, ჯარს და სოფლებს.

1920 წ. აპრილში გაიფიცნენ ხონის სკოლების მასწავლებლები, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვდნენ წარდგენილ ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.[2]

ამავე წლის 29 სექტემბერს სენაკის მაზრის მასწავლებელთა ყრილობამ მთავრობას კატეგორიული მოთხოვნილება წარუდგინა მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.[3]

1920 წ. „17 ოქტომბერს მოხდა ქუთაისის პედაგოგების დემონსტრაცია ჯამაგირის სიმცირით გამოწვეული შიმშილის გამო. ისმოდა წამოძახილები: „ძირს მთავრობა“, „ძირს ბურჟუაზიული ბიუროკრატია“. მათ მხარი დაუჭირეს მუშათა წარმომადგენლებმა[4]. მთავრობის და მასწავლებელთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანიზაციები კი — მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვ-

---

[1] T. Г. А. Ф. № 2 „საბჭოს ჟურნალი“ გვ. 120, 1919 წ.
[2] გაზ. „სახალხო საქმე“ № 809, 1920 წ.
[3] გაზ. „ახალი კომუნისტი“ № 57, 1920 წ.
[4] პროფ. გ. ხაჭაპურიძე „პროლეტ. რევ. ბრძოლა საქართველოში“, გვ. 349.

ლად გაფიცულებს „დამამშვიდებელი“ რჩევა-დარიგებებით მი-მართავდნენ. 1920 წლის 28 აპრილს სრ. საქ. მასწავლებელთა კავ-შირის ბიურო თავის ორგანიზაციებს ურჩევდა, რომ „ცენტრთან შეუთანხმებლად და მოულაპარაკებლად“ გაფიცვები არ გამოეცხადებიათ. ასევე, რაჭის მაზრის გაფიცულ მასწავლებლებს საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიურომ დეპეშით აცნობა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია — „ცენტრთან დაუკითხავად და ერობასთან მოულაპარაკებლად“ გაფიცვების მოწყობა, რისთვისაც მასწავლებლებს უდეპეშა: „განაახლეთ სწავლა, მოელაპარაკეთ ერობას, შეგვატყობინეთ დაწვრილებით“[1]. მასწავლებელთა ასეთ გაფიცვებს 1919—1920 წ. წ. ადგილი ჰქონდა არა მარტო რაჭაში, არამედ ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, დუშეთის, გურიის მაზრებში და საქართველოს მთელ რიგ სხვა კუთხეებშიაც[2].

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად მასწავლებელთა გაფიცვები მენშევიკური მთავრობის დამხობის მომენტამდე გრძელდებოდა, რის გამოც მენშევიკური მთავრობის ორგანო გაზ. „ერთობა“ 1921 წ. 14 იანვარს ცოფმორეული სწერდა, რომ „მასწავლებელთა გაფიცვა დღეკანდელ პირობებში, ეს არის რეაქციის რიგებში ჩადგომა, ეს არის კონტრრევოლუციის მესვეურება“ და „უგუნურებაო“. მაგრამ, მენშევიკური მთავრობის და მათი პრესის მუქარამ ვერ გასჭრა. საქართველოს მოწინავე მასწავლებლობა, მუშათა კლასთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეუნელებელ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიულ-მემამულური, მენშევიკური მთავრობის დამხობისა და მშრომელი მასების საბოლოო განთავისუფლებისათვის.

ბ. მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მენშევიკების „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. სისტემატურად აშუქებდა რა საბჭოთა რუსეთის და ახალი საბჭოთა რესპუბლიკების თვალსაჩინო მიღწევებს სახალხო განათლების სოციალისტურ ნიადაგზე მოწყობის საქმეში, ბოლშევიკები მშრომელ ხალხს და მისგან გამოსულ რევოლუციურ ახალგაზრდობას არწმუნებდნენ კომუნისტური პარტიის პროგრამისა და მისი გენიალური ხაზის სისწორეში, მისი თეორიისა და

---

[1] ჟურნ. „განათლება“ № 3, 1920 წ. ოქტომბერი.
[2] ჟურნ. „განათლება“, № 2, 1920 წ.

პრაქტიკის ნამდვილ ერთიანობაში. 1920 წლის 12 აგვისტოს გაზ. „ახალი კომუნისტი“ აშუქებდა საბჭოთა აზერბაიჯანის სახალხო განათლების მდგომარეობას და იმ ღონისძიებებს, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ატარებდა ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლებისა და ახალი თაობის ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნით შეიარაღების საქმეში.

1920 წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 3 წლის თავზე, გაზეთი „ახალი კომუნისტი“ ფართოდ განუმარტავდა მშრომელ მასებს სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობას საბჭოთა რუსეთში, აცნობდა სახალხო განათლების დარგში ბოლშევიკური პოლიტიკის განხორციელების გიგანტურ შედეგებს, რაც აღაფრთოვანებდა, აკავშირებდა და აორგანიზებდა მშრომელებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. როგორც ბოლშევიკური პრესა წერს: მენშევიზმის ბატონობის ხანაში „ახალგაზრდობა ისწრაფვის სწავლისაკენ, განათლებისაკენ. მას სურს შეიგნოს ყოველივე არსებული, მაგრამ ყოველივე ეს ოცნებად რჩება. ასეთი სურვილები იქავე იხშობა, სადაც წარმოიშვა. საქმე იმაშია, რომ სოფლის ახალგაზრდობა ღარიბია, ნივთიერად ხელმოკლეა და ამიტომ უმეტესობა იძულებულია სკოლაში ვერ შევიდეს. მაგრამ არც ისინია ბედნიერ მდგომარეობაში, რომლებმაც იხილეს სკოლის კედლები. ვის არ უნახავს აბა სოფლებში სკოლაში მომავალი ფეხშიშველა ბავშვები, დაგლეჯილი შალვრით და ბლუზით შემოდგომის და ზამთრის სუსხიან დღეებში?. რამდენ მოსწავლეს მოჰკლებია რვეული, ფანქარი, წიგნი?... განა ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ ხაზინა ცარიელია, მთავრობას ფული არ აქვს? არა, ფული ბლომად არის ბანკეტსადილებისათვის, რომელთაც უმართავენ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებს, ფული ბლომად არის საგანგებო რაზმებისათვის, რომელნიც სდევნიან კომუნისტებს, აგრეთვე პატივცემული კათოლიკოსის და მისი კომპანიისათვის, მაგრამ ის არ არის სოფლის ღარიბი ახალგაზრდობისათვის“.[1]

ქართველი მშრომელი ახალგაზრდობა, მუშათა კლასთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განუწყვეტლივ იბრძოდა ხალხის ამგვარი შევიწროების, ბურჟუაზიული ექსპლოატაციის, ეკონომიური, პოლიტიკური და უფლებრივი ჩაგვრისა და

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“ 18 ნოემბერი, 1920 წ.

მენშევიკური „საგანმანათლებლო პოლიტიკის“ წინააღმდეგ, მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისა და განათლების ახალი სისტემის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის. ჯერ კიდევ 1917 წ. 19 (6) მარტს დ. ხონში გაიმართა მოწაფეთა მანიფესტაცია თვითმპყრობელობის დამხობის აღსანიშნავად[1], ხოლო ა/წ. 20 (7) მარტს ქ. ქუთაისში ჯარისკაცთა დემონსტრაციას და დიდ სახალხო მიტინგს მოჰყვა სასულიერო სემინარიის მოწაფეთა მანიფესტაცია[2].

22 მარტს დ. ხაშურში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგს, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, მოჰყვა ადგილობრივი ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა და ჯარისკაცთა მანიფესტაცია[3].

29 მარტს ლანჩხუთში მოეწყო მოწაფეთა მანიფესტაცია წითელი დროშით და რევოლუციური სიმღერებით, რის შემდეგ მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა[4].

ამავე წლის 23 (10) მარტს ქ. თბილისში მოეწყო ყველა სასწავლებლის მოწაფეთა და მასწავლებელთა დემონსტრაცია წითელი დროშებით, რომლის შემდეგ თავისუფლების მოედანზე დიდი მიტინგი ჩატარდა[5]. 28 (15) მარტს სოფ. ხიდისთავში (გურია) მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად მანიფესტაცია გამართეს წითელი დროშებით და რევოლუციური სიმღერებით[6].

1917 წ. 8 აპრილს კავკასიის სამხედრო-საავიაციო სკოლის ჯარისკაცებმა და ქუთაისის ბოლშევიკ-მოსწავლეებმა პროტესტი გაბაცხადეს გაზ. „პრავდის“ კონფისკაციისა და იმ კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც ბოლშევიკებისა და მათი ორგანოს „კავკაზსკი რაბოჩის“ წინააღმდეგ ეწეოდნენ ბურჟუაზიული მთავრობის მეესვეურები[7].

მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზებულ ბრძოლას მენშევიკურ-მემამულური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინამძღოლობით, ახალგაზრდობის სოციალ-ინტერნაციონალისტთა „სპარტაკის“ ორგანიზაცია წარმარ-

---

[1] გაზ. „ერთობა“ № 3, 1917 წ.
[2] გაზ. „თანამედროვე აბრი“ № 59, „ერთობა“ № 2, 1917 წ.
[3] გაზ. „ერთობა“ № 1, 1917 წ.
[4] გაზ. „ერთობა“ № 4, 1917 წ.
[5] გაზ. „საქართველო“ № 56, 1917 წ.
[6] გაზ. „ერთობა“ № 10, 1917 წ.
[7] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ № 34, 1917 წ.

თავდა, რომელიც თავის მანიფესტში „კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას“ ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა[1].

ახალგაზრდათა „სპარტაკის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 1917 წ. 20 ოქტომბერს თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დაიწყო მოწაფეთა გაფიცვა, რომელსაც მეორე დღეს თბილისისა და ბათუმის სასწავლებლის მოწაფეებიც შეუერთდნენ[2]. მოსწავლეთა მოძრაობა შემდეგ წლებში უფრო შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს იღებდა.

1918 წ. 3 თებერვალს (ძველი სტ. 21 იანვარს) ხენაკის მაზრის სოფ. კიწიის სასწავლებლის მოწაფეთა კრებამ (რომელსაც 500 მოწაფე ესწრებოდა) მენშევიკური მთავრობის საწინააღმდეგოდ შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო:

„ჩვენ მოწაფეები, სასტიკ პროტესტს უცხადებთ იმ პირებს, რომელნიც ირაზმებიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, და სრულ ნდობას უცხადებთ სახალხო კომისრების საბჭოს. ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ ბოლშევიკების პარტიას და ფართო აგიტაცია გავსწიოთ მის სასარგებლოდ. გაუმარჯოს სახალხო კომისრების საბჭოს! გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ ბოლშევიკების პარტიას! გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას![3].

ამავე წლის 5 მარტს გაფიცვა გამოაცხადეს ქ. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებმა, რომლებიც არსებული რეჟიმის დამხობას და სკოლის ცხოვრების ნორმალურ პირობებში ჩაყენებას მოითხოვდნენ[4], ხოლო 17 (4) აპრილს გამოქვეყნდა ცნობა ქუთაისის გუბერნიის ყველა სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ[5]. გაფიცვები მოედო უმაღლესი ტიპის სასწავლებლებსაც. 1918 წ. 16 ოქტომბერს ქალთა უმაღლესი კურსების საექიმო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება გაფიცვის გამოცხადების შესახებ[6].

1918 წლის მარტ-აპრილში, 22 დღეს გრძელდებოდა თბილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლეთა გაფიცვა, რომელიც ქალა-

---

[1] გახ. „კავკასსკი რაბოჩი“ № 151, 1917 წ.
[2] გახ. „კავკასსკი რაბოჩი“ № 169, გახ. „ერთობა“, № 164, 165, 1917 წ.
[3] გახ. „ბრძოლა“ № 16, 1918 წ.
[4] გახ. „ბრძოლა“ № 38, 1918 წ.
[5] გახ. „ერთობა“ № 77, 1918 წ.
[6] გახ. „სახ. საქმე“ № 360, გახ. „ერთობა“ № 223, 1918 წ.

ქის „საბჭოს“ სერიოზული მსჯელობის საგნად გადაიქცა. მთავრობის წარმომადგენელთა მხრივ რეპრესიების (მოწაფეთა დათხოვნა, კლასების დახურვა, დატუქსვა და სხვ.) მიუხედავად, მღელვარება თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, გაფიცულები აყენებდნენ, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებებს.[1]

1919 წ. 31 მარტს, ახალგაზრდობის სოც. ინტერნაციონალისტთა კავშირის („სპარტაკის“) კონფერენციის შემდეგ, (რომელმაც გააფორმა ახალგაზრდა კომუნისტთა „სპარტაკის“ ორგანიზაცია), მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლებს (მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ) უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა.[2]

1919 წ. 22 სექტემბერს (ბაქოს) ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით, ამიერ-კავკასიის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია გაერთიანდა რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირში,[3] იგი მტკიცედ ჩაუდგა სათავეში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას და სკოლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლას, ქარხნებში წერა-კითხვის წრეების ჩამოყალიბებას, მუშათა მოძრაობისა და პროლეტარული კულტურის საკითხებზე ლექციების მოწყობას და ახალგაზრდობის დარაზმვას ბოლშევიკური პარტიის გარშემო.[4] ახალგაზრდობაზე რევოლუციური ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად, 1920 წ. 5 სექტ. სადღესასწაულოდ შეკრებილმა ოზურგეთის ახალგაზრდა კომუნისტებმა სასტიკი პროტესტი გაუცხადეს სომხეთის დაშნაკურ მთავრობას, ასევე მოიქცა საქართველოს მუშათა და გლეხთა მოწინავე ახალგაზრდობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობის გარეკვის გამო[5].

1919—20 წლებში ფართოდ გაიშალა მოსწავლეთა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომელიც მიმართული იყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1920 წლის 1 ნოემბერს „ქუთაისში ადგილი ჰქონდა მოწაფეთა გამოსვლებს. ადმინისტრაციულ წრეებს, ორგანიზაციებს და ასე გასინჯეთ — გიმნაზიის დირექციებს არავითარი წინასწარი ცნობა არ ჰქონდათ გამოსვლების შესახებ, რამაც გამოიწვია განცვიფრება და პანიკა

---

[1] თბილისის ქალაქის, არქივი ფ. № 18, საქმე № 362, 1918 წ.
[2] გაზ. „სოციალდემოკრატი“ № 80, 1919 წ.
[3] მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივის ფონდი № 37, საქმე 610.
[4] გაზ. „ახალი კომუნისტი“ № 4, № 8, 1920 წ.
[5] გაზ. „ახალი კომუნისტი“ № 63, № 37, № 52, 1920 წ.

საზოგადოებაში. პირველად მეორე გიმნაზიის მოწაფეები გამოვიდნენ. მათ ჩაიარეს პირველ გიმნაზიასთან, აქედან წმინდა ნინოს სასწავლებელთან და ასე იერიშებით მთელი სასწავლებლები აიღეს და მოწაფეობა შემოიკრიბეს... ეს გამოსვლები იყო მიმართული მმართველი წრეების ძალა-უფლების წინააღმდეგ".[1]

მთავრობის მოხელეებს „ქრისტიანული მორალი" და „ეთიკა" ხელს არ უშლიდა ეწარმოებინა მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილოდ განწყობილი მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩხრეკა-დაპატიმრება და შევიწროვება, ცემა და გამათრახება.

— „არა ნაკლები აღმაშფოთებელი მოვლენა არის მოწაფეების დაჭერა თვით სასწავლებლის შენობაში. ეს მთლად დაცემულნი მოდიან სკოლაში და სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ათქმევინონ მათ ჩვენი თანამოაზრეების გვარები და ბინებიო", — წერდა — „ახალი კომუნისტი",[2] მაგრამ მშრომელი ხალხის შვილების, რევოლუციური მოსწავლე ახალგაზრდობის ნებისყოფას ვერ სტეხდა მენშევიკური მთავრობის რეპრესიები.

მათ მტკიცედ სწამდათ მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესაბამისად, ქართული ბოლშევიკური პრესა ახალგაზრდობას მოუწოდებდა, რომ უპირველეს ყოვლისა, მათ: „შეისწავლონ ბურჟუაზიული კულტურა, შეითვისონ, რაც არის მასში საკაცობრიო და დადებითი, დანარჩენი კი შეუბრალებლივ გადაისროლონ არხივის სარდაფებში"[3], ამავე დროს, ბოლშევიკური პრესა ახალგაზრდობას ასწავლიდა სახალხო განათლების დარგში რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატის ბრძოლის გამოცდილებას, რადგანაც ამგვარი ცოდნა და გამოცდილება ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენდა მტრების განადგურებისათვის. ახალგაზრდობას მტკიცედ სწამდა, რომ ორი-სამი ათეული წლის შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში, რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე სხვა მხარეებში, ფართოდ გავრცელდებოდა სახალხო განათლება, გაიხსნებოდა სახალხო სკოლები, საღამოს კურსები, აკადემიები და სხვა, რის შედეგად მოისპობოდა უსწავლელობა და კულტურული ჩამორჩენილობა[4].

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 94, 1920 წ. 14 ნოემბ.
[2] „ახალი კომუნისტი" , 1920 წ. 22 ოქტომბერი.
[3] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 5, 1920 წ. 23 ივნისი.
[4] გაზ. „ახალი კომუნისტი" № 64, 1920 წ. 14 ოქტომბერი.

ამ რწმენით, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა და სახალხო მასწავლებლობა, მშრომელ მასებთან ერთად, ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მტკიცედ დარაზმული, განუწყვეტლივ იბრძოდა მენშევიკური მთავრობისა და მისი „სასწავლო-საგანმანათლებლო“ სისტემის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გრძელდებოდა 1921 წ. 25 თებერვლამდე, როდესაც სამუდამოდ დაემხო მენშევიკური მთავრობა და საბჭოთა სოციალისტური წყობილება დამყარდა საქართველოში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი 1. სახალხო განათლების საერთო მდგომარეობა რევოლუციამდელ საქართველოში (1901—1917 წ. წ.) . 3—10

ნ ა ვ ი 2. სასკოლო ქსელი, მატერიალური ბაზა და მოსწავლეთა შემადგენლობა (1901—1917) 11—25

1) დაწყებითი სკოლა 12—15

2) ზოგადი განათლების საშუალო სკოლები . 15—25

თ ა ვ ი 3. სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები. . . . 26—53

1) პირველდაწყებითი სასწავლებლები 26—30

2) უმაღლეს-დაწყებითი სკოლები 30—33

3) ზოგადი განათლების საშუალო სკოლები 33—53

თ ა ვ ი 4. მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. . . . 53—

1) მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა . 53—66

2) მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ახალი სკოლისათვის 67—84

თ ა ვ ი 5. სახალხო განათლების ძველი სისტემის კრიტიკა და მშრომელი ხალხის ბრძოლა ახალი სკოლისათვის. 84—117

თ ა ვ ი 6. სკოლისა და სახალხო განათლების მდგომარეობა მენშევიკური მთავრობის პერიოდში (1917—1920 წ. წ.) . . . . . 118—167

1) დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის „ნაციონალური აღზრდის“ პოლიტიკა საქართველოში . . . 118—124

2) სკოლისა და სახალხო განათლების საერთო მდგომარეობა მენშევიზმის ბატონობის პერიოდში . 124

ა. სასკოლო ქსელი, მატერიალური ბაზა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობა . . . . . 124—137

ბ) სასკოლო საქმის ხელმძღვანელობა, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები . . . 137—139

გ) სასწავლო გეგმები . . . 139—142

დ) სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები 142—146

ე) სკოლის რეორგანიზაციის საკითხები 146—151

ვ) საეკლესიო აღზრდა . 151-155

4) მასწავლებელთა და მოსწავლეთა ბრძოლა ახალი სკოლისათვის

ა) მასწავლებელთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა 155—161

ბ) მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მენშევიკების „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში . . 161—167

რედაქტორი პროფ. გ. თავზიშვილი.

ტექრედაქტორი გ. ბამანიძე.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20 VI—51 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 10,5. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. შეკვეთის № 681. ტირაჟი 2000. უე 02940.

სტამბა „ლენინსკოე ზნამია“, თბილისი, ძნელაძის ქ. № 21.